114/1941 15

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

114/1941 15

98

8

თბილისი
1941

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეთვრამეტე

რ.ე.ს. ბიბლიოთეკათმცოდნე და
ბიბლიოთეკა
სარეკ. ბიბლიოგრ. მეთოდკაბინ.

9066

8

ბორჩალოს სახ. საკ. ბიბლიოთეკა
საჯარო
ბიბლიოთეკა
თბილისი

19 აგვისტო / სახელგამი 41

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ/მგ. რედაქტორი ალიო მაშაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/IX-41 წ. ᲣᲔ34072. ანაწყობის ზომა 7 × 12. ნიშანთა რაოდენობა სასტამბო ფორმაში 50.688. საავტორო ფორმათა რაოდენობა = 12.65. შეკვეთის № 1117. ტირაჟი 1.750.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ჟორესის ქ. № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალაკტიონ ტაბიძე

სამშობლო

ჩვენ ღარიბები ვიყავით მეტად, თქვენ მეტისმეტად უფრო ძლიერი.
თქვენ არ დაზოგეთ ხერხი და ძალა ხან ცბიერი და ხან უდიერი.

ჩვენ ბევრი, ძლიერ ბევრი ვიტანჯეთ, ბევრჯერ სიკვდილის პირად ვიდექით.
არ დაგმორჩილდით, ვიბრძოლეთ მარჯვედ, თავგანწირულად წინაღგიდექით.

ჩვენ ავაშენეთ ქვეყანა ძმობის, იგი ეყრდნობა ამ ქვეყნად პირველს
ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ურთიერთ რწმენით ურყევ საძირკველს.

თქვენი ქვეყანა კი ურთიერთი ღრმა სიძულვილის ვულკანზე მდგარი
ქანაობს. რბევის მძვინვარე ღმერთი არის იმისი ბაირახტარი.

ჩვენ ახლა გავხდით უფრო მდიდარნი. უფრო ძლიერი. თქვენ ეს გაწუხებთ.
თქვენ ის გაწუხებთ, რომ ჩვენი ჯარი თავდადებული სდგას მოპასუხედ.

სიმდიდრეები არა ზღაპრული ამბების ათას ერთი ღამისა,
თქვენ სხვა სიმდიდრით ხართ დაზაფრული, ხალხი სხვანაირ დრო და ჟამისა.

თქვენ იცით როგორ, რა ძალით სცემენ, აქ ჩვენი ნავთის შადრევანები,
რა ულევია ჩვენი მადანი, სპილენძის ბუდე, ოქროს ქანები.

ვით თამაშობენ ძვირფას ფერებით ჩვენი მიწის ქვეშ ძვირფასი ქვები.
ყოფნა, ალსავსე ბედნიერებით, შრომათა ჩვენთა გამარჯვებები.

აურაცხელი შუქი კუზბასის, შუქი ვოლხოვის, დონბასის მხარე
უდაბნოს ქვიშად მტევნები ვაზის, შუქდაბინდული და მოელვარე.

უზარმაზარი ყვავილი შლილა, გიგანტიური ადგას კედარი,
სად ლამაზია ყოველი დილა, სად დარაჯია ჩვენი მხედარი.

მდინარეები, რომ აგავან ზღვებს, ოქროთი რომ აქვთ ავსილი ფსკერი,
ჰაერი, მსგავსი რომ არა აქვთ სხვებს: თავისუფლების სუფთა ჰაერი!

რევოლუციის ქარში, გრიგალში დაბადებული ჩვენი არმია
გაკაჟებული იცავს სამშობლოს, და სამშობლო კი ის პლაცდარმია,

რომელსაც მოაქვს კაცობრიობის თავისუფლება და გამარჯვება,
მას საყვარელი, მშობლიური გზით, სტალინური გზით სვლა ემარჯვება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ლეონიძე

ქართველ ოსტატებს

(ივანე ჯავახიშვილის ხსოვნას)

ღიდება მიწას, რომ გეაკვანათ,
თქვენი მადლი რომ დაუფენია,
ნეტავ რა ძალამ ამოაქანა
შუქნასხივარი თქვენი გენია.

ვინ დაგვიტოვა უკვდავნაგები
ციხეკოშკები, სისხლით სოველი;
ღიდი ტაძრები ნაქანდაკები,
ღვთიურ ჩუქურთმით გამოქსოვილი.

იქ ვინ აზიდა ქვაკუთხედები,
სადაც არც კი ჩანს ნაბილიკარი,
იქ ვინ დაჰკიდა კამარედები,
ერთი ვაზიდამ გათლილი კარი.

ვინ გამოჰკვეთა ნუკრი მწოვარი,
მტევნები, მტრედი გამომფრინალი,
ფასკუნჯის ფრთებქვეშ ვეფხვი მწოლარი,
ჩასაფრებული, როგორც ფირალი.

და თქვენი აზრი, ქვაზე დამყნილი,
აყვავებული ვაზის რტოებად...
თქვენი ოცნება, თქვენი ძახილი
მქროლი არწივთა გასატოლებლად.

თქვენი ვარაყი, ოქროხატული,
ალის შხეფი და ცეცხლის წვერია,
თქვენი წიგნები ასოხლართული,
უმეტეს ღამით რომ გიწერიათ.

ისიდიდით ბოდიშს, თუ რამ ჰკლებოდა,
ჰმარგალიტავდით თითეულ წერტილს.
მთაზედ რომ ელვა იკლაკნებოდა,
იქნებ იმ ელვით იმ ლექსებს სწერდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენი მოდგმის ხართ საჩუქარი —
გურამიშვილი... შოთა... შავთელი...
ვინც გვითხრა სიტყვა სულით მდუღარით,
სიმღერა გულის ამომშანთველი.

ვინც მზის მწვერვალთა წყაროს გვაწაფა,
მზესხიურობის იყო მთოველი, —
მთაწმინდელები, პეტრიწი, საბა,
ოპიზარი და იყალთოელი.

კიდევ რამდენი სხვა უსახელო,
ვის თითებშუა ჰყვაოდა ვარდი;
ვინც დაიხია მღერით საყელო
და ჩამოზიდა მიწად ლაჟვარდი...

*
* *

ნაცრად აქციეს თქვენი ტაძარი,
დასცეს ბჭეები და საფუძველი,
იყო ბნეული და ნატაცარი
თქვენი ეტრატის ყველა ფურცელი.

მაგრამ ვერავინ გასძარცვოს იგი,
რაც გულის ცეცხლში გადამდნარია,
თქვენი გუნდების რიგი და რიგი
დღეს უკვდავების ალამდარია.

თქვენი დიდების მხრები ზვიადი
მყინვარის მთაზე უმაღლესია,
თქვენს მბრწყინავ აზრში, ვით განთიადი
ვაჟკაცდებოდა ხალხის მესია.

ის ამომზევდა თქვენს წიაღიდან, —
თქვენი სისხლხორცი, თქვენი გულისხმა,
გამარჯვების და სიბრძნის ოსტატი,
დიდი მჭედელი სიყვარულისა.

აღსდგა ქართლი და მისი ენაცა,
შავი წარღვნების გადანათელი;
გული თუ სევდას ამოენაცრა,
ჩაჰყენებია ოქროს ნათელი.

თითონ გათავდა თქვენი დამლევი,
ისევ გამთელდა მარად ქებული,
გადამსხვრეული თქვენი კალმები,
თქვენი ჩანგები დაუქმებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეტრატი ცრემლით შენაწებარი,
ნაჟღერი თქვენის ტკბილის ენითა,
ჩვენგან ნაპოვნი და ნაძებარი,
ჩვენს ახალ სიტყვას შემოენივთა.

ვიყნოსეთ თქვენი ვარდის სურნელი
და თქვენი თაფლი გულს გვეწურება,
დიდოსტატებო, გვივლის სურვილი
ჩვენც გავხდეთ ხალხის მეგანძურებად,

რომ ახალ ქართლის სხივიც ემატოს
ჩასპილენძებულ თქვენსა დიდებას,
მუდამ წარსულის აღარ გვემართოს,
მისკენ გაცქერა და მითითება;

რომ ისამსევოს ჩვენმა სიტყვამაც,
რომ ჩვენც მოგვეჭრას ოქრო ჭედილი,
და მომავალმა — გამომკითხავმა
გვაშოროს ბნელი განუჭვრეტელი.

აღსდგა სამშობლო და აღარც არი
მისთვის შავბედის გადამწყვეტელი,
გამოჩნდით ახალ ნამოღვაწარით
დიდი ფაზელი,
დიდი მცხეთელი...

1939 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დემნა შენგელაია

მეოთხე ძმა

1.

სოფელს დაჰნათის რძისფერი განთიადი.

ალიონისას ახოხებულ ლეგა ნისლებში ჩაძირული ქარის წისქვილი წყალში გაჭირვებულივით იქნევს ცად აწვდილ ხელებს.

ირგვლივ დუმილია.

მკათათვის გულდაგული თაკარა შუადღეები ალხით იფშვინებიან და არსად, არც ყანებში, არც კალოებში, არ ისმის გამრჯე კოლმეურნეთა ხალისიანი ჟრიამული, — არც გუგუნი კომბაინისა, არც ქაქანი ტრაქტორისა.

ზაფხულის მოკლე ღამეებიც დუმილში ქუფრად ჩაგმანულან. მყუდროება არ ირღვევა ახალგაზრდა გოგო-ბიჭების მხიარული კისკისით, სიმღერით: აღარ ისმის გათენებამდე მიტანებული ფანდურის ერთფეროვანი ჟღრიალი, უკრაინული ტკბილი სიმღერები.

თითქოს ძაღლებმაც იგრძნეს, რომ ქვეყანა განსაცდელშია და გომურებს უკან, ჩრდილებში მთელი დღეები უძრავად წვანან, არ ჰყეფენ. მხოლოდ ბატები ყიყინებენ კვლავინდებურად და ალიონზე ისევ ისე გაისმის მენახირის შოლტის ტკაცუნი.

სოფლის განაპირას ერთი პატარა, კირით შეფეთქილი კოხტა სახლი დგას. სახლის წინ ახალ ტარზე დაგებული დროშის ქვეშ შაშხანით ხელში უკრაინელი დედა ზვიადად ამართულა და, სახემოღუშული და კუშტი, შორეთს თვალჩაციებით გასცქერის.

დროშა ისე ძველია, რომ ფრიალით დაძენძილა, ტყვიებით დაცხავებულა, ჟამთა ვითარებისაგან გახუნებულა. ოქროს გოროზი წარწერაც აქა-იქ გასცვივნია, მაგრამ რამდენიმე სიტყვა მაინც მკაფიოდ ირჩევა: „... 1919 წელი... პარტიზანელთა რაზმი“...

ეს ბრიალა დროშა ერთ დროს ამაყად ფრიალებდა, ალივით ტკაცუნობდა ფეხზე დამდგარ საბჭოეთის მინდორ-ველებში; ცარიცინიდან პერეკოპამდე გატყორცნილი უნაპირო სივრცეები ლაღად უტლაშუნებია, მებრძოლთა გულები უხარებია და ალად ავარდნილს მუდამ თან ახლდა ძლევამოსილი ყიჟინა თავისუფლების, სამშობლოს დაცვის სურვილით გულანთებული დონბასელი პროლეტარიატისა, უკრაინელი გლეხებისა. ახლა ისევ ლაღად ფრიალებს, ისევ ფართქალებს ღილის ნიავით აფანცქალებული და, თითქოს ის დღენი, დღენი ზუზუნა ტყვიებით დაცხავებულნი, კვლავ აგიზგიზდნენ.

ბნელეთი კვლავ აღძრულა საბჭოეთის დასარბევად, კვლავ კბილთა ღრჭენა, სამშობლო კვლავ განსაცდელშია.

ფრონტი სოფელს ზედ მოსდგომია, პირსისხლიანი სვავები მშობელ უკრაინას კვლავ შემოსევიან.

იქვე, დროშასთან, ერთი მოხუცი ზის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროშის ხალისიან ტყრშიალზე მას ის თავისი მოუსვენარი ვაკაციური დღეები აგონდება, დღეები გაჭენებული მაშინდელ ქარიშხლიან ცხოვრებასავით, დღეები, რომლებსაც მზის მაგიერ ეს დროშა ათენებდა და წინ გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ ტკაცუნით მიუძღოდა.

მოხუცს თავისი ნაცადი მეგობარი, ძველისძველი ბამა-პაპური ფილთა თოფი, კვლავ გამოუძებნია, ძველთაგან გამოყოლილი სეჩევიკური სისხლი კვლავინდებურად აჩქროლებია და რძალთან ერთად ისიც ხარბად, გაფაციცებულად გასცქერის ნისლებით ჩამოძენძილ ლეგა შორეთს.

ნიავი წეწავს დილის ლეგა ჯანღს, მზე ნელნელა არღვევს აბოჟირებულ ნისლს და მისი ბრჭყვიალა ოქროსფერ ლილოებით ჭრელდება ოდოშად მომკილი თვალუწვდენი ნაყანევები, ახლად გათიბული მინდორ-ველები.

ქუფრი ბურუსი წყალსავსე მდინარეში ზანტად წვება და ბოლივით დაკრაკნილი მწვანე კორომებიც, თითქოს ნისლებივით იფუტკნებიან. ტირიფებსა და ვერხვნარებში ტანკენარი ჭანდარი ცად ავარდნილა და ცისა და მიწის შუა ისე ტივტივებს, თითქოს ფესვები ნიადაგში კი არა, ნისლში გაუდგამს.

ეს კორომები, ეს ჭანდარი სოფლიდან კარგა მოშორებით აშლილან და სოფლის გუშაგნი მათ გასცქერიან, ფრთხილობენ, რომ ზურგში გადმოსხმულმა მტრის დესანტმა ბინა სადმე მათ მახლობლად არ დაიდოს.

ღამით, როცა ყოველივე იძინებს, ბრძოლის ველიდან ყრუდ მოისმის შორეული გუგუნი ქვემეხებისა, პროჟექტორები ბზარავენ ცისიერს, პროპელერები აზანზარებენ სივრცეებს.

სოფელი კარგა ხანია რაც აიშალა, ბავშვებიც გარეთ გამოფენილან, მაგრამ ყველგან მაინც სიწყნარეა, სიწყნარე ისეთი, თითქოს ეშინიათ ამ იდუმალების თავისი ჟრიამულით დარღვევისა.

ღობეზე ერთი სულელი მამალი ფრთათა ბათქუნით შეხტა, სამოსი თავმომწონედ გაისწორა და ერთი დარდიმანდულად, ლოთიფოთურად დასძახა თავისი ხრინწიანი, მაგრამ ახლა ყოვლად უადგილო დილის სიმღერა.

დედამ სახლს მოხედა, გაეღიმა.

— ისევ სძინავს! — გაიფიქრა და გული ჯერ ისევ მშობლიური სიყვარულით უფანცქალებდა, რომ ამ დროს ღია სარკმლიდან გულგახეთქილი კატა შხუილით გამოიჭრა. მას ჯერ ფეხსაცმელი, მერე ცოცხი და ბავშვის გულიანი სიცილი მოჰყვა.

დედამ შუბლი წუთით კუშტად შეიკრა, მაგრამ ალერსიანი ღიმილისაგან თავი მაინც ვერ შეიკავა და მოხუცს ტკბილად ჩასჩურჩულა:

— ხედავ, ჩვენ ონავარასაც გაეღვიძა!

ბაბუამ თვალებზე გადმოფენილი ხშირი ჭალარა წარბები უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა და ხელის ჩაქნევით ჩაიბუზღუნა:

— ნეტავ მაცოდინა, ვის გამოემსგავსა ეს ბიჭი ასეთი ანცი და მოუსვენარი?

— ვისა და თავის ბაბუას, თავის დედას! — მოუჭრა რძალმა ღიმილით და ღიმილითვე განაგრძო:

— მერე რა უშავს? გაიზრდება და ეგეც თავისი ძმებივით დადუღდება.

ბაბუამ რძალს არა უპასუხა რა. მისი ყურადღება სარკმლის რაფაზე შემხტარმა შვილიშვილმა მიიქცია. ათიოდე წლის ბავშვი ნამძინარევი თვალების შმუშვნით ქუჩას გაბუტულივით გასცქეროდა. სამოსი მხოლოდ ერთ ფეხზე ეცვა და ისე შესაქცევი იყო, რო მოხუცს გული მისდამი სიყვარულით აუტოკდა. მართლაც, ის ისე ჰგავდა თავის ბაბუას, დედის მამას, რომ უცებ მთელი წარსული თვალწინ წარმოუდგა. გაახსენდა, — როგორ თამაშობდნენ ერთად პატარაობისას, თუ როგორი მოუსვენარი იყო ისიც და ვინ იცოდა, რომ ბოლოს დამძახლდებოდნენ, ვინ იცოდა მაშინ, რომ ის შემდეგში პარტიზანთა რაზმს შეადგენდა და თავის სიცოცხლეს სადღაც სტეპში მტრის ტყვიით გულგანგმირული დაასრულებდა.

ონავარამ ბაბუა დაფიქრებული რომ დაინახა, მაშინვე სარკმელიდან გადმოხტა და უკანიდან ფეხაკრეფით მიეპარა. უცებ მხრებში მკლავები შემოხვია და ყურში გულის გადამტრიალებელი ხმით ჩასძახა:

— დაგვნებდით, ბებერო!

შეშფოთებული ბაბუა ფეხზე წამოიჭრა, მაგრამ შვილიშვილი იცნო თუ არა, რისხვით აყვირდა:

— ანცო!.. გადარეულო!.. მაღვალაკო!... ახტაშირავ!.. სამი ძმა გყავს, ბიჭო, სამი ძმა—არწივი, სამთავ სისხლს ღვრიან... სამშობლოსათვის, სტალინისათვის... სამთავ ვერაგ მტერს ებრძვის და შენ ვის გამოემსგავსე ასეთი ონავარი და მოუსვენარი?

ონავარამ თვითონვე იგრძნო, რომ ცელქობა გადაჭარბებული მოუვიდა და უხერხულობის დასაფარავად შუა ქუჩაში დაგდებულ ფეხსაცმელს ასკინკილით მიაშურა. მერე თან ფეხთ იცვამდა და თან ყურს უგდებდა თუ როდის გაათავებდა ბაბუა მის ლანძღვა-თრევას.

დედამ შვილს ერთი გულის ტკივილით გახედა და მერე საყვედურით მიმართა:

— გრცხვენოდეს, შვილო! განა ბაბუა ეგრე უნდა გააჯავრო?

ონავარას კიდევ უფრო შერცხვა თავისი საქციელის და წამოდგა. მოხუცთან თავდახრით მივიდა და შეეხვეწა:

— მოდი, შემირიგდი, ბაბუა! პირობას გაძლევ, სიტყვას გაძლევ, რომ კვლავ აღარ შეგაწუხებ.

მაგრამ მოხუცი ისე იყო გაცეცხლებული, რომ შვილიშვილის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია და კიდევ უფრო განრისხებულად შეუტია:

— დაიკარგე აქედან, შე მავნე, შენა! ჩემმა თვალებმა ამ სიახლოვეს არ დაგინახოს!

ბავშვი დაიბნა.

ბაბუას მწარე სიტყვებმა ისე გააცხარეს, რომ დაენანა, — ბოდიში რად მოვიხადეო. ბრაზით ყელში ბოღმამოწოლილ მოხუცს კიდევ უფრო მიუახლოვდა და უნდოდა დიდივით ჭკუადამჯდარად რაღაც ესაყვედურნა; უნდოდა ეთქვა, რომ მისგან პატიება ითხოვა და ის კი ისე ავია, რომ არ აპატია; უნდოდა ეთქვა... მაგრამ თავისი სულიერი მდგომარეობის გამომხატველი სიტყვები რომ ვერ იპოვა, ადგა და როგორღაც თავისთავად ენა გამოუყო.

დედამ თვალი მოჰკრა შვილის საქციელს და აღშფოთებულად მიაყვირა:

— რას სჩადი, ბიჭო?

ისედაც გაცეცხლებულ მოხუცს ეს ღა აკლდა. ფეხზე საოცარი სიმკვირ-

ცხლით წამოიჭრა, დროშის ტარს, თითქოს საყრდენად, ხელი მთრთოლვარედ ჩაავლო და მთრთოლვარედვე დაიძახა:

— ურცხვო! უტიფარო! აი... ამ დროშასთან დგეხარ... ეს დროშა ტარის ტყვიით განგმირულ ბაბუაშენს ზედ ეფარა... ეს დროშა ბაბუაშენის ამაყი სისხლით არის ნაღები... — მეტი ვერ შესძლო, მუხლები აუკანკალდა და მოწყვეტით დაჯდა.

ბიჭუნა გაყუჩდა.

ტყვიებით დაცხრილულ ძველისძველ დროშას დაფიქრებული, გონიერი თვალებით მოკრძალებულად ახედა. უცქეროდა ფიქრად წასული, უცქეროდა ისეთი გატაცებით, რომ არც გაუგია, თუ როგორ ჩაიარა მინდვრებიდან, ღამის ყარაულიდან, დაბრუნებულმა მეზობელთაგან შემდგარმა სახალხო ლაშქრის შეიარაღებულმა რაზმმა.

მათ დანახვაზე დედას ერთბაშად დაავიწყდა შვილის უსაქციელობა და მეთაურს ხმამაღლა გაფაციცებულად გასძახა:

— გამარჯვება, მეზობლებო! როგორაა საქმე?

რაზმმა პასუხი არ გასცა, დაღვრემით ჩაიარა, მხოლოდ მათი მეთაური გამოეყო და გუშაგებს მიაშურა.

— თავი მოგვეჭრა! — სთქვა შეწუხებულად, — დესანტი ვერ აღმოვაჩინეთ.

ბაბუამ პირი მწუხარების ნიშნად მოხუცურად ააცმაცუნა.

— ღმერთი არ გაწყრეს და ნავთბაზას არ მიაგნონ!

მეთაურმა მოხუცს სიტყვა გააწყვეტინა:

— ხო, მართლა! შენი მოსაზრება გამანადგურებელთა უფროსს უკვე გავაცან და დიდად მოიწონა!

სხვა არა უთქვამს რა. ისე იყო შეწუხებული, რომ სათქმელი ვეღარ განაგრძო და წინწასულ რაზმს უბრად მიაშურა. ამხანაგებს რომ წამოეწია, შედგა, სოფლის გუშაგებს ისევ მოუბრუნდა:

— მაშ ეგრე... ფხიზლად იყავით!...

— ვეცდებით! — გასძახა მოხუცმა და რძალს თავმომწონედ გადახედა.

ბიჭუნამ შურის თვალებით გახედა შეიარაღებულ მეზობლებს. უნდოდა, როგორ უნდოდა, რომ ისიც იმათსავით დიდი ყოფილიყო, იშასაც ხელში თოფი სჭეროდა და გული უილაჯო ბოღმით აევსო.

— ვეცდებით! — გამოაჯავრა დედას სასაცილოდ გადაბღენძილმა და თვალებში ცრემლი მოაწვა.

— ვეცდებით! — გაიმეორა ისევ ისე და მერე გული მოუვიდა: — თქვენ ცდილობთ და მე კი აქ... — და უცებ დედის შაშხანას წაეტანა. — მომე ეგ შაშხანა... — დაიძახა ისეთი საოცარი გამწარებით, რომ დედა ჯერ შეკრთა, მერე სახეზე აღტაცების ღიმილმა გადაურბინა.

ბაბუას უნებურად გაეცინა:

— ბიჭო, რამდენჯერ უნდა გითხრა, — შენი საქმე იცოდე მეთქი! წადი, ბატები მწყემსე! ერთი ამ მართლაც ონავარას დამიხედეთ, ჰა!

დედამ შვილს ტკბილად დაუყვავა და მოუსვენარ კულულებად აშლილ ჭოჩორზე ხელი ნაზი ალერსით გადაუსვა, პიონერის წითელი საყელო გულზე სათუთად გაუსწორა.

— კარგი ახლა, შვილო, დაწყნარდი!

ბავშვი გაგულისებით ჩამოშორდა ორთავეს.

— ისინი, — ჩემი ძმები, არწივებია... და მე ბატები ვმწყემსო, არა? — დაი-

ძახა გულადულებულად და თავისი ცრემლების თვითონვე შერცხვა, ეს ქალაჩუნობა რომ დაემალა, უცებ გაიქცა და თვალის დახამხამებაში ორლობეებს მიეფარა. ბაბუამ შვილიშვილს მშვიდად გახედა და ფიქრს — ნიშნის მოგებით ამოხდა:

— ერთი იმ ლაწირაკს დამიხედეთ რა ყოფაშია! — მაგრამ დედამ სიტყვა მოხუცს ტკბილი ნატვრით მოუჭრა:

— დადულდება, დაღვინდება და ფრთას ეგეც გაშლის... არწივის ფრთებს... — სხვა არა უთქვამს რა, უფრო, — ვერა სთქვა, ისე იყო აღელვებული. ბაბუას კვლავ ჩაეცინა.

— შენ მაგას უცადე! — და ამ სიტყვებით გომურს საქმიანად მიაშურა. მალე იქიდან რამდენიმე ფირფიტადაჭედებული ჭოკი გამოიტანა და ყოველ ფირფიტაზე დახატულ ისრის ქვეშ მსხვილი ასოებით სიტყვა „ნავთბაზა“ ეწერა.

ბაბუამ ჭოკები მხარზე შეიწყო, ზედ ბარი შეიგდო და გზას ბუზღუნით გაუდგა.

— მაშა, ეგრე იცის ბებრის ჭკუამ! — ბუტბუტებდა თავისთვის და სოფელი უკან მოიტოვა. — მარტო მოწონებას რა ჭკუა აქვს! თუ მოიწონეს, უნდა გაკეთდეს კიდევაც! ეგრე სჭრის ჩემი ბებრული ჭკუა, მაშა!...

მისი შვილიშვილი კი ამ დროს სოფლის თემშარაზე ხალისიანად მირბოდა. ხან მალაყსა და ხან ყირას გადადიოდა. ხან ვინმეს უკანიდან მიეპარებოდა და ძაღლური ყეფით გულს გადაუტრიალებდა. აქ ერთად შექუჩული ბიჭების მყუდროება დაარღვია, იქ ვილაცას მოულოდნელი სარმა გამოსდო, წააქცია და სიცილით, ხტომით ისევ მოკურცხლა. მირბის და თან მიჰყვება ლანძღვა, ყვირილი, მაგრამ ონავარა აინუნშიაც არ იგდებს მათ ყაყანსა და უკმაყოფილებას. აი, ერთი სახლის წინ შედგა და უცებ დაწყნარდა, დადინჯდა კიდევაც. სირბილით აფანცქალებული გული დაიოკა და ღობეს ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა.

ბოსტანში მისი დოსტი, ქერა გოგონა, მისი ტოლი განა, რაღაცას საქმიანობდა. ონავარამ მოკრძალებულად, ოდნავ შემკრთალი ხმით გასძახა:

— განა!

განამ მოიხედა და ჭკვიანი, ღიღილოსებური ცისფერი კრიალა თვალები ტოლს ჯიქურ გაუსწორა. ბიჭუნამ რატომღაც კისერი მოიფხანა, მერე ფეხის წვერით მიწა გაჩიჩქნა და ბოდიშიანად, თითქმის მუდარით, სთქვა:

— წამო, ბატები ვმწყემსოთ რაა! მარტო მეზარება.

განას გაეცინა, თავის გაქნევით წინ გადმოშლილი თმები უკან გადაიყარა და სიტყვა განზრახ არხეინად მოუჭრა:

— პიონერრაზმმა შენ დაგავალა და შენი საქმე შენვე იცოდე! — მერე დაცინვით გამოაჯავრა: — შეზარება! ან მე რა შენი გამართობელი მნახე.

ონავარამ ყურადღება არ მიაქცია მის გამქირდავ სიტყვებს და ისევ შეეხვეწა:

— სადილობამდე ისეთი რა საქმე გაქვს... იქ, ჭანდრის ძირას ისე გრილა... ისეთი სიწყნარეა... ვიკენჭაოთ... წყალში ვიბანაოთ...

განას მართლაც მოენატრა იქაურობა, ჩრდილი, მყუდროება... მერე ეს ბიჭიც ისეთი კარგია... ამხანაგს ხათრი ვერ გაუტეხა და კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ უცებ დაყაბულდა:

— კარგი... რახან ეგრეა... — სიტყვა აღარ დაასრულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭუნას თვალები სიხარულით გაუბრწყინდა და სიხარულითვე ხელდახელ ერთი გასაოცარი ყირა გააკეთა.

2.

სოფლის გზაზე სიწყნარეა.

ამ სიწყნარეს მხოლოდ ბატების დარბაისლური ყაყანი არღვევს.

ბატებს ონავარა წნელით არხეინად მიერეკება. მას განა ნელი ნაბიჯით მიჰყვება და, ფიქრში გართული, ამხანაგს თანდათან ჩამორჩა. ბიჭუნამ თავის სახლს რომ მიაღწია, მოიხედა, — ჩამორჩენილ მეგობარს შეუცადა.

დედა ისევ ისე გოროზად დგას სადარაჯოზე, მაგრამ შვილის დანახვაზე თვალები უცებ გაუბრწყინდა.

— შვილო, რომელ მხარეს მიერეკები ბატებს? — ისე ტკბილად შეეკითხა, რომ ბავშვს გული ერთბაშად აუჩუყდა, უნდოდა დედას მოხვეოდა, მაგრამ განა მოაგონდა, შერცხვა თავისი სინაზის და მშობელს განზრახი უხიაგობით ჩამოშორდა. მერე თავი ვაჟკაცურად დაიჭირა და დიდივით არხეინად უპასუხა:

— ჭანდრისაკენ, — და უცებ მეგობარს მოუბრუნდა: — წავიდეთ, განა!

დედამ დაკვირვებით გახედა შორს ამართულ ჭანდრის ხეს და ერთხანს დაფიქრებულად გასცქეროდა. მერე ისე, თითქოს ახლა მოაგონდაო, წინ წასულ ბალღებს მიაძახა:

— ფრთხილად იყავით! ხომ იცით, რანაირი დროა... ისიც იცით, თითქმის ფრონტში ვარ... თუ უცხო ვინმე, ან საეჭვონი დაინახოთ, იმ ჭანდრის ხეზე ადით და გვანიშნეთ! მე აქედან გითვალთვალებთ.

ბალღებმა ერთურთს თავმომწონედ გადახედეს და ისევ ბატებს მიჰყვნენ.

ერთ ადგილას გზა ორად იყოფოდა და სხვადასხვა მიმართულებით მიიკლაკნებოდა. გზის პირებზე ბაბუა თავის წარწერიან ჭოკებს ერთი მეორისაგან კარგა მოშორებით რიგრიგად მიწაში სათითაოდ არჭობდა. არჭობდა ისე, რომ ფირფიტაზე დახატული ისარი სოფლისაკენ ყოფილიყო მიმართული.

ონავარამ ჯერ წარწერა ხმამაღლა წაიკითხა, მერე ისარს დააკვირდა და განას ღიმილით გადახედა. მერე ბაბუას უცნაური, საეჭვო გრძნობებით მიუბრუნდა:

— ბაბუა, ავათ ხომ არა ხარ? — მაგრამ მოხუცი თავისი საქმით ისე იყო გართული, რომ შვილიშვილის უტიფარი სიტყვების აზრი ვერც გაიგო.

ბიჭუნა მაინც არ ეშვებოდა. ისევ ისე დაცინვით უთხრა:

— ბაბუა, ავათ ხარ მეთქი!

მოხუცი მოთმინებიდან გამოვიდა.

— თავიდან მომწყდი მეთქი, ბიჭო!

ბიჭუნამ მისი გაგულისება აინუნშიაც არ ჩააგდო და თავისი მაინც განაგრძო:

— ავადმყოფობის ნიშანიც არის...

ბაბუას გაუკვირდა:

— რის ნიშანი, ბიჭო? რა ნიშანი?

ონავარა ისარს ძლივს ასწვდა.

— სოფელში ნავთბაზას რა უნდა? ამას ჩვენში თავგზის არევას ეძახიან.

ბაბუა ისე გაბრაზდა ამ სიტყვებზე, რომ შვილიშვილისაკენ საცემრად გაჭანდა, მაგრამ ბიჭი მარდად გაუსხლტა ხელიდან და განზე გახტა.

— სამი არწივი ძმა გყავს, ბიჭო, სამი ვაჟკაცი და, შენ ვის გაშოემსგავ-

სე ასეთი უკულმართი? მუდამ სხვის საქმეში ეჩრები, სადაც არ გინდა, ცხვირი უნდა წაჰყო და არაფერი კი არ გაგეგება!

გული ბავშვსაც მოუვიდა, მაგრამ განამ ხელი ხელში მტკიცედ ნაჭიდა და ბაბუას ისე მოაშორა. ცალკე რომ გაიყვანა, ისევ ბატებს მიჰყვნენ.

— მე კი ვფიქრობ, რომ ბაბუა მართალია. — სთქვა განამ დაფიქრებულად, სთქვა ისე, თითქოს ამ სიტყვებით თავის თავს მიმართავდა...

ონავარამ პასუხის მაგიერ ხელი აგდებით ჩაიქნია და ცას ოცნების თვალებით გახედა.

— გავიზრდები... მფრინავი ვიქნები... მეც არწივი მინდა რომ ვიყო, მაშა!

განამ მშვიდად შეხედა ამხანაგს, უცქირა, უცქირა და მერე მშვიდადვე საოცარი თანაგრძნობით უპასუხა:

— სულწასული ნუ ხარ! მაგასაც მოესწრები.

ბიჭუნა მობრუნდა, მეგობარს თვალებში მიამიტად მომუდარე თვალებით ჩააცქერდა და, ოცნებად წასულს, წყნარად, უხმოდ გაეღიმა.

3.

დილის ნისლები თანდათან გაიფანტნენ. ზაფხულის მზე თანდათან მწველად აცხუნებდა.

განა ბუჩქებში განმარტოებით იჯდა, და, მინდვრის ყვავილებისაგან გვირგვინს რომ წნავდა, თან ბატებისაგან ბალახის კორტნასა და ონავარას წყალში ჭყუმპალობას ყურს უგდებდა.

როგორ უყვარდა აქ ყოფნა!

ირგვლივ დუმილია, ველები და წუთით რომ წარმოიდგინა,—ამ ველებს, ამ ცას, ამ მზეს საზარელი მტერი დაპყრობით, განადგურებით ემუქრება, ბრაზი ყელში მოაწვა. როცა წარმოიდგინა, რომ სადღაც ამ მიდამოებში მტრის დესანტი იმყოფებოდა, გული შეუშფოთდა და ჭანდრის ხეს გახედა. აი, მისი მეგობარი ბიჭუნა სულ გმირობაზე ოცნებობს, თითქოს თავდადება, ვაჟკაცობის გამომჟღავნება მხოლოდ ბრძოლის ცეცხლში იყოს შესაძლებელი! ბალახი მოგლიჯა და გრილსა და ნედლ ყლორტებს კვნეტა დაუწყო.

ბატები ისევ ისე ერთგულად სძოვდნენ კორდს.

ისევ ისე ისმოდა ხალისიანი ტლაშუნი შეშფოთებული წყლისა. ალბათ, მალე მობეზრდება ჭყუმპალობა და, წყლიდან ამოსული, ძებნას დაუწყებს, მაგრამ განა ისე საიმედოდ არის ბუჩქნარში დამალული, რომ ვერ მიაგნებს.

— განა! განა! — დაუძახებს შეშფოთებულად, მაგრამ ის ხმას არ გასცემს. ამის წარმოდგენაზე კმაყოფილებით გაეღიმა, ბუჩქნარში კიდევ უფრო საიმედოდ მიიმალა.

ის იყო გაყუჩდა, რომ ამ დროს წყლის პირად, მისგან ოდნავ მოშორებით, რაზმი გამოვიდა. რაზმს წინ ვიღაც ქერა ლეიტენანტი მიუძღოდა, თან აქეთ-იქით ყურადღებით იცქირებოდა, ყველაფერს ფხიზლად აკვირდებოდა. განას უნდოდა ბუჩქნარიდან გამოსულიყო, ეკითხა თუ ვინ არიან ან საიდან მოდიან, მაგრამ რატომღაც თავი შეიკავა, სამალავიდან არ გამოვიდა.

— განა! განა! — მოესმა განას მეგობრის ყვირილი, მაგრამ განამ ხმა არც იმას გასცა, — მისი ყურადღება წითელარმიელებისაკენ იყო მიპყრობილი. ბიჭის ხმის გაგონებაზე ლეიტენანტი რაღაცნაირად, საკვირვლად, შეკრთა, წუთით ჩაფიქრდა. უცებ ალუმინის მათარას თავი მოხადა, წყალი გადაღვარა და ხელახლა გასავსებად მდინარისაკენ დაეშვა.

განა გაოცდა:

— წყალი რად გადაღვარა? — და ბუჩქნარის საფარში საიმედოდ მიიყუჟა.

ლეიტენანტი იმ ადგილას, სადაც განა იყო დამალული, უცებ ბატებს წაეფეთა და მათი უეცარი ყაყანით შეშფოთებულმა ერთი გერმანულად უეცარად შეუკურთხა:

— დონერ ვეტერ!

განა გასაფრდა, ბუჩქნარში ისე გაიტრუნა, რომ თავის სუნთქვისაც ეშინოდა.

ლეიტენანტი მდინარესთან მივიდა. მობანავე ბიჭუნას ხელი ალერსიანად დაუქნია და თან მათარას წყლით ავსებდა. მის დანახვაზე ონავარა ბიძიასთან ბაყაყურით მიცურდა და უცქეროდა თუ როგორ ივსებოდა ჭურჭელი წყლით და როგორი გულმოდგინებით მიახრახნა ლეიტენანტმა თავზე მათარას ფინჯნისებური ალუმინისავე სარქველი.

ონავარას გულმა არ მოუთმინა:

— საიდან ხართ?

ბავშვის ასეთ მიამიტ შეკითხვაზე ლეიტენანტს გულიანად გაეცინა და, ლამაზი, მიმზიდველი სახე განზრახ საშინლად რომ დამანჭა, უპასუხა:

— ფაშისტი ვარ... შეგჭამ!.. შეგახრამუნებ!..

ამ ხუმრობაზე ბიჭუნასაც გულიანად გაეცინა, მაგრამ ლეიტენანტმა მაშინვე ისევ ჩვეულებრივი სახე მიიღო და ბავშვს დინჯად შეეკითხა:

— შენ, ძამიავ, ნავთბაზასთან ხომ არ ცხოვრობ?

— არა!

— სამწუხაროა!

— რათა? რათ არი სამწუხარო?

— გაგვაცილებდი! მცველად გამოგვაგზავნეს და გზა აგვერია. ნახვამდის! — სთქვა არხეინად და მდინარის აღმართს საჩქაროდ შეუდგა.

ონავარა მაშინვე წყლიდან ამოხტა და ლეიტენანტს წითელარმიულად გასძახა:

— სდექ! მე გაგაცილებთ.

ლეიტენანტი შედგა. ბავშვს გახედა, ერთი შეყოყმანდა, მერე ხელი უარის ნიშნად ჩაიქნია.

— არ ღირს! იბანავე! უშენოდაც იოლად გავალთ! — და ფლატეზე ნელა ავიდა.

ონავარას უნდოდა, რომ წითელარმიელებს რამეში უეჭველად გამოსდგომოდა. სიჩქარეში ფეხსაცმელების ჩაცმა დაავიწყდა და ლეიტენანტს ისევ დაჩემებით მიაძახა:

— გაგაცილებთ მეთქი! გზას გასწავლით!

ლეიტენანტი შედგა.

ბავშვი ისე სასაცილო იყო და მიმზიდველი, რომ კვლავ უნებურად გაეცინა. მერე სველ თმებზე ხელი ალერსიანად გადაუსვა და ღიმილით უთხრა:

— კარგი! რახან არ იშლი, ფეხთ მაინც ჩაიცვი.

ბიჭუნამ მაშინვე წყალთან ჩაირბინა, ფეხსაცმელები ხელდახელ ჩაიცვა და აღმართი სულის ერთი ამოთქმით აირბინა..

ლეიტენანტი რაზმს მოუბრუნდა, რომელიც სულ შვიდი კაცისაგან შესდგებოდა.

— სდექ! — უბრძანა ლეიტენანტმა. — მწყობრად!

ონავარამ ფეხსაცმელის ზონრები იქვე შეიკრა და თან უხაროდა, უსაზღვროდ უხაროდა, რომ ისიც წითელარმიელებს წითელარმიულად ფეხდათეს გაჰყვებოდა.

სად არის განა? მის ვაჟკაცურ საქციელს რად არ უცქერის? — გაიფიქრა და, უკან რომ მოიხედა, გაშტერდა.

ჭანდრის ხეზე განა ციყვივით გაფაციცებულად მიფორთხავდა და თან რისხვით ანთებული თვალებით „წითელარმიელებს“ მისჩერებოდა.

ონავარამ მაშინვე გაისაზრა ყოველივე და ზარდაცემული თვალებით დესანტის უფროსს მოხედა.

— რას შეყოვნდი, ბიჭუნავ? — შეეკითხა იგი ისევ ალერსიანად და ბიჭუნა გამოერკვა. ერთი ნაძალადევად გაიღიმა და მთრთოლვარე ხმით, თითქოს თავისთვის, სთქვა:

— როცა გავიზრდები, მეც წითელ არმიაში წავალ... — თან გული შიშით უკანკალებდა, რომ მათ შემთხვევით ჭანდრის ხისაკენ არ მიეხედათ და განა არ დაენახათ.

— ნავთბაზა ისეთ დასაკარგავშია მოთავსებული, რომ ეშმაკიც ვერ მიაგნებს!—განაგრძობდა განზრახ ბავშვური მიამიტობით იგი, თან უფროსს ხელით ხელში ეწეოდა, რომ დივერსანტები აქაურობისათვის მალე გაეშორებინა.

4.

სოფლის განაპირას ისევ ისე მრისხანედ იდგა დედა თავის სადარაჯოზე.

მოხუც ბაბუას თავისი საქმე მოეთავებინა და დროშის ძირას ისიც ისევ ისე იჯდა, იჯდა და თან გზის პირებზე აქა-იქ დარჭობილ ჭოკებს ღიმილით გასცქეროდა, და კმაყოფილებისაგან პირს ბებრულად აცმაცუნებდა.

დედამ ერთხელ კიდევ გახედა ყურადღებით მშობლიურ თვალუწვდენ მდელოებს, შორეულ გორაკებს და, თვალი მდინარის პირას ლურჯად აშლილ კორომებსაც რომ მოავლო, შეკრთა. მოხუცს მღელვარებისაგან ათრთოლებული ხელი მხარში ისე ღონივრად ჩაავლო, რომ ისიც წამოდგა, ბეცი თვალებით ჭანდრის ხეს ისიც დააკვირდა.

ხეზე ვიღაც აცოცებულიყო და ნიშანს იძლეოდა.

— ეს ჩემი ბიჭია!—ამოხდა დედას სულმოსწრაფებით.—ჩქარა, განგაში!

და მართლაც მთელ სოფელს განგაშის ხმა ელვის სისწრაფით მოედო. ბაბუა ძელს გამეტებით სცემდა და მის გუგუნს ერთს წუთში ხალხის გუგუნიც შეუერთდა.

ყოველის მხრიდან მორბოდნენ შეიარაღებული მოლაშქრეები. დედა ხალხს წინ შეეგება და განრისხებისაგან არაადამიანური ხმით დაიწივლა:

— დესანტი! დესანტი!

ვიღაცამ გაისაზრა და გამანადგურებელთა მაშველი რაზმისკენ დახმარებისათვის გაქუსლა.

5.

რაზმს წინ ონავარა მიუძღოდა. მის გვერდით დესანტის უფროსი მოდიოდა და, ბავშვი განზრახ რაღაც აბდაუბდას სულმოუთქმელად რომ ტიტინებდა, ის აქეთ-იქით გასაფრებულად იცქირებოდა.

მათ უკან დანარჩენებიც მოჰყვებოდნენ.

ერთ ადგილას გზა ორად იყოფოდა. ონავარა არც შეყოყმანებულა, ნავთბაზის გზას ერთბაშად აუქცია და გეზი პირდაპირ სოფლისაკენ აიღო.

— სდექ!—ბრძანა უფროსმა დაეჭვებულად.

ყველანი შედგნენ. უფროსი გზის პირად დარჭობილ მაჩვენებელ ჯოკს მიუახლოვდა და ჯერ ფირფიტასა და მერე ახლად მიყრილ ნათხარ მიწას დააკვირდა.

— ახლახანს დაურჭვიათ! — წაიბურტყუნა თავისთვის და ბავშვს გამომცდელი თვალებით მიაჩერდა. პიონერმა უფროსის მოჩერებულ თვალებს თვალი ჯიქურ შეუმართა და მიამიტად გაიღიმა.

— გუშინწინ ორი ცისტერნა ბენზინი ნავთბაზის მაგიერ სოფელში ამოიტანეს, აი, იმ გზით! — სთქვა მან არხეინად და ხელი უკან მოტოვებულ მეორე გზას მიუთითა.

დესანტის უფროსი დამშვიდდა და, გზა ისევ რომ განაგრძეს, ონავარამ შვებით ამოისუნთქა.

— ეს ჭოკები ბაბუამ გამართა.—განაგრძო მან ისევ ისე არხეინი კილოთი.— მოხუცია ჩემი ბაბუა. ძალზე მოხუცი, მაგრამ ჭკვიანია... უუჰ, თქვენ არ იცით, რა ჭკვიანია ჩემი ბაბუა!

და ასე — ბავშვის ტიტინში გართული დესანტი მოლაშქრეთა საფარს შეუმჩნევლად მიუახლოვდა.

— მაშ, შენც წითელარმიელი იქნები, არა? — შეეკითხა დამცინავი ღიმილით დესანტის უფროსი თავის პატარა მოსაუბრეს. ონავარამ მაშინვე გაისაზრა გამჭირდავი კილო შეკითხვისა, მაგრამ არ დაიმჩნია, სიტყვა ისევ ისეთივე გატაცებით განაგრძო:

— უსათუოდ! ჩემი სამი ძმაც იქ არის... ბრძოლაში... ოღონდ ეს არის, რომ ძნელი საქმეა... წითელარმიელობა და გმირობა ხომ ერთი და იგივეა!

„ლეიტენანტმა“ კოხები კუშტად შეიკრა, უნდოდა ამ „მეტიჩარა“ ბავშვისათვის სახეში სილა გაეწნა, მაგრამ ამ დროს საფარში თოფმომარჯვებული მოლაშქრენიც აიმართნენ.

ონავარას თვალები ბედნიერებისაგან გაუბრწყინდა და გახარებული ხმით დაიძახა:

— დედა!

დედა შვილის ძახილს არც გამოხმაურებია ისე გასძახა დივერსანტებს:

— დაჰყარეთ იარაღი!

— იარაღი დაჰყარეთ!

— დაგვნებდით! — აგუგუნდნენ მოლაშქრენიც, მაგრამ დესანტის უფროსმა მოასწრო, ბავშვს ხელი დასტაცა და წინ აიფარა.

მოლაშქრეებმა არ იციან რა ჰქნან. ესროლონ,—ბავშვი ენანებათ, ენანებათ მათ ხელში ლაღად გაზრდილი ონავარა, არა და არც უსროლელობა იქნება.

დივერსანტებმა თოფები მოიმარჯვეს, ხოლო მოლაშქრეებმა ძირს დაუშვეს. ონავარამ მაშინვე გაისაზრა, თუ რათ დაუშვეს იმათ თოფები და მუდარით, განწირული ხმით დაიწივლა:

— რას უყურებთ? გვესროლეთ!

მოლაშქრენი კიდევ უფრო დაიბნენ, არავის არ ემეტება თავისი საყვარელი, თავისი საერთო შვილი, რომელიც ამ წუთს გმირად ქცეულა.

დედაც დგას. სახეზე ფერი მისდის. უნდა იკივლოს, მაგრამ ხმას ვერ იღებს, უნდა ადგილიდან დაიძრას, შვილისაკენ გაქანდეს, მაგრამ ფეხები არ ემორჩი-

ლება. საცაა წაიქცევა კიდევაც, მაგრამ ამ დროს გვერდში ბაბუა ამოუდგა. დედას თვალში მაშინვე მოხვდა, თუ როგორ უცახცახებდა ხელში მოხუცს მომარჯვებული ფილთა თოფი.

ონავარამ გახედა დედას, გახედა ბაბუას, მერე თავის სოფლელებს თვალი საბრალოდ მოავლო და უცებ დესანტის უფროსს სახეში ბრჭყალებით შეაფრინდა. ჯალათმა გულში ხელი ჰკრა. ბავშვის იქით მიგდება და დამბაჩის გრიალი ერთი იქმნა.

ონავარა მიწაზე პურის ძნასავით დაეცა, მაგრამ პასუხად დედის თოფმაც დაიგრიალა და ბავშვის გვერდით მისი მკვლელიც დაეცა.

ბრძოლის მოლოდინში ორივე მხარე მიწაზე გაწვა.

დედა და ბაბუა ყველაზე წინ ჩაწოლილან და ტყვიას ტყვიაზე უგზავნიან მოსისხლე მტერს.

დივერსანტები ისე არიან გართული სროლით, რომ უკანიდან ქორივით წამოქროლებული გამანადგურებელნი ვერც შენიშნეს.

ორიოდე წუთიც და ჯალათებმა იარაღი დაჭყარეს.

მთელი სოფელი თავის ნორჩ გმირს შემოეხვია, გმირს, რომელიც სიკვდილს ებრძოდა. დედა... განა... ბაბუა... მომაკვდავი ბავშვი ყველას სათითაოდ შესცქერის, შესცქერის ისე, თითქოს ყველას ეთხოვება. მერე პირი მწყურვალესავით გააწაპუნა და ოდნავ გასაგონად წაიბუტბუტა:

— დედა... ბაბუ... მაპატიეთ... განა! განა!

ყველა ერთხმად ტიროდა. ბაბუა დაიბნა, მაგრამ, როცა პატარა განამ თავის მომაკვდავ მეგობარს ყელსაბამი ფაქიზად გაუსწორა, უცებ ახალი ტყვიებით კიდევ უფრო დაცხავებულ პარტიზანთა დროშას ხელი სტაცა და შვილიშვილს მოწიწებით დააფარა.

სულმობრძავი ბავშვი უკანასკნელი ძალღონით წაეტანა წითელ დროშას და მადლიერებისაგან უილაჯოდ, არაამქვეყნიურად გაეღიმა.

ბაბუამ სახელოებით ცრემლი შეიწმინდა და შვილიშვილს ყურში ჩასძახა:

— სამი არწივი — ძმა გყავს, შვილო!.. მეოთხეც... შენც... არწივად დაბადებულხარ... — მაგრამ ბავშვს უკვე არაფერი არ ესმოდა. არც განძრეულა. მის სახეს გაციებული ღიმილი ისევ დაჰნათოდა.

დედა ფეხზე წამოიჭრა.

მისი სახე ცრემლით იყო მორწყული, მაგრამ მაინც უტეხად, მედგრად გამოიცქირებოდა. მძვინვარესა და გაგოროზებულს თვალები მტრისადმი ზიზღით აღვსებოდა. ცალი ხელით შაშხანა მტკიცედ ჩაბღუჯა, ხოლო მეორეთი შვილის გვამზე წაფარებული დროშა აიტაცა და მაღლა ააფრიალა, გაშალა ლაღად შვილის სისხლით შეღებილი წითელი დროშა.

— ამისი... ამისი პასუხიც უნდა გაგვცენ ფაშისტებმა! — დაიძახა ხმამაღლა და შურისგების წყურვილით აღსავსე თვალები ირგვლივ ისე მოავლო, თითქოს მთელ უკრაინას, მთელ საბჭოეთს შურისძიებისაკენ მოუწოდებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

დავით აღმაშენებელი

სამკარიანი რომანი

კარი პირველი [1])

უტურფესი თუ უსასტიკესი?

XIV

ლოყა მიუშვირაო?

მთელს სასახლეს მოსდო ეს ამბავი ლაკლაკიმ, რუსუდანის პირისფარეშმა. იმედი გაუქარწყლდათ დედოფლებს: ელენესა და რუსუდანს, სოხასტენის დედათა მონასტრის წინამძღვარს თუთაის და მათ თანამდგომ ეპისკოპოსებსა და აზნაურებს.

მიმწუხრისას, სადედოში, დაბალ სავარცხულზე იჯდა დედოფალი ელენე, ცრემლმორეული ეჩურჩულებოდა დედოფალ მარიამს, ნატებზე ნებიერად წამოწოლილს. ოთხი სასანთლე ენთო დარბაზის კუთხეში, თაფლის სანთლები უსუსურ სინათლეს ჰფენდნენ კედლებზე ჩარაზმულ ხატებს.

ელენეს წინამო მოეხადა, ჰშვენოდა მის ახალგაზრდულ სახეს ახლად ამოღებულ აბრეშუმსავით ხასხასა ჭაღარა.

„შენ თავათ დედა ხარ, ავგუსტა, ეუბნება იგი მარიამს, უჩემოდაც მოგეხსენება, თუ რა ძნელია დღენიადაგ უმზერდე შენს ოჯახში სხვისი შვილის სიმძიმილს. შენებრ სიტურფე არ მიუცია არსთა განმრიგეს მისთვის, მაგრამ, მერწმუნე, წმინდათა სწორია დიოფალი რუსუდან, სათნო და სპეტაკი სულითა. ნანობს კიდევაც ბედშავი: სადედოფლო პორფირს რად არ ვარჩიეო მონაზნვური ჩოხა?“

ელენე შესდგა, თვალი შეავლო მარიამ დედოფლის ოდნავ ფერმკრთალ სახეს, იგი მართლაც მიაგავდა მის უკან კედელზე დაკიდულ დედაღვთისას ჯრუჭისას, როგორც მას უწოდებდა ნიანია ბაკურიანი.

ელენეს არ ეამა მარიამის დუმილი, თავი ჩაჰქინდრა, მცირე ხანს დასცქეროდა მის წინაშე დებულ დოროს, რომელზედაც ისარშემართული მშვილდოსანი და გაფრენილი ხოხობი იყო სითვით ამოქარგული, მერმე თავი ასწია და სთქვა:

„ვშიშობ, დარდმა არ მოაშთოს დედოფალი რუსუდან, სხვისი შვილის ცოდვა არ წაგვეკიდოს, ავგუსტა.

შენ რომ იცოდე, როგორ მოელოდა იგი შენს ჩამობრძანებას, ავგუსტა... მაგრამ, ვაჰმე, გაუმწარდა საბრალოს ძილი და ღვიძილი.

---

[1]) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ №№ 5-6.

ვითარცა დედა ამ ოჯახისა, მე ვგრძნობ, სადაცაა ცოდვა ადუღდება ამ ოჯახში, ავგუსტა.

მეფემ და ჭყონდიდელმა ასე ისურვეს, მიტომაც გავატანეთ ეს ბერი ჩამოსვლის კვირაძალს ოვსეთში უფლისწული დემეტრე დედამძუძეს. შენ თავათ დედა ხარ, ავგუსტა, ადუღდებოდი სიბრალულისაგან, თვალით რომ გენახა, თუ როგორ გამოეტირა მელოგინე თავის საყვარელ პირმშოს.

დედაო ღვთისა, შენ დაიცავი ჩემი ოჯახი ბრალისაგან!"

შეჰღალადა ელენემ ღვთისმშობელს ჯრუჭისას.

„ოდითგანვე ცოდვა მძვინვარებდა ბაგრატოვანთა ოჯახში, ავგუსტა. ალბათ, გსმენია, პაპის შენის, გიორგი პირველის სასახლე სიძვის დიაცებით იყო გავსილი თურმე. ამათაც შემონაზვნოდათ დიდედა შენი, სულკურთხეული მარიამ.

დიაცთა მოყვარული ყოფილა კუროპალატი ბაგრატიცა, მთელი სიცოცხლე სისხლსა ჰღვრიდა მეფე. ომებს რა მოათავებდა, სიძვით ერთობოდა თურმე.

უბრალო შიმუნვარებში სცვლიდა დედოფალთ-დედოფალს ელენეს.

მერმე ის იყო, ლიპარიტ დიდის მეუღლეს აჰხადა ნამუსი და ამას მოჰყვა ჯერაც დაუსრულებელი შუღლი ბაგრატოვანთა და ორბელიანთა შორის".

„მეც ეგ მეწადა, დედოფალო, ამ შუღლისათვის როგორმე მომეღო ბოლო, სამგზის ჩამოვედი ბიზანტიიდან ამისათვის".

მშვიდად, აუმღვრევლად წარმოსთქვა მარიამ დედოფალმა.

„აგერაა ჩვენს წინ სულკურთხეული ბაგრატ კუროპალატის ცოდვის ნაშიერი, ბედშავი მახარაი, იგი არც ცოცხლებზეა მითვლილი, არც მკვდართა შორის იხსენიება".

მახარაის ხსენებაზე წარბები აწკიპა მარიამმა, რადგან თვით მასაც ერცხვინებოდა მისი არსებობა ამ ქვეყნად. ძალა მოიკრიფა ელენემ და განაგრძო:

„საწყალობელია დიოფალი რუსუდან. მამული მისი იავარჰყვეს თურქთა, გასულ თვეს ამბავი მოუტანეს ანისელმა ბერებმა: თურქებს შოუკლავთ კილიკიაში ძმაჲ მისი უფროსი, სურენ. ქმარს პირველ ღღიდანვე არ უყვარდა რუსუდან, მე და გიორგის ტახტის მემკვიდრე გვინდოდა, ჭყონდიდელი შევუჩინეთ. პირველი ღამე ძლივს გაათია ცოლთან. ახლა პირმშო წარვსტაცეთ.

ჩვენი ოჯახის ბოროტი სულია მახარაი, იგი ჩასჩიჩინებს ღღენიადაგ უფლისწულს: გაეყარეო ცოლს.

მახარაისაც სძაგს ლიპარიტი, მაგრამ ასე ჰგონია მაგ უბედურს: თუ უფლისწულმა დედისიმედი შეირთო, ბაგრატოვანთა ერთგული გახდებაო თრიალეთის ერისთავი.

ავიწყდება ბედშავს, დედისიმედი პირმშო როდია ლიპარიტისი, უმთავრესია მისივე ვაჟი რატი, ჭეშმარიტად იქედნეს ნაშობი, დაუძინებელი მტერი ბაგრატოვანთა გვარისა.

გევედრები დედაშვილურად, ავგუსტა, დაიფარე ბოროტისაგან ჭირთამთმენი ოჯახი ჩვენი. კარგად იცი, მაიკო, სიყრმიდანვე თაყვანს გცემდა უფლისწული. ჩააგონებდე ყრმას, განაძოს ერისთავის ასული გულიდან, რადგან ლენცოფას ჯერ არსად მოუსხამს ვარდი".

„ბერძნები მართებულად იტყვიან, დედოფალო ბატონო, მიუგო მარიამმა რძალს, სანამ კაცი ჯერ არ მომკვდარა, არც ავი ითქმის მის გამო, არც

კარგი. ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, არავის ეხალისება ამ ქვეყნად მთელი სიცოცხლე მოლალატედ დარჩენა, არც თუ ვინმეა კაცთაგანი მუდამ ბოროტი, გინა ქველი, რადგან ჩვენ ადამიანნი ვართ, დედოფალო ბატონო, ვიცვლებით, ვიწვებით, ცვილის კელაპტარივით ხელში ვადნებით-განგებას.

ოდითგანვე ასე გვჩვევია ბაგრატოვანებს, ლიპარიტისძენი მოლალატეებად ვიგულოთ მარად. ეს გვავიწყდება ოლონდ, ორბელიანთა რომ შემოგვინახეს თრიალეთის საერისთაო.

ხომ ნახეთ, რა მოიმოქმედა კახთა მეფემ აღსართანთ? ეს ჩვენი ბრალია, ჩემი ძმის გიორგის ბრალია, ეგეც გსმენია, დედოფალო ბატონო, ალბათ, ყოველ დღე ხესაც რომ შებღავლოს, გახმი, გახმიო ჯოგმა, უთუოდ ხეც გახმებაო ნედლი. კაცს თუ მუდამ მოლალატე უძახე, იგი მართლაც მოლალატე გახდება.

თქვენ მიინიშნეთ და მომიგონეთ მერმე. უკეთუ ლიპარიტ ერისთავიც აღსართანის გზაზე შევაყენეთ, მაშინ თრიალეთზედაც დაიყივლებს მულაჰ".

თავი ჩაჰქინდა დედოფალმა ელენემ.

„დიაცური წესია, ჩვენო დედოფალო ბატონო, განაგრძო მარიამმა, პირუთვნელად ნათქვამ სიმართლეს თუნდაც ირიბული გვირჩევნია ტყუილი, რადგან ტყუილი უფრო ლამაზია, ვიდრე ულამაზესი მართალი.

მე არ ვიცი, თუ რას ფიქრობს ჩემი ნახევარიძმა მახარაი, მაგრამ რუსუდანი უფლისწულის ჯუფთი [1]) რომ არ არის, ამას ის მიცვალებულნიც ჰხედავენ, განკითხვის დღის საყვირს გულზე ხელდაჭდობილნი რომ უცდიან ახლა.

უკეთუ დიოფალი რუსუდან, როგორც თქვენა ბრძანეთ, მართლაც ეგზომ მორწმუნეა, დიდია მაინც საბრძანისი მბადისა. თუ საქართველოში არ ნებავდეს თუნდაც სოხასტენის [2]) დედათა მონასტერში შემონაზვნება, მე მოვაწყობდი პროპონდიდის მონასტერში თუნდაც, იქ არის მშვენიერი ევდოკია, კეისრის რომანოზ დიოგენის ცოლყოფილი ახლაც და არა ერთ დედოფალს დაულევია დღენი თვისნი მუნ".

ესა სთქვა მარიამმა და კარი გაიღო, ფეხაკრეფით შემოვიდა კოზმან ბერი და ეზოსმოძღვარი ცინცილუკ, თაყვანისცეს ორივე დედოფალს, ფერხთით მიუსხდნენ მარიამს.

წამოიწია მარიამ და კისერგამართული ამბობს:

„რადგან იესო მაცხოვარი ჩვენი უფროს ამ სოფლიური სიტკბოებისა ჰყვარებია დიოფალს, მაშინ აღიაროს თავი თვისი რუსუდანმა იესოს სასძლოდ".

ელენე დედოფალი აიმღვრა, ვაგლახად მოიღუშა მისი სათნო სახე და არა მიუგო რა მარიამს, ეს ღა გაიფიქრა: უტურფესნი დიაცნი უსასტიკესნი ყოფილანო ამ სოფლად.

XV

ფლოქვიანი ეპისკოპოსი

იწყებოდა ზაფხული, კირჩხიბს გადაცდენილი მზე უახლოვდებოდა ზოდიაქოს ლომისას. უცნაური ქარბორბალა მძვინვარებდა იმ წელს, რიონის პი-

[1]) ჯუფთი—წყვილთაგანი ერთ-ერთი.

[2]) სოხასტენის დედათა მონასტერი იმყოფებოდა აწინდელი გელათის ტაძრის მახლობლად.

რიდან ახვეტილ ქვიშას უშენდა გეგუთს. ადიდებული რიონი, სასახლის კიბეებამდის უწევდა ხშირად. როცა დიდროაი მოთავდებოდა, გაუვალ შლამს სტოვებდა ველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგუთი აფხაზთა მეფეების საზამთრო სასახლე იყო, მაგრამ მეფე გიორგი ზამთარ-ზაფხულს მანდ იყო, მას არ უყვარდა ქუთათისის სასახლე. მოწყენილი ჰქონდა მეფეს ალყაშემორტყმულ ციხეებში ცხოვრება. ასეთ ყოფას მოაგონებდა ორმაგი გალავანი ქუთათისის ციხისა, იდუმალ გვირაბებით მიმოსვლა მუდამ ეშინოდა.

ასე მგონია, გარემოცულ ციხეში ვარო.

„თმახუჭუჭა ეშმაკეულის“ სტუმრობამ, ბაგრატისეული ცხენის აჭიხვინებამ და მიწისძვრებმა გეგუთზედაც აუყარეს მას გული.

უმთავრესი მაინც სხვა იყო. ახლოვდებოდა ტახტზე ასვლა უფლისწულისა, გეგუთის სასახლე როგორ დაიტევდა მოსალოდნელ სტუმრებს. ასე ეგონა მახარაის, წრეულსვე გაამეფებენო დავითს, მაგრამ ეს ვერ გაეგო: რათ აღოვნებდნენ სასახლეში ამ საქმეს? ერთ რამეს მტკიცედ ადგა იგი: ისეთ რამეს აროდეს იკითხავდა, რასაც არ აკითხვინებდნენ ხოლმე.

იდუმალ გრძნობდა: სასახლეში დღენიადაგ თათბირობდნენ, ჩურჩულობდნენ, ჭორაობდნენ, დაობდნენ, მაგრამ საყურადღებოს ვერაფერს წაატანა ყური.

ემდუროდა იდუმალ როგორც მეფე გიორგის, ისე ჭყონდიდელსა და უფლისწულსაც: რად მიმალავენო უმთავრესს?

გარეგარე დადიოდა თავათაც, მესათხეველთ დასდევდა რიონის ჭალებში. ხანდახან უნებლიეთ წაესწრებოდა დიდებულთა ჩურჩულს. როგორც კი შეიცნობდნენ მახარაის მოახლოვებას, მყისვე გაჭკმინდავდნენ ხმას. და ეს ხდებოდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მარიამ დედოფალი სასახლეში მოვიდა.

თვით უფლისწულს დაღვრემილებას ამჩნევდა მახარაი. უცნაურად იცვალა დავითმა ზნე. მომეტებულად სიტყვაძვირი გახდა. არც დარბაზობებს ესწრებოდა, აღარც ნადიმებს. ქუთათისის სასახლეში გადასვლის შემდეგ ვარსკვლავთმრიცხველობამ გაიტაცა იგი. როგორც კი ჭალებს ჩააქრობდნენ სასახლეში, უფლისწული და ნიანია ადიოდნენ ბაგრატოვანთა სასახლეზე მიშენებულ „კოლხური კოშკის“ ჩარდახზე, გათენებამდის უჭვრეტდნენ მნათობებს, რამლის კვრითა და თაყუმის ჩხრეკით ერთობოდნენ. ხანაც ბერძნულ წიგნებს უჯდა, მარიამ დედოფლის მიერ მისთვის ჩამოტანილთ.

ხმა გაავრცელეს სეფექალებმა: დავით უფლისწულის კურთხევის დღეს დიოფალ რუსუდანსაც დაადგამენო გვირგვინს. ასეთ რამეებს შეუმოწმებლად იჯერებდა მახარაი, ამიტომ დედოფლის ზეგავლენას მიაწერა ეგეცა.

ბრაზობდა თავის გუნებაში, თავათ ორ კეისარს გაეყარა, ერთხელ გაყრასაც აუგად უთვლისო უფლისწულს. ერთი რამ საეჭვოდ მიაჩნდა: რუსუდანმა მშვიდობით მოილოგინა, დამწუხარებული იყო მაინც.

ჩვილი უფლისწულის ოვსეთს წარგზავნა არ უნდა ყოფილიყო მიზეზი ამისა. საერთოდ წესად ჰქონდათ ბაგრატოვნებს უფლისწულების ოვსეთში აღზრდა.

დღენიადაგ სადედოში ჩაკეტილი სავსებით დადუმდა ისედაც უტყვი რუსუდან. იგი არც პურობის დროს ეჩვენებოდა ვინმეს, არც სარკესთან იჯდა,

არც ფერუმარულს იცხებდა, არც ღაწვებს იხოკავდა. სასახლის ტალანში შეეფეთა ერთხელ მახარაის, შეჰზარა ქოსა, წვეროსანი დიაცის სახემ.

ქართველი და ბერძენი ეპისკოპოსები გარს ეხვიენ დედოფალს. მხოლოდ ფსალმუნების გალობა მოისმოდა მის დარბაზიდან.

ბოლოს კანტიკუნტად ყურმოკრული და შენიშნული დასცდათ მესაწოლე მხევლებს: ღამღამობით სტირისო დიოფალი რუსუდან, რადგან უფლისწული მარტო აპირებსო გვირგვინის დადგმას, კათოლიკოსი ევსტრატი წინააღმდეგიაო ამისა.

ერთი რამ ვერ გაეგო მახარაის: ერისთავები წავიდ-წამოვიდნენ, ლიპარიტ ორბელიანი რას უცდისო ქუთათისში?

ერთი ორჯერ მეფემ და ლიპარიტმა ითათბირეს ლეონისეულ სასახლეში. მემაშხალენიც კი დაითხოვეს, ხოლო სამი დღის შემდეგ ლიპარიტი და ჭყონდიდელი დიდხანს ჩურჩულობდნენ კარგამოკეტილ დარბაზში. მახარაის კარგად ესმოდა, მღვდელმთავართა შორის ქუთათელის აზრი იყო ყველაზე მეტად საგულისხმო. კათოლიკოსს ევსტრატის ეშინოდა მისი, რადგან ეპისკოპოსნი ქუთათელს უჭერდნენ მეტწილად მხარს.

ქუთათელს სძაგდა, — კი არ სძაგდა, ეზიზღებოდა მახარაი, რადგან მან იცოდა ანტონის მეჭრთამეობის ამბები.

მარჯვენა ფეხი კოჭის ქვემოდ წაჭრილი ჰქონდა ქუთათელს და ზედ ეცვა მომრგვალო ხის ქოში.

ამიტომაც ფლოქვიან ეპისკოპოსს უწოდებდა მახარაი ანტონის, განა თუ ზურგს უკან, პურობისა და ნადიმის დროს დათვრებოდა ხოლმე მახარაი, ძირს დაფენილ ორხოვაზე წაიქცეოდა განგებისად და მორთავდა ყვირილს:

ვაიმე, ვკვდები, ფლოქვიანმა ეპისკოპოსმა წამიკითხოსო ანდერძი.

რა გაეწყობა, გიჟი თავისუფალიაო, ფიქრობდა ანტონი, უდრტვინველად იტანდა ამ შეურაცხყოფას.

ერთ საღამოს ბევრი იფიქრა მახარაიმ და ასე გადასწყვიტა: წავალ ქუთათელის სასახლეში, ეგებ სიმართლე დავაცდენიოვო ავყიას.

ქუთათელის დარბაზი სამეფო სასახლეებსა და ბაგრატის ტაძარს შორის იმყოფებოდა.

ბაგრატოვანთა ბაღი გადაიარა, მიჰყვა უზარმაზარ ძელქვების ხეივანს, ლეონისეულ სასახლეში სასანთლეებს ანთებდნენ, ალყა და ქონი აჰქონდათ მემაშხალეებს კიბეზე.

საბრძოლო გოდოლებიდან უკვე ისმოდა საყვირის ხმები, მრუმე ქონგურები იხატებოდნენ ნამრუდისფერ ცარგვალის კალთებზე. ცახცახებდა ნაგვიანევი სხივი გალავნებზე გასულ სუროს ფურცლოვანში. ჩრდილი და სინათლე ებრძოდნენ ციხეების, სასახლეების, გალავნების კიდეებთან ურთიერთს.

ბინდდებოდა.

მახარაი ლელვებს ამოეფარა, შესდგა და გაინაბა, რადგან სიტყვა „უფლისწული“ გაიგონა ანაზდად.

მოიხედა.

ცაცხვების ხეივანში ორი ლანდი გადმოსულიყო ქუთათელის სასახლიდან. თავჩაქინდრულნი მისაუბრობდნენ მანდილოსანი და რაინდი.

მზერა დაძაბა მახარაიმ. მარიამ დედოფალი და ლიპარიტ ორბელიანი შეიცნო.

ლეონისეულ სასახლისაკენ მისეირნობდნენ აუჩქარებლად. გულით ეწადა მახარაის შეუმჩნევლად წამოწეოდა და ყური მიეგდო მათი საუბრისათვის. იდუმალ.

ციხის ეზოში ჩქამი არ ისმოდა, გიორგი მეფის სანადირო ძალები დასუნსულობდნენ ლეღვებისა და ბროწეულის მწვანეში.

ნაბიჯს აუჩქარა მახარაიმ, ასე ეგონა, ბაგრატოვანთა სასახლისაკენ წავიდოდნენ ისინი. მოკირწყლულ ბილიკს მისდევდნენ ძელქვების ხეივნების გალმა-გამოლმა. კიდევ შემოესმა უფლისწულის ხსენება მახარაის, უცნაურად წამოეძალა ცნობისწადილი. უზარმაზარი ვაზები გარს ეხვეოდნენ ძელქვებს, ფეხაკრეფით უკან მიჰყვებოდა მოსაუბრეთ მახარაი, მაგრამ ერთბაშად ლეონისეულ სასახლისაკენ გადაუხვიეს მარიამმა და ლიპარიტმა. მანდატურნი გამოცვივდნენ სასახლიდან. მახარაი თუთების ხეივანს მიჰყვა და დასავლეთისაკენ განაგრძო გზა. ბაგრატოვანთა სასახლის ხილნარიც გადაიარა.

ამ ხილნარის ბოლოს ბაღი იყო მცირე, ლეღვიანს უწოდებდნენ მას. მჭიდროდ დარგულ ლეღვის ხეთა შორის ქვითკირის მარანი იყო უზარმაზარი, ლეღვების ქვეშაც ჭურები ჩაეფლათ, ვაზის ტალავრები გაემართათ აქა-იქ. მარნის გვერდით ეკვდერი იყო მცირე, სანახევროდ დარღვეული მიწისძვრისაგან.

ეკვდერის ნიშებში თაფლის სანთლები ბჟუტავდნენ. წყვილი სანთელი მოხსნა მახარაიმ. მივიდა ეკვდერის კუთხეში, მუნ გდებული ფიქალი აიღო.

გამოჩნდა საცალფეხო გვირაბი.

გზას ინათებდა მახარაი და მიჰყვებოდა რიყის ქვებით ირგვლივ შეკირულ ხვრელს.

ობობების ქსელით დაბლანდული იყო იგი. მიდიოდა წელში მოკაკული, ცალი ხელით გზას ინათებდა, ცალითაც ხევდა ბაბაჭუების ქსელს. ხვლიკები დაშლიგინებდნენ ხავსით მოსილ კედლებზე.

კარგა ხანს იარა ამგვარად მიწის ქვეშ. აქ სამად იყოფოდა ხვრელი, ერთი ბაგრატოვანთა სასახლისაკენ მიდიოდა, მეორე ქუთათისის ციხის გარედ, წყაროს გადაღმა, ხოლო მესამე ლეონ მეფისეულ სასახლისკენ. სწორედ ამ გვირაბს მიჰყვა მახარაი. ბოლოს მიადგა ისეთსავე ხუფს ფიქალისას, როგორც ეკვდერში დაუხვდა წელან. ფრთხილად მიაბჯინა თავისი კოწოლიანი თავი და ამოძვრა ლეონისეულ სასახლის მთავარ დარბაზში.

დარბაზის ოთხივე კუთხეში ოქროს სასანთლენი ენთო, აღარსად ჩანდნენ მემაშხალენი.

სწორედ იმ ადგილას, სადაც იდუმალი ხვრელი თავდებოდა, იდგა სპილოსფეხებიანი ირანული დიდი კარადა ძელქვისა. მას ამოეფარა სულგანაბული მახარაი.

დარბაზის ბოლოს ქალისა და კაცის ლანდი იჯდა ნატებზე ურთიერთის გასწვრივ.

მარიამ დედოფლის ხმა გაიგონა თავდაპირველად მახარაიმ.

„უფლისწულის კურთხევაზე ხომ ჩამოიყვან დედისიმედს, ერისთავთ-ერისთავო?“

დედისიმედის ხსენებაზე ყური სცქვიტა მახარაიმ.

სდუმდა მეორე ლანდი მცირე ხანს, ბოლოს ხმა გაიღო:

„ვშიშობ, მითქმა-მოთქმა არ გამოიწვიოს მისმა ჩამოსვლამ, ავგუსტა. გარდა ამისა, არ ვიცი, დედოფალი ელენე რას იტყვის?“

მცირე ხანს სდუმდა ლიპარიტი, ბოლოს ესა სთქვა:

„არ აჯობებდა, დედოფალო ბატონო, თავათ წამოგიყვანდეთ თრიალეთს, კატაი და დედისიმედი მოუთმენლად მოგელიან ლიპარიტის უბანში. გარდა ამისა, ორი ეკლესია მოვათავეთ თრიალეთზე, ხომ უნდა ნახო იგინიცა. თქვენგან გამოგზავნილი საფასით მოკაზმა იგი მანგლელმა ეპისკოპოსმა“.

„უფლისწულის კურთხევაზე მთელი საქართველო მოაწყდება ქუთათისს, როგორ იქნება, შენი სახლეული არ დაესწროს მას? სწორედ ეგ მისცემდა მომეტებულ საბაბს ენამრავალთ.

დედოფალი ელენეო? მე აქ ჩემს სახლში ვარ, ვგონებ, არა? კურთხევის შემდეგ უთუოდ წამოგყვებით კლდეკარს“.

დედოფალი მარიამ წამოდგა, ასე ეჩვენა მახარაის: ჩემსკენ მოდისო იგი. ძელქვის კარადას აეკრა ზედ.

ახლოს მივიდა ლიპარიტთან მარიამ, წამოიწია ერისთავი.

შეეკედრა დედოფალი: ნუ ადგებიო, მხარზე ხელი დაადო და ეუბნება ხმადაბლა:

„როგორც იყო, დავითანხმე გიორგი მეფეც. უფლისწული უნდა გაეყაროს რუსუდანს, ბევრი ვეჩიჩინე, ბიზანტიელი კეისრებისა და დედოფლების მაგალითები ჩამოვუთვალე. მართლაც და უჩვეულო აქ არაფერია... სამჯერ გათხოვდა ბიზანტიის დედოფალი ზოია... კონსტანტინე მონომახი ორგზის გაეყარა მეთქი ცოლს“.

„აფხაზეთის კათოლიკოსი?“

„იგიც თანახმაა, მაგრამ მაგ ფლოქვიანი ანტონის რიდი აქვს ევსტრატის. ერთად-ერთი ქუთათელი ოჩნობს. ეპიტიმია[1]) იკისროსო დავით უფლისწულმა. ეგეც არა სცოდნია ქუთათელს, ეპიტიმიას მესამეჯერ შეუღლებისას დააკისრებდა ხოლმე კონსტანტინოპოლის პატრიარქი ახალგაზრდა იმპერატორებს“.

„ქუთათელი?“

წამოიძახა ლიპარიტ ერისთავმა.

„ქუთათელი ასე მარწმუნებდა: ჭყონდიდელმა და აფხაზთა კათოლიკოსმა არ დაანებეს დედისიმედის დანიშვნა უფლისწულს, თორემ მე თავიდანვე შენი ქალის გადედოფლებას ვუჭერდიო მხარს“.

„ფლიდია ეპისკოპოსი ანტონი. პირიქით, გიორგი ჭყონდიდელი მოითხოვდა შენთან დამოყვრებას, ერისთავთ-ერისთავო, თავიდან“.

ლიპარიტი მაინც წამოდგა და ეუბნება მარიამს:

„რაც ახლო წარსულში მოხდა, ეს ყოველივე სიყრმის ამბებს მიეწერება, ახლა ჩემი ქალი მოწიფულია უკვე და ვშიშობ ოჯახი არ გამელანძლოს, ავგუსტა“.

თავი ჩაჰქინდრა ლიპარიტმა, მცირე ხანს აგრე იდგა.

„ქუთათელი...“

---

[1]) ეპიტიმია — სასჯელი: მღვდელმთავრებს ნება ჰქონდათ განსაზღვრული მორალური ბრალის გამოისობით ერთგვარი სასჯელი დაეკისრებინათ თვით მეფეთა და ერისთავთათვის, თუნდაც ამგვარი ხასიათისა: წესის დამრღვევს დააკისრებდნენ მარხულობას, შიშველ სხეულზე ღამის გათევას, უპერანგო სხეულზე თორის ჩაცმას და ისე წოლას, თორმეტჯერ დაჩოქებას, მეტანიას და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დაათავა ერისთავმა სათქმელი.

მარიამმა ხმამაღლა უთხრა:

„ქუთათელს მე მოუვლი როგორმე, თუ ჭკუით არ იქნება, შესაძლოა თავათ დაეკისროს ეპიტიმია“.

XVI

ხორეშან

ლიპარიტის უბანში მოუთმენლად მოელოდნენ მარიამ დედოფლის ჩამოსვლას. გამოხდა ხანი, მარიამ დედოფლისა და ჭყონდიდელის წიგნი მოუვიდათ: უფლისწულის კურთხევის ზეიმზე იწვევდნენ კატაის, დედისიმედსა და რატის...

გაჯიუტდა კატაი, სანამ დედოფალი რუსუდან სასახლეშია როგორ წარგზავნიო ქუთათისში დედისიმედს. სადა მყავსო გასალანძლი ქალი?

სხვაგვარად ფიქრობდა ლიპარიტისძე რატი. მას გამუდმებული ურთიერთობა ჰქონდა როგორც შირვანის მბრძანებლის კართან, ისე ტფილისის ამირასთან, მაინც მართლმორწმუნე ქრისტიანი იყო იგი.

აღსართან კახთა მეფის გამუსლიმებამ ფრიად შეაშფოთა რატიცა. თავათაც ხედავდა: თრიალეთის საერისთავო კონცხივით შეჭრილი იყო მუსლიმურ სამყაროს ზღვაში. გაამუსლიმებდნენ კახეთ-ჰერეთის სამეფოს, ბოლოს თრიალეთის საერისთაოზედაც მოდგებოდა ჯერი.

ხშირად ეურჩებოდა რატი თავის მამას, მაგრამ ამ შემთხვევაში დროულად მიიჩნია ბაგრატოვანთან გამოძებნა საერთო ენისა.

კურთხევის ზეიმზე მიწვევა ასე ახსნა რატიმ:

ყოველისშემძლე მარიამ დედოფალი თავისას გაიტანს, უფლისწული რუსუდანს გაეყრება და შესაძლოა ქორწილი მოჰყვესო კურთხევას.

სამი დღეც არ გასულა და კოზმან ბერმაც მოაღწია. მანაც იგივე დაამოწმა. ეს ღა დასძინა:

„ქუთათელი გაჯიქდა, მაგრამ დროის საქმეა. ვერცხლის მოყვარულია ეპისკოპოსი ანტონი. ჩამომიარაკა: ორმოცი ათასი ოქროს დრაჰკანი მიიღო კონსტანტინოპოლის პატრიარქმა, როცა მეორეჯერ გაყრის ნება დართოვო კონსტანტინე მონომახს. თუ საქმე მისჭირდა, მარიამ დედოფალი გაიღებს ამ თანხას“.

ერთი სასიხარულო ამბავიც ჩამოიტანა კოზმან ბერმა: ლიპარიტ ერისთავს სპასალარობა დააკისრაო მეფემ და დარბაზის ერმა, ისევე, როგორც ოდითგანვე ყოფილან ბაგრატოვანთა სპასალარებად ორბელიანნი.

ქუთათელის გაჯიუტება არ აშინებდა რატის.

თუ ოქროც ვერ მოალბობდა მის გულს, აჯამეთის ტყეში სანადიროდ გაიტყუებდნენ ეპისკოპოსს თრიალეთელი აზნაურები და უეცრად ნატყორცნ ისარს დაბრალდებოდა მისი სიკვდილი.

დედისიმედი უეცრად მოშალა ამ მოულოდნელმა ამბავმა, განსაკუთრებით გაჯიუტებამ დედისამ. კოზმან ბერი დაბეჯითებით არწმუნებდა: შენთვის ჩამოიტანაო მარიამ დედოფალმა დომესტიკის ანდრონიკის მიერ ნაჩუქარი მანიაკი ალმასებისა.

დიაღაც ეწადა ერისთავის ასულს უფლისწულის კურთხევაზე დასწრებაც. ცნობისმიხდომა დასჩემდა დედისიმედს, ლოგინად ჩავარდა ბოლოს.

ასე ემართება ხოლმე მშვიდსა და სათნოს. იგი დიდხანს ატარებს სიმძიმილს უდრტვინველად გულში და როცა დარწმუნდება, ბოლო მოელოვო ჭირთათმენას ხანგრძლივს, თმენის ღონე გამოელევა ერთბაშად, მაშინ გულში დაგროვილი ნაღველი ზოგს ჭირისოფლად გამოსტეხს ხოლმე, ხოლო არსთა შორის უნაზესს, ცრემლად დასდინდება იგი.

შინაური აქიმი ქარსანისძე მოაყვანინა კატაიმ, ფერად ფერადი შარბათები ასვეს ამაოდ. ბოლოს იხმეს დედამძუძე დედისიმედისა, ხორეშან...

ბალახებით მკურნალი იყო იგი, უცნაური მესიზმრე და მჩხიბავი, თუმცა უსინათლო, შესანიშნავი მეფსალმუნე, მეჩანგე და სძლისპირების ტკბილი მგალობელი.

დაჰკოცნა გაზრდილი, მაჯა გაუსინჯა, გამოულოცა, გაუთია ღამე.

მეორე დღეს სიზმარი გამოჰკითხა.

ყვითელი სამოსი მეცვაო, წალკოტი ვნახეო ყვითელი, ხილიცა და ყვავილიც ყვითელი იყოვო იმ ბაღში. ყვითელი მებაღე დადიოდა შიგ, ალუჩისფერი თვალები ჰქონდაო იმ კაცს.

კაეშნისაო, გაიფიქრა ძიძამ. ღამე უთია კვლავ, ჩანგი მოასმენინა, სიყრმე მოაგონა, სძლისპირები უგალობა და დააძინა. ხელახლა გამოჰკითხა სიზმარი.

თეთრი სამოსი მეცვაო, შავათ შეეღებათო გალავნები ციხისა. მეფის ლაშქარი მოვიდა კლდეკარის ციხეში. შინდისფერი ალმები ჰქონდათო მეფის სპათა შუბებს. მომეახლა ოთხი რაინდი, სინგურისფერი თორნი ეცვათ მათ, ფარი დააგდეს ჩემ ფერხთით და ამიყვანესო სინგურისფერი ფარითა.

„სად წაგიყვანეს მერმე იმ თოროსანთა?“

შეეკითხა ხორეშანი.

დედისიმედი დადუმდა, დედისმძუძესაც არ გაანდო ხვაშიადი. შინდისფერი ზეზის სკარამანგი რომ ეცვა დავითს და ხელში ფარი ეჭირა ოქროსი სრულად.

კატაი შემოვიდა პირგამეხებული. ავადობის მიზეზი ჰკითხა ხორეშანს.

სევდისაო, ამბობდა დედამძუძე.

ერთი პეშვი ატმის ყვავილი მოატანინა ხორეშანმა, თითოც უნაბი და ჩამიჩი. ათი დრამი ალილა, ოცი მარცვალი სუნჯისა, ლიტრა წყალში მოადუღა და ასვა სნეულს.

უკეთესობა აღარსად იყო მაინც, პირუთვნელად უთხრა ხორეშანმა კატაის: ქუთათისში წაყვანას დაჰპირდი და უთუოდ წამოდგება, რადგან მძიმედ დაზაფრულიაო ქალი.

დაიმარტოხელა ხორეშან კატაიმ.

გაჰკილა კიდევაც ოდნავ:

რად მითხარიო ასეთი რამ დედისიმედის თანდასწრებით, დიაცო?

„ჯერ ეს მიბრძანე, ბატონო, რად არ უნდა წაიყვანო უფლისწულის კურთხევაზე ქალი?“

მოწყვეტილივით ჩაჯდა დარდიანი დედა საკარცხულში, საფეთქლებს მოეჭიდა ხელებით:

„თავათ არ ვიცი, რა წყალში გადავვარდე, ხორეშან. მართალს ამბობს რატი. მარიამ დედოფალი ეპატიჟება კურთხევაზე დედისიმედს, ჩვენი ოჯახის მოკეთეა მაიკო, მაგრამ, ხომ იცი, რა გრძელია მეჭორეთა ენა. ისევ მორთავენ სასახლეში ჩურჩულს: მოვიდაო უფლისწულის თვალმშვენიერი სასძლო“.

„რასა ბრძანებთ, ბატონო, მთელი საქართველო ქუთათისში იქნება იმ დღეს, ან როგორ გამოაკლდებიან ერისთავთა ქალრძალნი მეფედ კურთხევას უფლისწულისას იმ დღეს? შეიბრალე ბალღი, გევედრები ესენთა დედამძუძე მისი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატაი მოლბა, მეჯინიბეთუხუცესი იხმო, უბრძანა: სახვალიოდ მზად გყავდეთო ცხენები.

XVII

პანის ბაღში

ნიანია ბაკურიანი ტაოსკარს უნდა წასულიყო, საკუთარ მამულის საქმეთა გამო იხმეს იგი ბიძაშვილებმა საჩქაროდ. უფლისწულის კურთხევის დღე სამჯერ დაინიშნა, სამგზისვე გადაიდო.

ისედაც უმძიმდა ნიანიას სასახლეში დარჩენა. გულით ეწადა წასვლა, რადგან მარიამ დედოფლისადმი უნუგეშო ტრფიალისათვის უნდა დაედო მზღვარი.

მიუხვდა გულმეცნიერი დიაცი, უზომოდ რომ დარდობდა გამიჯნურებული ჭაბუკი. კუროპალატისას მელიტა მიაჩეჩა გაშმაგებულ რაინდს.

ეს ამბავი ასე დაიწყო: სოხასტენის დედათა მონასტერში იყვნენ წასულნი: მარიამ დედოფალი, კუროპალატისა მელიტა, უფლისწული, ნიანია და ეპიფანე არამსმელი, რაინდებისა და ბერების ამალითურთ.

დამაშვრალი ცხენები ნაბიჯით ბრუნდებოდნენ უკან, მარიამმა განზრახ აიყოლია ნიანია და მელიტა, ჩამორჩა დანარჩენ მხედრებს. მერმე სავსებით მოულოდნელად ოთხახმით წაიყვანა ცხენი და წყალწითელის ხევში დასტოვა ისინი.

ველარ აიტანა დიაცთა მოყვარულმა ნიანიამ მშვენიერ მელიტასთან მარტო დარჩენა ტყეში, საკოცნელად მისწვდა ქვრივის ვნებიან ტუჩებს.

სასახლეში ათასი თვალი უჭვრეტდა მათ, მცირე ხანს თავი მოიავადმყოფა კუროპალატისამ, ბოლოს ინატრა: სათაფლიასკენ ცხენით გასეირნება. სათაფლია უსიერი მუხნარია ხომლის მთის ძირას. ხომლის ფლატეთა ნაპრალებში ბუდობს უამრავი თეთრი ფუტკარი [1]).

კონსტანტინოპოლშიც ხშირად ახსენებდნენ მეფუტკრე ბერები ამ მწერებს, ასე ამბობდნენ: სიცოცხლეს ახანგრძლივებსო მათი გოლეული.

თავდაპირველად მარიამ დედოფალი წავიდა დიდის ამალით ამ თეთრი ფუტკრების სანახავად, ქუთათისის სასახლეში გადმოსვლის პირველსავე დღეებში.

აიყოლიებდა მელიტა ნიანიას, თავის მესაწოლე ბერსა და სამ დიაკონს. სათაფლიაში მისვლისთანავე ველურ თაფლს მოატანინებდნენ ნიანია და მელიტა, ბოლოს დაითხოვდნენ ამალას, წყაროს პირად მიირთმევდნენ ველურ თაფლს მიჯნურნი.

ადრე თვრებოდნენ ორივენი, რადგან თაფლის ფერი თმები ჰქონდა მელიტას და სხეული ისეთი თეთრი, როგორც თოვლი, ხომლის მთაზე შერჩენილი გამოზაფხულზე.

მთელს სასახლეს მოსდეს დიაკვნებმა ბერძნის ქალის მრუშობის ამბავი.

---

[1]) ამ თეთრ ფუტკრებს თავის დროზე პლინიუსიც ახსენებდა.

ეზოსმოძღვარმა ქუთათელს მოახსენა.

მარად ფხიზლობდა ეპისკოპოსი ანტონი, ვითარცა ქრისტიანული ზნეობის გუშაგი, მეფის ყურამდე მიიტანა ეს საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგიმ თავის დას გაუმჟღავნა.

მარიამ დედოფალმა გაჰკიცხა დიაცი და უბრძანა: დაუყოვნებლივ კონსტანტინოპოლს წასვლა.

შეევედრა დედოფალს კუროპალატის ქვრივი: უფლისწულის კურთხევამდის ნუ წარმგზავნიო.

დაეთანხმა მარიამი სტუმარს, მით უმეტეს კურთხევის შემდეგ ბიზანტიონსავე მიემგზავრებოდნენ ეპისკოპოსი ეპიფანე არამსმელი და ხიოსის ეპისკოპოსი ქსიფილინი.

ახალწლისაი მიიწურა.

სთვლისაი დაიწყო თუ არა, დიდძალი სტუმარი მოაწყდა ქუთათისის სასახლეს. კურთხევის დღე დანიშნული არ იყო, მაინც მოდიოდნენ მეძღვნენი, აზნაურნი, დიდვაჭარნი და სამღვდელონი.

ეშინოდათ: ვაი თუ ხუშტურმა წამოუაროს გიორგი მეფეს, მოულოდნელად დანიშნოს კურთხევა და ვეღარ მოვასწროთო ჩამოსვლა.

ბარე ათი უტევანის სიგრძე იყო ქუთათისის სასახლე, მიმდგომი ქვითკირებითა და გოდოლებითურთ.

მესტუმრეთ უხუცესნი ვეღარ აუდიოდნენ ერისთავების, ეპისკოპოსების, აზნაურების, მათი ამალის და ცხენების დაბინავებას. რიონის ჭალებში კარვები დადგეს ურმით მოსულმა მდაბიორებმა.

ბიზანტიის კეისარმა ალექსი კომნინმა დესპანები გამოგზავნა: ოთხი კუროპალატი, სამი მაგისტროსი და შვიდი ტუმრახი. მათ ჩამოუტანეს უფლისწულს ოქროს შუბი ბიზანტიურის ალმითა, ხუთასი შუშა მუსკუსი, ასი მხარი სტავრა, სამი ფსალმუნი ოქრონაქანდაკევის ყდითა, ოცი ათასი დრაჰკანი, ათი ჰუნგრული ცხენი, სამი ცხენთ-საკაზმი ოქროსი უსახსოვრა ქრისტიანების ქომაგს, გოგისა და მაგოგის წინააღმდეგ მებრძოლს მომავალს.

შირვანშაჰს ელჩები მოვიდნენ. ცხენები მოართვეს დავითს ბედუინური, შვიდი თორი ოქროისა.

მოვიდნენ კაცნი სარწმუნონი ოვსთა მეფისა, ანისელნი, სომეხი მწიგნობარნი და დიდვაჭარნი, სამასი ცხენი მოიყვანეს ყარაბახული, ასი ცხვარიც სხვა და სხვა ფერისა, ვერცხლის შუბი ერთი და ერთიც ოქროცურვილი ფარი.

საკმაოდ ვრცელი იყო ქუთათელის სასახლეც. აქაც აღარ იყო ტევა. ბოლოს მოაღწიეს დმანელმა, ხარჭაშნელმა, გიშელმა, კაწარელმა, ერუშელმა, რუსთველმა, წინწყაროელმა და ნინოწმინდელმა.

მთელს სამეფოში განთქმული იყო ქუთათელის ბაღი. ძელქვისა და ნეკერჩხლის ხეებზე მიშვებული იყო კამეჩის მუხლზე უმსხოსი ვაზები.

გალავნების კიდეებთან იდგნენ ლეღვის ხეები ნაყოფით დახუნძულნი, ატმისა და ვაშლის ხილნარს მიჯნავდნენ ბროწეულები.

უშველებელ მუხებს ქვეშ მარანი იყო გამართული, ოციოდე ჭურში უძველეს ღვინოებს ინახავდა ეპისკოპოსი.

მარანში ვეღარ დატეულიყვნენ ქვევრები, ვაზითა და ავრეხით დაბლანდულ ტალავრებს ქვეშ ჩაეყარათ ისინი, მდევებივით ეყარნენ ცალიერი ჭუ-

რები ტალავრების გარშემო. ახალი სთვლის მოლოდინში ხარბად დაეჩინათ ხახა.

გვიანდებოდა კურთხევა, მოუთმენლობამ შეიპყრო სალხინოდ დალესილი ეპისკოპოსნი, ქართველნი და ბერძენნი.

ვიდრე პურობა დაიწყებოდა მარნის წინ, ძელქვის მორებზე ისხდნენ სტუმრები.

გოლიათურ საწნეხელებში წაბარკლული ბერები ჩამდგარიყვნენ და მაჭრისაგან შეზარხოშებულნი სრესდნენ მხიარულად ყურძენს. ნეკერჩხლებზე გასულიყვნენ სხვანი, გიდელებით ჩამოჰქონდათ ყურძენი.

ბიზანტიელი სტუმრები გაოცებულნი უთვალთვალებდნენ, თუ როგორ ჩადიოდნენ ჭურებში ჩაშვებული კიბეებზე მკლავებ წაკარწახებული ბერები და ბლის ქერქით ხეხავდნენ ქვევრებს. ფუტკრები ეხვეოდნენ საწნახელებსა და ნეკერჩხლის ხეებს. გამუდმებული ზუზუნი ისმოდა ირგვლივ.

ბოლოს ქუთათელის სახლთუხუცესმა დაადგმევინა გადახერხილი მორი თუთის ქვეშ. ოქროს ფიალებით მოჰქონდათ ბადაგი და ასინჯინებდნენ გარსმომსხდარ სტუმრებს.

საუბარი დაიწყო ორთავიანი ხბოს გამო. ხიოსის ეპისკოპოსმა სთქვა: ასეთი ხბო კესარეაში დაიბადაო წრეულს, გაზაფხულზე.

ეპიფანე არამსმელი ძაღლთა თაყვანისცემას მისწვდა, კონსტანტინოპოლის მოსახლეობის იმჟამინდელ მოარულ სენს...

პაფლაგონის ეპისკოპოსი გულდასმით ამტკიცებდა, ანტიოქიაში გამოჩენილაო განსწავლული ძაღლი პითონე, რომელსაც ლაპარაკი ასწავლაო ერთმა თურქმა, ისმაელიტმა.

„შენ გჯერა, მეუფეო, შენიშნა ხიოსის ეპისკოპოსმა, მართლაც ძაღლია პითონე? იგი ეშმაკეული იქნება უთუოდ“.

დმანელი და წინწყაროელი მშვენივრად ლაპარაკობდნენ ბერძნულად, მათაც დაამოწმეს, ეს სატანა იქნებაო უთუოდ.

მაჭრის ჭაშნიკმა შიმშილი აგრძნობინა სტუმრებს.

„კოლხურ ლოკოკინებს აქებენ, მეუფეო“, მიმართა ქუთათელს ხიოსის ეპისკოპოსმა სევასტიმ, რომელსაც ობობის ჭარტლასავით წვრილი კისერი ჰქონდა.

„ო-ო, კოლხური ლოკოკინები, დიახ, სანაქებოა, მიუგო მასპინძელმა, დღეს ჩამოიტანა თქვენთვის ყოვლად სამღვდელო დოსითეოსმა, ცხუმის ეპისკოპოსმა, მეუფეო“.

მიუგო ქუთათელმა, თუმცა თავათ მას სძაგდა ლოკოკინები.

სევასტის ნერწყვი მოადგა კოლხური ლოკოკინების ხსენებაზე. კინაღამ უთხრა უცნაურად აღტყინებულმა: ახლავე მოატანინეთო კოლხური ლოკოკინები. ეს ვერ შეჰკადრა მასპინძელს, ჩაიბუტბუტა მხოლოდ: „კოლხური ლოკოკინები ხიოსის ღვინოზეა, მეუფეო, კარგი“.

„ღვინოს მოგართმევთ ბაღდადისას, კაპისტონისას და ოჯალეშისას. მერწმუნეთ, მეუფეო, კოლხური ღვინოები არა ნაკლებია, ვიდრე ხიოსისა და ლეზბოსისანი“.

სთქვა ქუთათელმა.

ეპიფანე არამსმელს კოლხური ღვინოებიც არა ერთხელ ეგემნა, პირი აუწყალდა და სთქვა:

„კოლხურ ღვინოს რიონის ზუთხი და ქვირითი შეეხამება, მეუფეო, უცილოდ“.

წინწყაროელი ეპისკოპოსი შეეკამათა: „ზაფხულში ყველაფერს სჯობია ძუძუთა ხბოს ბეჭი მრგვალად მოხარშული, ნივრით, რეჰანით და ქინძით შეკაზმული ტყემლითა ჰიფ, ჰიფ, ჰიფ!“

„მე სისხლის სიჭარბითა ვარ სნეული, ჩააკერა სიტყვა მროველმა ეპისკოპოსმა, ვგონებ თქვენაც, მეუფეო“, ეუბნება იგი ნინოწმინდელს.

მეცაო, დაუმოწმა ნინოწმინდელმა.

„მაშ თქვენც გირჩევთ კოზაკის ხორცი მიირთვათ, ცერცვითა და ცერეცოთი შეკაზმული“.

„ჯეირანის მწვადებს რას უწუნებთ? ამბობს კუმურდოელი, ძმრისა და კოწახურის წვენითა“.

ნერწყვი მოუვიდა თავათ ქუთათელსაც. გაეპაექრა სტუმრებს:

„ყველაფერ ამას ირმის ხორცი სჯობია, მაგრამ არა ახლადშეპყრობილისა (ეს სიტყვები წარმოსთქვა ბრძანებითი კილოთი და თავისი უბეწვო წარბები ზეაწკიპა), არამედ ნაზაფხულარი. წრეულს გაზაფხულზე დავაჭერინე მენადირეთა ერთი, წყალი ვასვი ბლომად, არამლაშე, ამიტომაც ჩვილი ექნება ხორცი, ჩვილი და მსუბუქი. დღეს მოგართმევენ და თავათ დარწმუნდებით“.

თანადამსწრენი ააღელვა ამის გაგონებამ ერთბაშად.

„მე ორაგული ყველაფერს მირჩევნია, ამბობს წინწყაროელი, ქუთათურად მომზადებული ბროწეულის წვენითა“.

„რასა ბრძანებთ, მეუფეო, ამბობს ფაშფაშა ნიქოზელი, რომელსაც ნუშის ოდენა მეჭეჭი აჯდა გამელოტებულ თავზე, განა ხოხობის, დურაჯის და გლონის ხორცს რაიმე შეედრება ამ ქვეყნად?“

„მე მგონია, ჩააკერა სიტყვა დმანელმა, არაგვის ან ქციის კალმახს არაფერი შეედრება“.

აღშფოთდნენ ბერძენი სტუმრები.

„მდინარის თევზი როგორ შეედრება ზღვისას, ან ლოკოკინას პონტოსას?“ სთქვა პაფლაგონის ეპისკოპოსმა ტიმოთემ.

„შევარცხვინე ლოკოკინა როგორც ზღვაზე, აგრეთვე ხმელზე“, წაიბურტყუნა წილკნელმა ქართულად, თანაც ამის განცხადებისას ისე დამფრთხალი კუსავდა თვალებს, თითქოს მწვალებური რამ აზრი დასცდენოდა.

აუხდათ საწადელი ბერძნებს, სწორედ კოლხური ლოკოკინა მოიტანეს პირველად.

როგორც კი ლოცვა მოათავეს, მყისვე ეძგერნენ ისინი ლოკოკინებს გამგელებულნი.

ფრთხილად არჩევდა ლოკოკინას ეპიფანე არამსმელი, რადგან პლინიუსის წიგნებში ჰქონდა ამოკითხული: მარგალიტები მოიპოვებაო კოლხურ ლოკოკინების ნიჟარაში ხანდახან.

სწუხდა იდუმალ ეპიფანე არამსმელი, რადგან იგი სუფრის წინამდგომად აირჩია ქუთათელმა და საჭმელად ვეღარ იცლიდა. ეპიფანე მრავალგზის ხლებია საქართველოში ჩამოსვლისას მარიამ დედოფალსა და საკმაოდ გაწრთვნილი იყო ამ საქმეში.

როცა მეჩვიდმეტეჯერ ჩამოიარა ოქროს ფიალამ, ეპიფანე მოცელილივით წაიქცა, მივარდნენ მესაწოლე ბერები და წაიყვანეს იგი.

ახლა თავათ ქუთათელმა იკისრა თამადობა, უფრო დიდი ფიალა მოატანინა, აგრეთვე ოქროსი. მასზე ამოტვიფრული იყო მშვილდოსნისაგან ოტეებული ქურციკი.

ამ ფიალის დანახვაზე სუფრა დასტოვა მროველმა, თუთაის, სოხასტენის მონასტრის ილუმენიას და ორი ბერის თანხლებით. მხოლოდ სამჯერ ჩამოიარა ქურციკიანმა ფიალამ და შვიდი ეპისკოპოსი წაიღეს ანტონის სასახლეში ბერებმა.

გაოცებული შესცქეროდა ქუთათელს კუროპალატის ქვრივი მელიტა.

იდგა სუფრის თავთან გაჩეჩილი, მწითური ანტონი, ოქროს ფიალა ეჭირა ხელში. პანს მიაგავდა იგი, მასავით ცხვირპაჭუას, ხენდროსფერი მოსდებოდა შეზარხოშებულს ცხვირის ჭვინტზე, პანივით აღტყინებულმა წამოიწყო მრავალჟამიერ.

მხოლოდ სალამური პანისა აკლდა მოლხენილ თამადას.

ძლივს ნაბავდნენ თვალებს კისერგაწვრილებული ბერძენი ეპისკოპოსები. ღაჟღაჟა, ჩაკურატებულ ქართველ მღვდელმთავართა შორის ისე გამოიყურებოდნენ ისინი, როგორც ფარაონის ძროხები, რომელთაც მსუქნები შესჭამეს, მაგრამ მაინც ვერ მოიკიდეს ცხიმი.

სთველობის დროს, როცა საწნეხელებში ყურძენს ჩაჰყრიდნენ, სწორედ იმ ღღეებში იწყებოდა ძველ საბერძნეთში უმშვენიერესი ზეიმი ბახუსის, თროობის ღვთაებისა.

შავი ყურძნის ჭაჭით გაითხუპნიდნენ ბერძნები სახეს და იწყებოდა ბაკხანალია. ამ ჩვეულების შორეული გამოძახილი დარჩენილიყო იმ ჟამად კოლხეთში.

სწორედ იმ სალამოს ქუთათისის ციხის მკვიდრნი მდაბიოთაგანნი დადიოდნენ ჭაჭით სახეგათხვრილნი კარდაკარ, მღეროდნენ, მარნების წინ ითვრებოდნენ ნათავაზები ღვინითა.

მახარაის გულით ეწადა ქუთათელის ბაღში მოხვედრილიყო უჩინმაჩინად როგორმე.

უფლისწული და ნიანია შეეყარა ლეონისეულ სასახლის კიბეზე.

„წადი ერთი ქუთათელის ბაღში, ნახე, როგორ მოილხენენ ეპისკოპოსნი“, უთხრა ღიმილით დავითმა და თვალი უყო მოხუცს.

„იცი, მახარაი, ეუბნება ნიანია, ჭაჭით შეიმურე სახე და დაზვერე იქაურობა“.

ჭკუაში დაუჯდა მახარაის ბაკურიანის თათბირი, რადგან მისი ქოსა სახე ზედგამოჭრილი იქნებოდა საამისოდ.

მდაბიოსულად გადაიცვა მახარაიმ, ჭაჭით შეითხუპნა სახე და როცა კარგად შეღამდა, გადაძვრა ქუთათელის ბაღში.

დაცარიელებული დაუხვდა თუთის ქვეშ გაშლილი სუფრა. ზეზეურად დამთვრალი ბერები შეექცეოდნენ ნაბიჭვს. აღარც სტუმრები სჩანდნენ სადმე, აღარც მასპინძელი.

მეძებარივით დასუნსულებდა მახარაი, ცარიელ ჭურებს მოსჭიდებოდა სამი ეპისკოპოსი, შარდს აქცევდნენ, ღიღინებდნენ თანაც.

მთვარე გადმოსულიყო ციხეზე.

ბაღის ბოლოს, ვაზის ტალავერს ქვეშ, გაიელვა თეთროსანმა, მის უკან მობობღავდა უზარმაზარი ლანდი, მახარაი გაინაბა, ნეკერჩხლის ხეს ამოეფარა.

ბობლია ლანდი მისწვდა თეთროსანს, თავის უზარმაზარ მკლავებში ჩაბლუჯა დიაცი და გალავანზე მიეყრდნენ ვნებისაგან მთვრალნი.

საჭურისი მიეახლა გამიჯნურებულთ, მაგრამ ვერც ერთმა შეიცნო სიახლოვე მისი.

დაწინაურდა მახარაი, კუროპალატის ქვრივი იცნო, ხელიდან გაუსხლტა დიაცი კუროს.

რომელი ხარო?

იყვირა ქუთათელმა.

„ეს მე ვარ, მახარაი, მოციქულთა კანონი დამჭირდა და ამადაც გეძებდი“- წარმოსთქვა ლანდმა.

„ჰოი, ეშმაკისკერძო!“ ჩაიბუტბუტა ანტონიმ და ხვანჯარი შეიკრა.

მეორე დღე ორშაბათი იყო და იგი ნავსად ჰქონდა მიჩნეული ქუთათელს. მახარაი დილა ადრიან ეწვია ანტონის. შეკრთა ქუთათელი, წინა ღამის თავგადასავალი მოაგონდა მყისვე.

ჩაცმაც არ აცალა სტუმარმა მასპინძელს, ვიდრე მესაწოლე ბერი აწვევდა, თავათ იგი შევიდა სასტუმრო დარბაზში.

მკერდჯაგრიანი, გაჩეჩილი და გაღელილი ეპისკოპოსი შილიფად შეეგება მახარაის.

„მაპატიეთ, მეუფეო, წუხელ რომ შეგიშალეთ ხელი, მაგრამ მოციქულთა კანონი [1]) მესაჭიროება ფრიად“.

ქუთათელი ჯერ აილეწა, მერმე გაოგნებული მიაშტერდა საჭურისს. გუშინდელი ამბავი მახარაისათვის ჩვეული ოხუნჯობა ეგონა, ახლა მიხვდა, რომ არ ხუმრობდა ქოსა.

ხმის ამოუღებლად გამოუტანა სამოციქულო და მაგიდაზე დასდო აგრეთვე მდუმარედ.

„მე თვალს დამაკლდა, ეუბნება მახარაი მღვდელმთავარს, გთხოვთ, წამიკითხოთ მუხლი ორათ ხუთი, მეუფეო“.

დიდხანს ფურცლავდა მოციქულთა კანონს ანტონი.

„სჩანს იშვიათად კითხულობთ, მეუფეო, ამ წიგნს?“

სთქვა მახარაიმ და მარჯვენა წარბი აუთამაშდა ქოსას.

ბოლოს მიაგნო და ამოიკითხა ქუთათელმა:

„უკეთუ ვინმე ეპისკოპოსი სახმართა მიერ დაპყრობილ იქნეს პატივის მის ეპისკოპოსობისა, ანუ ხუცესი ანუ დიაკონი, განიკვეთონ“ [1]).

„ახლა ამას გთხოვთ, ორმოცდა ერთი მუხლი წამიკითხოთ, მეუფეო“.

შეეკვედრა სტუმარი.

„უკეთუ ეპისკოპოსი, ანუ ხუცესი, ან დიაკონი სიძვასა, შვებათა და მთვრალობათა შექცეულიყოს, განიკვეთონ“, წაიბუტბუტა ხმაგაბზარულად ანტონიმ.

„ჰეშმარიტად, ჰეშმარიტად!“

სთქვა მახარაიმ და წამოდგა.

სდუმდა ქუთათელი და მახარაიმ წარბშეუხრელად წარმოსთქვა:

---

[1]) მოციქულთა კანონი წიგნია ერთგვარი, სამღვდელოების ყოფის კანონთა შემცველი. ამ კანონის მიხედვით ისჯებოდნენ სასულიერო პირნი.

[2]) განიკვეთონ—გაკრეჭილ იქნან.

„ახლა არჩევანი შენზეა, მამაო, გენებოს ნება დართეთ უფლისწულს, დაუყოვნებლივ გაეყაროს დიოფალ რუსუდანს, თუ არა და მოვითხოვ ეპიტიმია დაგეკისროს დაუყოვნებლივ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მე მუდამ მხარს ვუჭერდი ამ საქმეშიაც უფლისწულს“.

წაილულღლუღა თავჩაქინდრულმა ანტონიმ.

მახარაი გამოემშვიდობა სახტად დარჩენილ მასპინძელს.

მეორე დღეს ქუთათელმა დარბაზობა სთხოვა მარიამ დედოფალს, თავმოდრეკილი წარუდგა და ამცნო, აფხაზეთის კათოლიკოსი და მე, მიწა მეფობისა შენისა, თანახმანი ვართო უფლისწულისა და რუსუდან დედოფლის გაყრისა.

XVIII

„ᲨᲔᲘᲑ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲘ“

პარასკევ დილას მოაღწია ლიპარიტის სახლეულმა შვიდასი შუბოსანის თანხლებით.

კატაი, დედისიმედი და რატი ლეონ მეფისეულ სასახლეში მიიწვია მარიამ დედოფალმა. იმავე საღამოს დიდი სერობა გამართა. შვიდი ერისთავი თავიანთი სახლეულებითურთ დაესწრო ლხინს.

მარიამ დედოფალს მხარმარცხნით უსხდნენ დედისიმედი, კუროპალატისა მელიტა, თინათე, ცხუმის ერისთავის ასული, მკერდსავსე გრუზათმიანი დიაცი, ბეჭის ციხის ერისთავის ასულნი: ინაი, დუდაი და ხვაშაი, სამცხის ქალთა შორის უტურფესნი, შერგილ ლიპარტიანის მეუღლე, ლუმაი, ეგრისელ ბანოვანთა თვალი.

მაინც დედისიმედს უჭვრეტდა დიდი და მცირე, ერთხმად აღვიარეს შიმუნვარებმა: ამ საღამოს მარიამ დედოფალიც დაჩრდილაო ორბელიანის ქალმა.

ხელებით, მხოლოდ ხელებით.

ამბობდა შინაბერა შიმუნვარი შარვაშიძის ასული, რომელიც კონსტანტინოპოლის სასახლეებშიაც იყო ნამყოფი.

ოდნავ, ოდნავ ტლანქი ხელები ჰქონდა მარიამს მართლაც.

ხანგრძლივად ნამგზავრს ქარცემული სახე ჰქონდა დედისიმედს, მაგრამ მისი ლოყები ატმის ყვავილივით ჰყვაოდნენ, ატმის ყვავილისფერი ედო სახეზე, სწორეთ ისეთი, როგორც ირანელ ოსტატებს გამოჰყავთ ხოლმე პორცელანის რხეულ ვაზებზე.

ლოფოთის მარმალილოსავით თეთრი იყო წაღმა მხარეს მისი ხელები, ხოლო მეორე მხარეს ოდნავ ვარდისფერი, გრძელ-გრძელი თითები, ნუნების დასაწყისთან ოდნავ ზეაზნექილი.

* *

შაბათს საღამოს აფხაზთა მეფეების სასახლეს მოადგა ბედიელი. ბისონით შემოსილ მთავარეპისკოპოსს უკან მოჰყვებოდა სამღვდელოთა დიდი ამალა ფსალმუნების გალობით.

ანთებული კელეპტარები ეჭირათ ხელში, ალოეს კმევით შემოვიდნენ სამეფო პალატაში.

ბედიელმა ფეშხუმზე დასდო სამეფო გვირგვინი, სკიპტრა, პორფირი და ბისონი, წარსაფენით დაჰბუსა და ბაგრატის ტაძარში წაიღო.

საკურთხეველში დაასვენეს სამეფო ნიშნები და „ღამე უთიეს უძილად“.

მეორე დღეს „სამ ჟამ ჭრეკეს ძელსა“, შეიმოსნენ აფხაზეთის კათოლიკოსი ევსტრატი, ქუთათელი, ბედიელი, მროველი, მანგლელი და შვიდი ეპისკოპოსი. საკურთხეველში ცილობა მოუვიდათ ქუთათელსა და ევსტრატს.

ქუთათელი მოსაფლავეა მეფისა, ამიტომაც მე უნდა დავადგა გვირგვინი უფლისწულს.

ამას ამბობდა ეპისკოპოსი ანტონი.

ჭყონდიდელი ჩაერია საქმეში, გადაწყდა:

აფხაზეთის კათოლიკოსს ეკურთხებინა წესისამებრ დავითი.

უფლისწული ოდნავ ფერმკრთალი იყო იმ დილას. ღელავდა, მომეტებულად სდუმდა. ნიანია ბაკურიანს, ბეშქენ ჯაყელსა და შერგილ ლიპარტიანს არ იშორებდა.

სამეფო პალატაში შემოვიდა ჯვარისმტვირთველი, მას შემოჰყვნენ დიდებულნი და ლაშქარნი. მუცელმოდრეკილად ეთაყვანა და მოახსენა ჯვარისმტვირთველმა დავითს:

„გვაკურთხენ, წმინდაო და თვითმპყრობელო მეფეო, მრავალმცა არიან წელნი და ჟამნი“...

იგივე განიმეორეს ლაშქართა.

კვლავ მოიდრიკა ჯვარისმტვირთველმა თავი, მიმართა დიდებულთა და ლაშქარს:

„და თქვენც გიხაროდენ, ძლიერნო და უძლეველნო. ჟამი არს წინამდებარის საქმისა“.

წამოდგა უფლისწული, აიყარნენ დიდებულნი და რაინდების ამალა.

წინ მიჰქონდათ „ზარი მეფისა“, შემდგომ ამისა დროშა და შუბი. ამას მიჰყვებოდნენ ჯვარისმტვირთველი და მთავარდიაკონი.

ჯვარისმტვირთველს მიჰყვებოდა მანდატურთუხუცესი, მას სამანდატურო ოქროს არგანი ეჭირა ხელში. მათ უკან მიდიოდნენ მეფე და ლაშქარნი.

დავითს მხარმარჯვნით სპასალარნი ახლდნენ.

მარცხნით საქვეყნო საქმეთა გამრიგენი.

ხმალშემორტყმულ ლიპარიტ ორბელიანს წინგაწვდილ ორივე ხელზე ეტვირთა სამეფო ხმალი.

კლდეკარის ერისთავს უკან მისდევდა აგრეთვე ხმლიანი მეჯინიბეთუხუცესი.

ჭყონდიდელი მხარმარცხნიდან შესდგომოდა მეფეს, ეზოთუხუცესს, ჩუხჩერახსა და მეაბჯრეთუხუცესს სამეფო ფარი, ლახტი და ქარქაში თან მოჰქონდათ, კვალდაკვალ უკან მიჰყვებოდნენ მეფეს.

ბაგრატის ტაძრის კარიბჭესთან აფხაზეთის კათოლიკოსი ევსტრატი დაუხვდა თავმოდრეკილ მეფეს. მაღლა ხმივ მიესალმა:

„კურთხეულ არს მოსვლა თქვენი და დამტკიცება სამეფოსა ამას თქვენსა ზედა. დაგიმორჩილნეს ყოველნი მტერნი წინააღმდგომნი ამის თქვენისანი ქვეშე ფერხთა თქვენთანი!“

თანადამსწრეთა შესძახეს: „ამინ!“

უსიტყვოდ თაყვანი სცა კათოლიკოსს მეფემ და კარიბჭისაკენ წავიდა. მარჯვენა მისი კათოლიკოს ევსტრატის ეპყრა, მარცხენა მთავარეპისკოპოსს ბედიელს.

ეკლესიაში შესული „სამეფო ადგილს“ დააყენეს დავითი.

ჯვარისმტვირთველი მიეახლა ლიპარიტ ერისთავს, სამეფო ხმალი გამოა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთვა, საკურთხეველში შეიტანა და ძელს ცხოვრებისას მიაყრდნო, ხოლო დროშა და შუბი საკურთხევლის კარების წინ ხელთეპყრა ორ თოროსან რაინდს.

ბედიელმა აიღო ტრაპეზიდან სამეფო ბისონი, მიეახლა მჯდომარე მეფეს და ორივე მუხლზე გადაჰფინა.

ჭყონდიდელი და ლიპარიტ ერისთავი მივიდნენ მეფესთან, მკლავებში ხელი წაავლეს, წამოაყენეს და კათოლიკოსს მიჰგვარეს:

„მაკურთხე, მეფეო!"

წარმოსთქვა დავითმა.

ჯვარი გადასწერა მან და სთქვა:

„კურთხეულ არს მეფობაი შენი დასასრულამდე ჟამთა!"

ამბიონზე მდგარმა მთავარდიაკონმა წარსთქვა:

„შეიბ მახვილი წელთა შენთა, ძლიერო, შვენებითა შენითა, და სიკეთითა, და გარდააცვ, და წარემართე, და სუფევდი ჭეშმარიტებისა და სიმართლისათვის. ისარნი შენნი ლესულ არიან, ძლიერო, ერნი შენ ქვეშე დაეცმენ გულითა მტერნი მეუფებისა შენისანი".

და როცა წარმთქმელმა მიაღწია იმ ადგილს, სადაც ნათქვამია:

„დადგა დედოფალი მარჯვენით შენსა სამოსელითა ოქრო ქსოვილითა შემკულ", ამაოდ ეძებდნენ ცნობისმოყვარეთა თვალები დედოფალ რუსუდანს.

ბოლოს დიდი და მცირე, მანდილოსანი და რაინდი, ყველანი უმზერდნენ შეფარვით ლიპარიტ ერისთავის ქალს.

იდგა გულზე ხელდაკრეფილი დედისიმედი, მშვიდი და სათნო, როგორც გვრიტის მართვე.

როცა საკურთხევლის კარიდან გამოვიდა ოქროცურვილი თორით მორთული მეფე და ლიპარიტ ორბელიანმა შეარტყა მახვილი, სვიანად ხმარებული სელჯუკიანთა წინააღმდეგ ატეხილ ომებში, დედისიმედმა მზერა გაუმართა გაფითრებულ დავითს და სიხარულის ცრემლები მოადგნენ მის მშვენიერ თვალებს.

როცა ბაგრატის ტაძრიდან გამოვიდა პროცესია, წინ მიდიოდა მეფე დავით, მარჯვენა მისი კათოლიკოსს ეკავა, ხოლო მარცხენა გიორგი ჭყონდიდელს.

სამეფო პალატაში დავით მეფეს შემოეყარნენ ელენე და გიორგი მეორე, თვალები ამოუკოცნეს პირმშოს.

კათოლიკოსი ევსტრატი და ჭყონდიდელი გიორგი ტახტზე აჰყვნენ მას, ზედ დასვეს და ისევ ძირს ჩამოვიდნენ. ჯვარისმტვირთველი მხარმარჯვნით დაუდგა მეფეს, ძელი ცხოვრებისა ეჭირა ხელში.

ბოლოს დაიწყო ლაშქართა თაყვანისცემა.

სათითაოდ მიეახლნენ მეფეს მარიამ დედოფალი, აფხაზეთის კათოლიკოსი, ჭყონდიდელი, ლიპარიტ ორბელიანი, გრიგოლ ბაკურიანი, გვარამ ერისთავი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, სპასალარნი და დარბაზის ერნი.

მოდიოდნენ ერისთავნი და სახლეულნი მათნი, თავმოდრეკილად თაყვანს სცემდნენ დავითს.

როცა დედისიმედი მიეახლა მას და ხელზე ეამბორა, მეფემ ინატრა: დაეკოცნა დედისიმედის ხელები, ლოფოთის მარმალილოსებრ თეთრი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელიზბარ პოლუმორდვინოვი

ღამის თორმეტი საათი

ვასილი ჟიგალოვმა აივანზე გადმოდგომისას თვალი გადაავლო მის წინ გადაშლილ სივრცეს და განიერი მკერდით ღრმად ჩაისუნთქა. ამ სუნთქვით იგრძნო სითბო და სიყვარული მშობლიური მიდამოების, მის წინ რომ გადაშლილიყო...

ვაშლის ხეების ბამბასავით თეთრი ყვავილები პეპლებივით ცვივოდნენ და მათ ადგილზე მწვანე და ნორჩი ბუტკოები ჩნდებოდნენ.

და რატომღაც ვასილის მოესურვა ბუნებაში ჩაძირულიყო, ეარა ამ ვაშლის ხეთა შორის, რომ ეს ყვავილთა პეპლები მას დასცვენოდნენ; ან გაჰყოლოდა მდინარის ნაპირს, რომ ზვირთების ბუტბუტი, როგორც უსაყვარლესი არსების ხმა, ისე ჩასწვეთებოდა გულში. ვასილის სწყუროდა გაჭრილიყო ველ-მინდვრად, ტრამალებში, ხოდაბუნებში, დაუსრულებლად ეარა აბიბინებულ პურის ყანებს შორის გაკვალულ ვიწრო ბილიკებზე, ეყნოსა სიმწიფეში შესული პურის მხურვალე და დამათრობელი სურნელი, ეცქირა მძიმედ თავჩაღუნულ თავთავებისთვის.

ვასილი სტალინის ქალაქის გარეუბანში ცხოვრობდა. აივნიდან მოჩანდა მშობლიური ქარხანა, ერთი მეორის გაყოლებით ჩამწკრივებული ფოლადისფერი ბუმბერაზი კორპუსები. მან თვალი შეავლო ამ კორპუსებსაც, მის სინათლით აღვსილ უთვალავ ფანჯრებს, მაღალ საკვამლე მილებს. შავი მსრბოლავი კვამლი უერთდებოდა ფართო და დიდი ცის თეთრ ღრუბლებს, რომლებიც ქალაქის თავზე გედებივით დაფარფატებდნენ.

ვასილი ჟიგალოვი სიჭაბუკეში შედიოდა, როდესაც ამ ქარხანას აშენებდნენ. მასაც უზიდია ქვა, ცემენტი, ხე-ტყე, უთხრია მიწა. ამ ქარხანასთან ერთად იზრდებოდა ისიც და მშობლიურ კერასავით შეუყვარდა. მას კარგად ახსოვს, ეს იყო თორმეტი წლის წინად, ამ ქარხანამ პირველი ტრაქტორები გამოუშვა და მახლობელ კოლმეურნეობაში საცდელად გადაგზავნა. ცნობისმოყვარე ჭაბუკი ქალაქიდან სოფელში ფეხით ჩავიდა, რომ ენახა თუ როგორ მუშაობდნენ ეს ტრაქტორები. კარგად ახსოვს როგორ აუჩქროლდა გული, როდესაც ყანებში გუგუნი მოესმა. შორიდანვე ხმაზე იცნო, რომ ეს მათი ქარხნის ტრაქტორები მუშაობდნენ. აღტაცებული და გახარებული დასცქეროდა შავად გადმობრუნებულ პოხიერ მიწას.

— ისე მუშაობენ ჩვენი ქარხნის ტრაქტორები, როგორც რკინისთავა გოლიათები! — ამაყად ამბობდა ხოლმე ვასილი ტოლ-ბიჭებში.

— თქვენ ცხვირმოუხოცავი ბიჭები ხართ... თქვენ ისიც კი არ იცით, რომ ხვალ თუ ომი იქნება, ეს ტრაქტორები ნამდვილ მებრძოლ ტანკებად გადიქ-

ცევიან... — განაგრძობდა ვასილი მცოდნის ტონით. ცხვირმოუხოცავი ბავშვები კი ამბის გაგების გამო მართლაც ხალათის სახელურით ან პირდაპირ ტიტველი მაჯით იწმენდნენ ცხვირს.

ვასილი რამდენიმე წელიწადს ჩამომსხმელ საამქროში მოწაფედ მუშაობდა, მწყურვალივით ეწაფებოდა ცოდნას, ახლა კი საუცხოვო ოსტატი დადგა, მის საამქროში ისეთი მუხლუხოები მზადდება, რომ გარმონივით იკეცება და გარმონივითვე სასიამოვნოდ ჟღარუნობს.

კვირა დღე იყო. ისვენებდა ვასილი. აივანზე მდგარს მდინარიდან ხმები შემოესმა. მიიზიდა ის ბუნებამ და სილაღის სიყვარულმა. კიბეები ჩაირბინა. გადაიარა ხოდაბუნები, გადასჭრა იასამნის ბაღები, ვოლგის სანაპიროზე უთვალავ ბუჩქებად რომ გადაშლილიყო და აი, გამოჩნდა ზღვასავით ფართო და მდორე, რიჟრაჟის ნისლით დაფარული ვოლგა. ამ ნისლში, როგორც ჰაეროვან რძეში ისე დაცურავდნენ ტანთეთრა მეთოვლიები და იხვები. გუგუნებდნენ ნაპირიდან ნაპირზე მსრბოლავი სამგზავრო გემები. ნაპირები კი მეთევზეების ბარქასებსა და ნავებს აევსოთ. უზარმაზარი ბადეები იშლებოდა მირიად მთრთოლვარე ზვირთებზე, იძირებოდა მდინარის ღრმა გულში და მხოლოდ გრძელი მსხვილი თოკები მოჩანდა, რომლებიც ბარქასებს ნაპირისაკენ ეზიდებოდნენ.

ცას ლამაზი განთიადის ალმური ეკრა. ალაგ-ალაგ მოძრაობდნენ მზის სხივებით შეფერადებული თეთრი ღრუბლების ნაფლეთები.

ვოლგის სიდიადე ჩასწვდა ვასილის გულში. ის მიდიოდა ნაპირ-ნაპირ და სიყვარულით მოზღვავებულ გრძნობებისაგან, თითქოს ასეთი სიდიადისთვის მადლობას უხდისო, გულში მიიმღეროდა:

«Волга матушка река,
Заливает берега»...

მერე, ველარ აიტანა ეს შორით ტრფობა და სარკესავით აკრიალებულ მდინარეს თავისი ბრგე ტანი შეუერთა. ცურავდა დიდხანს. მზე კი მიიწევდა შუბის წვერისაკენ.

ბადეებს გამოჰქონდათ ათიათასობით თევზები. ეზიდებოდნენ მანქანებით და ფორნებით. აქა-იქ დანთებულ ცეცხლზე მებადურები „უხას“ ხარშავდნენ და ტკბილად შეექცეოდნენ.

ვასილიმ ცურვით გული მოიჯერა. ბავშვივით გახარებული და უდარდელი აცქერდებოდა ყოველ ბუჩქს, ყოველ ხეს და ბალახს, რომელიც სასიცოცხლოდ ამოსულიყო და თავისი წვლილი შეეტანა ჩრდილოეთის გვიანი, მაგრამ მძლავრი ზაფხულის ამეტყველებაში.

ამ დროს სანაოსნო სადგურის ორსართულიან შენობის აივანზე რეპროდუქტორიდან მომწოდებელი ხმა გაისმა:

„მიკროფონთან არის ვიაჩესლავ მიხეილის ძე მოლოტოვი“...

გული აუჩქროლდა ვასილს. სიხარულის ახალმა ნაგუბარმა აუვსო გული.

„მოლოტოვს მოვუსმენ, ჩვენს საყვარელ ვიაჩესლავს...“ — გაუელვა გონებაში და მთელი ყურადღება რეპროდუქტორისკენ წამართა.

„საბჭოთა კავშირის მოქალაქენო...“ — გაისმა მღელვარე და მომწოდებელი ხმა.

წამის რაღაც მეასედის განმავლობაში მებადურები, მენავეები, მგზავრე-

ბი, ჩქარი და რბილი ნაბიჯებით მოსცილდნენ ნაპირს და ამ მომწოდებელ ხმას მიუახლოვდნენ.

შეწყდა ნიჩბების მოსმა, გაჩერდნენ ბარქასები და ნაგები, მეგზურებმა ბადეების წევა შეაჩერეს. სიწყნარეში ჩაიძირა სიცოცხლის ქროლა.

„გერმანიის ჯარები თავს დაესხნენ ჩვენს ქვეყანას“. „თვითმფრინავებიდან ყუმბარები დაუშინეს ჩვენს ქალაქებს“.

როგორც ცეცხლოვანმა ნემსებმა ისე დაიარეს ამ სიტყვებმა სულგანაბულ ხალხში. თითქოს გაისმა მათი გულების ცემა. უცნაურად ახმაურდა ირგვლივ ყველაფერი. თითქოს გაძლიერდა მდინარის ტალღები. ღრუბელი წამოეფარა მზეს და ვოლგის კრიალა ზედაპირი დაჰფარა.

პირველ წამს ვასილის გულში თითქოს რომელიღაც ძარღვი ჩაუწყდაო, გონებაში მწარე სიბრაზემ გაუელვა. მის თეთრმოწითალო სახეს ალმური მოედო. მეორე წამში კი გაუარა პირველმა შფოთვამ, მისი თვალები ისევე დამშვიდდნენ, როგორც სჩვეოდა, ისევე სუფთად და კრიალად გამოიცქირებოდნენ, როგორც უღრუბლო, მოწმენდილი ცა. მხოლოდ ხელები შერჩა დამუშტული. ბრაზით შეკუმშული გული კი კვლავ გაეშალა და ჩვეული ძალა დაუბრუნდა.

„წითელი არმია და მთელი ჩვენი ხალხი კვლავ გააჩაღებენ ძლევამოსილ სამამულო ომს სამშობლოსათვის, ღირსებისათვის, თავისუფლებისათვის“.

იმედიანი, ძლიერების რწმენის ჩამნერგავი და მებრძოლი სულის გამღვიძებელი სიტყვები გულისა და გონების ღრმა ხვეულებში ჩასწვდა ხალხს.

და რადიო დადუმდა...

ვასილიმ ქალაქისაკენ გაიხედა. ქალაქს ეფარებოდა იასამნისა და ხეხილთა ბაღჩა-ბაღები, მაგრამ ცად აზიდული ქარხნის მილები მაინც მოჩანდნენ.

„აი, ჩემო მშობლიურო ქარხანავ, დადგა დრო... ჩვენს სამშობლოს ტანკები უნდა დავუმზადოთ...“ — გაიფიქრა ვასილიმ და ჩქარი ნაბიჯით ქარხნისაკენ გაეშურა.

*
* *

პურით, ჭვავით და მზისუმზირით დათესილი ველ-მინდვრები დაუსრულებლად მიჰყვებიან მატარებელს. ფოლადის ძარღვით შეკრულ მშობლიურ მიწას ერთფეროვანი დაგდაგით ეხეთქებიან ბორბლები და განუწყვეტლივ ესაუბრებიან დღითა და ღამით მღვიძარე ქვეყანას. ფანჯრიდან მოჩანან თეთრწითური და შავგვრემანი სახეები, ღია წაბლისფერი და შავი თმებით, ცისფერი და ჩამუქებული თვალებით, კეხიანი და ბრტყელი ცხვირებით, სახეები პირმრგვალი, ფართო ყვრიმლის ძვლიანი და წინგადმოწეული შუბლით. ეს სამშობლოს დასაცავად მიემგზავრებიან თექვსმეტი ძმური ხალხის შვილები: რუსები, უკრაინელები, უზბეკები, ქართველები...

ფანჯარასთან დგას განიერმხარბეჭიანი წითელარმიელი. მის ცისფერ და მშვიდ თვალებში აღტაცების ნაპერწკლები კრთიან. გული კი უცემს, უღელავს.

მხოლოდ ორი კვირა გავიდა ომის დაწყებიდან და ამ ორმა კვირამ ძლიერ შესცვალა ვასილი. თითქოს მის ოცდახუთ წელს ერთი ათეული წელიც შეჰმატებოდესო. ფიქრიანი და მზრუნველი იყო მისი გამოხედვა.

„რა დიდია ჩემი სამშობლო...“ — ფიქრობდა ვასილი და თვალს არ აცილებდა პურითა და მზისუმზირით სავსე ველებს, — „კაცობრიობის მძარცველი ყაჩაღები ამისათვის მოდიან ჩვენსკენ...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ მოისმინა სტალინის გამოსვლა. მის ყოველ სიტყვას, რომელიც მაცოცხლებელი წყაროს წვეთს, ისე ისრუტავდა და უჩუმარ ფიცს სდებდა მშობლიურ მიწა-წყალზე შემოჭრილ მტერს თავდაუზოგველად შებრძოლებოდა.

„რა გწადიათ, რა გინდათ...“ — ეკითხებოდა ვასილი თვალწინ წარმოდგენით დახატულ ურდოებს და თითქოს პასუხს ელოდებოდა, მდუმარედ აჩერდებოდა ერთ წერტილს.

„ჩვენი პური გინდათ?.. ...იმ მიწას შეგაჭმევთ, რომელზეც ჩვენი პური ამოდის!.. რა გინდათ კიდევ?.. ნავთი?.. იმ ცეცხლში გაგხვევთ, რომელ ცეცხლსაც ჩვენი ნავთი გააჩაღებს!..“ ესაუბრებოდა ვასილი თავის თავს. ხშირად ეცვლებოდა სახის იერი, ხან ბრაზი ებჯინებოდა ყელში, ხან დამცინავი ღიმილი უცვლიდა სახეს, ხან მრისხანება იპყრობდა.

მატარებელი გაჩერდა.

მოეფინა მიდამოს მწვანე მუზარადები და ცივი ელვარე ხიშტები. ასეული ათასი მოძრავი წერტილები, როგორც ყანებში პურის თავთავები ისე ჩუმად, ნელი შრიალით მიღელავდნენ გზებზე.

შევიდნენ მდუმარე და მიყუჩებულ სოფელში. სოფელი იყო ცარიელი და უსიცოცხლო, თითქოს უჩინარ ჭრილობას სიკვდილის პირას მიეყვანოსო. გახიზნულიყვნენ ქალები და ბავშვები. მხოლოდ მამაკაცები დარჩენილიყვნენ, მათაც შაშხანები აეღოთ ხელში და პარტიზანებად იბრძოდნენ, დადიოდნენ ტყეში და ღრეში, იძინებდნენ ღია ცის ქვეშ, თავს ესხმოდნენ მტერს მოულოდნელად.

მდუმარედ გამოიცქირება სოფლის მოედანი. მოწყენილად დგას ცაცხვი, თითქოს ტოტები დაბლა დაუშვია და ფოთოლთა განუწყვეტელი შრიალით სწუხს და მოსთქვამს. სულ რამდენიმე კვირის წინათ ამ ცაცხვის ქვეშ თავს იყრიდნენ კოლმეურნენი, უკრავდნენ და ცეკვავდნენ მათი ბავშვები, მხიარულობდნენ ვაჟები და გოგონები. მხოლოდ ხეზე დამაგრებული რეპროდუქტორი კვლავ დარჩენილა თავის ადგილზე. ხანდახან იგიც ამეტყველდება ხოლმე, როდესაც მოსკოვი ესაუბრება ფრონტს. აქ მოისმინა ვასილიმ სასიხარულო სიტყვები: „ისმინე ფრონტო, მთელი საბჭოთა ხალხი თქვენ შემოგცქერით. ჩვენ გიმზადებთ საუკეთესო ფოლადს მტრების გასაგმირავად, უძლიერეს ტანკებს—ფაშისტების წასალეკავად...“ — და სჯერა ვასილის, რომ მისი მშობლიური ქარხანაც უკვე ძლევამოსილ ტანკებს უგზავნის ფრონტს.

ვასილიმ ფრონტზე პირველი დღეები მღელვარე მოლოდინში გაატარა. მას ესმოდა ქვემეხების ხმა, ყუმბარების სკდომა, თვითმფრინავების ჰაერში ზუილი, მასაც გული ბრძოლისაკენ მიუწევდა, მაგრამ მათი ასეული ჯერ უკან იდგა. და როდესაც მტრის ერთი დივიზია ღორული დინგით შემოიჭრა, მათი ასეულიც გავიდა ბრძოლაში.

ფაშისტები ხიდის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ. მათ უნდოდათ მეორე ნაპირზე ტანკები გადმოესხათ, გადმოეყვანათ მოტორიზებული ჯარი და წითელი არმიის ნაწილებს ზურგში მოქცეოდნენ. ასეულს დავალებული ჰქონდა მტრის არტილერიის ცეცხლის ქვეშ ხიდი მოესპოთ და როდესაც მტერი თავის ძალებს ხიდთან თავს მოუყრიდა, აეფეთქებინათ. მებრძოლები გაშმა-

გებით მუშაობდნენ. სწრაფად ჩააწყეს ხიდის ქვეშ ასეული კილოგრამი ლაღუმი და ელექტრონის ზონარი გამოიყვანეს.

მებრძოლები სანგრებში ჩაწვნენ, რომლის ირგვლივაც ფრთვები — წვიმასავით ცვივოდა. გულისფანცქალით ელოდნენ ხიდის აფეთქების ბრძანებას.

ფაშისტები ხიდისკენ მოიწევენ. ტყვიამფრქვევებისა და შაშხანების სროლაც დაიწყო. თვითეული მებრძოლი იმის ფიქრში იყო, რომ დროზე აეფეთქებინათ ხიდი. ბრძანებაც გაიცა. კაპიტანმა ელექტრონის ზონარის სახელურს ხელი ჩასჭიდა და გადაატრიალა. მაგრამ... აფეთქება არ მოხდა. მტრის სნაიპერის ტყვიას გაეჭრა ზონარი.

მებრძოლები შეშფოთდნენ.

— თავდაჭერილობა და სიმშვიდე. — მოუწოდა კაპიტანმა და მებრძოლებს თვალი გადაავლო.

— ცეცხლის საშუალებით უნდა ავაფეთქოთ, — განაგრძო კაპიტანმა, — აბა რომელია თქვენში მსურველი?!.

— მე წავალ — მშვიდად წარმოსთქვა ვასილიმ, — ხიდს მე ავაფეთქებ!..

კაპიტანმა ყოველი მებრძოლის თვალებში წაიკითხა თავგანწირვის გადაწყვეტილება, მაგრამ ვასილის მშვიდ და დამაჯერებელ ხმაში იგრძნო განსაკუთრებული ძალა და ნებისყოფა. ისიც ვასილზე შეჩერდა.

— მაშ შენ ფოფხვით მიხვალ ხიდთან და ზონარს ცეცხლს წაუკიდებ.

ვასილიმ საჩქაროდ მოიცილა იარაღი, ხელში ორი ხელყუმბარა დაბღუჯა და ფოფხვით გაეშურა ხიდისაკენ. სეტყვასავით მოზუზუნებდნენ ტყვიები და ყუმბარები, ის არ გრძნობდა ჰაერში დანთებულ ცეცხლს, სულამოუთქმელად მიფოფხავდა. მავთულ-ღობურის ეკლები უხევდნენ ხალათს, უჩხვლეტდნენ სხეულს, წყლითა და ტბორით სავსე ორმოებში ძრომის გამო მთელს ტანში ციების ჟრუანტელი უვლიდა, მაგრამ ის მაინც მიიწევდა წინ. ვასილი ჩქარობდა. დაღლილობისაგან სული ეხუთებოდა. აი, ხიდიც, უნდა აძვრეს ათმეტროვანი სიმაღლის ბურჯზე, სადაც გამოყვანილია ზონარი. ის არც ერთი წამითაც არ შეყოყმანებულა. ფორთხვით აძვრა ხიდზე. რკინის გზის ლიანდაგებს შორის ბოძებზე გაწვა. მიმოიხედა. წაიწია წინ. აი, დაინახა ზონარის შავი ბოლოც. ასანთის ათეული ღერი მტკიცედ მიაკრო ზონარის ბოლოს და ზედ ასანთის კოლოფი გადაუსვა. ცეცხლის ალი უცბათ მოედო ზონარს, გველივით დაკლაკნილი ცეცხლი მისრიალებდა ზონარზე.

ვასილი უცბათ გადმოხტა ხიდიდან ძირს და სანგრისაკენ გაიქცა.

რამდენიმე წამის შემდეგ აფეთქება გაისმა. ხიდი ჰაერში ავარდა და მერე მისი დამსხვრეული ნაწილები ჩაცვივდა წყალში.

ერთი საათის შემდეგ ხელახალი იერიში დაიწყო. ახლა ცა უკვე თვითმფრინავებით აივსო. ჰაერში გაშმაგებული ბრძოლა გაიმართა. გამანადგურებლები არწივებივით ეტოლებოდნენ ერთმანეთს, თითქოს ფრინველები სისწრაფეში ფრთებსა სწურავენო. ცეცხლწაკიდებული მესერშმიტები ელვისებურად ცვივოდნენ დაბლა.

საჰაერო თავდასხმის დახმარებით მტერს მდინარეზე გადმოსვლა უნდოდა, მაგრამ გმირმა მებრძოლებმა მათი წინსვლა აღკვეთეს.

* * *

ქუხილისა და ცეცხლისაგან ამდუღრებული ხმაურის შემდეგ წყნარი და სამარისებური ღამე, როგორც მკვდარი ვეშაპი ისე გადაიჭიმა. ალაგ-ალაგ

ღრუბლები ელტვოდნენ ცას. არ ქროდა ქარი, ნიავიც კი არ იყო, მაგრამ ეს ღრუბლები ისე სწრაფად მოძრაობდნენ, თითქოს სადმე ამტყდარ ქარტეხილს აეწიოკებინათო. მთვარე, როგორც უმწეო და ავადმყოფი ბავშვი, ჩაწოლილიყო ამ ღრუბლებში და ძლივს იცქირებოდა მიწაზე, ძირს კი ჩრდილებად ეყარა აფეთქებული ტანკების ნამტვრევები, თვითმფრინავების გადამწვარი ნაწილები, დახოცილთა გვამების გროვები, ჭურვებით ამოთხრილი მიწის გროვილები და ორმოები, ხახადაღებული შავი ორმოები.

როგორც მძიმე ძილის შემდეგ, როდესაც კაცს სისხლი აწვება ტვინში და ლამობს სიზმრის საშინელ ხუთვას თავი დააღწიოს, ისე წვალებით და ტანჯვით გამოერკვა ვასილი.

— სადა ვარ? — შეეკითხა ის თავისთავს. მაგრამ იმავე წუთას თვალწინ გაუელვა გადატანილმა ბრძოლის სურათმა და თვალები მჭიდროდ დახუჭა, თითქოს ამით სურდა გონებაში ჩაეხშო და მოესპო ის, რაც იყო, რაც უკვე მოხდა.

ფეხში ტკივილი იგრძნო. სცადა ფეხი წამოეწია, მაგრამ ვერ შესძლო. ხელით მოისინჯა და ნახა რომ შემხმარი სისხლით საცვალი სხეულზე მიჰკრობოდა.

თანდათან გონს მოვიდა და გაახსენდა, რომ მის წინ გამსკდარი ჭურვის ძალამ დაარეტიანა და მიახეთქა მიწის გროვილს, ეს ჭრილობაც მისი ნამსხვრევისაგან იქნებოდა. რაღაც უცნაურმა სიმშვიდემ შეიპყრო. გრძნობდა რაღაც გულგრილობას და განურჩევლობას სიკვდილისადმი. სულ არ ენანებოდა თავისი თავი.

აბგიდან მარლა ამოიღო და ჭრილობა შეიხვია. ამ დროს გვერდში კვნესა შემოესმა. სმენა მიაპყრო... მერე მიფოფხდა და მკვნესარეს ხელი შეახო.

— რაში ხარ დაჭრილი, ამხანაგო? — შეეკითხა ვასილი.

დაჭრილი პირაღმა იწვა, ქუდი გადავარდნოდა, საყელო მოჭგლეჯოდა, ხშირად ლულავდა თვალებს. მან უსიტყვოთა და უღონოთ მარჯვენა ხელი მაღლა ასწია და მარცხენა მხართან მიიტანა, ჭრილობის ადგილი უჩვენა.

ვასილიმ დანით გადაუჭრა ტანსაცმელი, სპირტით ჭრილობა მოუბანა და შემორჩენილი მარლით მხარის შეხვევას შეუდგა.

უცბათ, თითქოს მდუმარებას მეტყველებისა და სიცოცხლის ნიჭი დაუბრუნდაო, ჰაერში სიამოვნების ჟრუანტელის მომგვრელი მუსიკის ხმა გაისმა. სიხარულის ღელვამ აიტანა ვასილი. წამით შეჩერდა, აღტაცებით გახედა იმ მხარეს, საიდანაც ეს საყვარელი ბგერები მოდუდუნებდნენ.

შუაღამის თორმეტი საათი იყო.

კრემლის კოშკი ინტერნაციონალს გადასცემდა მთელს მსოფლიოს.

ვასილი ინტერნაციონალის ბგერებზე გულში მღეროდა:

„ეს არის ჩვენი მედგარი
და გადამწყვეტი ბრძოლა,
ინტერნაციონალში
ჰპოვებს შვებას ყველა“...

„ჩვენი საყვარელი მოსკოვი, ჩვენი კრემლი, ჩვენი დიადი სამშობლო, დღესაც, ამ წუთშიაც კი სიყვარულსა და ძმობას მოუწოდებს ყველა ერს, ყოველ მშრომელს, ყოველ ადამიანს“.. გაივლო ვასილიმ ფიქრში და განაგრძო ჭრილობის შეხვევა.

ამ დროს ღრუბლებმა მთვარე მიატოვეს და ცივი სინათლე დაეფინა მიწას. მიაშუქა ვასილის, სახე გაუნათა დაჭრილს.

ვასილი შეკრთა. თითქოს თავის ქალაზე მარწუხები შემოუჭირესო, ისე მოასკდა ტვინში სისხლი. მის წინ გერმანელი ჯარისკაცი იწვა და მტერი მტერს ჭრილობას უხვევდა. წამით შეჩერდა, ხელი იარაღისკენაც კი წაიღო, რომ ტყვია დაეხალა და მოესპო, მაგრამ ინტერნაციონალის ბგერები ისე სიამტკბილობით, ისე მომწოდებლად უწვეთებდა გულში სიყვარულისა და ძმობის ხმებს, რომ ათრთოლებულმა ხელმა კვლავ მარლამს მოჰკიდა ხელი.

ერთი კი მკაცრად შეეკითხა:

— ფაშისტი ხარ?...

დაჭრილმა თავის ენაზე უპასუხა არაო და მარჯვენა ხელის გული უჩვენა. დაკოჟრილი, დაშაშხული და შრომისაგან დაძარღვული ხელი ადვილად იცნო ვასილიმ, როგორც მოძმის ხელი.

ცოტა ხნის შემდეგ გერმანელი ჯარისკაცი ვასილის მხარში ამოუდგა და ნელი ნაბიჯით ერთად მიდიოდნენ იმ მხარისაკენ, რომელ მხრიდანაც სულ რამდენიმე წუთის წინ კაცობრიობის გამანთავისუფლებელი და დამაძმობილებელი ძლევამოსილი სიმღერა მოესმოდათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაქსიმ რილსკი

სიმღერა სტალინზე

ცამდე აზიდულ მთებიდან
ლაღი არწივი აფრინდა,
მძლავრად გაშალა ფრთები და
შავი ღრუბელი დაფლითა.

დაგვზარდა, ფრენას გვასწავლის
მისი უკვდავი სიმართლე.
როგორც შუქურა ვარსკვლავი,
ბელადი გზაკვალს გვინათებს.

უფრო გაბრწყინდა ყვავილი,
ვარსკვლავიც უფრო კაშკაშებს,
ნება და სიბრძნე სტალინის
გვათბობს სტალინურ ვაჟკაცებს.

წყალი მორჩილი გამხდარა,
ყანას ბარაქა ეღირსა,
ყველგან გუგუნებს ქარხანა
განახლებული ქვეყნისა.

წინსვლაში ძალას იმატებს
ჩვენი გაშლილი მხარ-მკლავი,
ბელადი გზაკვალს გვინათებს,
როგორც შუქურა ვარსკვლავი.

ნათელი მრავალფერადი
ჩვენი ცხოვრება კაშკაშებს.
ნება და სიბრძნე ბელადის
გვათბობს სტალინურ ვაჟკაცებს.

უკრაინულიდან სთარგმნა

კონსტ. ლორთქიფანიძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მჯიცე დარაჯი

ცის ტატნობს გავსცქერ, მზერას დაღლიდა,
რომ ვერ ეპოვა საყრდენი ვერსად.
და ვფიქრობ: აი, ამ სიმაღლიდან
ჩვენი გმირები მუსრავენ მტერსა.
კიდეც ვგრძნობ, როგორ ელავს შურდული —
შევარდნის თვალი მზისებრ ანთია,
მრავალ მტერს ერგო შავი უფსკრული,
ველარ უყურეს ჩვენს მზეს, განთიადს.
ვუმზერ გადაშლილ ველებს და ყანებს,
რწმენით ძგერს გული, იმედით სავსე,
ვამბობ: ერთ დღესაც ვერ დააღამებს
ვერაგი მტერი ამ ჩვენს მიწაზე.
მესმის გუგუნი პროპელერების,
ტყვიამფრქვევების შფოთი, კაკანი,
კვლავ ამაყობენ ჩვენი დედები,
რომ ურწევიათ გმირთა აკვანი;
სწამდეთ: დარაჯი ისე მტკიცეა,
როგორც შვილისთვის დედა ყოველი,
მტრის მზაკვრულ ცდაზე რისხვად იქცევა
ვერაგთ შემმუსრავ ცეცხლის მთოველი.
სხივებს გვფენს დიდი მნათობი ციდან,
ადიდა მშობლის ალერსი, კალთა,
გვირგვინად ადგას ის დროშებს წმინდას
ჩვენი გმირული სამშობლოს ხალხთა.
მტერი ჩაკვდება! ვერ შესძლებს ვერსად
ამბის გატანას ბრძოლის ველიდან:
მრისხანე ხალხი გასრესს იმ გველსა
და მოიგონებს მარად წყევლითა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალეკო შენგელია

ჩემს სამ ძმას

სამამულო ომის მონაწილეთ

აჰა, ეს ლექსი და გახსენება,
მთრთოლვარე გულის ნაჩუქურთმევი,
ვფიქრობ... და სიტყვა რომ მეძნელება, —
სიყვარულს ბევრი რჩება უთქმელი.

ზეცას აჟრჟოლებს გმირთა ძახილი,
ძმებო, დასძახეთ თქვენც თქვენებური,
ლექსი გამქონდეს თქვენი სახელით
გულიდან გულში ამღერებული...

ჩვენ სიყვარულში ვართ ქებულები,
ბრძოლაშიც გასჭრის ჩვენი მარჯვენა,
მე ყველა ფრონტზე თქვენ მეგულებით,
სადაც სჭექს ვაშა და გამარჯვება.

გმირები უყვარს ჩვენს დიდ მამულსა,
ჩვენს დედებს, მამებს, ჩვენს კარგ გოგონებს,
მაშ, გაუმარჯოს მტრის შესამუსრად
გულში ანთებულ ჭიაკოკონებს.

———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იაკინთე ლისაშვილი

მზვერავები

1.

ისინი პირაღმა იწვნენ, გვერდიგვერდ, და საუბრობდნენ.

კარავში ყველას ეძინა. მხოლოდ ორი მეგობარი ფხიზლობდა.

გარეთ ბნელოდა. ძლიერი ქარი ტილოს პატარა კარავს მიჯნურივით ხვევდა მკლავებს, გულში იკრავდა...

ტიხონმა ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და გოგის ჰკითხა:

— იცი, რას გეტყვი: აი, მაგალითად, მიდიხარ, წარბშეუხრელად, მიდიხარ პირდაპირ, სიკვდილს უახლოვდები და არ გეშინიან. ეს ხომ დიდი გმირობაა?

— როგორ გითხრა, ტიხონ. ეს დიდი გმირობაა, მაგრამ... მე მგონია უფრო ძნელია, უფრო დიდი გმირობაა სიკვდილში იყო და ცოცხალი დაბრუნდე.

— აჰა, — მიუგო ტიხონმა, — მართალი ხარ. ეს რაღაც უფრო რთული რამაა. სიკვდილს მოჰკლავ და სიცოცხლე დაგრჩება.

დადუმდნენ. გოგიმ დაარღვია სიჩუმე:

— თვე გადის, რაც ფაშისტებს ანგარიშს ვუსწორებთ: დაგვესხმებიან— გავანადგურებთ. კიდევ და კიდევ. ბევრი გმირი დაბადა ჩვენში ამ ბრძოლამ. ჩვენც ორთავეს გმირს გვეძახიან, მაგრამ, ტიხონ, ასე მგონია, ჩვენ უფრო დიდი გმირობა გვმართებს. შეხვედრაც არის. ვნახოთ, ვინ იცის, მაშინ...

— დაიძინე, ტიხონ, არ გეძინება? იქნებ ფაშისტებმა დაგვიფრთხონ ძილი და ისიც გვეყოფა, — სთქვა გოგიმ ბოლოს და თვალი დახუჭა.

იმ კარავში, სადაც თორმეტიოდე კაცი იძინებდა, ვიღაც შემოვიდა და იქვე გაჩერდა:

— ტიხონ, არ გესმის? გოგი, გოგი! — დაიძახა მოსულმა, და რომ კარავში მეტი სინათლე შემოსულიყო, ბრეზენტის კარი ხელით გადასწია.

ტიხონ და გოგი ერთად წამოვარდნენ.

— ვინ არის? — გასძახეს მათ.

— სტეფანე ვარ. თქვენ ორთავეს დივიზიის შტაბში გეძახიან, ახლავე. — ეს სთქვა და სწრაფად გავიდა.

ტიხონმა და გოგიმ სწრაფად ჩაიცვეს.

— ალბათ, რამე ახალი ამბავია, — სთქვა ტიხონმა.

— ფაშისტები თუ მოდიან ისევ, — მიუგო გოგიმ.

— ნაცემი ზურგი თუ მოექავათ!

— ძაღლები, ფაშისტები! — გაჯავრებით დაასკვნა გოგიმ.

ისინი დივიზიის შტაბში მეთაურების წინ იდგნენ.

მეთაურები მაგიდასთან ისხდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, თმაშეპარავებულმა მეთაურმა პაპიროსი მადიანად მოსწია და ცოტაოდენი დუმილის შემდეგ დაიწყო:

— თქვენ ჩვენი საამაყო მებრძოლები ხართ. მაგრამ რაც უფრო დიდია თქვენი გმირობა, მით უფრო იზრდება მოვალეობა. ფაშისტები შეტევაზე გადმოსვლას აპირებენ. ჩვენ წინასწარ ხელი უნდა შევუშალოთ მტრის შემოტევას. რასაც თქვენ გავალებთ, იცოდეთ, მეტად რთული და ძნელი რამაა, — აქ მან კვლავ მადიანად მოსწია პაპიროსი, შემდეგ ჩააქრო, თავზე ხელი გადაისვა და განაგრძო: — უნდა გამოგიტყდეთ, მეტად სახიფათო რამაა, ამხანაგებო. ამას წინასწარ ვამბობთ. შესაძლოა საჭირო გახდეს თავის გაწირვა. რას იტყვით?

— იქნება, დივიზიის უფროსო! — იყო პასუხი.

მეთაური ფეხზე წამოდგა. მაგიდას მოშორდა, ტიხონსა და გოგისთან მივიდა, მათ შუაში ჩადგა და ხელები მხრებზე მოხვია.

— მაშ აგრე, ამხანაგებო, — მიუგო მეთაურმა, — ყველაფერი მზად არის უკვე. მოწინავე პოზიციებზე მიგაცილებენ. ერთი გერმანელი ამხანაგი წამოვა თქვენთან, გვარად შულცი. თქვენ იცნობთ მას.

— ვიცნობთ, დივიზიის მეთაურო! — მიუგო ტიხონმა.

— ამიტომაც ვგზავნით თქვენთან, — განაგრძო მეთაურმა და წუთით შეჩერდა. იქვე კარებთან მორიგეს გასძახა: — დაუძახეთ ამხანაგ შულცს!

— მესმის, ამხანაგო დივიზიის უფროსო, — იყო პასუხი და მორიგე სწრაფად გავიდა.

დივიზიის მეთაურმა სიტყვა განაგრძო:

— ამხანაგმა შულცმა ეს უკვე იცის, მაგრამ სჯობს ისიც აქ მოვიდეს.

ამ დროს ახალგაზრდა გერმანელი ოთახში შევიდა და მეთაურის წინაშე მკვირცხლად შეჩერდა.

— თანახმად თქვენი ბრძანებისა, აქ ვარ, ამხანაგო მეთაურო! — დაიძახა შულცმა და მეთაურს ხელის აღებით თვალი გაუსწორა.

— აი რა, ამხანაგო შულც: ესენი და თქვენ ერთად წახვალთ და...

მეთაური განშორდა მათ და მაგიდასთან ფრთხილი ნაბიჯით მივიდა. ჩაჯდა, ამხანაგების ბედზე ფიქრობდა. შეჩერდა.

— ამოცანა შემდეგში მდგომარეობს, ამხანაგებო: შეიჭრათ მტრის პოზიციებში, აღმოაჩინოთ მტრის მთავარი ძალები, ან შტაბის ადგილსამყოფი, იქვე ახლოს მაშხალები აუშვათ ჰაერში, ან ცეცხლი დაანთოთ. შემდეგ კი თქვენ იცით, — თავის გადარჩენას უნდა ეცადოთ.

— გვესმის, დივიზიის უფროსო! — განმეორდა საერთო პასუხი.

მეთაურმა მათ ხელი ჩამოართვა და განზე მიდგა.

— მშვიდობით, ამხანაგებო.

მზვერავებმა იმ წამსვე დასტოვეს ოთახი.

— კარგი ბიჭები არიან, ვასილ თომას-ძევ, — მიუგო დივიზიის მეთაურს მაგიდის მარჯვენა მხარეს მჯდომმა დივიზიის სამხედრო კომისარმა. იქ მყოფთა შორის იგი ყველაზე ახალგაზრდა მოსჩანდა, მის თვალებში სიხარულის შუქი ელავდა.

— ისეთები არიან, ამხანაგო გრიგორ თედორეს ძევ, როგორიც ჩვენს სამშობლოს შეეფერება, — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ უპასუხა კომისარს დივიზიის მეთაურმა და მაგიდაზე გაფენილ რუკას დააცქერდა.

2.

ბნელოდა...

წვიმის ხშირი წვეთები სცემდათ სახეში.

მდინარის ნაპირთან მივიდნენ.

ბუჩქში ჩაიმალნენ. მოემზადნენ და მდინარეში ცურვით შევიდნენ. უკვე მდინარის გალმა იყვნენ გასულნი. ახლა უფრო მეტ სიფხიზლეს იჩენდნენ.

მიწას გაკრულნი, ოდნავ სუნთქავდნენ. ცოტახნით კიდევ იყუჩეს, — სმენად გადაიქცნენ. უკვე მტრის მოწინავე პოზიციის ხაზში შევიდნენ.

რაღაც ჩუმად წაულაპარაკეს ერთმანეთს და პირველად შულცი დაიძრა ადგილიდან.

უდიდესი სიფრთხილით, მუცელზე ხოხვით მიიწევდა წინ.

ხუთიოდე წუთის შემდეგ მეგობრებიც მიჰყვნენ შულცს.

წინასწარი გამოანგარიშებით, მზვერავებს სწორედ ამ გზით შეეძლოთ შესულიყვნენ მტრის პოზიციების სიღრმეში და ისინიც დიდის დაძაბულობით ესწრაფოდნენ მიზნის მიღწევას.

პირველად შულცმა შენიშნა სიბნელეში ადამიანის მსგავსი აჩრდილი, რომელიც თითქოს დაიძრა ადგილიდან და ბუჩქს მიეფარა.

შულცი შეჩერდა. ეს ამბავი ახლოს მისულ ამხანაგებსაც აცნობა და მეგობრები მთლად განერთხნენ მიწას.

შულცმა ბუჩქს მეორე მხრიდან შემოუარა, სულ ახლოს მივიდა. აჩრდილი გამობრუნდა ჩირგვიდან, თავი დახარა და სიბნელეში თვალი ჩაასო.

სჩანდა, სიბნელეში ვიღაც შენიშნა.

ტიხონმა და გოგიმაც შენიშნეს ის და, უფრო მაგრა განერთხნენ მიწას. გაჰყურებდნენ იმავე ლანდს.

ლანდმა თოფი მოიმარჯვა და ჩუმად გასძახა:

— რომელი ხარ?!

მაგრამ ამ დროს ახლო მისულმა შულცმა ზეზე წამოიწია და მთელი ძალით რევოლვერის ტარი ჩაარტყა თავში იმ ლანდს.

ლანდმა ერთი დაიკვნესა და ძირს დაეცა. იმავე დროს შულცის თავთან აიმართა მეორე ლანდი, რომელმაც მაღლა ასწია თოფი, რათა შულცისათვის თავში ჩაერტყა.

ახლოს მისულმა ტიხონმა შენიშნა ეს და ელვის სისწრაფით ყელში ეცა იმ ლანდს. ის მეორე ლანდიც წაიქცა, თოფი ხელიდან გაუვარდა. ეს თოფი გოგიმ აიღო და მიწაზე განართხულ ლანდს ხიშტი ჩასცა.

იმ ლანდსაც ხროტინი აუტყდა და ხმა გაჰკმინდა.

— წავიდეთ! — ცოტაოდენი დუმილის შემდეგ სთქვა შულცმა და წინ გაეშურა.

— ამხანაგო შულც, — წასჩურჩულა ტიხონმა, — ახლა შეგვიძლია მცირე მანძილი ფეხით გავიაროთ.

მთლად სველები იყვნენ.

ზოგჯერ ფეხით, ზოგჯერ ხოხვით მიიწევდნენ წინ.

იქ, სადაც ხიფათს ელოდნენ, ასეთ ადგილს გვერდს უქცევდნენ...

მოულოდნელად, სიბნელეში, იქ, სადაც ბუჩქნარი გათავდა და ის იყო ველზე გავიდნენ, იმათ წინ თითქოს მიწიდან ამოძვრა თავი, ეშმაკ თოფის ჩახმახმაც გაიჩხრიალა.

— შეჩერდით! ვინ არის? პაროლი! — დაიძახა თავმა მიწიდან.

მზვერავებმა ხმა არ გასცეს და ხოხვით იმ ადგილს გვერდი აუქციეს.

— პაროლი, პაროლი! — კვლავ გამეორდა იგივე ხმა და მიწიდან ამოწეულ ერთ თავს სხვაც მიემატა. ჩახმახების ჩხრიალიც მოისმა.

შულცი ზეზე წამოდგა და სიბნელიდან გერმანულად გასცა პასუხი:

— ჩვენა ვართ, შტაბში მივდივართ!

— პაროლი! — განმეორდა იგივე კითხვა.

მზვერავები იმ ადგილს კარგა მანძილით განშორდნენ სიბნელეში და სულ სხვა მიმართულებით გაიქცნენ.

— პაროლი, პაროლი, — ისევ მოისმა და თოფიც გავარდა.

ტყვიის წივილი ახლოს გაისმა. ცოტა კიდევ და რამდენიმე თოფი ერთად გავარდა.

მზვერავები გარბოდნენ წინ, მაგრამ ამ დროს შუქურათი განათდა ველი. როცა შუქი მზვერავებს მიუახლოვეს, ისინი გაწვნენ, მიწას გაეკვრნენ.

თოფების ბათქი მეორე მხრიდანაც გაისმა.

მზვერავები წამოდგნენ და კვლავ გაიქცნენ.

ამ დროს შუქურამ პირდაპირ მზვერავებს დააფრქვია სინათლე.

მზვერავები კვლავ წამოწვნენ მიწაზე, მაგრამ აშკარა იყო, რომ მტერმა უკვე შენიშნა ისინი და შუქურას არ აშორებდა.

ახლა ყოველი მხრიდან ასტეხეს სროლა და იმ ადგილს, სადაც ისინი იწვნენ, სეტყვასავით ტყვიები ეცემოდა მიწაზე.

მზვერავებმა იმ მინდორზე ერთი ჩაღრმავებული ადგილი იპოვეს და იქ ხოხვით ჩავიდნენ.

იქიდან მათაც ასტეხეს სროლა.

ტიხონის კვნესა მოისმა. ამხანაგები მიეშველნენ.

— ფეხში ვარ დაჭრილი. თქვენ წადით, ამხანაგებო, — დაიძახა ტიხონმა და მარჯვენა ფეხის ბარძაყზე ხელი მიიჭირა.

— ჩქარა, ჩქარა! — დაიძახა შულცმა.

ამოიღეს მარლა და შეუხვიეს ჭრილობა.

ტიხონი თავისას მაინც არ იშლიდა:

— არაფერი გამოვა, ძმებო. თქვენ წადით. ეგებ გახვიდეთ. მე კი, — სთქვა ეს და სიბნელეში, საიდანაც ტყვიებს ისროდნენ, ხელყუმბარა გადაგდო. — სჭამეთ, მე აქა ვარ!

— არა, შენ ვერ დაგტოვებთ, — გადაჭრით მიუგო გოგიმ და შულცს ეუბნა: — ამხანაგო შულც, შენ ენა იცი, ეცადე, ეგებ გახვიდე. წადი, შენ წადი!

შულცმა ერთი შეხედა გოგის და გრძნობით უთხრა:

— ვგრძნობ, საჭიროა, მშვიდობით, ძმებო, ალბათ, ერთმანეთს ვერასოდეს ვეღარ შევხვდებით, მშვიდობით! — დაასრულა, სწრაფად მიბრუნდა და ამხანაგებს ხოხვით განშორდა.

გოგი უეცრად გაუსხლტა სინათლეს, გავიდა ბნელში და ირგვლივ თვალი მიმოავლო, რომ აქედან უკეთ დაენახა, რა ხდებოდა მათ გარშემო.

მან სულ ახლოს მიწაზე გაწოლილ ადამიანთა მწკრივი შენიშნა. ახლა მტერი თოფს არ ისროდა, თუმცა შემპარავად ახლოვდებოდა.

გოგი მაშინვე უკან გაბრუნდა. ტიხონთან მივიდა და ჩუმად უთხრა:

— ტიხონ, სჩანს, ჩვენი ცოცხლად შეპყრობა აქვთ ნაბრძანები. თოფს ამიტომ აღარ ისვრიან, თუმცა აქვე არიან. დავცხოთ!

და მართლაც დასცხეს...

ბოლოს მათ თითო ხელყუმბარა-ლა შერჩათ და ახლა მხოლოდ რევოლვერიდან ისროდნენ.

სწორედ ამ დროს შენიშნეს მათ უკვე სინათლეში გამოსული თავები, რომლებიც მიწაზე დაკრულნი ახლოვდებოდნენ. მზვერავები უკვე ნიშანში იღებდნენ მტერს და ისე ესროდნენ. მაგრამ თავები უცბად აიმართნენ და ყიჟინით მზვერავებისაკენ გაქანდნენ. მზვერავებმა უკანასკნელი ორი ხელყუმბარაც გამოიყენეს, ტყვიებიც მიაყოლეს, მაგრამ ამ დროს მათ გამხეცებული ყიჟინით მივარდნენ და თოფის კონდახებით დაუწყეს ცემა. მზვერავებმა გრძნობა დაჰკარგეს.

3.

— შენმა ამხანაგმა ყველაფერი გვითხრა: თუ რა დავალებით ხართ გადმოსულნი, სად არის თქვენი შტაბი, ვინ არის თქვენი დივიზიის მეთაური, როგორია განწყობილება, როგორი ძალებია, როგორია თავდაცვის გეგმები და სხვა. იტყვი, ყველაფერი კარგად იქნება, არა და... ასე იქნება! — დაასრულა ფაშისტმა გენერალმა და იმის სანიშნოდ, თუ როგორ წააცლის თავს გაჯიუტებულ წითელარმიელს, ხელი გააქნია, შემდეგ იქვე, გვერდში აყუდებულ ვეებერთელა რუს თეთრგვარდიელ ოფიცერს გახედა: — გადაეცით! — მოკლედ მიაძახა გერმანელმა გენერალმა თეთრგვარდიელ ოფიცერს და თავი გვერდზე გადააქნია.

ახმახი რუსი თეთრგვარდიელი ოფიცერი უეცრად შეიშმუშნა, ჩაახველა და იქვე გენერლის მაგიდასთან შეჩერებულ გოგის მიაჩერდა სახეში.

ოფიცერმა რიხიანი, ქუხილივით მგრგვინავი ხმით განაგრძო თარგმნა ფაშისტური გენერლის ნათქვამისა და თითონაც ქარქაშიდან ნახევრად ამოღებული ხმლით დაემუქრა:

— არის, აღარ არის; გაფრინდა. ასე მოგივა!

გოგი კვლავ სდუმდა.

გენერალმა თეთრგვარდიელ ოფიცერს მკაცრად შეხედა.

— სდუმს! გადაეცი ხმა ამოიღოს, სთქვას რამე.

ოფიცერმა გენერლის მუქარის სიტყვები გადაუთარგმნა გოგის.

დაკითხვაზე მეორედ გამოყვანილი გოგი დარწმუნდა, რომ სულერთია მას ახლა აღარაფერს არ დაუჯერებენ და იგივე პასუხი მისცა:

— არავითარი დავალება ჩვენ არ გვქონია. გზა დავკარგეთ, სიბნელე იყო და თქვენთან მოვხვდით. ჩვენი შტაბი სადღაც კი არის, მაგრამ არც მე ვიცი, რა ჰქვია იმ ადგილს. წითელი არმიის განწყობილება? კარგად იბრძვიან. როგორი ძალებია? ძალები ისეთია, როგორც წითელ არმიას შეეფერება. ჩემი ამხანაგი? ალბათ, აღარ არის ცოცხალი, მაგრამ მე ვიცი, რას იტყოდა სიცოცხლეში. არც მე ვიქნებოდი ცოცხალი, გრძნობა რომ მქონოდა. ვინ არის დივიზიის მეთაური? გვარი არ ვიცი! — თვალებში რაღაც შინაგანი სიამაყის გამოკრთომით მიაძახა ბოლოს გოგიმ.

თეთრგვარდიელმა ოფიცერმა თვალები მრისხანედ გადმოანათა, უნდოდა ერთი მაგარი სილა გაეწნა წითელარმიელისათვის, მაგრამ გენერალი მიუხვდა ამას და მარჯვენა ხელის მაღლა აწევით ანიშნა ოფიცერს, გაჩერებულიყო, — ჯერ თავის შეკავება იყო საჭირო.

როდესაც ოფიცერმა გადაუთარგმნა გენერალს გოგის ნათქვამი, გენერალმა მაგიდაზე მუშტი დაარტყა.

მაგიდის თავში აქამდე უდარდელად მჯდომმა გენერლის ადიუტანტმა თვალი გააჭყიტა, ტუჩები უცნაურად ააცმაცუნა და მაგიდაზე თავით გადაიხარა.

— დაგვცინის?—დაიძახა გენერალმა და ზეზე წამოიჭრა. მერე მაგიდაზე დადებულ ჯოხს წაეტანა და გოგის მთელი ძალით თავში ჩაარტყა.

გოგი აილეწა, შეატოკა უკან მაგრა დაკრული ხელები, მაგრამ ყოველივე ამაო იყო: მტრის ხელში იყო და გამოსავალი არ არსებობდა.

გახეთქილი თავიდან წამოსული სისხლი გოგის მაღალ შუბლიდან ლოყაზე დაეშვა.

— თუ ჩაგიგდეთ ხელში! — დაიძახა გოგიმ ქართულად და სიმწრისაგან თვალებში ცეცხლი ჩაუდგა.

— რა სთქვა? — დაიძახა ისევ გენერალმა და ახმახ ოფიცერს ქვეშიდან მაღლა ახედა.

— არ ვიცი, — მიუგო ოფიცერმა, — რაღაცას თავის ენაზე როშავს...

— საბჭოთა ხალხს ერთი ენა აქვს!—მიაძახა გოგიმ მთელი ხმით.—აი მე რა ვსთქვი: უკანონოდ მომექცა გენერალი-თქო.

ოფიცერმა ვეღარ შესძლო მეტის მოთმენა. გოგის მიერ თქმულის გადათარგმნას თავი ანება, მივარდა გოგის და ჩასცხო ურისავით ვეება მუშტები თავსა და ფერდებში, თანაც ჰყვიროდა:

— უნდა გაისრისოს, აი, ასე! უნდა გაისრისოს გველის წიწილა! ასე! თითქოს ყველანი ერთ დღეს დაიბადნენო, ეს ბოლშევიკები ისე ჰგვანან ერთმანეთს!

გოგი წაიქცა. ხმა არ ამოუღია. რაღაც შემაძრწუნებელმა სიჩუმემ მოიცვა ოთახი.

მხოლოდ გამხეცებული ოფიცრის ქშენა ისმოდა.

მაგრამ აი გოგიმ თავი ასწია და გამგმირავი, გამანადგურებელი თვალით თეთრგვარდიელ ოფიცერს მიაჩერდა.

— ტურტლიანი და ძაღლი თითონ ხარ, სხვის კარზე თავდადებული! ბევრი შენისთანა გავანადგურეთ და შენც მოგწვდებიან, რომ ქვეყანაზე თქვენისთანები მოისპონ.

თეთრგვარდიელს კიდევ უნდოდა მივარდნოდა გოგის, რომ საბჭოთა ხალხისადმი წლობით გულში დაგროვილი ბოღმა ახლა ერთ მათგანზე ამოეყარა, მაგრამ გენერალმა აქაც შეაჩერა და გოგის ნათქვამის დაუყოვნებლივი გადათარგმნა მოსთხოვა.

ოფიცერმა სიბრაზისაგან კბილები გააკრაჭუნა და გენერალს მგლის თვალით ისე შეხედა, თითქოს ყველაფერში თითონ გენერალი ყოფილიყოს დამნაშავე.

ძაღლმა იცნო თავისი პატრონი და უცბად მოეშვა. ცალი ხელით მაგიდას დაეყრდნო და გოგის ნაამბობი თავიდან ბოლომდის გადაუთარგმნა გენერალს.

გენერალი ოფიცრის ყოველ სიტყვაზე ხან მარჯვენა, ხან მარცხენა მხარს

სწევდა მაღლა, რაღაც მტკივნეულად იმანჭებოდა, პირს უფრო და უფრო აღებდა.

ამ ამბავს ადიუტანტმაც ვეღარ გაუძლო, ხელში გამოჩრილი საწერ-ცალამი მაგიდაზე მიაგდო და ფეხზე წამოდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აიტ! — დაიძახა და თვალები გადმოკარკლა.

— გაათრიეთ! — აღმოხდა გენერალს და კარზე მიუთითა.

ოფიცერი და ადიუტანტი ქორებივით ეცნენ ძირს გართხმულ გოგის და გარეთ გაათრიეს.

აქოშინებული გენერალი ქოფაკივით ჰყეფდა გაუთავებლად და დორბლებს ჰყრიდა:

— მოსპეთ, გაანადგურეთ, დაჩეხეთ, აკუწეთ! — და ხელით უჩვენებდა, თუ როგორ ექნათ ყოველივე ეს.

დაწყნარდა. სავარძელში ჩავარდა.

ჩქარა ადიუტანტიც შემობრუნდა ოთახში. მაგიდას ქშენით მიუახლოვდა, შეჩერდა.

— ორთავენი ერთნაირად იკბინებიან, ჩვენს ხელთ არიან, მაინც გვემუქრებიან, — სთქვა გენერალმა და ხელები ქაღალდებში ააფათურა.

— აფთრებივით შეუპოვარნი არიან, თქვენო აღმატებულებავ! — ხელის აწევით მიუგო ადიუტანტმა, — როცა შეიპყრეს, ორთავენი უგრძნობლად იყვნენ. ცალ-ცალკე ჩავსვით, მაგრამ როცა გონს მოვიდნენ, აფთრებივით შემოგვიტიეს.

— აფთარი, აფთარი! იცი, შენ, რა არის აფთარი?! — თითქოს ადიუტანტისადმი საყვედურით სთქვა გენერალმა და ხელში დაჭერილი რაღაც ქაღალდი შუაზე გახია.

ამ დროს ერთი გერმანელი ოფიცერი შეიჭრა კარებში და გენერალს ყვირილით შესძახა:

— თქვენო აღმატებულებავ! აქვე ახლოს მაშხალები აუშვეს ჰაერში. რას ნიშნავს ეს?

გენერალი გველნაკბენივით ფეხზე წამოდგა და მთლად გაოგნებული ისიც მხოლოდ „მაშხალებს“ იძახდა.

4.

გოგი გარეთ რომ გაიყვანეს, ერთი კი მოასწრო გარემოსათვის თვალის შევლება და იმ წამსვე რაღაც ჩვარით თვალები აუხვიეს. ახლა სულ სხვა ადგილას შეაგდეს, მაგრა მიაჯახეს კარები, რაღაც უშვერი რუსული გინებაც მოისმა გარედან და ხმები მისწყდა.

ძირს გართხმულმა გოგიმ ერთი მძიმედ ამოიკვნესა და თავის თავს ხმამაღლა გასცა პასუხი:

— იქ არ მინდოდა ჩემი კვნესა მტერს გაეგონა, აქ კი, — სთქვა ქართულად და თვალებზე გაკრული ჩვარი ძლივს მოიშორა.

წუთით თვალი გაახილა; საიდანღაც ოდნავი შუქი ბჟუტავდა.

გოგიმ სანახევროდ გახელილი თვალები კვლავ დახუჭა და ახლა იმას უგდებდა ყურს, თუ როდის მოესმოდა კარებთან მოახლოვებული ფეხის ხმა, როს გაიყვანდნენ და სიკვდილით დასჯიდნენ.

— ჰეი, ვინ არის მანდ? — მოესმა გოგის ნაცნობი ხმა, რომელიც კვნესას უფრო წააგავდა.

„ვინ უნდა იყოს?“ — გაიფიქრა გოგიმ, თვალი გაახილა და [illegible] ასწია.

ვილაც იქ, ოთახის კუთხეში, დახვეულ ტილოს ნაჭერივით ეგდო იატაკზე და თითქოს სულს ითქვამსო, ხანდაყოვნებით აღებდა პირს.

— შენ გოგი ხომ არ იქნები? — განმეორდა იგივე ხმა, — მე ტიხონი ვარ, ველარ მიცანი?

— ძმაო! — მიაძახა მეგობარს გოგიმ, წამოჯდა, ადგომა სცადა, მაგრამ ვერ შესძლო. — ტიხონ, ცოცხალი ხარ?

— შენ აღარ მეგონე ცოცხალი... ნუთუ ჩვენ კიდევ ცოცხლები ვართ?! ისე გამიხარდა, — სთქვა და გაჭირვებით წამოიწია, ისიც იატაკზე წამოჯდა და კედელს თავით მიეყრდნო.

გოგიმ მეგობრის სახეზე ზოლებად ჩამოდენილი სისხლი შენიშნა და საკუთარ ტკივილებზე უფრო მეტად ეტკინა გული.

— შენც გცემეს, ტიხონ?

— ხუმრობით ჩამიკაკუნეს! — იოხუნჯა ტიხონმა, თვალი მხოლოდ ახლა გაახილა და პირდაპირ, ხის კედელზე მიყრდნობილ გოგის თითქოს ნისლში ხედავდა.

— არც მე დამაკლეს, ტიხონ. მაგრამ გამაგრება გვმართებს, ამხანაგო.

— ეჰ, ტიხონ, ცეცხლი რომ ვერ დავანთეთ, ვერც მაშხალები ავუშვით, ეს მიკლავს გულს. წუხანდელი საუბრის თანახმად, განა ამას გმირობა ჰქვიან? არ მინდოდა, ტიხონ, ასეთი სიკვდილი.

— რაც არ გინდოდა, მას ნურც ჩაიდენ, გოგი... გარეთ ძლიერი ქარი უბერავს... თუ ზარბაზნების გრიალი ისმის... შეხე, როგორ ბჟუტავს კედელზე ჭრაქი. თითქოს ეძინებაო. ძილის დროა, მეც ვეთანხმები.

სიტყვებმა: „კედელზე ჭრაქი“ თითქოს უეცრად გაანათეს გოგის გონება. განსაკუთრებული სიცხოველით გაახილა თვალები და იქვე, მერხის პირდაპირ, კედელზე ჩამოკიდებულ ნავთის ჭრაქს დააშტერა. მერე წამოიჩოქა და ტიხონს შეხედა:

— ჭრაქი? იცი, ტიხონ, რას ნიშნავს ჭრაქი? ჭრაქი ხომ ცეცხლია! ხედავ, როგორ დაბლაა კედელზე ჩამოკიდული?

— გოგი, გონება დაიმშვიდე. კაცმა ჭრაქით შეიძლება დაანთოს ცეცხლი, მაგრამ სად არის კაცი, გოგი?

— განა ჩვენ მკვდრები ვართ, ტიხონ? ჯერ ხომ ჩვენს სამშობლოში ცოცხალთა სიაში ვწერივართ. შეხე, თითქოს ის ჭრაქი თავისაკენ გვეძახის, თითქოს...

— გოგი! — რაც შეეძლო მთელის ხმით დაიძახა ტიხონმა და თვითონაც არ იცოდა, რატომ, თავგანწირვის დიადი გრძნობით თუ სიხარულით, თითქოს ყელში სიტყვების ცრემლი მოებჯინაო, ხმა აუთრთოლდა: — ჰო, აგრე იყოს... ზე აღვსდგეთ, ძმაო! ვნახოთ, ვის უფრო მეტი ძალლონე შერჩა! — დაიძახა და უდიდესი დაძაბულობით ზეზე ასადგომად წამოიწია. პირველად მუხლებზე წამოიჩოქა. შემდეგ თავით კედელზე მიებჯინა, იძალა, სალად დარჩენილ ცალ ფეხზე რომ დამდგარიყო, მაგრამ ვერ შესძლო.

მან ცალი თვალით გადახედა გოგის, რომელიც უკვე ფეხზე იდგა და კედელზე ჩამოკიდებულ ჭრაქს უცქეროდა.

— ნუ წვალობ, ტიხონ. შენ დაჭრილი ხარ. მოისვენე. მე მაინც ზეზე ვარ. მოიკრიფე ძალღონე, გამოგვადგება, — უთხრა მეგობარს, მერხზე ავიდა, ზურგით კედლისკენ მიბრუნდა, ლურსმანზე ჩამოკიდებულ ჭრაქს უკანგაკრული ხელები მოჰხვია, ჩამოიღო, ფრთხილად ძირს ჩამოვიდა, კართან მივიდა და მუხლებზე დაეშვა.

ცოტა კიდევ და ახლა ჭრაქი კარის ზღურბლზე იდო.

შეჩერდა გოგი, მეგობარს რაღაც განსაკუთრებული გრძნობით შეხედა. სჩანდა, ეს გამოხედვა საბედისწერო იყო მათთვის.

ტიხონმაც კარგად გაიგო ეს. ისიც შესდგა. სიტყვა ვერ მონახა, მაგრამ ჩქარა ძალა მოიკრიფა და გოგის გასძახა:

— დროა, გოგი. სხვა გზა არ არის. სწორედ მანდ, კარებთან, გოგი, ფაშისტები ველარ შემოვლენ. მაგრამ მოიცა, ცოტა მოიცა, მეც წამოვდგები, — ერთხელ კიდევ იძალა ტიხონმა და ზეზე წამოდგა. ცალი ფეხის თრევით გოგისთან მივიდა, მუხლებზე დაეშვა და გოგის უთხრა:

— აიღე. მეც მივბრუნდები. ჭრაქს თავს გადავხდი და...

გოგიმ კვლავ აიღო ჭრაქი.

ტიხონმა ასევე მიბრუნებულად უკანგაკრული ხელებით ჭრაქს თავი მოხადა, ხოლო გოგიმ ჭრაქში ჩარჩენილი ნავთი მიასხა კარს, ჩარჩოებს. რომ გამოსცალა, ყრუდ, თითქოს ძლიერ შორს, სადღაც სიღრმეში მოთავსებული გული იძახისო, მეგობარს უთხრა:

— ახლა შენი ჯერია, ტიხონ.

ტიხონმა უკან გაკრული ხელები ნელნელა გასწია კარისაკენ. ანთებული ჭრაქი მიადო კარს, და იმ წამსვე ცეცხლმა იფეთქა.

მეგობრები განშორდნენ კარებს.

ცეცხლის ალი ჭერისაკენ იწევდა. მეგობრები ოთახის ერთს, ცეცხლისაგან დაშორებულ კუთხეში შეჩერდნენ. ხის სახლს ელვის სისწრაფით ედებოდა ალი. კართან უკვე ვეებერთელა კოცონი ენთო.

გარედ რაღაც ხმაური ატყდა. თითქოს იქვე, ახლოს, ყუმბარების გრიალი ისმოდა.

ცეცხლმა უკვე გააპო ჭერი და გუგუნით მაღლა ავიდა. ალი თანდათან ახლოვდებოდა. სატუსაღო ოთახი კვამლით აივსო.

მეგობრები თითქოს ბურანში იყვნენ წასულნი. იმ წუთში მათი ფიქრებიც თითქო ცეცხლის ალით იყო შემოზღუდული, ხოლო შორეული, ძლიერ მოკლე, მგრძნობიერი მოგონებები ხანგამოშვებით ჩხვლეტდნენ გულს: სამშობლო ქვეყანა, საყვარელი ადამიანები, ნათელი ცა და ბოლოს ცეცხლში გამომწვარი სიცოცხლე მათი...

— ხომ გახსოვს, გოგი, ვამბობდით წუხელ: „უფრო ძნელია სიკვდილს შეეგებო და ცოცხალი დაბრუნდე“, — შესძახა ტიხონმა.

— ძნელია, ტიხონ. ეგ არ იქნება. ეჰ, სული მეხუთება. კვამლი, კვამლი! ნეტავი გათავდეს ბარემ! — ერთხელ კიდევ შეავლო თვალი სულ ახლოს მისულ ცეცხლის ალს, რომლის მცხუნვარება უკვე სახესა და სხეულს სწვამდა. უეცრად ზეზე წამოდგა:

— ტიხონ! წამოდეგ ზეზე! ცეცხლი მოვიდა. მოდი, მომეკარი. ჩვენ თვითონ შევიდეთ, ძმაო.

— ახლა დაჭრილი აღარა ვარ, გოგი! — დაიძახა უკვე ფეხზე წამომდგარმა ტიხონმა და გოგის მიეკრა. — მე ჯანსაღი წითელარმიელი ვარ. შევიდეთ

შიგ, ერთმანეთზე მაგრა მიკრულნი. ერთის მხრივ მაინც დავიცავთ ერთმანეთს. ვეცადოთ ცეცხლიდან გავიტანოთ სხეული და იქ, ჰაერზე მაინც დავიწვათ.

— ფერფლი იპოვონ! — შესძახა გოგიმ და მთელი ძალღონით ცეცხლში გადაეშვა. მათ გონებაში მხოლოდ ერთი აზრი იყო ჩაჭედილი: „გარეთ გავიდეთ". და მთელი თავიანთი ნებისყოფა, უკანასკნელი ამოსუნთქვის შესაძლებლობა მხოლოდ ამ ერთად-ერთ სურვილს დაუმორჩილეს.

5.

ცეცხლმოდებულ სახლისაკენ გაქცეულმა შულცმა უეცრად დაუჯერებელი სურათი დაინახა: შიგ ცეცხლიდან ერთი ვეებერთელა ჩირაღდანი გამოიზარდა და იქვე ეზოში მიწას დაეცა.

ამ დროს შულცს მოესმა თითქოს ამ წაქცეული ჩირაღდნის სიტყვები: „გავგორდეთ სილაში, ტიხონ!" და შულცი სულმოუთქმელად გაეშურა იქითკენ.

შულცს უკან, ცოტა მოშორებით, ვილაც მისდევდა. ჩაცმულობა უმტკიცებდა, რომ ის ადგილობრივი მცხოვრები იყო...

ერთი კი შეხედა შულცმა თანამგზავრს და გერმანულად შესძახა:

— იჩქარე, ალბათ, ისინი არიან, ცეცხლში იწვიან.

შულცმა შენიშნა კიდეც, ის ერთი ვეებერთელა ჩირაღდანი როგორ გადაგორდა სილაში და თითქმის ჩაქრა.

განთიადის მოახლოებისაგან გაფერმკრთალებულ ღამეს ბრაზიანად, თანაც უდიდესი ხმაურით არღვევდა ყუმბარებისა და ჭურვების ცეცხლი.

ადამიანის ნასახიც კი არსად მოსჩანდა. ციდან გაუთავებელი გუგუნი ისმოდა.

სულ ახლოს ისმოდა სროლა და ადამიანთა საშინელი შეძახილი და გმინვა.

სჩანდა, წითლები თავს დაესხნენ ფაშისტებს და მათი შეტევის გეგმა ფერფლად აქციეს.

შულცმა ჩამქრალ ჩირაღდანს მიაღწია. ახლოს მიიჭრა, თვალი დააცეცა, მაგრამ იქ, იმ ვეებერთელა ჩირაღდნის მაგიერ, ორი ადამიანის უძრავი, მოშავო სხეული ეგდო.

შულცი ჯერ ერთს, შემდეგ მეორეს შეეხო ხელით. შემდეგ მიმოარხია:

— ძმებო, მეგობრებო, ამხანაგებო, სადა ხართ? — ჩასძახა შულცმა უძრავ სხეულებს, თითქოს ეკითხებოდა: მოკვდით თუ ცოცხლები დარჩითო.

მაგრამ შულცს ამის საპასუხოდ მხოლოდ რაღაც საშიში ქშენა მოესმა, საბერვლის სუნთქვის მაგვარი.

შულცს ამხანაგიც მივიდა.

ცოტა ხნის შემდეგ შულცს ნაცნობი, გაგრძელებულად წარმოთქმული სიტყვები მოესმა:

— შენ შულცი ხარ?.. ჩვენი საქმე კარგად ყოფილა...

გოგის ხმა იყო.

— მეგობრებო, ძმებო, როგორა ხართ? — უდიდესი აღგზნებით, სიყვარულითა და გულის ფანცქალით ჩასძახა შულცმა მეგობრებს და მათ წინაშე მუხლზე დაეცა...

ამ დროს შულცს მეორე, უძრავი სხეულის, თითქოს მიწიდან ამოძახილი სიტყვები მოესმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეც ცოცხალი ვარ...

ახლა შულცის მეგობარიც კი ახმაურდა, სიხარულით ტაში შემოჰკრა და მიწაზე გართხმულ, ცეცხლის ალით გარუჯულ ძმებს გრძნობით მიაძახა:

— იცოცხლეთ, ძმებო!

ტიხონს და გოგის ტანზე შემომწვარი ტანსაცმელის ნაფლეთები შემოაცალეს. თავიანთი ხალათები მოახვიეს მრავალგან დამწვარ, ტიტველ სხეულზე და სწრაფად მახლობელ ბუჩქებში ჩამალეს... ცოტაოდენი ლოდინის შემდეგ მათ მოახლოვებული, ხიშტმომარჯვებული წითელარმიელები შენიშნეს და მათ შესძახეს:

— ძმებო, აქეთ, ძმებო!

ორმა წითელარმიელმა შენიშნა ისინი. მიირბინეს და ერთმანეთს რაღაც უთხრეს. აიყვანეს დაჭრილები და იქვე დაშვებულ წითელი ჯვრის თვითმფრინავს გადასცეს. წითელარმიელებმა განაგრძეს წინსვლა. ხოლო დაჭრილების თვითმფრინავი ჰაერში აფრინდა.

მზვერავები ენით გამოუთქმელი სიყვარულით უცქეროდნენ ერთმანეთს და იღიმებოდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ ფვერავა

მოხუცის გმირობა

მოხუცმა თედორემ ყველაზე ბოლოს დასტოვა სახლი. მზის შუქით განათებულ აივნიდან სახლს ირგვლივ შემოუარა. ლაფაროში დაგდებული ფიწალი კედელს მიაყუდა და ხეხილის ბაღს გახედა, მაგრამ მწიფე მსხლებსა და ვაშლებს თვალი ვერ გაუსწორა. გულმოკლული ეზოდან გავიდა.

სოფელი საიალაღოდ გაშლილ ცხვრის ფარას ჰგავდა. აყრილი მოსახლენი ტყისკენ მიეშურებოდნენ. თედორეს ჯალაბი ალვისხის საფარს ჩასცილებოდა. პატარა ნიკიტა ძროხებს მიერეკებოდა, მალი-მალ ბაბუას მიუბრუნდებოდა ხოლმე. მაგრამ თედორე უცებ შედგა, თვალი მოავლო მიდამოს, დიდხანს უყურა პურის ყანებს, ხეხილის ბაღებს, მოშრიალე ალვისხეებს და დაკლაკნილ მდინარეს.

— ჩემს ნაოფლარს სისხლად შევარგებ მტერს! — წამოიძახა თედორემ და მჯიღი მაგრა დაირტყა მკერდზე. შემდეგ სწრაფად შეტრიალდა და კვლავ სახლს მიაშურა. ხის ქვეშ ჩამოჯდა.

ირგვლივ ჩქამიც არ ისმოდა.

„ტყუილად ხომ არ გაიხიზნენ ტყეში? მტერი რომ არსად სჩანს. სულ ასე იქნებოდეს ნეტავ“, — ფიქრობდა თედორე.

საღამოჟამს თედორემ თივის ზვინში ბუნაგი გაიკეთა და შიგ შეძვრა. მხოლოდ გათენებისას მოესმა დეზების ჩხარუნი. თედორემ სული განაბა. ნაბიჯს ნაბიჯი მოემატა, დეზებს — დეზები. მოხუცს უცხო სიტყვები ჩაეწვეთა ყურში. მოვიდნენ სულძაღლებიო, — გაიფიქრა თედორემ.

წითური სახის გერმანელმა ოფიცერმა აფთარივით დაურბინა ეზოს. მიდამოები მგელივით მოუნოსა. მერე სახლის კარები შეამტვრია. შიგ ჯარისკაცები შეცვივდნენ. თვითონ გარეთ დარჩა. მზისგან დამწვარ სახეზე ოფლი მოიწმინდა. მზე ცეცხლივით წაჰკიდებოდა ყველაფერს. თედორეს თივაში სული ეხუთებოდა, მაგრამ თავის გარეთ გამოყოფას ვერ ბედავდა.

* * *

ეზო ტანკებით და მანქანებით აივსო. მოტოციკლები გზის პირად ჩაამწკრივეს. პოლკის შტაბი თედორეს ოთახში მოთავსდა. ჯმუხა სახის პოლკოვნიკს არ ესიამოვნა, როცა თვალი აფეთქებულ და აყირავებულ ხიდს მოჰკრა.

თედორეს ამ წუთებში პირველი მსოფლიო ომი გაახსენდა. გერმანელებმა ტყვედ წაიყვანეს. სამს წელს მზე არ უნახავს. მაღაროს ჭერი იყო მისი მზე და მისი ცა. გერმანულიც ისწავლა. ეს წინად მოხდა. მას შემდეგ თედორე ოჯახს მოეკიდა. შვილები და შვილისშვილები დაესია. ნაჯაფი გული იმედებით

აევსო, მაგრამ დღეს... არა უშავს-რა, — თედორე გულმაგრად არის, მტერს არ გაექცევა. აკი ამისთვის დაბრუნდა. დალამდეს ნეტავი: ახლოს მივა, კედელთან და ყველაფერს მოისმენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვდიადი სუდარასავით გადაეფარა მიდამოს. მოხუცმა თავი გამოჰყო ზვინიდან. ირგვლივ მიმოიხედა. მცველები შორს იდგნენ.

— მზის ამოსვლისას ცეცხლი წაუკიდეთ სოფელს! — მოესმა სახლიდან. — პური გაიტაცეს, პირუტყვი გარეკეს, ხიდი ააფეთქეს. დილისთვის ერთის მაგიერ სამი ხიდი ააგეთ. ლეიტენანტ ადოლფ განც! წინადადებას გაძლევთ, დაუყოვნებლივ დაადევნოთ მოტოციკლთა რაზმი გაქცეულ მოსახლეებს. აკეპეთ, აჩეხეთ! შედეგი მომახსენეთ!

მოხუცს სისხლი თვალებში მოაწვა. მთელი სხეული აუკანკალდა. უცებ ფეხის ხმა მოესმა. ჯარისკაცი იყო. მან ზვინს ხელი მოხვია, მაგრამ წუთიც და გერმანელს ურჩხულივით რაღაც შემოეჭდო ყელზე. ლომად ქცეულმა თედორემ უხმოდ მოგუდა ჯარისკაცი. მერე ფრთხილად ტანისამოსი გახადა, თვითონ ჩაიცვა, მკვდარი სახლს უკან მიაგდო და სიბნელეში მდინარისკენ გაეშურა. მეორე ნაპირას გერმანელი ჯარისკაცის ტანისამოსი გაიხადა და ბუჩქში შემალა.

შემდეგ გაეშურა იმ ტყისაკენ, სადაც სოფლელები და მათთან ერთად თავისიანები ეგულებოდა.

*
* *

ის იყო ტყეში შევიდა, რომ ხმა მოესმა. სწრაფად ხშირ ბუჩქებში მიიმალა. იქიდან დაინახა, რომ გერმანელ მზვერავს მისი შვილისშვილი ნიკიტა მოჰყავდა. ბავშვი გვერდზე იწევდა. მზვერავი ძალით მიათრევდა და რაღაცას ეკითხებოდა. მაგრამ ნიკიტას მისი არა ესმოდა-რა. მოხუცმა ხელდახელ შებმა გადასწყვიტა, მაგრამ თავი შეიკავა: ხუთი მზვერავი უკან მისდევდა მათ.

კარგად რომ დაშორდნენ, თედორემ ჭაბუკივით მოკურცხლა. მეორე ტყეში წითელარმიელმა მზვერავებმა ათასეულის მეთაურს მაიორ ევგენი წიკლაურს წარუდგინეს აღელვებული მოხუცი. თედორე მაიორმა დაამშვიდა. მერე ამბავი გამოჰკითხა.

— ბაბუა, დაწყნარდი, ხვალ დილით თქვენს სახლში იქნებით, შვილისშვილიც ცოცხალი გეყოლება!

— შვილებო, იჩქარეთ, არ დააყოვნოთ!

მაიორს გაეღიმა. მერე ლეიტენანტ ხინჩუკს მზვერავი ოცეული გამოუყო.

— მეც წავყვები, შვილო.

— თქვენ აქ მოისვენეთ.

— რა მომასვენებს, შვილო, გამიშვით!

ერთი საათის შემდეგ ლეიტენანტმა ხინჩუკმა მაიორს მოახსენა:

— მოხუცის ნაამბობი დადასტურდა. მტრის პოლკი მდინარეზედ არის მომდგარი. ხიდები მზადა აქვს.

— მოხუცი სად არის?

— იქ დარჩენა ითხოვა. სამი ხელყუმბარა დავუტოვეთ. ძალიან შეგვეხვეწა, უიარაღოდ ნუ დამტოვებთო. ყუმბარის მოხმარება კოლმეურნეობაში უსწავლებიათ.

*
* *

ეროვნული ბიბლიოთეკა

თედორემ ბუჩქში მიმალული ტანისამოსი მონახა, ჩაიცვა, ... და-იხურა, მუცელზე ხოხვით ზვინთან მივიდა და კვლავ შეიმალა შიგ. შტაბიდან პოლკოვნიკის ყვირილი მოესმა. ვიღაც დამტვრეული რუსულით ნიკიტას ელაპარაკებოდა. ნიკიტა ყველაფერზე არას და არ ვიცის ამბობდა. უცებ საშინელი ტკაცანი გაისმა, — ოფიცერმა სილა გააწნა ნიკიტას. თედორემ ლოყაზე იტაცა ხელი, თითქოს მას შემოჰკრესო. წაქცეული ნიკიტა ზეზე წამოაყენეს. კიდევ გაისმა ტკაცანი. ყრუ კვნესა და ძახილი მოესმა თედორეს: „ბაბუ, ჩემო ბაბუ, მიშველე!“

— ჩამოჰკიდეთ ხეზე! — წამოიყვირა გაცოფებულმა პოლკოვნიკმა.

გონებადაკარგულ თედორეს ნიკიტას ტირილი და კარის ჭრიალი ერთად ჩასწვდა ყურში. მოხუცი კედელს გაჰყვა. აივნის ახლოს ჩაიკეცა. დაპატარავდა. ყუმბარა ხელში ეჭირა, — ბავშვივით ჩაიხუტა მკერდში. ორი ლანდი სინათლის შუქზე აივანს გასცდა. თედორე წელში გაიმართა და სამივე ყუმბარა ზედიზედ შეაგდო შტაბში. ვიღაცამ გარეთ რევოლვერი გაისროლა. ყუმბარების გრიალში, რევოლვერის გასროლის შემდეგ, კვნესა მოისმა. თედორემ ვერ გამოარკვია, ბავშვის ხმა იყო იგი თუ მოზრდილის.

მოხუცის მიერ გადასროლილი ყუმბარების გასკდომა თითქოს ბრძოლის დაწყების ნიშანი იყოო, — საბჭოთა ყუმბარმშენები თავზე მოეტეხნენ გერმანელთა პოლკს. ქვემეხების გრუხუნმა დედამიწა შეაზანზარა.

თედორემ მხოლოდ ჰაერში ავარდნილი ცეცხლის ალის დანახვა მოასწრო. მერე თვითონაც ალარ ახსოვდა, როგორ გაიქცა მდინარისკენ და როგორ ჩაიმალა ფხვიერ სილაში. გათენებისას, როცა ბრძოლის ხმა მიწყდა, ნიკიტას ჯავრით დადარდიანებული მოხუცი ზეზე წამოდგა. თავის კარმიდამოს გახედა და აღელვებულმა წამოიძახა:

— ნიკიტა, ნიკიტა, სადა ხარ, ბიჭო?

მოხუცის ძახილი მდინარის შხუილს შეუერთდა. თედორე ფერფლად ქცეულ სახლის წინ გაჩერდა და დიდხანს დაჰყურებდა გულგანგმირულ ნიკიტას.

თითქოს ძარღვებში სისხლი გაეყინაო, გაშეშებული იდგა ერთ ადგილას. ბოლოს, როცა ტყეში გახიზნულნი დაბრუნდნენ და თმაგაწეწილი დედა ულოინოდ დაემხო ნიკიტას გაცივებულ გვამს, თედორემ ძალა მოიკრიბა და რძალი ზეზე წამოაყენა.

— ჩემო რძალო, ნიკიტა ალარა გყავს, მაგრამ გახედე ბრძოლის ველს, ჩვენს შვილებს ნიკიტას სანაცვლოდ შური უძიებიათ მტრებზე. — მაიორი წიკლაური გაბრწყინვებული თვალებით შეჰყურებდა მამაც მოხუცს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კ. ოსიპოვი

დივიზიის უფროსი კიკვიძე

მას „ქართველ ჩაპაევს“ ეძახდნენ. მასების გულიდან მოხეთქილი, კოლექტიური გონებით შეთხზული სახელები თითქმის ყოველთვის მოხდენილია. მაგრამ ეს განსაკუთრებით მოსწრებულია: კიკვიძე და ჩაპაევი ერთი ყაიდის ადამიანები არიან, ორივეს ახასიათებს ერთნაირი მგზნებარე ტემპერამენტი, ერთნაირი უნარი დივიზიის ერთი წადილით აღფრთოვანებისა, მისი გაძღოლისა გაჭირვებისა და საფრთხის შესახვედრად, ყოველი მებრძოლის გამსჭვალვისა გამარჯვების ურყევი ნებისყოფით...

ყოველწლიურად უფრო და უფრო გვშორდება და წარსულში იძირება სამოქალაქო ომი თავისი გმირობით, თავისი გოლიათური ძალღონის დაძაბვით. უკვე მთელი თაობა გამოიზარდა, რომელიც სამოქალაქო ომს მხოლოდ სხვისი ნაამბობით იცნობს და მის მიერ წამოყენებულ მძლეთა-მძლე ადამიანებს განვლილი წლების კვამლსა და ნისლში გახვეულთ თუ წარმოიდგენს.

მეხსიერებასა და წარმოსახვას მხურვალედ სწყურია ამ ადამიანებს დაეწაფოს, ისინი გაიცნოს. ბავშვთა თამაშობაში, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში, წითელარმიელთა კლუბებში, მთავრობის ტრიბუნებიდან ამაყად გაისმის ჩაპაევის, შჩორსის, ლაზოს სახელები. მათი უკვდავი სახელები აღბეჭდილია წიგნებში, მუსიკაში, ბრინჯაოსა და ქვაზე.

კიკვიძეც საბჭოთა ხალხის გმირთა ამ სახელოვან პლეადას ეკუთვნის.

I

ქვემეხის ოთხთვალას ბორბლებისაგან გზაზე დაყენებული მტვერი ნელ-ნელა ეფინებოდა დამჭკნარ ბუჩქებს გზის ნაპირებზე. წყნარ ჰაერში არტემიზიის ცხარე სუნი იდგა. შეშფოთებული ჭილყვავები სადღაც მიეშურებოდნენ. მოისმოდა ღალღას ხმა.

ამ დროს ადამიანს სწადია გულღმა წამოწოლა, ხელების თავქვეშ ამოდება, ფრინველთა ხმაურის, ხეების შრიალისა და ცხენების აუჩქარებელი თქარათქურის მოსმენა. ქვემეხების გრიალი, სულ ახლოდან რომ მოისმოდა, საღამოს სიწყნარეში ინთქმებოდა და ავის მომასწავებელ მნიშვნელობას ჰკარგავდა.

ფორნებით, ორთვალებითა და კვამლიანი სალაშქრო სამზარეულოებით ჩახერგილ-გადათხრილი გზის გასწვრივ, გათელილ ბალახზე სწრაფად მიაბიჯებდა ორი ადამიანი. ერთი გამხდარი სახისა იყო, საშუალო სიმაღლისა, ვიწრო წელიანი და განიერ მხარ-ბეჭიანი. ცხელი, შეხუთული საღამო იყო, მაგრამ მას მაინც მხარზე ნაბადი ესხა და შავი ფაფახი ეხურა. ქამარში მაუ-

ზერი გაერჭო, ძვირფას ქარქაშმოვერცხლილი მოღუნული ხმალი გვერდზე ეკიდა. ეს იყო წითელარმიელთა დივიზიის უფროსი ვასილ კიკვიძე. მეორე, ჩაფსკვნილი კაცი, შავი სქელი წვერითა და შავი ულვაშებით, მისი თანაშემწე სამუილ მედვედოვსკი იყო.

— თორმეტ ივნისს,—ეუბნებოდა კიკვიძე, — ოთხი ათასი კაცით ალექსიკოვოს შევუტევთ... ცუდი დღე დაადგება კაზაკებს. შენ, სამუილ, თვალყური ადევნე, რომ დილისათვის ყოველმხრივ მზად ვიყოთ. ვარგისი ჯავშნოსანი რამდენი გვაქვს?

— ოთხი, ვასილ ისიდორიჩ. და ორიც ჯავშნიანი სწრაფმავალი.

— საწვავის საქმე როგორღაა?

— ბენზინი ცოტა გვაქვს.

— უბრძანე ბენზინი სპირტში აურიონ. ყოველ წვეთს უნდა გავუფრთხილდეთ.

ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ.

— ამხანაგო კიკვიძე, — დაიწყო მედვედოვსკიმ, — ცნობა მოვიდა, რომ კრასნოვს უნდა ცარიცინს ჩრდილოეთიდან დაეცეს, მაშასადამე, ჩვენ დაგვატყდება თავს... მთელი დივიზიის ფრონტზე თავდასაცავი პოზიციები უნდა მოვამზადოთ.

კიკვიძემ თავი გაიქნია.

— ჩვენი დივიზიის ძალები არ იკმარებენ იმისთვის, რომ ოცდათხუთმეტ ვერსზე მთლიანი ფრონტი დავიკავოთ. მოხერხებულად უნდა გავანაწილოთ ბიჭები სანგრებში ჯაჭვისებურად. კაზაკები ყოველ პუნქტში შემოიჭრებიან, ჩვენს ზურგში შემოვლენ, იქ კი გაეთხრებათ სამარე. შენ, ალბათ, გერმანული სისტემა გაგახსენდა. მაშინ პოზიციას ხაზისებურად ამაგრებდნენ. მაგრამ საამისოდ უდიდესი საშუალებებია საჭირო. ჩვენ მაგისი თავი არა გვაქვს...

— მაშ როგორ მოვიქცეთ?

— უფრო თანამედროვე სისტემა უნდა ავირჩიოთ. უნდა მოვაწყოთ საწინააღმდეგო კვანძები. ამაზე მეთაურებს საფუძვლიანად მოველაპარაკებით. — კიკვიძე შედგა, მიმოიხედა. —წადი, მე კი ფარულ საგუშაგოებს ჩამოვუვლი.

მაგრამ მედვედოვსკი არ მიდიოდა. ულვაშებზე ხელი გადისვა და ზედმეტი თავაზიანობით წარმოსთქვა:

— იქნებ თქვენთვის უმჯობესი ყოფილიყო, ამხანაგო დივიზიის უფროსო, მოგესვენათ? მგონი, ორი ღამეა არ გიძინიათ...

— სამი, — გაიღიმა კიკვიძემ, — ალექსიკოვოში გამოვიძინებ.

— მაინც... თუნდაც ერთი საათით რომ დაისვენებდეთ, — არ ეშვებოდა მედვედოვსკი,—ფარულ საგუშაგოებს მე თავათ შევამოწმებ ან ჩაიკოვსკის გავგზავნი, შენ კი კარავში შედი და თვალი მოატყუე.

— აი მაცთური... ჩამცივებია, თითქოს მისი შეყვარებული ვიყო! კარგი, რაკი ფარული საგუშაგოების შემოწმებას კისრულობ, ერთ საათს წამოვწვები. ოღონდ კარავში არა, — აი აქვე, ბალახზე. ნახე, რა ვარსკვლავები ამობრწყინდნენ... არც კი მახსოვს, როდის ვუცქეროდი ასეთ ვარსკვლავებს...

— ჰო-და, აჰა, დაისვენე, ვარსკვლავები დასთვალე... — მედვედოვსკი გაბარებული იყო. შემდეგ ოფიციალურ კილოზე ალაპარაკდა: — რას მიბრძანებთ, ამხანაგო დივიზიის უფროსო?

— შეჰკრიბე ნაწილის მეთაურები. დღეს, ღამის თორმეტ საათზე. გააცნობ ალექსიკოვოზე შეტევის გეგმას, მე რომ გადმოგეცი. ჯერ-ჯერობით ეს არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მესმის! — მედვედოვსკი შებრუნდა და ოდნავი ბაჯბაჯით წავიდა.

ჩაფსკვნილს, ერთგვარი ბრგე შესახედაობის მედვედოვსკის კიკვიძე სიყვარულის გამომხატველი თვალებით მიაცილებდა: „დიდებული მებრძოლი და კარგი ამხანაგია“. თვითონაც გზიდან გადაუხვია, სიამოვნებით ჰქელავდა ჩექმებით ოდნავ დაცვარულ ბალახს. შემდეგ ნაბადი გაშალა და წამოწვა...

მოლურჯო-ლეგა ცაზე მიმქრალი მთვარე ეკიდა. დასავლეთით ჯერ კიდევ დაისის მკრთალი სიწითლე ბჟუტავდა. მის შუქზე ყველაფერი უჩვეულოდ მოსჩანდა, რცხილებისა და ნეკერჩხლების თათისებრი გვირგვინები მახლობელ ჭალაში ურჩხულების მოჩვენებანი გეგონებოდათ.

შორიდან მებრძოლთა სიცილი მოისმა. კიკვიძემ გაიფიქრა, რომ ამ მხიარულ, უბრალო და მისთვის ესოდენ ძვირფას ადამიანებიდან მრავალი ხვალინდელ ბრძოლაში დაიღუპება. იგი მკვირცხლად წამოხტა და იქითკენ წავიდა, საიდანაც ხმაური მოისმოდა. „საცაა შუალამე დადგება. მეთაურებთან უნდა მოვითათბირო. მანამდე კი მცირე ხანს მაინც უნდა დავჰყო მებრძოლთა შორის“.

II

პატარა ხუჭუჭა ჭალის პირას, ერთ-ერთ კოცონს წითელარმიელთა ჯგუფი შემოსხდომოდა. ცეცხლზე ორი სარი გადაეჯვარედინებინათ და ზედ კარგა მოზრდილი გაჭვარტლული კარდალი ჩამოეკიდნათ.

წითელარმიელნი ჩაფიქრებულნი ეწეოდნენ თამბაქოს, თანაც ცეცხლში აფურთხებდნენ.

— რაღა გვიჭირს... — ხმადაბლა ჩაილაპარაკა ერთმა მათგანმა, მაგრა მოსწია თამბაქო და თან დააყოლა: — მალე ილიაობა [1]) იქნება. ამ დღეს სადილობამდე ზაფხულია, ნასადილევს — შემოდგომა.

— საიდან იცი, ანტონ, ამდენი მამაპაპური სიბრძნე? — გაისმა ახალგაზრდული დამცინავი ხმა. — წვერი, მგონი, წითური გაქვს, არ გაგთეთრებია, ყველაფერზე კი მოხუცივით მსჯელობ.

— წითური კი არა, მოყვითალო-მოთეთრო წვერები აქვს, აი ჩვენი გრაფის ჭაკი ცხენის ფერისა, — ჩამოართვა სიტყვა მეორემ.

ირგვლივ გადიხარხარეს.

— არა, — უცბად სთქვა ვიღაცამ ბოხი ხმით, — ეს ჩვენშიც იციან, რიაზანის მიდამოებში: ილიაობამდე გლეხი ბანაობს, ილიაობის შემდეგ კი მდინარეს ეთხოვება. მაშასადამე, ამინდი გამოიცვლება.

---

[1]) ილიაობა— 20 ივლისი (ძველი სტილით).

— ოჰო, შენც ამაზე ფიქრობდი, — მიუგო დამცინავმა ყმაწვილმა. — წმინდანებით და მკითხავებით ჩვენ ბედს ვერ ვპოვებთ.

— ბედის ძებნა წყლის ნაყვაა, — სთქვა ანტონმა, — შენ, ალიოშა, კარგი, წესიერი კაცი ხარ, ბრძოლაშიც შიში არ იცი, ოღონდ საკუთარ თავზე ფიქრობ ბევრს. მართალს ამბობენ მოხუცნი: ფშუტე თავთავი უფრო მაღალია.

კვლავ გაისმა ხარხარი.

— ყოჩაღად მოუჭრა....

ანტონმა გულკეთილად ხელი ჩაიქნია.

სიჩუმე ჩამოვარდა. მაღალმა, დიდულვაშიანმა წითელარმიელმა მსხვილი ტოტი მუხლზე გადატეხა და ცეცხლში შეაგდო. კვამლიანი ალი მაღლა ავარდა და ირგვლივ მსხდომნი უცნაურად გაანათა.

ზარბაზნების სროლის ხმა უფრო კარგად ისმოდა. ტყვიამფრქვევების კაკანმა მკაფიოდ მოატანა.

— მგონი, ჩვენებს აწვებიან, — შენიშნა მაღალმა წითელარმიელმა და ცეცხლზე წყლიანი კარდალი შემოდგა, — ალბათ, მალე დაგვძრავენ.

— როცა საჭირო იქნება, დაგვძრავენ... მანამ კი იჯექ და ჩაი მიირთვი.

— ჩაიო... უკვე წელიწადია ჩაი არ დამილევია. ჟოლო და ბალახ-ბულახი გავახმე — აი მთელი ჩაი. შაქრის ნაცვლად დღეში ორი ნატეხი შაქარყინული...

— სამაგიეროდ ბურჟუები ტკბილსა სვამენ. შენც პანღური ამოჰკარ და მთელი შაქარი წამოიღე...

— პანღურიო... არც ისე ადვილია. ბურჟუა მაგარია.

— მაგარია, მაგრამ ჩვენ უფრო მაგრები ვართ, — ჩაერია ანტონი. — მეთაურიც ჭკვიანი გვყავს. რას გახდება კრასნოვი მის წინააღმდეგ? გაიგონე, როგორ გააცურა გერმანელი?

ანტონმა სათუთუნიდან ფრთხილად გადმოყარა გაზეთის ნაგლეჯზე წეკო, ყოველ ნამცეცს გულმოდგინედ მოუყარა თავი, ქაღალდის ჩიბუხი გააკეთა და შიგ ჩაჰყარა.

მებრძოლებმა ახლოს მიიწიეს.

— გმირულად ვიბრძოდით, მაგრამ თვენახევრის წინათ მაინც იძულებული გავხდით უკრაინა გერმანელებისათვის მიგვეცა. ჩვენზე დიდი ხმები დადიოდა: მოსკოვშიაც კი ალაპარაკდნენ. გვიბრძანეს, ტამბოვს ჩავსულიყავით ახალი ნაწილების შესადგენად. მაგრამ უცბად დაბრკოლებას წავაწყდით: საბჭოთა საზღვრებთან გერმანელთა რაზმები დგანან და ყველას იარაღს ართმევენო. რაზმი კი არა, კურდღელიც ვერ გაძვრებაო. ვასილ ისიდორიჩმა მაინც გამონახა გასაძრომი... — ანტონმა ცბიერი ღიმილით მიმოიხედა: — მისი განკარგულებით ყველა ვაგონზე წითელი ჯვარი გამოვსახეთ, ხარახურას კარბოლის მჟავა მოვასხით, იარაღი კარგად მივმალეთ, ყველგან წამლის შუშები დავამწკრივეთ. მებრძოლები მერხებზე წამოწვნენ, თავები ბანდით შეიხვიეს. ვასილ ისიდორიჩმაც შეიხვია. მოვიდნენ გერმანელი ლეი-

ტენანტები — და ელდა ეცათ: ყველანი ბოდავენ, კვნესიან, შფოთავენ. ასეა ყველა ვაგონში. „გუტ, — ამბობენ გერმანელები, — ესე იგი კარგი, დაე, ტიფიანები და ხეიბრები საბჭოთა ქვეყანაში წავიდნენო“, და დაუბრკოლებლად გაგვიშვეს.

— როგორ გაუცურებია, — აღტაცებით წამოიძახა ულვაშიანმა, — აი როგორ მოახერხა ვასილ ისიდორიჩმა!

— გამბედაობა გამარჯვების დედაა, — ჩაილაპარაკა ანტონმა, მადიანად დაამთქნარა, პირი მოიღრიცა და პერანგის გახდა დაიწყო. — ერთი გავასუფთაო.

უკანიდან ფიჩხის მსუბუქი ტკაცანი მოისმა. ყველა შეკრთა, საუბარი შესწყვიტეს.

ბუჩქებიდან ფართო ნაბდიანი ნაცნობი კაცი გამოვიდა.

— ამხანაგებო!

ეს სიტყვა ხმადაბლა წარმოითქვა, მაგრამ იმიტომ, რომ ადამიანებს ნერვები დაძაბული ჰქონდათ, თუ იმიტომ, რომ მოსულის ხმაში და მთელს გარეგნობაში თავშეკავებული აღგზნება იგრძნობოდა, ამ ნაცნობი სიტყვის გაგონებაზე ყველა შეკრთა.

— რას დაჩუმდით? განაგრძეთ!

— ვიმასლაათეთ და კმარა, ვასილ ისიდორიჩ, — მიუგო ანტონმა და პერანგი სწრაფად გადაიცვა. — აი მინდოდა მკბენარი მომეხილა. რომ მომკლან, სველ მიწაში დამხრამენ ის შეჩვენებულები.

კიკვიძემ გულიანად გაიცინა.

— ოი, ანტონ სტეფანიჩ! მხარი როგორა გაქვს — მოგირჩა? შენი ფეხი რაღასა იქს, ლიოშა, აღარ გეკრუნჩხება?

— თითქოს აღარ, ვასილ ისიდორიჩ. თქვენი მალამო მოუხდა.

— საუცხოო მალამოა... მართლა, ლამენცევი სადღაა? — იკითხა კიკვიძემ. — მე ხომ ვუბრძანე, მივლინებიდან დაბრუნებისთანავე გამომცხადებოდა.

პასუხი არავინ გასცა. კიკვიძე მდუმარედ აკვირდებოდა მოღუშულ სახეებს.

— მაშ კა-არგი... — გააგრძელა მან. — მაშასადამე, ბრძოლა მოათავა, არა?.. — თავი მიიბრუნა და წამოიძახა: — ჩაიკოვსკი! ჩასწერე ბრძანებაში: „მივლინებში წასული ფერშალი ლამენცევი უკან აღარ დაბრუნებულა. ჩაითვალოს გაქცეულად, ამოირიცხოს სიიდან და მოიხსნას ყოველგვარი კმაყოფიდან“.

მძიმე სიჩუმე ჩამოწვა.

— სხვისი ჭირი ღობეს ჩხირი! — სთქვა კიკვიძემ და მის დაბალ ხმაში მწვავე კილო გაისმა. — ასე სჯობია: წმინდა საქმეს ჭუჭყიანი ხელი არ უნდა შეეხოს. მესამე ბატალიონი კი ისევ ისე საუკეთესო იქნება პოლკში, როგორც აქამდე. დავამტკიცებთ ამას. ხომ სწორია, ამხანაგებო?..

მან ფართოდ, მეგობრულად გაიღიმა და მებრძოლებით გარშემორტყმული მსუბუქი, რბილი ნაბიჯით გაემართა წინ. გზა და გზა მებრძოლებს მიმართავდა, ეხუმრებოდა და განკარგულებას იძლეოდა.

*
* *

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიკვიძე ოცდაოთხი წლის კაცი იყო, მაგრამ უკვე იმდენი ტანჯვა გადაეტანა, რომ ადამიანს მთელ სიცოცხლეში ეყოფოდა.

იგი ქართულ ოჯახში დაიბადა ქალაქ ქუთაისს. მამა წვრილი მოხელე იყო. სამსახურიდან დაღლილი რომ დაბრუნდებოდა, ცდილობდა სადმე ჩრდილში მიწოლილიყო და მოესვენა. დედა დღედაღამ ოჯახში ფუსფუსებდა.

საკუთარი თავის ამარად მიტოვებული ბიჭი ტყეში დარბოდა — კენკრას ჰკრეფდა, ან გველებს ქვებით მოსაკლავად დასდევდა, ან კიდევ მთის მდინარის ცივ წყალში ბანაობდა. მაგრამ ყველაზე საინტერესო ჯარისკაცობიას ან ყაჩაღობიას თამაში იყო. ბავშვებს ყაჩაღები წარმოდგენილი ჰყავდათ კეთილშობილ, მამაც ადამიანებად, რომლებიც ბოროტი უფროსების წინააღმდეგ ამბოხებულან. ეს პატარა ვასოს ნამდვილი სტიქია იყო — უფროსი ბიჭებიც კი ვერ ეცილებოდნენ წინამძღოლის როლში.

შემდეგ — გიმნაზია იმავე ქუთაისში. ვასო კიკვიძეს ჯერ კიდევ გიმნაზიელის ქუდი ეხურა, როდესაც სტუდენტთა შორის პროპაგანდა და რევოლუციური პროკლამაციების გავრცელება დაიწყო. მცირე ხნის შემდეგ მოხდა პირველი ჩხრეკა, მერე — მეორე. იგი მერვე კლასიდან გარიცხეს „თვითშპყრობელობის წინააღმდეგ აგიტაციისათვის“ მგლის ბილეთით. არც ერთი სასწავლებელი ასეთ ბილეთიანს ახლოს არ გაიკარებს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ქუჩებში მანიფესტაციები იმართება, იმპერატორისა და მისი ცოლის პორტრეტებს დაატარებენ. ომია. ვასილს ჯარში იწვევენ და ცხენოსან პოლკში ჰგზავნიან. მებრძოლს მებრძოლზე იკრებს იქ ვასილი მომავალი კლასობრივი შეტაკებებისათვის. მას თვალყურს ადევნებენ, მიაკვლევენ და საპყრობილეში ჩასვამენ. სამხედრო სასამართლოს უნდა წარუდგეს. კიკვიძეს კატორგა და იქნებ დახვრეტაც მოელის.

ბედი მოულოდნელად შეტრიალდა: ცარიზმი დაეცა, საპყრობილეების კარები ფართოდ გაიღო პოლიტიკური პატიმრებისათვის. ისინი თავისუფლდებიან.

კიკვიძე გლუხოვის პოლკში შედის. ჯარისკაცებმა მალე იგრძნეს, რომ მათი ახალი ამხანაგი მეტად ჭკვიანი კაცია და შეუდრეკელი ნებისყოფის ადამიანი, და ძალიან მალე იგი დივიზიის კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. ივლისში თურქესტანის პირველი კორპუსი უარს ამბობს შეტევაზე, რაც კერენსკიმ საფრანგეთისა და ინგლისის ბურჟუაზიის საამებლად წამოიწყო. ცხენოსანთა მე-6 დივიზიას ებრძანა, მონაწილეობა მიეღო სადამსჯელო ექსპედიციაში აჯანყებული კორპუსის წინააღმდეგ. მაგრამ კიკვიძემ მოახერხა სისხლისღვრის თავიდან აცილება და თურქესტანის კორპუსთან დაძმობილება.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, შემოდგომაზე, კიკვიძემ რაზმი შეადგინა ჰაიდამაკებთან საბრძოლველად. დეკემბრის საშინელი ყინვები იდგა. რაზმელებს შემთხვევით ნაშოვნი ტანისამოსი ეცვათ. გათოშილი ხელებით შაშხანებს ძლივს იმაგრებდნენ. პოლტავიდან ხარკოვში მიმავალ რაზმს ჰაიდამაკები შემოერტყნენ. ისინი სამჯერ მეტნი იყვნენ. ათი ტყვიამფრქვევი აამუშავეს ერთად-ერთის წინააღმდეგ, რომელიც წითლებს ჰქონდათ.

ტყვიამფრქვევს კიკვიძე მიუწვა. ხელში მტრის ტყვია მოხვდა. გაფითრებულმა, სახეგაცრეცილმა, საშინელი ტკივილისაგან პირმოკუმულმა, კიკვიძემ სროლა მაინც განაგრძო. რაზმმა მტრის რკალი გაარღვია, და-ბრუნდა. ამ გააფთრებული ბრძოლის შემდეგ ჰაიდამაკელთა ვერც ერთმა „პოლკოვნიკმა“ ველარ გაჰბედა თავს დასხმოდა ერთი მუჭა ადამიანებს, ასიოდე კაცს, რომელთაც კიკვიძე მეთაურობდა.

ხარკოვში კიკვიძის რაზმს ოთხასი კაცი შეემატა. კიკვიძისათვის ეს საკმარისი იყო. ხუთასი მამაცი მეომარი და რამდენიმე ქვემეხი მის ხელში მრისხანე ძალას წარმოადგენდა.

1918 წლის პირველ იანვარს მან როვნოდან ბრძოლით განდევნა ჰაიდამაკელები. როვნოს და ბერდიჩევის აღებამ კიკვიძის სახელი მეტად პოპულარული გახადა. ბევრნი წითელ გვარდიაში შესვლისას თხოულობდნენ— ისინი უსათუოდ კიკვიძესთან ჩაეწერათ. იგი თანდათან უძლეველობის შარავანდედით იმოსებოდა.

საბჭოთა სარდლობამ დაავალა კიკვიძეს, მოეწყო წითელი გვარდია ჰაიდამაკებთან ბრძოლის მთელ ფრონტზე. კიკვიძის მიერ ჩამოყალიბებული რაზმები შეაერთეს და უკრაინის საბჭოთა ჯარის მეოთხე არმია უწოდეს.

კიკვიძე ჰაიდამაკების წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდა. მაგრამ მალე ყველაფერი სხვანაირად შეტრიალდა: უკრაინას გერმანიის დივიზიები მოაწყდნენ. კიკვიძე ერთი იმათგანი იყო, ვინც წარმოუდგენელ პირობებში აკავებდა გერმანელების წინსვლას. შორსმსროლელი არტილერიისა და ჯავშნოსნების წინააღმდეგ მებრძოლები შაშხანებით, ზოგჯერ კი რევოლვერებით გამოდიოდნენ.

კიკვიძე ისევ დაიჭრა, მაგრამ მან ერთხელ კიდევ დასძლია ტკივილი და სისუსტე და მეთაურობა განაგრძო...

მალე ამის შემდეგ შეთხელებული რაზმი მან ტამბოვს გადაისროლა. ამისათვის მას გერმანელთა კორდონის გარღვევა მოუხდა.

იქ კიკვიძესთან თავი მოიყარა მთელმა დივიზიამ: პირველმა მუშურ-გლეხურმა პოლკმა, ინტერნაციონალურმა პოლკმა და იმიერ-ამურის ცხენოსანთა მე-6 პოლკმა. წითელი არმიის სარდლობამ ეს რიგგარეშე ჩამოყალიბებული დივიზია ანუ, უბრალოდ, „კიკვიძის დივიზია“, ცარიცინის ფრონტზე გაგზავნა.

„ცარიცინის აღება და სამხრეთთან დროებით კავშირის გაწყვეტა,— სწერდა 1918 წელს ამხანაგი სტალინი,— მოწინააღმდეგეების ყველა ამოცანის მიღწევას უზრუნველჰყოფდა: ეს დონელ კონტრრევოლუციონერებს შეაერთებდა ასტრახანისა და ურალსკის ჯარის კაზაკურ ზედაფენებთან და კონტრრევოლუციის ერთიან ფრონტს შეჰქმნიდა დონიდან ჩეხ-სლოვაკებამდე, ეს განუმტკიცებდა შინაურ და გარეშე კონტრრევოლუციონერებს სამხრეთსა და კასპიას, ეს უმწეო მდგომარეობაში დასტოვებდა ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა ჯარებს“.

კონტრრევოლუციის სამხრეთისა და აღმოსავლეთის არმიებს იქ, ცარიცინთან, უნდოდათ შეერთებულიყვნენ. იქ სწყდებოდა სამოქალქო ომის ბედი.

სწორედ იქითკენ გაგზავნა წითელი არმიის სარდლობამ ივნისის დამდეგს კიკვიძე, რომელსაც ჰაიდამაკებთან და გერმანელებთან ბრძოლის შემდეგ

შესვენების დროც კი არ მისცეს. და ორი კვირის შემდეგ თეთრგვარდიელი კაზაკები უკვე სიძულვილით, შიშითა და მოკრძალებული პატივისცემით იმეორებდნენ მის სახელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

კიკვიძეს სატინის ხალათი ეცვა და ვერცხლის ბალთიანი კავკასიური ღვედი ერტყა. ფანჯარასთან მიმდგარიყო და ნაწილების მეთაურებს ელოდებოდა.

— თორმეტი საათია და ორი კაცი კიდევ გვაკლია. როდის გადავეჩვევით დაგვიანებას? — წარმოსთქვა მან, მაგიდასთან მივიდა და პაპიროსი ჩააქრო. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

— ამხანაგებო! ვფიქრობ, მდგომარეობას ძირითადად იცნობთ. ჩვენი დივიზია აქ ტამბოვიდან მოვიდა. მოვიდა პოვორინო-ფილონოვო-ელანის უბანზე. ეს საპასუხისმგებლო უბანია, რომელიც ჩრდილოეთიდან იცავს ცარიცინს. ექვს ივნისს, ამხანაგებო, ცარიცინში სტალინი ჩამოვიდა და პარტიისა და ლენინის დავალებით სათავეში ჩაუდგა თავდაცვას. ლენინმა სტალინს დაავალა წესრიგის დამყარება, სწორი სარდლობის მოგვარება, ყველა ურჩის განდევნა. თეთრგვარდიელებმა სტანიცა ურიუპინო და სადგური ალექსიკოვო დაიკავეს. ცარიცინი მოწყვეტილია მოსკოვს. ცარიცინის დამცველმა სამხედრო საბჭომ საპატიო ამოცანა დაგვისახა: გავწმინდოთ თეთრებისაგან ალექსიკოვო და ურიუპინო და რკინიგზის ხაზზე შევინარჩუნოთ სადგურები არჩედი, სებრიაკოვო და ფილონოვო. დღეს, დილის სრულ ხუთ საათზე, ვიწყებთ ალექსიკოვოზე შეტევას. იერიშის გეგმას ამხანაგი მედვედოვსკი გაგაცნობთ.

კიკვიძე სკამზე დაჯდა და ასანთს გაჰკრა. ასანთმა მისი ენერგიული ნიკაპი და გრძელი, ოდნავ პაჭუა ცხვირი გაანათა.

მედვედოვსკიმ ჩაახველა და ბრძანების მუხლობრივ კითხვა დაიწყო. იგი თვალყურს ადევნებდა მეთაურებს, რომ გაეგო, ასწრებდნენ თუ არა ისინი შენიშვნების ჩაწერას თავიანთთვის. კიკვიძე თვალდახუჭული იჯდა და მთელი ძალ-ღონით ცდილობდა არ ჩასძინებოდა. ორი ღამე მის თვალს რული არ მიჰკარებია. უკანასკნელ დღეს, როდესაც პირადად მიუძღოდა ჯარს კონტრიერიშის მიტანისას, საშინლად მოიქანცა. ყოველივე ამით გამოწვეულმა დაღლილობამ ახლა იჩინა თავი. მოხსენებაც კი მედვედოვსკის მიანდო იმ იმედით, რომ ნახევარ საათს დამშვიდებული მჯდარიყო და შეესვენებინა. მაგრამ ეს უარესი გამოდგა.

„უნდა წავიდე თათბირიდან, — ფიქრობდა იგი, — თორემ დილით რაღაც სისულელეს ჩავიდენ“. მაგრამ წასვლა შეუძლებელი იყო; იგი ისევ ისე იჯდა, პაპიროსს ნერვიულად აბოლებდა და ყოველნაირად ცდილობდა დაეფარა, რომ ძილი ეკიდებოდა.

„არტილერია ისე განაწილდეს და ბატარიებმა იმ ანგარიშით გააჩაღონ ცეცხლი, რომ ადგილმდებარეობის არც ერთი კუნჭული ყუმბარდაუშენი არ დარჩეს“, — კითხულობდა მედვედოვსკი.

თვით კიკვიძის მიერ დაწერილი, გულმოდგინედ აწონილ-დაწონილი და მოფიქრებული ეს სიტყვები ახლა ძნელი გასაგები იყო დივიზიის უფროსისათვის, ესოდენ დაღლილობას შეეპყრო იგი.

„ჩვენი ქვეითა ჯარის წინსვლის შესაბამისად ცეცხლი გადატანილ იქნას სიღრმეში, რომ მოწინააღმდეგეს რეზერვების გამოყვანის საშუალება არ მიეცეს. თუ მტერი კონტრიერიშზე გადმოვიდა, უნდა გაჩაღდეს გრიგალისებური ცეცხლი. ყურადღება მიექცეს მოწინაალმდეგის ჯავშნოსან მატარებლებს. შემუსრულ იქნას მტრის არტილერია...“

კიკვიძის გონებაში მოულოდნელი აზრი დაიბადა. დაღლილობა ერთბაშად გაჰქრა.

— შეჩერდი, მედვედოვსკი, — სთქვა კიკვიძემ და წამოდგა. — ბრძანებას უნდა დაემატოს. საქმე ის არის, ამხანაგებო, რომ 11 ივნისს, როდესაც კაზაკთა ბანდები ალექსიკოვოს და ურიუპინოს იკავებდნენ, დივიზიას მოსწყვიტეს და პოვორინოს სადგურში დააკავეს ჩვენი პირველი ცხენოსანი პოლკის ჯარისკაცთა ერთი ეშელონი და ორიც სასურსათო ეშელონი. საჭირო იქნება სათანადო ღონისძიებების გათვალისწინება.

თანხმობის ნიშნად მედვედოვსკიმ თავი დაუქნია. ამ დროს კარებიდან მკვეთრი ხმა მოისმა:

—ნება მომეცით... სასწრაფო საქმეა...

ყველამ კარებისკენ იბრუნა პირი. ახოვანმა მამაკაცმა, რომელსაც კავალერისტის გრძელი მაზარა ეცვა, ორი თითი ქუდზე მიიდო და მაგიდას მიაშურა.

— სელივერსტოვი, — გააცნო მან თავი დამხდურთ. — სამხედრო ხელმძღვანელის ამხანაგ სნესარევის მიერ გამოგზავნილი ვარ ცარიცინიდან დივიზიაში სამხედრო მეთვალყურედ... თანა მაქვს სამხედრო ხელმძღვანელის მოადგილის მოწერილობა, — და მან ძუნწად, ოდნავ თეატრალური ჟესტით გაუწოდა მანდატი, რომელსაც დიდი შავი ბეჭედი ესვა.

კიკვიძე უსიამოვნოდ დაიღრიჯა: იგი მხოლოდ ერთხელ იყო სამხედრო ხელმძღვანელთან, მეფის ყოფილ გენერალთან, და მისგან მთლად გაცბუნებული წამოვიდა. ყველგან კადრის ოფიცრები იყვნენ — „სამხედრო სპეცები“. ისინი ქედმაღლურად ლაპარაკობდნენ წითელარმიელთა რაზმების უფროსებზე და წამდაუწუმ თავიანთ განსაკუთრებულ რწმუნებულებაზე გაჰყვიროდნენ, რაც მათ სამხედრო რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ტროცკიმ მიანიჭა.

სამხედრო ხელმძღვანელის ოთახიდან კიკვიძე განცვიფრებული და აღშფოთებული გამოვიდა. მტკიცედ გადასწყვიტა, ანგარიში არ გაეწია მისთვის და პირველ შეხვედრისთანავე გაეზიარებინა სტალინისათვის თავისი ეჭვები. ახლა კიდევ ეს „მეთვალყურე“. მაგრამ იძულებულია დამორჩილდეს....

სელივერსტოვმა ზიზღით შეუბერა მტვერს მაგიდის კუთხეში, მერე ზედ ხელით დაეყრდნო და ცივი, ოდნავ ამპარტავნული ხმით დაიწყო:

— სამხედრო ხელმძღვანელის თანაშემწემ შემდეგი ბრძანება გასცა: ერთი ქვეითა პოლკი არჩედის პოზიციაზე უნდა დადგეს, რადგან იქ მოსალოდნელია მტრის თავდასხმა; ერთი ბატალიონი სებრიაკოვოში უნდა დარჩეს, ერთი ბატალიონი ბატარიითურთ კიდევ ფილონოვოში, დანარჩენი ნაწილები — 900 კაცი—ალექსიკოვოსა და ურიუპინოს წინააღმდეგ უნდა დაიძრას. საბრძოლო ამოცანა ორმოცდარვა საათში უნდა შესრულდეს.

მან თავი ოდნავ დაღუნა მისალმების ნიშნად და სკამის კიდეზე ჩამოჯდა, თან წინ იცქირებოდა.

კიკვიძემ კუშტად ჩაილაპარაკა:

— თქვენ წინადადებას მაძლევთ, ძალები დავქსაქსო. ცხრაასი კაცით რა იერიში უნდა მივიტანო?

— ოო, მაგაზე ნუ სწუხართ... — ღიმილად გადაიქცა სელივერსტოვი, — ჩვენ ზუსტი ცნობები გვაქვს: მოწინააღმდეგეს სულ 800 კაცი ჰყავს, არც შაშხანები აქვს, არც ვაზნები, არც ყუმბარები.

— ჰმ... თუ გუშინდელის მიხედვით ვიმსჯელებთ, რაღაც მაგრე არ უნდა იყოს. — წაიბუტბუტა მედვედოვსკიმ.

— რაო? ფიქრობთ, რომ ეს ამოცანა თქვენს ძალ-ღონეს აღემატება? — თვალის მოჭუტვით იკითხა სელივერსტოვმა.

მეთაურები ახმაურდნენ, მაგრამ კიკვიძემ მათ ხელით ანიშნა და დააჩუმა.

— ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ამოცანა ცუდად არის შედგენილი... — მკაფიოდ წარმოსთქვა მან. — მაგრამ დავის დრო აღარ არის. იძულებული ვხდებით დავემორჩილოთ. იმედი მაქვს, ასეთ ამოცანასაც გადავწყვეტთ.

იგი წამოდგა და ანიშნა დაშლილიყვნენ.

IV

ხუთ საათზე იერიში დაიწყო.

გაფანტული საარტილერიო ცეცხლით დაფარულნი, მებრძოლთა რკალები მედგრად მიიწევდნენ წინ და ბორცვიდან ბორცვზე გადარბოდნენ, ხოლო როცა მტრის ტყვიამფრქვევი აკაკანდებოდა, ნარებში გულაღმა წვებოდნენ. ფრთებზე ჯავშნოსნები მოძრაობდნენ და ტყვიამფრქვევს უშენდნენ მიწაყრილს, რომელიც მტერმა სახელდახელოდ დაამზადა. კიკვიძე მოიერიშეთა ტალღის ცენტრში მიდიოდა, ყველაფერს, რაც ირგვლივ ხდებოდა, ფხიზლად ადევნებდა თვალს და გამოუცდელ მებრძოლებს ამხნევებდა.

— ბატარეასთან მიირბინე, უთხარი, წყალსატუმბს დაუშინონ. იქ, ალბათ, იმათი მეთვალყურე ზის, — უბრძანა მან შიკრიკს, — თანაც ყუმბარებს გაუფრთხილდნენ.

კიკვიძეს კოპები შეეკრა და ტუჩებს იკვნეტდა. არ მოსწონდა, რომ თეთრები, რომელნიც გუშინ მთელ დღეს ენერგიულად მოქმედებდნენ, ახლა მოდუნებულად, უსიცოცხლოდ ისროდნენ. მხედრის ალღო უკარნახებდა, რომ აქ რაღაც ეშმაკობა უნდა ყოფილიყო.

— მედვედოვსკი სად არის? — იკითხა მან.

— მარჯვენა ფრთაზეა.

— აბა, გაფრინდი, გადაეცი, რომ არ შესტოპოს. განსაკუთრებით უფრთხილდეს ცხენოსანი ნაწილის იერიშს ფრთიდან.

კიკვიძის გვერდით მიმავალმა სელივერსტოვმა გადიხარხარა.

— თქვენ, ძმობილო, სიძნელეებს აზვიადებთ. ხომ გეუბნებით, რომ ამ უბანზე მტერს საომარი მასალა გამოელია-მეთქი.

და, თითქოს ამ სიტყვების საპასუხოდ, გააფთრებული სროლისაგან ჰაერი შეირხა. ტყვიების საზარელი წივილი და ყუმბარების გრიალი მოიერიშეთა ყვირილსა და დაჭრილთა კვნესაში აირია. ჭურვისაგან დაბარბაცებული ერთი ჯავშნოსანი მიჯნაზე გადაწვა, ხოლო მეორე შეჩერდა, რადგან კოშკი დაუზიანდა.

— მაგრა გვიშენენ, საზიზღრები! — წარმოსთქვა ვიღაცამ დივიზიის უფროსის მახლობლად.

კიკვიძე სახემოღუშული, წელში გამართული წინ გარბოდა.

— კარგი ზუსტი ცნობები კი გქონიათ!—დაუყვირა მან ხელივერსტოვს. — განა ცხრა ასეულით ასეთ პოზიციაზე გასვლა შეიძლება? ახლა ვინმემ ცეცხლიც რომ გაარღვიოს და გავიდეს, კაზაკები უიარაღოდ შეიპყრობენ.

პასუხი არავინ გასცა. კიკვიძემ მეთვალყურის მხარეს გაიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა.

„ჩამორჩა, არამზადა, — გაიფიქრა გაბოროტებულმა, — არ მოეწონა“.

კიკვიძის ირგვლივ მებრძოლნი უფრო და უფრო ხშირად ბორძიკობდნენ, შაშხანებს აგდებდნენ და მიწაზე ეცემოდნენ. ტყვიების თქეში მატულობდა. კიკვიძე წინ გარბოდა, თან ფიქრობდა: „ასამდე კაცი დავკარგეთ... დავკარგეთ ჯავშნოსნების ნახევარიც. ასე შეუძლებელია... სხვანაირად უნდა მოვიქცეთ“. რაღაც აზრმა გაუელვა და უკანდახევის ბრძანება გასცა.

როცა მებრძოლნი მტრის ცეცხლიდან გამოიყვანა და დაჭრილების მოსავლელად განკარგულება გასცა, კიკვიძემ მედვედოვსკის უთხრა:

— აუხსენი, რომ ჩვენი დაბრუნება უბედურება არ არის. მტერი კარგად გამაგრდა. ტრიალ მინდორში უნდა გამოვიტყუოთ.

— როგორ გამოიტყუილებ?

— შევეცდები. შენ ბიჭები მზად იყოლიე, განსაკუთრებით ცხენოსნები.

ოფლი მოიწმინდა, ტოლჩით წყალი შესვა და სწრაფი ნაბიჯით ახლო მყოფ ზოლებიან ჯავშნოსნისაკენ გაემართა. ჯავშნოსანთან ხალხი ფუსფუსებდა მოტორის ასამუშავებლად.

— მართლა, ის მეთვალყურე რა იქნა? — შეჩერდა კიკვიძე, — მინდა თან წავიყვანო.

— წევს... დაჭრილი ვარო, ამბობს... ექიმმა კი მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

კიკვიძემ შეიგინა.

— დასხედით! — უბრძანა მან რაზმს და მანქანაში შეძვრა. — გასწი!

— „ვეფხი“... „ვეფხი“ წავიდა, — გაისმა ხმები მებრძოლთა რიგებში, როდესაც დაინახეს, როგორ გაჰქროლა ზოლიანმა ჯავშნოსანმა. — ნეტავ რა განიზრახა ვასილ ისიდორიჩმა? მარტოკა აპირებს კაზაკების გარეკას? ტყუილუბრალოდ დაიღუპება.

ეტყობოდა, თეთრებიც საგონებელს მიეცნენ ერთი ჯავშნოსნის მოულოდნელი გალაშქრების დანახვაზე. ჯავშნოსანს რამდენიმე ტყვიამფრქვევმა სროლა აუტეხა. ტყვიები ჯავშანს ხვდებოდნენ, მაგრამ ვერას აკლებდნენ. კაზაკებმა მანქანას ქვემეხები დაუშინეს. მაგრამ მანქანა განუწყვეტლივ გეზს იცვლიდა, აქეთ-იქით უხვევდა, რის გამოც ჭურვები გვერდზე ეცემოდნენ.

ერთბაშად „ვეფხი“ მარცხნივ გაქანდა, ღრმა ხრამში ჩაეშვა და შედგა.

— მოარტყეს... — გაისმა რიგებში. — ეჰ, დაიღუპება ჩვენი მეთაური. უნდა ვიხსნათ.

— არ დაიძრათ! ბრძანებას დაუცადეთ! — დასჭექა მედვედოვსკიმ. ყველამ სული განაბა და თვალი ხევსა და მანქანას მიაპყრო.

თეთრებმა მანქანა მიზანში ამოიღეს, რამდენიმე ჭურვი ჯავშნოსნის მახლობლად დაეცა. სროლა უეცრად შესწყდა. სადგურიდან კაზაკთა ესკადრონი გამოიჭრა და გაჩხერილ მანქანისაკენ ჭენებით გაეშურა.

— ცოცხლად უნდათ ჩაიგდონ ხელში ჩვენი დივიზიის უფროსი... რაღას ვუცდით? გავწიოთ გამოსახსნელად! — ახმაურდნენ მებრძოლნი.

მედვედოვსკიმ, რომლისთვისაც დივიზიის უფროსის გაბედული, თავზეხელაღებული გეგმა ახლა უკვე სავსებით ნათელი გახდა, ძლივს შეაკავა მებრძოლნი.

ყველაფერი წარმოუდგენელი სისწრაფით მოხდა. „ვეფხი“-კაზაკებიდან უეცრად ტყვიამფრქვევები აკაკანდნენ; თხუთმეტიოდე კაზაკი ცხენებს ფეხებში ჩაუვარდა, სხვებმა ცხენები შეატრიალეს და უკან მოჰქუსლეს.

— ხედავ, ხედავ, როგორ დააყარა! — გაიძახოდნენ აღფრთოვანებული მებრძოლნი. წინანდელი მარცხი უკვე დაივიწყეს. შაშხანებს მაგრა ჩაებლაუჭნენ და საბრძოლველად გაიწიეს.

— შეხედეთ, ძმებო! შეხედეთ, რა ხდება! — წამოიძახა შეშფოთებულმა ანტონმა.

ახლა საფარიდან გამოვარდა არა ესკადრონი, არამედ კაზაკთა მთელი პოლკი, ხუთასი კაცი მაინც. მხედრები გაიშალნენ, ვეებერთელა რკალი შეჰკრეს, რომლის ბოლოები წინ იყო წაწეული, და გაცოფებულნი გაექანენ მანქანისაკენ.

— ახლა კი დაიღუპა, თავს ვერ დააღწევს, — წუწუნით სთქვა ერთმა მებრძოლმა.

ანაზდად „ვეფხი“ შეინძრა, თხრილიდან ამოვიდა, ტყვიამფრქვევები აამუშავა და კაზაკებისაკენ გაემართა. იმავე წუთს მედვედოვსკიმ წამოიძახა:

— მიდი! დასცხე ქვეწარმავლებს!

მებრძოლები საიერიშოდ გაეშურნენ, ერთმანეთს უსწრებდნენ. წითელ ცხენოსანთა ასეულმა ჭენებით ჩაიარა და მებრძოლნი მტვერში გაჰხვია. თეთრ კაზაკთა ნაწილმა თითქოს პირი იბრუნა, მაგრამ მეორე ნაწილი უკვე ხელჩართულ ბრძოლაში იყო ჩაბმული, ამიტომ მთელმა პოლკმა რიგები შეამჭიდროვა და წითლებს დახვდა.

თეთრები ცხენებს აგელვებდნენ და გამაყრუებელი სტვენითა და ყიჟინით წითლების ქვეითა ნაწილებს ეკვეთებოდნენ. ფეხშიშველი ქერა წითელარმიელი, რომელიც წინ გარბოდა, ცხენს შეეფეთა და მას მკერდში ხიშტი დაუმიზნა, მაგრამ შეყოყმანდა: ეტყობოდა, ეძნელებოდა საუცხოო ცხენის დასახიჩრება. ამ ყოყმანმა დაღუპა: კაზაკმა მზეზე აელვარებული ხმალი გაიქნია და თავგაჩეხილი ბიჭი ცხენის ფეხებქვეშ დაეცა. ბრძოლის სიმკაცრე ცხენებსაც გადაეცა. დაჭრილი ცხენები ადგომას ცდილობდნენ, მაგრამ საზარელი ჭიხვინით ისევ ეცემოდნენ სისხლისაგან გაწითლებულ მიწაზე.

— გამოვიტყუილეთ კაზაკები! ბუნაგიდან გამოძვრნენ! — ბუტბუტებდა თავისთვის ანტონი და სისხლიან ხიშტს ბალახზე სწმენდდა. უეცრად მან საშინლად დაუყვირა ერთ ახალგაზრდა მებრძოლს: — შაშხანა, შაშხანა დაიჭი თავზე! როცა ხმალს წაართმევ, აკუწე!

— კაზაკებმა მე ჯერ კიდევ შარშან გამწკეპლეს ქარხანაში, — სთქვა ალიოშამ, რომელიც შაშხანას გულგრილად სტენიდა. — მაგათთან მე ძველი ანგარიშები მაქვს.

— ახლა კი თავს გაგიტეხს და ის იქნება, — ჩაიბურტყუნა ანტონმა.

— არ მოხდება ეგ. ამ საღამოს მე არხეინად ვისეირნებ! — და ალიოშა გააფთრებული გაეშურა ტანმორჩილი კაზაკისაკენ, რომელმაც ორი კაცი უკვე აჰკუწა.

— დავცხოთ ბილწებს! — სთქვა მედვედოვსკიმ. — ალექსიკოვო ავიღოთ. ეს ტყვიამფრქვევების კაკანი ნუ ჰგონიათ. მადლობა ვასილ ისიდორიჩს...

მან სიტყვა არ დაასრულა. წითლებისაკენ ჭენებით მოდიოდა კაზაკთა ახალი პოლკი. მისი ერთი ნაწილი ბრძოლის ველისაკენ გაეშურა, მეორე ნაწილი გამოეყო და მინდვრის ნაპირს გაჰყვა, გაეშურა იქით, სადაც ბრძოლობის შესახვევი კარვები და ბატარეები იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეჰ, მეტი ცხენოსნები რომ გვყავდნენ! — სევდიანად წარმოსთქვა მედვედოვსკიმ. — გზის გადაჭრას ვერ მოვასწრებთ, ჩვენს არტილერისტებს აჰკუწავენ.

თეთრების დამხმარე ძალები „ვეფხის“ ეკიპაჟმაც შეამჩნია, და ჯავშნოსანი გზის გადასაჭრელად გაეშურა. კაზაკებმა მრისხანე მანქანას გვერდი აუქციეს, რადგან ჩქარობდნენ მისი ტყვიის ნაკადს მალე გასცლოდნენ, და წითლების ცხენოსანთა ერთად-ერთი ასეულისაკენ გაჰქუსლეს. ასეული გმირულად ჩაება უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ გააფთრებული ბრძოლის რამდენიმე წუთის შემდეგ უკან დახევა იწყო. „ვეფხი“ და მეორე გადარჩენილი ჯავშნოსანი მის დასახმარებლად გაეშურნენ.

ამასობაში ბატარეაზე გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა. არტილერისტები ტყვიამფრქვევებსა და შაშხანებს ესროდნენ მტერს, რომელიც გამხეცებული მოიწევდა. ჭურვის ყუთებისა და ოთხთვალებისაგან მყისვე ააგეს ბარიკადის მაგვარი რაღაც. მაგრამ შეტაკების მოსალოდნელი შედეგი მაინც ცხადი იყო, და ბატარიის მეთაური უკვე ემზადებოდა ქვემეხების დასამოქლონებლად, რომ უცბად მახლობლად ყიჟინა გაისმა. ბატარიას მედვედოვსკი მიეშველა მებრძოლთა ჯგუფით, რომ არტილერისტები ეხსნა.

უკვე ოთხი საათი გრძელდებოდა ბრძოლა. გამარჯვება აშკარად წითლებისაკენ იხრებოდა. კაზაკთა პოლკებმა თითქმის ნახევარი დაჰკარგეს და უკუიქცნენ. წითელარმიელები კაზაკებს ფეხდაფეხ მისდევნენ და ცეცხლის ფარდის მოწყობის საშუალებას არ აძლევდნენ, მათთან ერთად შეიჭრნენ სადგურში.

კიკვიძე მსუბუქ ავტომობილში გადაჯდა. იგი ტყვიამფრქვევს ეჯდა, თეთრი ცხენოსნების რიგებში მიმოჰქროდა და ირგვლივ სიკვდილს სთესდა. მოულოდნელად მანქანამ რამდენჯერმე ხმამაღლა ამოიხვნეშა და დადგა. გაფითრებული შოფერი მანქანიდან გადმოხტა და მოტორს მივარდა. კაზაკების ჯგუფი ჭენებით და სროლით გამოექანა და ავტომობილს გარს შემოერტყა. კაზაკები ფრთხილად ავიწროვებდნენ რკალს, ეტყობოდათ, ეშინოდათ ახალი ხრიკისა. კიკვიძე ტყვიამფრქვევს ატრიალებდა და მუსრს ავლებდა უფრო გამბედავ კაზაკებს, რომელნიც ძალიან ახლოს მიიჭრებოდნენ ხოლმე ცხენებით.

როგორც იყო, მოტორი ამუშავდა. შოფერი ისევ მანქანაში შეხტა, მაგრამ კაზაკების ტყვიამ თავი გაუხვრიტა. სწორედ ამ მომენტში ტყვიამფრქვევს ლენტი გამოელია. კაზაკებმა ყოველი მხრიდან მიაშურეს კიკვიძისაკენ. მან ორი ყუმბარის გადასროლა მოასწრო, რომ უკვე ცხენის ფშვინვა მოესმა. ფეხებთან შაშხანა ეგდო, მაგრამ დრო აღარა ჰქონდა აეღო იგი და თავი დაეცვა.

„ეჰ, როგორ ვესალმები სიცოცხლეს!“ გაუელვა აზრმა. მაგრამ ამ დროს მოკლული შოფერი შესცვალა ახალმა, რომელიც კიკვიძეს ყოველთვის თან დაჰყავდა სათადარიგოდ, მან ავტომობილი აამუშავა და სწრაფად გააქანა. კაზაკის ხმალმა მანქანის ძარაზე გაიწკრიალა.

— ღმერთმა გვიხსნა, ვასილ ისიდორიჩ, — მიმართა შოფერმა.

— შენს ღმერთს მეტი საქმე არა აქვს, რომ ჩვენზე იზრუნოს, — უპასუხა კიკვიძემ.

გუნებაზე არ იყო. მართალია, მთავარი უკვე გაკეთდა — თეთრებმა ალექსიკოვოდან გარეკეს, მაგრამ ორი რამ ანელებდა გამარჯვების სიხარულს: პირველი ის, რომ წითელმა ნაწილებმა დიდი დანაკლისი ნახეს, მეორე ის, რომ თავათ იგი სიკვდილის პირად იდგა. ყოველი ბრძოლის დასაწყისში კიკვიძე საკუთარ თავს ეუბნებოდა: „ჩემი თავი მკვდრად უნდა ჩავთვალო". ეს მასში საფრთხის უგულებელყოფის გრძნობას განამტკიცებდა ხოლმე. რევოლუციისათვის სიკვდილი — ამ აზრს იგი შეეჩვია და სიკვდილი აღარ აშინებდა. მაშ რათ შეკრთა გული, როდესაც მის თავზე კაზაკის ხმალი აღიმართა?

ველზე აქა-იქ მკვდრები ეყარნენ. მათ უკვე ბუზები დასტრიალებდნენ.

კიკვიძე მოღუშული იცქირებოდა ირგვლივ.

— ერთ ჭიქა წყალში ჩემი სისხლის ნახევარს მივცემ, — გაისმა ნაცნობი ხმა. ეს მედვედოვსკი იყო. დაღლილი, მაგრამ ბედნიერი სახე ჰქონდა.

— ტყვეებს დაჰკითხეთ? — შეეკითხა იგი. — ამბობენ, თეთრებმა ორი ასეული გამოჰყვეს იმ ხუტორების გასაძარცვავად და გადასაწვავად, რომლებმაც საბჭოთა ხელისუფლება სცნეს. იმასაც ამბობენ, რომ ღარიბი კაზაკები უხალისოდ მიდიან კრასნოვთან. მაგრამ, თუ ვინმე შესაკრებ პუნქტში არ მივა, მას სტანიცის მტრად აცხადებენ.

მანქანა რკინიგზის სადგურს მიადგა. სადგურში ბლომად ეყარა ქაღალდის ნაგლეჯები, ცარიელი სავაზნე კოლოფები, ბოთლები და ათასგვარი იარაღი.

მეთაურები, რომელთა აღტყინებაც ჯერ არ გამქრალიყო, საპატაკოდ დივიზიის უფროსს ეახლნენ. კიკვიძემ გულდასმით მოუსმინა მათ.

— დასწერე მოხსენება, — უთხრა მან მედვედოვსკის და პირველსავე სკამზე ჩამოჯდა. — შეტევაზე გადასულმა დივიზიის ნაწილებმა ალექსიკოვო-პოვორინოს ხაზი აღადგინეს. პირველმა ცხენოსანმა ესკადრონმა მტერზე იერიში მიიტანა და ორი ტყვიამფრქვევი წაართვა, მაგრამ იძულებული გახდა უკან დაეხია, რადგან მოკლულთა და დაჭრილთა სახით 60 პროცენტი დააკლდა. არტილერისტები ტყვიამფრქვევის ცეცხლით იგერიებდნენ მოიერიშეთა ასეულებს, ქვეითა ნაწილები კი ხიშტით უტევდნენ ცხენოსან პოლკებს. საერთო ჩვენი დანაკარგი 412 კაცს და 82 ცხენს უდრის. მტრის დანაკლისი ბევრად უფრო მეტია.

— ვაზნები ცოტაა, ვასილ ისიდორიჩ, — უთხრა ერთ-ერთმა მეთაურმა. — აქ მაინცდამაინც ვერაფერი ვიშოვნეთ, ხოლო რაც გვქონდა, ბრძოლაში ვიხმარეთ.

— ვიცი, — სთქვა კიკვიძემ და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. — მაგრამ საეჭვოა, რომ ჩრდილოეთ-კავკასიის სამხედრო ოლქი დაგვეხმაროს. ვიდრე იქ სნესარეევები არიან, განსაკუთრებულს ნურაფერს მოელი... თუმცაღა დასწერე: არა გვაქვს ჭურვები, შაშხანის ვაზნები და ტყვიამფრქვევის ლენტები.

კარი ხმაურით გაიღო. ალიოშა შემოვარდა, თან ამოვარდნილ პერანგს ისწორებდა.

— ამხანაგო დივიზიის უფროსო! გაცნობებთ, რომ მტრის დევნისას ტყვედ ჩავიგდეთ ხოპერის სამხედრო ოლქის სარდლის დუდაკოვის შტაბი.

— დიდებული ნადავლია! — კიკვიძე გამხიარულდა. — წავიღეთ, მოვისმინოთ, რას იჭიკჭიკებენ ეს ჩიტუნები. მედვედოვსკი, გასაგზავნი ცნობა უჩემოდ დაამთავრე!

ალიოშასთან ერთად პერონზე მიმავალმა კიკვიძემ სთქვა:

— დღეს გაკვირდებოდი ბრძოლაში. თავი კარგად გიჭირავს. ბიჭებთანაც ჩაის სმის დროს ლაპარაკი გეხერხება. გადავწყვიტე, ბატალიონის მეთაურად დაგნიშნო.

— მეე? — დარცხვენით წამოიძახა ალიოშამ.

— ჰო, შენ, — კიკვიძე ცოტახანს დაჩუმდა. — თუ დღეს გამარჯვება ასე ძვირად დაგვიჯდა... და ისიც თეთრებმა მხოლოდ უკან დაიხიეს, განადგურებულნი კი არ არიან... უკანდახევის მიზეზი სნესარევის ბრძანებაა. დღეს რომ 900 კაცისა და ოთხი ჯავშნოსანის ნაცვლად ორჯერ მეტი გვყოლოდა, სხვანაირი ბრძოლა იქნებოდა. შეიძლება ფრონტალური დარტყმა შემოვლასთან შეგვეხამებინა, რკინიგზის ლიანდაგზე გასვლით დავმუქრებოდით და თეთრები სწრაფად დაგვეფრთხო. სნესარევი და ნოსოვიჩი კი მუდამ იმას ცდილობენ, რომ ფლანგები დაჰფარონ, ზურგი გაამაგრონ, კომუნიკაციები უზრუნველჰყონ... რისკის გაწევა არ უნდათ, მთელი ომი კი რისკია. ამის შედეგია ის, რომ იერიშების მიტანა არასაკმარისი ძალით გვიხდება.

ალიოშამ თანაგრძნობით დაუდასტურა:

— მართალი გითხრათ, ის მეთვალყურე არც მე მომეწონა. როგორც კი სროლაში მოხვდა, მაშინვე უკან მოუსვა. მერე სულ წავიდა.

— როგორ თუ წავიდა? როდის?—წამოიძახა კიკვიძემ.

— ნახევარი საათი იქნება. სნესარევს და ნოსოვიჩს მოხსენება უნდა წარვუდგინოო.

— მაშ აგრე... — სთქვა კიკვიძემ და კვლავ აკვიატებულმა აზრმა გაუელვა: „ყველაფერზე სტალინს უნდა მოველაპარაკო, იგი შესძლებს ჩრდილოეთ-კავკასიის სამხედრო ოლქში მოკალათებული ვაჟბატონების ბნელ ხრიკებში გარკვევას“. — თუ უფრო კარგად დავაკვირდებით, — კვლავ დაიწყო მან, — ჩვენი მდგომარეობა არასახარბიელოა. საპასუხო დარტყმას ყოველ წუთს უნდა მოველოდეთ. ხოლო ხუთასი დაქანცული მებრძოლით ახალ ძალებს ვერ გავუმკლავდებით და სადგურს ვერ დავიცავთ. მედვედოვსკი მონახე. საჭიროა ახლავე მოვიყვანოთ მაშველი ძალები. იქნება კაზაკებმა საამისო დრო მოგვცენ...

კიკვიძე მსუბუქად შეხტა იმ ვაგონის კიბეზე, სადაც ტყვეები იყვნენ მოთავსებული.

„შევეცადოთ დუდაკოვის გეგმების გაგებას ბატონ ოფიცრებისაგან. მაშინ დავინახავთ, რა უნდა გავაკეთოთ“.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. ფრანკო

*
* *

გაზაფხულის სიმღერებო
და სიზმრებო ფარულო,
რატომ ეგრე მწუხარე ხართ,
ეგრე უსიხარულო.

იქნებ თქვენთვის არ არსებობს
ტყეში მწვანე ფერები,
იქნებ თქვენთვის მზე არ დგება
ცაზე შუქმოლერებით.

იქნებ თქვენთვის არა ჰყვავის
ველზე ვარდი გულწრფელი,
რატომ მხოლოდ სოფლის ვარამს,
კაცის ტანჯვას უცქერით?

ჰე, ცხოველო მუხნარებო,
მზეო, სხივთა ღადარით,
მხოლოდ ვცოცხლობთ. სიყვარული
კაცის გულში სად არის!

ირგვლივ ხმები, სიმღერები,
ცაში ჩიტი მაძღარი,
მხოლოდ მწარე სიმშილისგან
გლეხი კვდება საწყალი.

ველზე ბევრი ვარდებია
მთა და ბარი ირთვება,
მხოლოდ ყუმი და მოგობა
კაცის სისხლით ითვრება.

იქნებ სჯობდეს, ეს ბუნება
ვაქო ლამაზ ლექსითა,
არ ამევსო სიმღერები
ტანჯულ კაცთა კვნესითა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ ქებად, სალალობით
არ მოვსულვარ განგებით, —
მიტომ ეგრე სევდიანად
ელერენ ჩემი ჰანგები.

თარგმანი **ირაკლი აბაშიძისა.**

ჯარისკაცისადმი

ჯარისკაცო, ივარჯიშე,
თოფი გქონდეს ცრემლით სველი,
დამორჩილდი უფროსს შიშით,
თოფს არ უშვა მხოლოდ ხელი.

მიზნის სწორად ამოღებას
შეეჩვიე, გაიწრთვენი,
რადგან უკვე ახლოვდება
გადამწყვეტი ბრძოლა ჩვენი.

სიმართლისთვის შენი თოფიც
დასჭექს, — მიეც გლეხებს მხარი,
ჰხოცე მტერი მოსასპობი,
დააყენე სისხლის ღვარი.

მონები ვართ, განრისხებით
ვიტანთ ამდენ დამცირებას,
ბატონები საზიზღრები
გვახვევიან ნადირებად.

შენ იბრძოლებ, ომში ცივად
დაეცემა ბევრი კვნესით,
და დღეს თუმცა ცრემლი გცვივა,
შეისწავლე ბრძოლის წესი.

იმ დროსათვის მოემზადე,
როს გაჰქრება ბინდი ღამის,
მებრძოლთ რიგში შედგრად ჩადექ.
როცა დაჰკრავს ბრძოლის ჟამი.

თარგმანი **გრ. აბაშიძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. ფრანკო

ერთი კონფისკაციის ისტორია

მისი აღმატებულება ძალიან პუნქტუალური კაცი იყო. როგორც კი ჩამოჰკრავდა საათი ცხრას, ის უკვე სახელმწიფო სახლში იყო, ალერსიანად უპასუხებდა მეკარეს თავის დაკვრაზე, შემოივლიდა გრძელ დერეფნებს, უჩუმრად შეავიდოდა აქაც, იქაც, შეიხედავდა კანცელარიაში, რათა მაგიდის უფროსისაგან მიეღო ინფორმაცია საქმის მსვლელობის შესახებ. ამასთან მას იმდენად ინფორმაცია არ აინტერესებდა, რამდენადაც სხვა რამე: უნდოდა დარწმუნებულიყო, გამოცხადდა თუ არა სამსახურში ყველა მოხელე.

მის აღმატებულებას ძალზე არ უყვარდა უწესრიგობა სამსახურში. უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა, როცა უწესრიგო მოხელეს თავის სადარბაზო ბარათს დაუდებდა საწერ მაგიდაზე: იცოდა, როგორ ჩაუმწარდებოდა საცოდავს მთელი დღე, რადგან ეს საბედისწერო ბარათი ლოდივით დააწვებოდა მის კვალიფიკაციას.

მხოლოდ ასეთი შემოვლის შემდეგ შევიდა ერთ დღეს მისი აღმატებულება საკუთარ კაბინეტში. მეტად კმაყოფილი იყო, იღიმებოდა, როცა კანცელარიის საქმისმწარმოებელი თავს დასტრიალებდა და თავგამოდებით ემსახურებოდა. აი თვალი შეავლო მაგიდას, სადაც ახალი გაზეთები ეწყო. იგი ყოველდღე სისტემატურად კითხულობდა ყველა გაზეთს, რომელიც კი გალიციაში გამოდიოდა, რათა წარმოდგენა ჰქონოდა მოსახლეობის განწყობილებაზე, მის სულისკვეთებაზე, მეტადრე გულდასმით კითხულობდა ლვოვის გაზეთებს, უფრო კი ოპოზიციურს.

— არის თუ არა უკვე გაზეთები? — ჰკითხა მან კანცელარიის საქმისმწარმოებელს.

— გახლავთ, თქვენო აღმატებულებავ, — იყო პასუხი.

მისი აღმატებულება მაგიდასთან მივიდა და სწრაფად გადაავლო თვალი გუშინ საღამოს და დღეს დილით გამოსულ გაზეთებს. დიახ, წესიერად და რიგზე ელაგა ისინი ერთ მაგიდაზე. აქ იყო მთავრობის გაზეთი „ლვოვის ბებია“ თავისი რუსული მაჩანჩალით „სახალხო გაზეთი“, რითაც ასე ამაყობდა მისი აღმატებულება. მის გვერდით იყო ყოველგვარი სამსახურისათვის დაუზარელი „საყოველთაო გადასინჯვა“. მას მისდევდა ოდესღაც ავი ენის პატრონი, ახლა კი უკბილო „სახალხო ფარატინი“. მარცხნივ იდო ორივე ოპოზიციური გაზეთი „ლვოვის მეალაფე“ და... რა ამბავია? რატომ არა სჩანს მეორე ოპოზიციური გაზეთი „პოლონური სათივე“. რა იქნა? რა მოუვიდა?

—სად არის „პოლონური სათივე“? — ჰკითხა მისმა აღმატებულებამ კანცელარიის საქმისმწარმოებელს.

— ჯერ არ მოუტანიათ.

— ეშმაკმა წაიღოს! რატომ მერე?

მისი ალმატებულება გაჯავრდა. განსაკუთრებით „პოლონური სათვის“ დღევანდელი ნომერი აინტერესებდა. ის უნდა ყოფილიყო მისი მეცადინეობის ნაყოფი, მისი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დაგვირგვინება. ორი დღის წინად მან და რედაქტორმა პირობა დასდეს. საშიშმა ოპოზიციონერმა პირადად მოინახულა მისი ალმატებულება. მან მეტად გონიერი, მეტად ორიგინალური შეხედულება გადაუშალა ჟურნალისტიკის დამოუკიდებლობაზე, რაც ასე ესაჭიროება პოლონეთის ეროვნებას გალიციაში.

„თქვენო ალმატებულებავ, — ამბობდა იგი, — მე თქვენი მოწინააღმდეგე ვარ, თანაც დემოკრატი, გულწრფელი დემოკრატი, ისეთი, როგორიც შეიძლება იყოს მხოლოდ პოლონელი. მე იქნებ ერთად-ერთი კონსერვატიული პოლონელი დემოკრატი ვარ გალიციაში და სწორედ ამიტომ მოვედი თქვენთან. ჩვენმა საერთო მეგობარმა, დიდწვერიანმა ბატონმა მთხოვა ასე მოვქცეულიყავი. მე გავუზიარე მას ჩემი შეხედულება ნაციონალური ჟურნალისტიკის დამოუკიდებლობის ხასიათზე და მან სთქვა: თქვენ პირადად უნდა გადასცეთო ყოველივე ეგ მის ალმატებულებას. ძალიან კმაყოფილი დარჩებაო. და აი გეახელით. ჩემი შეხედულება? მეტად მარტივია, როგორც ყველაფერი დიადი. პოლონური ჟურნალისტიკა გალიციაში მძიმე მდგომარეობაშია, იგი მტრულად განწყობილ სხვადასხვა ელემენტს ებრძვის, ამიტომ უპირველეს ყოვლისა დამოუკიდებლობის მოპოებას უნდა შეეცადოს იგი.

დამოუკიდებლობა ჩემი მოწოდებაა. დამოუკიდებლობა არა მარტო ზევითებისაგან, არამედ ქვევითებისაგანაც. დამოუკიდებლობა არა მარტო უცხო, ყოვლისშემძლე მტარვალობისაგან, არამედ ბევრად უფრო უარეს მტარვალობისაგან, — მასების მტარვალობისაგან, პარტიულობისაგან, პოლიტიკური კრიტიკოსებისა და მოძღვრებებისაგან. პოლონელ ჟურნალისტს საშუალება უნდა მიეცეს თავისუფლად გამოვიდეს თავისი თანამოქალაქეების, თვით თავისი ხელისმომწერლების ძვალრბილში გამჯდარ ცრუშეხედულებათა წინააღმდეგ. იგი თავისი ერის მასწავლებელი და არა მსახური უნდა იყოს. მას საშუალება უნდა მიეცეს წარმართოს საზოგადოებრივი აზრი, გადაუხვიოს ზოგჯერ მარჯვნივ, ზოგჯერ მარცხნივ, როგორც ამას ნაციონალური ინტერესები მოითხოვენ. მაგრამ ამისთვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა გამბედაობა, გამბედაობა კი მე მომეპოება. შემდეგ, რა თქმა უნდა, საჭიროა ჟურნალისტიკისაგან დამოუკიდებლად მატერიალური უზრუნველყოფა. მე ვერ გავეკარები რეპტილურ ფონდებს, იმ ფონდებს, რომლებიც საკუთარ პოლიტიკურ აგენტებზე იხარჯება, მაგრამ ადმინისტრატიულ თუ ავტონომიურ ასპარეზზე გამოინახება არა ერთი და ორი კარგი სამსახური, სადაც შრომა ნაკლებია, ჯამაგირი კი რიგიანი. ერთი ასეთი სამსახური მე უკვე გამოვძებნე. ჩემი ნაცნობი დიდწვერიანი ბატონი დამპირდა კიდეც პროტექციის გაწევას. თქვენმა ალმატებულებამაც რომ ორიოდე თბილი სიტყვა გაიმეტოს... დასასრულ, ვარწმუნებ თქვენ ალმატებულებას, რომ ასე თუ ისე მე ვიცვლი საჟურნალო ტაქტიკას აქ გამოთქმულ შეხედულებათა თანახმად, და ზეგ მოწინავე წერილში გადადგმული იქნება პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით. მეტს აღარას ვიტყვი. ვიმედოვნებ, რომ თქვენი ალმატებულება კმაყოფილი დარჩება“.

არასოდეს ისე გულწრფელად არ უცინია მის აღმატებულებას, როგორც იცინოდა იგი ამ საშინელი ოპოზიციონერის, გალიციაში ამ ერთადერთი პოლონელი დემოკრატის წასვლის შემდეგ. და მართლაც, ხუმრობა საქმე, როდი იყო: იგი კარგად იცნობდა ადამიანს, მაგრამ ამ შემთხვევამ მაინც გამდიდრა მისი ცოდნის მარაგი, ხოლო სად ნახავთ ისეთ კაცს, რომელმაც ასეთი გამდიდრებისაგან გულწრფელი სიხარული არ განიცადოს?

აი რატომ არ არის გასაკვირველი, რომ მისი აღმატებულება ძალიან დაინტერესებული იყო „პოლონური სათივის“ დღევანდელი ნომრით. გასაგებია ისიც, რომ იგი ძალიან გაბრაზდა, როცა თავის მაგიდაზე ესოდენ საჯურველი ნომერი ვერ დაინახა. მან სასწრაფოდ მიირბინა ტელეფონთან.

ძინ, ძინ!

— გთხოვთ შემაერთოთ პოლიციის დირექტორთან.

ძინ, ძინ!

— ვინ არის ტელეფონთან? ბატონი პოლიციის დირექტორი?

— მზად გახლავართ თქვენი აღმატებულების სამსახურისათვის!

— განა „პოლონური სათივის“ დღევანდელი ნომერი დაკავებულია?

— არ ვიცი, თქვენო აღმატებულებავ. ამ წუთში გავიგებ.

— თქვენ, ბატონო დირექტორო, არასოდეს არაფერი არ იცით. ეს თქვენი დამახასიათებელი თვისებაა. გაიგეთ ახლავე, ველი პასუხს!

მკვდარივით გაფითრებული მოშორდა პოლიციის დირექტორი ტელეფონს. ზარი დარეკა, უბრძანა მოეხმოთ პოლიციის კომისარი, რომელიც პრესის მაგიდას განაგებდა.

— „პოლონური სათივის“ დღევანდელი ნომერი დაკავებულია?

— არა, ბატონო დირექტორო.

— შეხედეთ ერთი ამ უბედურს! ასე კითხულობთ გაზეთებს?! იქ რაღაც საშინელი უნდა იყოს. მისი აღმატებულება ძალზე განრისხებულია. გასწით ახლავე რედაქციაში და დღევანდელი ნომრის კონფისკაცია მოახდინეთ.

— იქნებ პროკურატურამ ნახა რამე იქ, — გაუბედავად მიუგო პოლიციის კომისარმა, — მე ვერაფერი ვიპოვნე.

— გაეშურეთ და დააკავეთ გაზეთის ნომერი. მე ამ საათში პროკურატურას გამოველაპარაკები.

კომისარი წავიდა, ხოლო პოლიციის დირექტორმა ტელეფონთან მიირბინა.

— თქვენა ბრძანდებით, თქვენო აღმატებულებავ, ტელეფონთან?

— მე ვარ, ბატონო პოლიციის დირექტორო. რა გაიგეთ „პოლონური სათივის“ შესახებ?

— ამ წუთში კონფისკაციას მოახდენენ.

— ჰოო, მაგრეა საქმე?! გმადლობთ, ბატონო პოლიციის დირექტორო. მისი აღმატებულება ძალზე აღშფოთებული მოშორდა ტელეფონს.

— ცულლუტი ხალხია ეს მეგაზეთეები! — ბუტბუტებდა იგი. — გარკვეულად დამპირდა, რომ პირს იბრუნებდა და მეც რამდენიმე სიტყვა გავიმეტე მის სასარგებლოდ. ის გაიძვერა კი თურმე ასაკრძალავ წერილებს სწერს. საზიზღრობაა! უნდა სერიოზულად მოველაპარაკო ამაზე დიდწვერიან ბატონს.

ბატონი პოლიციის დირექტორი კი ისევ ტელეფონთან იდგა.

ძინ, ძინ!

— გთხოვთ შემაერთოთ სახელმწიფო პროკურატურასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძინ, ძინ!

— ვინ არის ტელეფონთან? ბატონი პროკურორი?

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე პოლიციის დირექტორი ვარ.

— აა, გამარჯობა, ბატონო დირექტორო, რით შემიძლიან გემსახუროთ?

— „პოლონური სათივის“ დღევანდელი ნომერი დაკავებულია?

— არა. მე ვერაფერი ვიპოვნე.

— მაინც რაღაც უნდა იყოს იქ. მისი აღმატებულება ძალიან ბრაზობდა. მე უკვე გავგზავნე კომისარი კონფისკაციისათვის. ამიტომ გთხოვთ, ბატონო პროკურორო, ერთხელ კიდევ გადაიკითხოთ ეს ნომერი. მის აღმატებულებას სავსებით ცხადად სურს ამ ნომრის კონფისკაცია.

— ჰოო! კეთილი. გადავიკითხავ. უსათუოდ გადავიკითხავ.

*
* *

ბატონი პროკურორი ისე წამოწითლდა ტელეფონთან, როგორც გაწითლდა ალბათ მაშინ, როცა მამა მისმა პირველად მოატანა ქალთან პაემანზე.

— ეშმაკმა წაიღოს! ამ ნომერში, ალბათ, მართლაც არის რაღაც უკანონო. მე კი ვერ შევნიშნე. მისი აღმატებულება ძალიან ბრაზობს თურმე! რა მომივიდა? ამას ცუდი შენიშვნა მოსდევს ჩემს საკვალიფიკაციო ფურცელში. ერთხელ კიდევ გადავათვალიერებ დაწყვეტილ ნომერს.

და ცხვირჩამოშვებული პროკურორი ჩაუჯდა ნომერს. იგი ისე გულდასმით ჩაჰკირკიტებდა, ისეთის გულისყურით კითხულობდა ყოველ სიტყვას, როგორც მხოლოდ ავსტრიელ პროკურორებს სჩვევიათ.

— ღმერთო დიდებულო! — ბუტბუტებდა პროკურორი, მუშაობას წუთით აჩერებდა და პაპიროსს აბოლებდა, — სასწაული იქნებოდა, თუ კაცი სიტყვების ამ კორიანტელში არალეგალობის ერთ მარცვალს მაინც იპოვნის პირიქით, მე მგონია, რედაქციამ პირი იბრუნა ფრაზეოლოგიურ დემოკრატიისაგან ფარულ სახელმწიფო ღარისაკენ. სად არის აქ რაიმე ბოროტმოქმედება? მართალია, მე რომ ერთი წუთით მოხელეობა დამავიწყა და ადამიანად გადამაქცია, არა თუ ავკვეთავდი ერთ ნომერს, მთლად ავკრძალავდი ამ ფურცელს. ლაპარაკადაც არა ღირს! აბა, ღვთის შემწეობით ერთხელ კიდევ შევუდგეთ ძებნას.

ეძებდა და ეძებდა, და ჯერ კიდევ ვერაფერი ეპოვნა, რომ კარი გაღო და პრესის საქმეების გამგე პოლიციის კომისარი შევიდა. კომისარს თან შეჰყვა სამი თუ ოთხი პოლიციელი, რომელთაც შეიტანეს ახლად დაბეჭდილ და ზედ მანქანაზე დაკავებული „პოლონური სათივის“ იმ დღის ნომერი.

— დღევანდელმა ნომერმა დაიგვიანა და ეს არის ახლა გამოვიტანეთ სტამბიდან. ჯერ არც ერთი ცალი არ გაგზავნილა და არც გაყიდულა, — მოახსენა პოლიციის კომისარმა.

— ძალიან კარგი, — სთქვა პროკურორმა. — იქნებ თქვენ მიბრძანოთ, რატომ მოახდინეს ამ ნომრის კონფისკაცია?

— მე მეგონა, რომ თქვენ, ბატონო პროკურორო, ჩემზე უკეთ იცოდით...

— მეე? აზრადაც არ მომსვლია კონფისკაცია. აი უკვე ნახევარი საათია ვეძებ, მაგრამ ისეთი ვერაფერი მიპოვნია, რომ შესაძლებელი ყოფილიყოს ამ ნომრის კონფისკაცია.

— მაინც რაღაც უნდა იყოს, — ჩაილაპარაკა აღელვებულმა პოლიციის კომისარმა — ბატონმა დირექტორმა მიბრძანა დაუყოვნებლივ, მომეხდინა ამ ნომრის კონფისკაცია, ამასთან ძალიან გაფითრებული და შეშფოთებული ეყო.

— ღმერთო მაღალო! — სასოწარკვეთილებით წამოიძახა პროკურორმა. — აქ კაცი შეიშლება! ან იქნებ თვალთ დამიბნელდა და გონება დამიჩლუნგდა? გთხოვთ, ბატონო კომისარო, დაბრძანდეთ აი აქ და მიშველოთ. ერთად მოვძებნოთ, იქნებ თქვენ ჩემზე უფრო ბედნიერი აღმოჩნდეთ.

კომისარმა თავი დაუკრა, სავარძელში ჩაჯდა, აკრძალული ნომრის ერთი ცალი აიღო. კანცელარიაში არაჩვეულებრივი, დღესასწაულებრივი სიჩუმე ჩამოვარდა. ორივე გულმოდგინედ შეუდგა „პოლონური სათივის“ კითხვას, იმ გაზეთის კითხვას, რომელიც უსათუოდ კანონის საწინააღმდეგო უნდა ყოფილიყო.

*

* *

„პოლონური სათივის“ რედაქციაში ყველას ცხვირპირი ჩამოსტიროდა. ისეთი განწყობილება იყო, თითქოს ეს არის მიცვალებული გაიტანესო. სწორედ ამ დროს შევიდა მთავარი რედაქტორი.

— ეშმაკმა იცის, რა ამბავია! სადაური წესია, ერთი მიბრძანეთ: უკვე თითქმის ათი საათია და ქალაქში ჩვენი გაზეთის არც ერთი ცალი არსად არა სჩანს?! ცეცხლი ხომ არ წაეკიდა სტამბას? თუ მანქანები ჭკუაზე შეიშალნენ?

— დღევანდელი ნომერი აკრძალულია.

— რ-ო-გ-ო-რ?!

მთავარი რედაქტორი გაშეშდა: სულგანაბული იდგა, ხმის ამოღებას ვეღარ ახერხებდა.

— ერთის სიტყვით, პოლიციის კომისარი იყო აქ, მოხვეტა დაბეჭდილი ნომერი და სტამბიდან პროკურატურაში წაიღო.

— შეუძლებელია! — უაღრესი სასოწარკვეთილებით წამოიძახა რედაქტორმა.

— მაინც ჭეშმარიტებაა.

— მერე, რა იყო კონფისკაციის მიზეზი?

— კომისარმა არ მოისურვა თქმა. დეე, ბატონი რედაქტორი პროკურატურაში წავიდეს და იქ ყველაფერს გაიგებსო.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! დღევანდელი ნომერი აკრძალეს! არასოდეს არ მომივიდოდა აზრად ასეთი რამ. ან იქნებ ვინმემ უკანასკნელ წუთს ჩაჩხირა რამე?!

არც ერთმა თანამშრომელმა არ იგრძნო თავი დამნაშავედ.

— წავალ, გავიგებ ყველაფერს!

შურდულივით გავარდა და სახელმწიფო პროკურატურისკენ გაქანდა.

*

* *

კაკ-კუკ, კაკ-კუკ!

— შემობრძანდით!

— გამარჯობათ, ბატონო პროკურორო!

— აა, დილა მშვიდობისა, ბატონო რედაქტორო! რით შემიძლიან გემსახუროთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გთხოვთ მიბრძანოთ, „პოლონური სათივის“ დღევანდელი ნომრის კონფისკაცია თქვენ მოახდინეთ? იქნებ გამაგებინოთ, რა მიზეზით?

— სიამოვნებით. აი ინებეთ.

და გაზეთი გადაუშალა, სადაც რამდენიმე ადგილი გადახაზული იყო წითელი ფანქრით. საშინელებაა! ეს იყო მისი, მთავარი რედაქტორის, საკუთარი მოწინავე წერილი, სადაც ესოდენ ბევრს ჰპირდებოდა იგი მის აღმატებულებას. თვალთ დაუბნელდა, არ შეეძლო წაშლილი ადგილების წაკითხვაც-კი.

— კეთილი... ბატონო პროკურორო... მაგრამ... — ჩაილუღლუღა მან.

— გთხოვთ დაბრძანდეთ! — მიმართა ჰუმანურმა მოხელემ და სავარძელი მისწია მისკენ. მერე გაზეთი აიღო და ხმამაღლა კითხვა დაიწყო:

„ავსტრიამ იმდენი ჭრილობა მიაყენა პოლონეთის ერს, ისე ხანგრძლივად ეწეოდა იგი გალიციის ექსპლოატაციას, ისე დიდხანს სჩაგრავდა და შეურაცხყოფდა ნაციონალურ გრძნობას“...

— მიბრძანეთ ერთი, განა ეს აშკარა წაქეზება არ არის, სიძულვილისა და მტრობის დათესვა არ არის ავსტრიის წინააღმდეგ?

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო პროკურორო, მაგრამ ეს მხოლოდ წინადადების პირველი ნახევარია, მეორე ნახევარში კი სავსებით ნათლად სწერია:

„რომ ისტორიული სამართლიანობის უბრალო აქტად უნდა ჩაითვალოს, როცა დღეს, ჩვენი პოლიტიკოსების გონიერი და თავგამოდებული მუშაობის მეოხებით, მივაღწიეთ სასურველ დაახლოებას ავსტრიასთან“.

— განა ეს წაქეზებაა?

— ეე, ჩემო ბატონო, თქვენი წინადადებები ძალზე გრძელია, დასაწყისის წამკითხველმა შეიძლება ბოლომდე ვერ მიაღწიოს. აბა მოისმინეთ ახლა სხვა წინადადება:

„ჩვენი ერის ჯოჯოხეთური დევნა პრუსიაში, საზიზღარი ექსტერმინაციული ომი, რომელსაც იქ პოლონეთის წინააღმდეგ არა მარტო ქადაგებენ გარტმანისთანა უტვინო ფილოსოფოსები, არამედ გაუგონარი თავხედობით ანხორციელებს კიდეც მას იუნკერთა ხელისუფლება“...

— აბა, დაფიქრდით, ეს ხომ აშკარა შეურაცხყოფაა იმ მთავრობისა, რომელიც მეგობრულ ურთიერთობაშია ჩვენს მონარქიასთან? თქვენ კი გინდათ გავუშვა ასეთი რამ!

— გთხოვთ ჩაიკითხოთ წინადადება ბოლომდე. მანდ ხომ ნათქვამია:

„ყოველივე ეს იმის ზედმეტი საბაბია, რომ სულით და გულით ვიდგეთ ავსტრიის მხარეზე“.

— რა თქმა უნდა, მართალი ბრძანდებით, და ეგ სიტყვები არც ამიკრძალავს. მაგრამ თქვენ თითონ განსაჯეთ: წინადადების პირველ ნახევარს ხომ აქვს მაინც მნიშვნელობა? იგი აშკარად უკანონოა. ან ავიღოთ მესამე ადგილი:

„ხელისუფლების წარმომადგენლებმა იმდენი ჩამორჩენილობა, დაუდევრობა და სასჯელის ღირსი ფუქსავატობა გამოიჩინეს“...

— ჩვენი მოხელეების ასეთი გაკილვის ნებას, ბატონო რედაქტორო, მე, რასაკვირველია, ვერ მოგცემთ.

— ბატონო პროკურორო, — წამოიძახა სასოწარკვეთილებამდე მიყვანილმა რედაქტორმა, — რატომ კითხულობთ სულ წინადადებების მხოლოდ პირველ ნახევარს? სწორედ მაგავე წინადადების მეორე ნახევარში ნათლად სწერია:

„რომ ჩვენ გონიერ პოლიტიკას არაადამიანური ძალლონის დახარჯვა დასჭირდა, რათა ჩვენი ადმინისტრაციის დონე ისეთ სიმაღლეზე ეყვანა, როგორზედაც მას ამჟამად ვხედავთ, რისთვისაც ჩვენ საკმარ[illegible] ბედნიერება არც კი გამოგვითქვამს“.

— განა ეს გაკილვაა? განა ეს დაცინვაა? განა ეს დანაშაულია?

— თქვენი შეხედულება თქვენი საქმეა. მე კი ჩემს თვალსაზრისზე ვრჩები. დეე, სასამართლომ გადასწყვიტოს, ვინ არის ჩვენ შორის მართალი. ბოლოს და ბოლოს კონფისკაციის საკითხი მომდინარეობს პოლიციის დირექტორისაგან და არა ჩემგან. მიმართეთ ბატონ პოლიციის დირექტორს. თუ ერთი საათის განმავლობაში ის თავის გადაწყვეტილებას უკან წაიღებს, მე საწინააღმდეგო არაფერი მექნება, თუ არა და საქმე სასამართლოს უნდა გადავსცე.

*
* *

კაკ-კუკ, კაკ-კუკ!

— შემობრძანდით!

— ბატონ პოლიციის დირექტორის უმდაბლესი მონა.

— ოჰ, ბატონო რედაქტორო, დაბრძანდით! რისთვის გარჯილხართ?

— გეახელით გაზეთის კონფისკაციის გამო.

ბატონმა პოლიციის დირექტორმა მხრები აიჩეჩა.

— მერე, რით შემიძლიან დაგეხმაროთ მე მაგ საქმეში?

— პროკურორმა განაცხადა, თუ თქვენ, ბატონო დირექტორო, ინებებთ განცხადების უკან წაღებას, მზად არის გაზეთი გაუშვას.

— უკან წავიღო? ჩემი განცხადება? მაგრამ მე რომ არა შემიტანია-რა, მაშასადამე, ვერც უკან წავიღებ რასმეს.

— პროკურორმა სთქვა...

— არა, არა. თქვენ სცდებით, ისიც სცდება.

— მაშ თქვენ, ბატონო დირექტორო, არავითარი საბაბი არა გაქვთ კონფისკაციისთვის?

— არავითარი, სრულიად არავითარი. აი დახედეთ ამას.

და დირექტორმა გაოცებულ რედაქტორს უჩვენა წითლად გადახაზული შენიშვნა ადგილობრივ ქრონიკაში.

„ბატონი ლევ ზამიატალსკი დაინიშნა პომპინსკის ქალიშვილ ოლგაზე. ეს ოჯახური ზეიმი გადახდილ იქნა ვიწრო მეგობრულ წრეში, მაგრამ მაინც ძალიან მხიარულად და გულთბილად“.

— მაშ ეგ იყო კონფისკაციის მიზეზი?! — წამოიძახა განცვიფრებულმა რედაქტორმა. — მაპატიეთ, ბატონო დირექტორო, ისე ვარ გაშტერებული აშ ამბისაგან, რომ გონება ვერ მომიკრებია. გარდა ამისა, ეს ცნობა ისეთმა კაცმა მომიტანა, რომელსაც პირადად კავშირი აქვს ამ საქმესთან.

— კავშირი აქვს ამ საქმესთან? — იკითხა პოლიციის დირექტორმა, — მერე, თქვენ იცნობთ ამ კაცს, ამ კავშირის მქონე კაცს?

— დიახ... სიმართლე თუ გნებავთ, მე მხოლოდ გუშინ გავიცანი, მეტად ქეთილშობილი ახალგაზრდა კაცია.

— გაჩვენათ თავისი საბუთები, რომ ის მართლაც ბატონი ზამიატალსკია?

— საბუთები?.. არა, მხოლოდ გამეცნო.

— გამართლდა, რასაც ვფიქრობდი! ჰო-და, იცოდეთ, ბატონო რედაქტორო, რომ თქვენ ულირსი მისტიფიკაციის მსხვერპლი გამხდარხართ. ბატონი ლევ ზამიატალსკი სრულიადაც არ არის ახალგაზრდა კაცი, იგი დარბაისელი ადამიანია, რომელსაც დიდი ხანია ცოლი ჰყავს, ხოლო ქალიშვილი ოლგა პომპინსკაია მისი ალმატებულების მეუღლის მოახლეა. და უნდა გაცნობოთ, — გეუბნებით ამას სრულიად საიდუმლოდ, — რომ განკარგულება დღევანდელი ნომრის კონფისკაციის შესახებ მომდინარეობს მისი ალმატებულებისაგან, მხოლოდ და მხოლოდ მისგან... ადვილად შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, როგორ უნდა გაბრაზებულიყო მისი ალმატებულება ამ უმნიშვნელო განცხადების დანახვაზე.

რედაქტორი თავზარდაცემული იდგა. რამდენსამე წუთს გონს ვერ მოსულიყო.

* * *

თორმეტი საათი იქნებოდა. სამი საათის დაგვიანებისა და ყველა საეჭვო ადგილის გამოტოვების შემდეგ, როგორც იყო, გამოვიდა „პოლონეთის სათივის“ საბედისწერო ნომერი. გაწამებული და სულით და ხორცით დატანჯული რედაქტორი თავისი მფარველის, დიდწვერიანი ბატონის მდიდრულად მორთულ კაბინეტში შევიდა.

— აა, დილა მშვიდობისა, რედაქტორო!

საამო ხმით წამოიძახა მისალმებაზე დიდწვერიანმა ბატონმა და ხელი გაუწოდა, ამასთან ისე, რომ სავარძლიდან არ წამომდგარა.

— ღმერთო ჩემო, ეგ რა მოგსვლიათ? როგორ გამოიყურებით? რა უბედურება დაგმართნიათ?

— მართლაც რომ უბედურება დამემართა, — მწუხარედ ჩაილაპარაკა რედაქტორმა, უამბო ყველაფერი, რაც მოხდა, და წითლად აჭრელებული ნომერი წინ დაუდო თავის მფარველს.

დიდწვერიანმა ბატონმა თვალი გადაავლო წაშლილ ადგილებს და მუშტი დაჰკრა მაგიდას.

— მე აქ საკონფისკაციოს სრულიად ვერაფერს ვხედავ.

— ვერც მე. მოწინავე წერილი...

— ჩინებულია! დაწერილია სწორედ ისე, როგორც თქვენ განმიმარტეთ.

— შენიშვნა...

— უსიამოვნო შენიშვნაა, მართლაც, მაგრამ ეს სავსებით კერძო საქმეა.

— ყველაზე სამწუხარო მთელ ამ ისტორიაში ის არის, რომ განკარგულება კონფისკაციის შესახებ თავათ მისმა ალმატებულებამ გასცა...

დიდწვერიანი ბატონი ელდანაკრავივით წამოვარდა.

— შეუძლებელია! ვინ გითხრათ?

— თვით პოლიციის დირექტორმა.

— ეშმაკმა უწყის რა არის! აქ რაღაც სხვა ამბავია. შეუძლებელია ისე მომხდარიყოს, როგორც თქვენ მიამბეთ. უნდა გავიგო სიმართლე და გავიგებ კიდეც. მშვიდობით, ჩემო კარგო! გამაგრდით, დამიტოვეთ ეს პირველი ნომერი. ხვალ ან ზეგ ვინახულებ მის ალმატებულებას და მოველაპარაკები. თქვენ კი გთხოვთ, სულით ნუ დაეცემით, ყურადღებას ნუ მიაქცევთ დღე-

ვანდელ კონფისკაციას. წადით და განაგრძეთ მუშაობა ადებული მიმართულებით. სიტყვას გაძლევთ, ყველაფერს გამოვასწორებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

დიდწვერიანი ბატონი გავლენიანი და წარჩინებული კაცი იყო, შრომის მოყვარე და მეტად თვალსაჩინო. განვლო მთელმა სამმა დღემ, სანამ იგი დროს იხელთებდა და მის ალმატებულებასთან შეივლიდა. როცა მრავალ რამეზე ლაპარაკით გული იჯერეს, დიდწვერიანმა ბატონმა, სხვათა შორის, სთქვა:

— გთხოვთ, თქვენო ალმატებულებავ, ამიხსნათ, რამ გამოიწვია „პოლონური სათივის“ გუშინწინდელი ნომრის კონფისკაცია?

— განა მე კი ვიცი? მე ძალიან დაინტერესებული ვიყავი იმ ნომრით და გაკვირვებული დავრჩი, როდესაც მისი კონფისკაციის ამბავი გადმომცეს.

— რას ბრძანებთ? მაშ თქვენ ალმატებულებას არ გაუცია განკარგულება კონფისკაციის შესახებ?

— მეე? რა მესაქმებოდა! მე ხომ პროკურორი არა ვარ!

— ჩინებულია, ჩინებული! — გადაიხარხარა დიდწვერიანმა ბატონმა. — პოლიციის დირექტორმა კი უთხრა რედაქტორს, რომ თქვენ გარკვევით გაეცით ბრძანება, მოეხდინათ ამ ნომრის კონფისკაცია.

— მე თვალითაც არ მინახავს ის ნომერი!

— აი, ინებეთ! საეჭვო ადგილები გადახაზულია წითელი ფანქრით და, უნდა გითხრათ, რომ, ჩემის აზრით, მაგ ადგილებში არაფერია ისეთი, რაც კონფისკაციის საჭიროებას იწვევდეს.

— პირიქით, — სთქვა მისმა ალმატებულებამ, როდესაც გაზეთის მოწინავე წერილი წაიკითხა. — ძალიან კარგი წერილია და, ალბათ, შთაბეჭდილებასაც მოახდენდა.

— ვფიქრობ, სასამართლო არ დაადასტურებს კონფისკაციას.

— მეც მაგრე მგონია, თუმცა მეტი არ იქნება, თუ სასამართლოს პრეზიდენტს პატარა განმარტებას მივცემ.

მისი ალმატებულება ტელეფონთან მივიდა.

ძინ, ძინ!

— გთხოვთ შემაერთოთ პოლიციის დირექტორთან.

ძინ, ძინ!

— ბატონი პოლიციის დირექტორია ტელეფონთან?

— მზად ვარ გემსახუროთ, თქვენო ალმატებულებავ.

— ცუდად მემსახურებით, ბატონო დირექტორო: როგორ გაბედეთ და სთქვით, თითქოს მე მებრძანებინოს „პოლონური სათივის“ კონფისკაცია?

— მე მაგრე გავიგე, თქვენო ალმატებულებავ.

— მაგეთი გაგებისათვის, ბატონო დირექტორო, ღირსი ხართ იმისა, რომ დაუყოვნებლივ ეტაპით დეპუტატთა პალატაში გაგგზავნოთ. თქვენ, ალბათ, სასამართლოს პრეზიდენტსაც მაგრე წარუდგინეთ საქმის ვითარება?

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ.

— მაშ კეთილი ინებეთ, ეხლავე დაურეკეთ პრეზიდენტს და აცნობეთ, რომ მე მაგნაირი არა მიბრძანებია-რა და არც მომისურვებია, რომ სასამართლო ნუ დაადასტურებს კონფისკაციას. დიდად საჭიროა, რომ მოწინავე წერილი თავდაპირველი სახით დაიბეჭდოს.

*

* *

ძინ, ძინ!

— თქვენა ხართ, ბატონო პოლიციის დირექტორო?

— მე გახლავართ, თქვენო აღმატებულებავ.

— რას მეტყვით, რა გაიგეთ?

— მივიღე ტელეფონით ბატონ პრეზიდენტის პასუხი.

— მერე, რაო?

— სამხარეო სასამართლომ ნახევარი საათის წინად სავსებით დაადასტურა კონფისკაცია....

მთარგმნელი **ილია აგლაძე**

1899 წ.

ფაშიზმი კულტურის წინააღმდეგ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროფ. მოსე გოგიბერიძე

ფაშიზმი მეცნიერებისა და კულტურის მტერია

ფაშიზმი იმპერიალიზმის ეპოქის პირმშოა. იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადია, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მომაკვდავი ცივილიზაციისათვის დამახასიათებელ რეაქციულ ძალებს აღვიძებს და რეაქციულ იდეოლოგიას წარმოშობს. გატაცება მისტიციზმით, სიკვდილისა და დაღუპვის ფილოსოფიით, პესიმიზმი და უიმედობა, ქადაგება მგლის მორალისა, ძალმომრეობის აპოთეოზი, კაცუნების მიერ ძებნა ზეკაცისა, ახალი მესიისა, — აი იდეოლოგიური ფორმა იმპერიალიზმის ეპოქისა.

ფაშიზმი ქადაგებს, რომ ადამიანი მტაცებელი ცხოველის შთამომავალია, რომ ადამიანი თვალით იჭერს თავის მსხვერპლს და ამიტომ ფაშიზმის იდეალია ზეკაცი, ბატონი, მბრძანებელი.

ფაშიზმი პირველად იტალიაში დაიბადა, როგორც კონტრრევოლუციური მოძრაობა. მაშინ მას არავითარი თეორიის პრეტენზია არა ჰქონია. ეს იყო ქუჩაში წარმოშობილი რეაქცია, პოლიტიკის ასპარეზზე გაკოტრებული, თავზეხელაღებული ბანდიტების საბრძოლო კავშირი. თეორიების ძებნა მან გერმანიაში დაიწყო და შეიმუშავა ე. წ. „ახალი მსოფლმხედველობა“ მიხაკისფერ ხალათში გახვეული ზეკაცის და ზეერისა.

ცხადია, სერიოზულ საზოგადოებრივ პერსპექტივებს მოკლებულმა, მსოფლიო ომის ტალღების მიერ ქუჩაში გამოყრილმა კაცუნებმა ზეკაცი თავიანთ თავში აღმოაჩინეს, ხოლო ზეერი — გერმანელებში, უფრო კონკრეტულად კი — „თეთრფეროვან“ პრუსიელებში.

ამ დროს იტალიაში ჯერ კიდევ უცნობი იყო როგორც ზეკაცის „ფილოსოფია“, ისე ზეერის იდეოლოგია. იტალიის ფაშისტურ მთავრობაში არხეინად ისხდნენ „შავი“ ებრაელები. ამ მიმართულებით იტალია ერთობ „ჩამორჩა“. მან ძალიან გვიან შეითვისა ჰიტლერის ზეკაცის „ფილოსოფია“, ხოლო ზეერის იდეოლოგია დღემდეც ვერ მოინელა მსუბუქ მაკარონს შეჩვეულმა იტალიურმა კუჭმა. ცოტა გვიან, მაგრამ მონური მორჩილებით შეასრულა ბენიტო მუსოლინიმ ჰიტლერის „მეგობრული რჩევა“ და კაციჭამია ანტისემიტიზმი აღიარა იტალიის იმპერიის სახელმწიფო ფილოსოფიად. იტალიური ფაშიზმიც მოინათლა რასიზმითა და ცრუ სოციალიზმით.

განსაკუთრებით არაფერი ესმით იტალიელებს ზეერის ფილოსოფიისა. იტალიელები ინსტინქტურად გრძნობენ, რომ ადრე თუ გვიან ჩრდილოელი მეგობრები მათაც უარს ეტყვიან წმინდა რასის უფლებაზე და თეთრფეროვნებაზე. ამიტომაა, რომ სიმღერაში საქვეყნოდ ცნობილ იტალიელებს ხუხრინწიანდებათ, როგორც კი ჩრდილოელი მეგობრები ზეერის შესახებ იწყებენ ლაპარაკს.

ფაშისტური იდეოლოგიის სფეროში იტალიელები იმავე როლს ასრულებენ, რასაც სამხედრო ოპერაციებში, ე. ი. კუდში მისჩანჩალებენ გერმანელებს. მათ არაფერი გამოუდით არც სამხედრო ოპერაციებში, არც იდეოლოგიის ფრონტზე.

გერმანია ერთ დროს მეცნიერებისა და კულტურის ციტადელად ითვლებოდა. ათი წელიწადი არ გასულა მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანას ფაშისტთა ბანდა დაეპატრონა და ამ ხნის განმავლობაში ისეთი პროდუქტები წარმოშვეს მეცნიერებისა და კულტურის ფრონტზე გერმანელმა ფაშისტებმა, რომ ერთიანად წაიშალა გერმანია კულტურისა და ცივილიზაციის რუკაზე.

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ჰიტლერმა თავხედი ტონით ქვეყანას აუწყა: „ადამიანური კულტურა და ცივილიზაცია დედამიწაზე განუყოფელია არიელის არსებობისგან“. აქედან იგი ასკვნიდა, რომ დედამიწაზე მობინადრე ხალხები იყოფიან თეთრფეროვან არიელებად და შავგვრემან სემიტებად. კულტურა და ცივილიზაცია არიელებმა შეჰქმნეს და რომ ისინი მხოლოდ მათი საკუთრებაა. ამიტომაა თურმე, ორი რასა, ორი სისხლი რომ იბრძვის მსოფლიო ისტორიაში. ისტორია თურმე რასებისა და არა კლასების ბრძოლის ისტორიაა.

მაგრამ, როგორც საქვეყნოდ ცნობილია, ჰიტლერს აინტერესებს არა მეცნიერება. რასების თეორიაც მან წამოაყენა არა იმიტომ, რომ განყენებული ჭეშმარიტება ეძებნა, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ დაესაბუთებინა ფაშისტური გერმანიის მტაცებლური ზრახვები სხვა ხალხების მიმართ.

ამიტომ, ცხადია, „უკრიტიკოდ“ არიელობის ცნება მისი იმპერიალისტური ზრახვებისათვის გამოსადეგი არ იყო. არიელებად ძალიან ბევრი ერი იწოდება. აბა რა საინტერესოა მისთვის ინგლისელებსა და ფრანგებს ადგილი მისცეს „პატიოსან“ არიელთა ოჯახში? ჰიტლერიც გაბედულად ავიწროვებს არიელობის ცნებას და ბუნდოვანი ენით იწყებს ლაპარაკს. „ჩვენ ყველანი ვგრძნობთ, — სწერს იგი, — რომ მომავალში ადამიანი შეიძლება დადგეს ისეთი პრობლემის წინ, რომლის დაძლევასაც შესძლებს მხოლოდ ერთადერთი უმაღლესი რასა, ბატონების ხალხი“.

ამ აბდა-უბდის უკან იმალება უკიდურესი იმპერიალიზმი და საბაბის ძებნა მეზობელი ქვეყნების დაპყრობისა და სხვისი მამულის აწიოკებისათვის. თურმე ნუ იტყვით და გერმანელები „ბატონების ხალხია“ და რომ ვითომ განგებას მათთვის რაღაც უმაღლესი პრობლემების გადაჭრა დაუვალებია... განგებასვე მათთვის უფლება მიუცია ყველა სხვა ხალხებზე ბატონობისა, სხვისი ოჯახისა და ნაოფლარის მითვისებისა.

გერმანელი ხალხისა რა მოგახსენოთ და, ჰიტლერი და მის ბანდაში გაერთიანებული მეკობრეები რომ თავიანთი დღე ამაზე ოცნებობენ, ეს დღეს უკვე მთელმა კაცობრიობამ იცის.

ამ მტაცებლური მადისათვის მეცნიერების ელფერი რომ მიეცა და თეორიის ფერუმარული წაეცხო, ჰიტლერმა თავისი რასების თეორია გამოიგო-

ნა. მიუხედავად იმისა, რომ მას გერმანიის ბურჟუაზიული ცრუ-მეცნიერთა ერთი ნაწილი გვერდში ამოუდგა, მეცნიერების ფერუმარული მაინც არ ძიუდგა ჰიტლერიზმს და მისი ისედაც უშნო სახე ფერუმარულით უფრო შეთხუპნილი გამოვიდა, ვიდრე შელამაზებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი არმია რასისტი „მეცნიერებისა“ შეუდგა მტაცებლობისა და სხვებზე ბატონობის თეორიის დასაბუთებას. პალეონტოლოგია და ისტორია, ანთროპოლოგია და ბიოლოგია, გეოგრაფია და მედიცინა დააყენეს ჰიტლერიზმის სამსახურში.

ყველაზე უფრო მყვირალა ფაშისტების ე. წ. თეორიაში „ბიოლოგიური თვალსაზრისია“. ამ თვალსაზრისის თანახმად, ადამიანი წარმოიშვა არა ერთი დასაბამიდან, არამედ ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე წყაროდან. ამ ცრუ თეორიის მიხედვით, თეთრფეროვანი არიელები წმინდა ადამიანური ანუ ღვთაებრივი წარმოშობისანი არიან; ყველა დანარჩენი ხალხები კი სახეშეცვლილ ცხოველებს წარმოადგენენ. შეიარაღებული ცრუ პრინციპებით, ცრუ ინსტრუმენტებით ფაშისტი პროფესორები ზომავენ ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილებს, იგონებენ ებრაელთა სხვადასხვა მახინჯ ტიპებს, ამზადებენ რასის გასაუმჯობესებლად ტაკიმასხრულ ელექსირებს და სხვ.

ფაშისტებმა კარგად იციან, რომ ადამიანმა ისტორიულად ცხოველი მოაშინაურა და იგი თავის სამსახურში დააყენა, მათ, რასაკვირველია, იციან ისიც, რომ ისტორიულად ადამიანთა საზოგადოება იყოფოდა მონებად და ბატონებად. მონა ყველა დროის ექსპლოატატორ კლასს ესაჭიროება. კაპიტალისტური ექსპლოატაციის განსამტკიცებლად და შესანარჩუნებლად აუცილებელია მონობის ინსტიტუტის თანამედროვე სახის განმტკიცება. ამიტომ ფაშისტი პროფესორები მონობას მარადიულ, რასიულ თვისებად სთვლიან. ცრუ ექსპერიმენტებით ამტკიცებენ, რომ დაბალი რასის ხალხებს თავიანთი კავშირი ადამიანთან მონადყოფნაში შეუძლიანთ მხოლოდ გამოხატონო.

ფაშისტთა ბოდვის მიხედვით, კულტურის ჩანასახი თურმე გაჩნდა მაშინ, როცა ადამიანმა ცხოველი დაიმორჩილა, მაგრამ ნამდვილი კულტურა იმ დღეს დაიბადა, რა დღესაც ადამიანმა მონა გაიჩინა.

რადგან ფაშისტი პროფესორები თავიანთ თავს მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის შემომქმედებად სთვლიან, ამიტომ, ცხადია, მონობის აუცილებლობის დასაბუთებისათვის ისინი ენერგიასა და შრომას არ ზოგავენ.

ეს ქვეყანა, მათის აზრით, ძლიერისაა. ისტორიაში ყოველთვის ბატონების რასა მეფობდა. თანამედროვე მარქსიზმით და დემოკრატიზმით დაავადებულმა ეპოქამ ყველაფერი არია ამ სფეროში. დროა გავწმინდოთ ჰაერი, დროა ქვეყანას ბატონი გამოვუნახოთ, დროა მეორე რომი დავაარსოთ,—გაჰყვირიან ისინი.

ვინ უნდა იყოს თანამედროვე მსოფლიო ბატონი, მეორე რომის მესვეური? კითხულობენ ფაშისტი კაციჭამიები. და უპასუხებენ: რასაკვირველია, გერმანიაო. და ფაშისტი ანთროპოლოგები თავხედურად ლაყბობენ იმაზე, რომ კაცობრიობის თეთრფეროვანი მარილი შეუბღალავად თურმე მხოლოდ ჩრდილოეთ გერმანიაში გადარჩენილა. სხვაგან იგი დიდი ხანია ებრაულ თესლს მოუწამლავს. როგორც ერთი ფაშისტი ვაი „ფილოსოფოსი“ გვასწავ-

ლის, ყველაზე დიდი ბრძენი, გენიოსი, მებრძოლი და ნამდვილი ადამიანი ყოფილა თურმე კაცობრიობისათვის უცნობი ერთი პრუსიელი პასტორი.

რა გააკეთა ამ პატივცემულმა პასტორმა ასეთი? რით დაიმსახურა „ფიუ-რერის“ უახლოესი წრის ასეთი ყურადღება? მას თურმე [illegible] ცოლი ვაჟი ჰყავდა. ერთ დღეს პასტორი ავად გახდა. შეჰკრიბა ცხრა თეთრფეროვანი ვაჟკაცი თავის ირგვლივ და უთხრა: „შვილებო, მე ვკვდები და გიბრძანებთ სიკვდილის წინ, არ გაბედოს რომელიმე თქვენგანმა და შავგვრემანი დედაკაცი ჩვენს სახლში არ შემოათრიოს ცოლად“. განა სამწუხარო არ არის, რომ კანტისა და ჰეგელის ქვეყანაში ასეთი გალიმაცია ითვლება დღეს მეცნიერებად და ფილოსოფიად!

ყველამ იცის, რასაკვირველია, რომ მარტო გერმანელები არ არიან თეთრფეროვანი, სხვა ბევრი ჩრდილოელი ხალხიც თეთრფეროვანია, მაგალითად რუსები. რუსები იმთავითვე შეიძულეს ფაშიზმის თეორეტიკოსებმა. ისინი ისტერიულად გაიძახიან, არ დაიჯეროთ, რუსი თეთრფეროვანი არ არის, რუსი მონგოლოიდია, მას ეშმაკმა თეთრი კანი მისცა, მაგრამ სისხლი შავი დაუტოვაო. ისტერიულად გაჰკივიან ფაშისტები—გაიგეთ, რომ რასა სისხლის საკითხია, სისხლის. გერმანელის სისხლი ტკბილი და სურნელოვანია, სხვა ხალხებისა — მწარე და მყრალი. ფრანგული ჯიში თურმე სრულიად არ არსებობს ქვეყანაზე, ფრანგები მეტისები არიან. თურმე ფრანგულ სისხლში ნამდვილი ცხოველების ანუ ზანგების სისხლი ურევია და სხვ. ამიტომაა, რომ ფრანგი ბუნებით დემოკრატია და წესრიგის მტერი. ფრანგების საწამლავის აღსაკვეთად საკმარისი არ არის მილიტარული ომი, ფრანგებს „ბიოლოგიური ომი“ უნდა გამოეცხადოთო,—გაჰკივიან ეს განსწავლული ვანდალები.

„ბიოლოგიური ომის“ საკითხზე თანამედროვე გერმანიაში მარტო ფაშიზმის „ფილოსოფოსები“ არა ზრუნავენ, — ამაზე მუშაობს სახელმწიფოს უზარმაზარი აპარატი. ბიოლოგიურ ომს ამზადებენ არა მარტო ფრანგული მეტისური სისხლის წინააღმდეგ, არამედ ყველა სხვა მეზობელი ხალხის წინააღმდეგ, რომელიც არ მოისურვებს ნებაყოფლობით დაიდგას კისერზე მონობის უღელი. მრავალი ინსტიტუტი მუშაობს დღეს ფაშისტურ გერმანიაში, — სწავლობენ საკითხს, თუ როგორ მოწამლონ მოწინააღმდეგე ქვეყნის სასმელი წყლები ტიფის ბაცილებით, თუ როგორ შეუშვან მოწინააღმდეგის ქვეყანაში ხოლერითა და შავი ჭირით დაავადებული ვირთაგვები.

აი ასე გამოიყურება გერმანელ ფაშისტთა ეგრეთწოდებული ცივილიზაცია, მისი ეთიკა და მისი ადამიანობა.

გამანადგურებელი ომი ყოველგვარი საშუალებით, ბიოლოგიურად მოსპობა მეზობლის, რომელსაც არა სურს ნებაყოფლობით გახდეს „გერმანული რასის“ მონა, — აი მორალი და ფილოსოფია ფაშისტური გერმანიისა. ის, რასაც დღეს გერმანია პრაქტიკულად სჩადის დასავლეთ ევროპის ხალხების მიმართ, დიდი ხანია თეორიულად მომზადებული და აწონილ-დაწონილი იყო ფაშისტთა ვანდალების მიერ.

ყოველივე ამის გამო, ცხადია, გაკვირვებას აღარ იწვევს ის გარემოება, რომ გერმანული ფაშიზმის თეორეტიკოსები სამკვდრო-სასიცოცხლო ომს აწარმოებენ მეცნიერებისა და ფილოსოფიის კლასიკოსების წინააღმდეგ. მეცნიერებამ და განმანათლებლობამ წაართვა ქვეყანას ვაჟკაცური სული,

მეცნიერება და დემოკრატია ტყუპები არიან. მაშ ძირს მეცნიერებაც და დემოკრატიაც! — ასეთია ფაშისტთა დევიზი.

ადამიანს, — განაგრძობენ ეს ბარბაროსები, — ბევრი [illegible] საჭიროება. სამყარო თავისი ბუნებით ირრაციონალურია. ძირს — დემოკრატიის მიერ გამოგონილი რაციონალიზმი, ძირს ჰუმანიზმი, ძირს თაყვანისცემა უილაჯო გონების წინაშე! უნდა აღმოიფხვრას დემოკრატიისა და რაციონალიზმის მოგონება თანამედროვე ადამიანის ცნობიერებიდან! — ერთხმად გაიძახიან ფაშისტი პროფესორები.

ამ კაცუნებმა არ დაინდეს გერმანიის ხალხის უდიდესი გენიოსებიც კი. გოეთეს მათ ვერ აპატიეს ის, რომ ფრანგები არა სძულდა და საერთოდ დიდი ალლო ჰქონდა სხვა ერისა და ხალხის ცივილიზაციის ათვისებისა. კანტი ფაშისტებმა უკუაგდეს, რადგან კენიგსბერგელ ბრძენს აღმოუჩინეს დემოკრატობისა და ინტერნაციონალიზმის ზედმეტი დოზა და პაციფიზმის ბაცილა. შილერი ხომ მთლად მოღალატე და მეამბოხე აღმოჩნდა ფაშისტებისათვის. პირველ ხანებში ფაშიზმი ჰეგელს ეარშიყებოდა, როცა ფაშიზმი მოღონიერდა და გერმანიაში ხელთ იგდო სახელმწიფო ძალაუფლება, ჰეგელიც ისევე ულმობელად უარჰყო, როგორც კანტი და შილერი. თურმე ნუ იტყვით, ჰეგელს ყველაზე უფრო დიდი დოზა აღმოაჩნდა „შთამომავლობითი ცოდვისა“, იგი აღმოჩნდა პრომარქსისტი, მობოლშევიკოც კი. ფაშიზმის ერთი ახლად მოვლენილი „ბრძენი“ იუწყება ამ საკითხზე: ჰეგელი კარლ მარქსის მეშვეობით ლენინს დარჩა მემკვიდრეობად და ასე ამრიგად მოსკოვში გადასახლდაო.

ფაშისტები კულტურას სწმენდენ არა ისეთი „ზედმეტი ბარგისაგან“, როგორიც იყო კანტი, გოეთე, შილერი, ჰეგელი და ჰაინე. უფრო მეტიც: მათ მეცნიერების მთელი დარგები თანამედროვეობის ხორცმეტად გამოაცხადეს. თანამედროვე მათემატიკა და თეორიული ფიზიკა ებრაელების გამოგონება ყოფილა, ამიტომ სასტიკი ბრძოლა იუდაიზმის წინააღმდეგ მათემატიკაში, ძირს აინშტაინები! —აი ახალი დროის ბარბაროსთა მორიგი დევიზი.

თუ რა გაბოროტებამდე მიიყვანა ფაშიზმის თეორეტიკოსები ბრძოლამ ყოველივე იმასთან, რასაც დემოკრატულობისა და ხალხოსნობის ნასახი აქვს, ნათლად სჩანს მათი ბრძოლიდან თანამედროვე მედიცინის წინააღმდეგ. ისტორიიდან ვიცით, რომ ყველა დროის დამპყრობელი მეგობრულად განწყობილი ყოფილა თავისი დროის მედიცინასთან, ამას ამტკიცებს ძველი და ახალი დროის ისტორია. ყველა დიდ მოძრაობას და დიდ ომს სჭიროდა ექიმი. ფაშიზმი მედიცინასაც ებრძვის. მედიცინაც, მისი აზრით, დემოკრატიის აგენტი აღმოჩნდა.

ფაშიზმმა შეჰქმნა ე. წ. „მედიცინის ფილოსოფია“, რომლის სიბრძნე დაახლოებით ასეთია: სიცოცხლე ძლიერი ორგანიზმის უფლებაა. ბუნებაში ხდება შერჩევა, სადაც ძლიერი იჭერს პოზიციას და სუსტი ჰქრება. ამ საერთო კანონს წინ აღუდგა მედიცინა. რამდენადაც მედიცინამ გამოიგონა საშუალება ძლიერი ორგანიზმის დასახმარებლად, იმდენად იგი დადებითი მოვლენა იყო ცივილიზაციისათვის. მაგრამ მედიცინამ ამის გვერდით გამოიგონა მასობრივი ჰიგიენის საშუალებანი. მან მოსპო, ყოველშემთხვევაში მინიმუმამდე დაიყვანა, დიდი სახალხო ეპიდემიები. ამით მედიცინა იქცა დემოკრატიის მეცნიერებად, მან ხელი შეუწყო იმას, რომ დედამიწა დღეს ჭარბად არის დასახლებული, დემოკრატიით გაივსო კულტურული ქვეყნის სივრცე-

ები, და ეს დემოკრატია ახრჩობს და აოხრებს მაღალ და ძლიერ არიელისათვის განკუთვნილ კულტურას. ძველს დროში, — მსჯელობენ ფაშიზმის კაცუნები, — დიდი ეპიდემიები მძვინვარებდნენ, ხდებოდა ზედმეტად მოსახლეობის „წმენდა“, ესე იგი ხდებოდა ერთგვარი ბუნებრივი-ბერრეკა და დემოკრატიის შავი ნაკადი არ აღრჩობდა ყველაფერს. მედიცინამ მოსპო რა ეპიდემიები, ყველაზე უსაშინელეს სოციალურ ბაქტერიებს მისცა საზრდო და პოხიერი ნიადაგი, მან დემოკრატიის გავრცელებით გაავრცელა ინტერნაციონალიზმის და მსოფლიო რევოლუციის შავი ჭირიო.

ყოველივე ამის გამო ფაშიზმი ომს უცხადებს თანამედროვე მედიცინის მიღწევებს. მრავალი ეპოქალური აღმოჩენა მედიცინის სფეროში, განსაკუთრებით ისეთი, რომლის მიზანიც არის ბრძოლა დიდი სახალხო ეპიდემიების წინააღმდეგ, უკუგდებულია ფაშისტური მედიცინის მიერ.

მაგრამ ყველაზე ბარბაროსული და ყველაზე უცნაური არის ფაშისტური მოძღვრება კლასებისა და რასის შესახებ. ყველასათვის ცნობილია მათი გაუთავებელი ლაყბობა იმის შესახებ, რომ კაცობრიობის ისტორია არის არა კლასთა ბრძოლის, არამედ რასების ბრძოლის ისტორია, რომ კლასთა ბრძოლა მარქსის მიერ გამოგონილი მითია, რომ ყოველი განმაახლებელი ომი თუ რევოლუცია სისხლისა და ჯიშის საკითხია და სხვა.

ცნობილია აგრეთვე ის, რომ ყოველი დროის მონათმფლობელი წინააღმდეგი არ იყო იმისა, თუ მონად ვინმე უცხო ტომის კაცს იშოვნიდა, მაგრამ თუ შემთხვევა ხელსაყრელი არ იყო და ეს ბარბაროსად გამოცხადებული უცხოელი არ იშოვებოდა, მაშინ საკუთარი ტომისა და სისხლის კაცი, საკუთარი მოძმე უნდა გამხდარიყო მონად. არსებობდა არა მარტო სამხედრო დაპყრობის თუ ყიდვის ნიადაგზე წარმოშობილი მონობა, არამედ საკუთარ ტომში ეკონომიური დამორჩილების ნიადაგზე წარმოშობილი მონობაც.

ისტორიის ამ გაკვეთილს ფაშიზმის თეორეტიკოსებმა მაგრად ჩასჭიდეს ხელი, ისინი ცდილობენ „თეორიით“ გაამართლონ კაპიტალისტური მონობა. მაგრამ ფაშისტთა პათეტურ ყიჟინას გერმანული რასის ზეერობისა და გერმანელის ზეკაცობის შესახებ ძალზე პირობითი აზრი აქვს. საქმე ის არის, რომ მათი აზრით, ყველა გერმანელი როდია იმის ღირსი, რომ იყოს ზეკაცი და არც ყველა გერმანელია წმინდა რასის ჯიშისა, — ასეთია მხოლოდ რჩეულთა დ ძლიერთა ერთი, გარკვეული ფენა. მაგალითად, მათის აზრით, მარქსიზმისა და ინტერნაციონალიზმის ბაცილით ინფექცირებული მუშა სრულიად არ ეკუთვნის „წმინდა რასას“, იგი დემოკრატიისა და მოღალატე აღმოსავლელის აგენტია გერმანიის ხალხის სულიერ სათვისტომოში.

ასე ღაღადებენ ანთროპოლოგიის სპეციალისტი ფაშისტი პროფესორები. გერმანიის ხალხი, მათის აზრით, იყოფა „რასობრივად სრულყოფილ“ და „რასობრივად მდარე“ ელემენტებად. გერმანიის მუშათა კლასი, რასაკვირველია, მთლიანად „რასობრივად მდარე“ ელემენტად არის მიჩნეული. ამით აიხსნება თურმე ის, რომ მუშათა წრეში ნიადაგს პოულობს ინტერნაციონალიზმი, მარქსიზმი, დემოკრატია. ფაშიზმის უბადრუკი კალმოსნები ამტკიცებენ, რომ „რასობრივად სრულყოფილი“ ელემენტი არის მაღალი ტანის, ქერა, თავმომწონე, ქედმაღალი, თავდაჭერილი, შინაგანად შეკრული, მხნე, ზომიერი. ხოლო „რასობრივად მდარე“ ელემენტი, ე. ი. გერმანელი მუშა არის ჩქარი, უყვარს ზედმეტი ლაყბობა, ამიტომ იგი მარქსისტულ-დემოკრატიული აგიტაციის ობიექტს წარმოადგენს, აკლია თავმოყვარეობა. ერთის

სიტყვით აქვს სულიერი კონსტიტუციის ისეთი ნიშნები, რომლების მეოხებითაც იგი სამხრეულ და აღმოსავლელ მდარე ერებს უფრო ჩამოგავს, ვიდრე ჩრდილოელ გერმანელს.

ექსპლოატატორთა ამ ბარბაროსულ ფილოსოფიას ექსპერიმენტულად „ასაბუთებენ“ ფაშიზმის სამსახურში მყოფი პროფესორები. თურმე თავის ქალის მოცულობა მაღალი ფენის გერმანელს ბევრად უფრო დიდი აქვს, ვიდრე გერმანელ მუშას, თურმე სხეულის აგებულობა, ჩონჩხი, ორგანოების ფორმა გერმანელ მუშას, მაღალი ფენის გერმანელთან შედარებით უხეში, მდარე და უშნო აქვს. ათასი ცრუ პედაგოგი ე. წ. ტესტების მეთოდით ასაბუთებს, რომ ღარიბი ფენებიდან გამოსული ახალგაზრდობა, საშუალოდ აღებული, უნიჭოა, რომ ნიჭიერ მოწაფეთა დიდ რიცხვს მხოლოდ შეძლებული ფენები იძლევიან. თურმე გერმანელ პროფესორს იშვიათად შეხვედრია მეცნიერებისათვის ღირებული სტუდენტი, რომელიც მოსახლეობის დაბალი, ღარიბი ფენიდან იყოს გამოსული. ფაშიზმის ამ უტიფარ ლაქიებს, ყოვლად უსინდისოდ ავიწყდებათ საკუთარი გერმანული კულტურის ისტორია. იმ დიდი ადამიანების რიცხვიდან, რომლებიც წარსული საუკუნეების გერმანიამ მისცა კაცობრიობას, ძალიან დიდი პროცენტი სწორედ ხალხის ღარიბი ფენებიდან წარმოსდგებოდა. კანტი ღატაკი მეწაღის შვილი იყო, ხოლო ფიხტეს მამა მუშა ფეიქარი იყო, პატარა ფიხტემ მთელი ახალგაზრდობა მოჯამაგირეობაში გაატარა. მაგრამ ასეთ ფაქტებთან რა საქმე აქვთ ფაშისტ პროფესორებს, ისინი ისე მღერიან, როგორც ამას ჰიტლერის ირგვლივ თავმოყრილი ბანდა მოითხოვს. მობილიზებულია ცრუ მეცნიერება, ცრუ ექსპერიმენტი, ცრუ კვლევა, რათა კლასობრივი სიძულვილის ეს უკიდურესი სიცრუე თეორიულად დასაბუთდეს და ჰიტლერ-როზენბერგ-ჰებელს-ჰერინგის რასის განსამტკიცებლად „თეორიები“ შემუშავდეს.

დღეს თავიდან ფეხამდე შეიარაღებულ გერმანულ ფაშიზმს ამ ცრუპენტელა მეცნიერებით, ამ ლაყბობით სურს ევროპის ხალხების „გაბედნიერება“. დასავლეთ ევროპის ხალხები უკვე გმინავენ მის ბინძურ ფეხქვეშ. ახლა ჰიტლერის ურდოები აღმოსავლეთ ევროპას მოადგნენ. ვერ გაძღა იგი დასავლეთში დაღვრილი სისხლით, მას ახალი სისხლი სწყურია.

მაგრამ სწორედ აქ, აღმოსავლეთ ევროპის საზღვრებთან, არის გათხრილი საფლავი ფაშიზმისათვის. თავისუფლების მოყვარული საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი, მტკიცე და შეურყეველი ნებისყოფა გაანადგურებს ფაშიზმს. ძლევამოსილი წითელი არმია გაანთავისუფლებს ევროპას ჰიტლერის ქუსლისაგან. სოციალისტური ქვეყნის კულტურა და მეცნიერება მოსპობენ ფაშიზმის ცრუმეცნიერებას და ცრუკულტურას.

ფაშიზმი მეცნიერებისა და კულტურის ბოროტი მტერია. იგი უნდა განადგურდეს და მოისპოს. ეს დიდი მისია ისტორიამ ორასმილიონიან საბჭოთა ხალხს დააკისრა.

ჩვენი ხალხი პირნათლად შეასრულებს ამ დავალებას.

ფაშიზმი განადგურებული იქნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერ. ბურჭულაძე

გერმანიის დამარცხება პირველ იმპერიალისტურ ომში

„პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში გერმანიის არმიასაც უძლეველ არმიად სთვლიდნენ, მაგრამ მან რამდენჯერმე განიცადა მარცხი რუსეთისა და ინგლის-საფრანგეთის ჯარებისაგან და, ბოლოს, დამარცხებულ იქნა ინგლის-საფრანგეთის ჯარების მიერ“.

სტალინი

პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომში გერმანიის იმპერიალიზმი ჩაება ზუსტად მოფიქრებული სამხედრო-სტრატეგიული გეგმებით, რომელიც ომამდე დიდი ხნით ადრე დაამუშავა ფელდმარშალმა გრაფ შლიფენმა.

შლიფენის გეგმა ითვალისწინებდა ომის უმოკლეს ვადაში მოგებას. ელვისებურ დარტყმას საფრანგეთი უნდა გამოეყვანა მწყობრიდან 6 კვირის განმავლობაში. „საფრანგეთის არმია მოსპობილ უნდა იქნასო,“ — სწერდა შლიფენი. აქედან განთავისუფლებული ავსტრია-გერმანიის ჯარი უნდა გადასროლილიყო აღმოსავლეთში, რუსეთის გასანადგურებლად. ამგვარად, ომი ორივე ფრონტზე უნდა დამთავრებულიყო 3 თვეში გერმანიისა და ავსტრიის ძლევამოსილი გამარჯვებით.

შლიფენის გეგმაში, სხვა ნაკლთან ერთად, ერთი მთავარი ხარვეზი იყო: გეგმა რუსეთის ფრონტის ფაქტორის შეუფასებლობას იჩენდა. ეს გარემოება კი გერმანიისათვის საბედისწერო აღმოჩნდა.

ომის პირველ თვეებშივე გერმანიის იმპერიალიზმის გამოწვევის საპასუხოდ რუსეთის არმია ძლევამოსილ შეტევაზე გადავიდა. რუსი ჯარის ბრძოლა ბრწყინვალე გამარჯვებით დაიწყო. ავსტრია-უნგრეთის არმია სასტიკად იქნა უკუგდებული და გააფთრებული ბრძოლით დაჭერილ იქნა გალიცია. ჩაიფუშა ჰინდერბურგისა და ლუდენდორფის განზრახვა — ალყა შემოერტყათ რუსეთის არმიისათვის პოლონეთში. 20 აგვისტოს ბრძოლაში გუმბინენთან რუსეთის ჯარმა უდიდესი გამარჯვება მოიპოვა, მან გაანადგურა გერმანიის რჩეული კორპუსები. გერმანელი ჯარის წინააღმდეგობის გატეხის შემდეგ რუსეთის ჯარი აღმოსავლეთ პრუსიაში შეიჭრა. გერმანიის სარდლობა პანიკამ შეიპყრო.. რუსეთის ჯარის შეტევის მოლოდინში გენერალმა ფონ პრიტვიცმა ბრძანება გასცა — დაეცალათ მთელი აღმოსავლეთი პრუსია. გერმანიის ჯარი უკან იხევდა. გერმანიის სარდლობა იძულებული გახდა მოეხსნა

დასავლეთში ორი კორპუსი და აღმოსავლეთის ფრონტზე გადმოესროლა. დამახასიათებელია, რომ მაშინაც კი, როცა რუსი მეომრები, ზოგიერთი უხეირო გენერლების წყალობით (სამსონოვი, რენენკაგფი) ალყა შემორტყმული უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ისინი მამაცურად ანადგურებდნენ გერმანელებს, სპობდნენ მათ საუკეთესო დივიზიებს და ბრიგადებს.

რუსი ჯარის მიერ 1914 წლის სექტემბერში ავსტრიის უდიდესი ციხესიმაგრის პერემიშლის იერიშით აღება ისტორიაში შევიდა, როგორც სიმამაცისა და გმირობის შეუდარებელი მაგალითი. რუსები ავიწროებდნენ გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ჯარს. გალიციასთან და პერემიშლთან ერთად ისინი დაეუფლნენ ვისლისა და სანის მთელ მიდამოებს კარპატებამდე. პოზნანის, ზედასილეზიის და მორავიის გზები გაწმენდილ იქნა მტრის ჯარისაგან.

რუსეთის ჯარის გმირულმა შეტევამ აღმოსავლეთიდან და გერმანული კორპუსების გადასროლამ რუსეთის ფრონტზე დიდად შეასუსტა გერმანიის დარტყმითი ძალა საფრანგეთის წინააღმდეგ. 1914 წლის სექტემბერში გერმანიის არმია სასტიკად დამარცხდა მდ. მარნასთან. შლიფენის „ელვისებური დარტყმის“ გეგმამ სრული კრახი განიცადა. ომი შეჩერდა, მან საპოზიციო დამაუძლურებელი ხასიათი მიიღო. ასეთ ომში ის მხარე მოიგებს, ვისაც მეტი რეზერვები და პოტენციალური რესურსები მოეპოვება. ეს გარემოება გერმანიისათვის საბედისწერო გამოდგა. დრო მოკავშირეების (ანტანტის) სასარგებლოდ მუშაობდა.

ომის განმავლობაში რუსეთის ჯარმა მამაცობის და გმირობის არა ერთი მაგალითი გვიჩვენა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. წ. „ბრუსილოვის გარღვევა“.

1915 წლის 4 ივნისს მთელი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის გასწვრივ საარტილერიო მომზადების შემდეგ დაიწყო გენერალ ბრუსილოვის არმიის განთქმული შეტევა. ავსტრია-გერმანიის ფრონტი მრავალ ადგილას იქნა გარღვეული. ამ შეტევით რუსეთის ჯარისკაცის სახელი ერთხელ კიდევ შეიმოსა მამაცობისა და გულადობის შარავანდედით. გენერალმა ბრუსილოვმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ავსტრიისა და გერმანიის ჯარებს.

ბრუსილოვის არმიამ ტყვედ ჩაიგდო 9 ათასზე მეტი ოფიცერი, 500 ათასამდე ჯარისკაცი; მტერს წაართვა 600 ქვემეხი, 1,795 ტყვიამფრქვევი, 500-ზე მეტი ყუმბარმტყორცნი, დიდძალი სხვა სამხედრო ქონება და საჭურველი. ავსტრია-გერმანიის ჯარების მსხვერპლი ამ ბრძოლაში მილიონ ნახევარ კაცს უდრიდა. რუსეთის ჯარმა ხელთ იგდო მთელი ბუკოვინა, სამხრეთ გალიციის ნაწილი. იგი კარპატის გადასასვლელებს მიადგა. ბრუსილოვის გამანადგურებელმა დარტყმამ უმოწყალოდ ჩაფუშა გერმანიისა და ავსტრიის ყველა გეგმა. გერმანიის სარდლობა იძულებული გახდა დასავლეთის ფრონტიდან 32 დივიზია გადმოესროლა აღმოსავლეთში, ხოლო დაწყებული შეტევა საფრანგეთის წინააღმდეგ შეეჩერებინა. ბრუსილოვმა დამბლა დასცა არა მარტო ავსტრია-უნგრეთს, რომელნიც კინაღამ მწყობრიდან გამოვიდნენ, არამედ თვით გერმანიის სამხედრო ძლიერებაც ამის შემდეგ წელში გასტეხა. ომმა აღმოსავლეთის ფრონტზე დააუძლურა და გამოფიტა გერმანიის არმია და უამრავი ხალხი მწყობრიდან გამოიყვანა. შეიქმნა ნიადაგი ამ ომში გერმანიის იმპერიის სრული დამარცხებისათვის.

ომის დაწყებისთანავე ინგლისმა წარმატებით განახორციელა გერმანიის საზღვაო ბლოკადა, რაც „შიმშილის ბლოკადად“ გადაიქცა. გერმანიის კრეისერები, რომელნიც ომის დაწყების დროს სამშობლოს საზღვაროებს დაშორებულნი იყვნენ, ინგლისელებმა ჩასძირეს ან დაატყვევეს, ხოლო გერმანიის ფლოტის დანარჩენი ნაწილი საკუთარ ნავსადგურებში მოემწყვდა. იქ იგი უმოქმედოდ იდგა და ინგლისის შიშით გამოსვლას ვერ ბედავდა. ასეთ ვითარებაში გერმანიის სამხედრო წრეებში ჩაისახა და გაღვივდა იდეა წყალქვეშა ომის აუცილებლობის შესახებ. წყალქვეშა ნავები გერმანიაში ინგლისთან ბრძოლის ერთად-ერთ რეალურ და ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიიჩნიეს.

1915 წლის 4 თებერვალს გერმანიამ პირველად გამოაცხადა შეუზღუდავი წყალქვეშა ომი. მაგრამ ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვილსონის პროტესტმა ვილჰელმ მეორე აიძულა უკან დაეხია. გერმანიის იმპერიის მთავრობამ იკისრა პასუხისმგებლობა — არ ჩაეძირა ნეიტრალური ქვეყნების გემები. მიუხედავად ამისა, დიპლომატიური სკანდალი მაინც ვერ იქნა თავიდან აცილებული. 1915 წლის 7 მაისს გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ინგლისის უზარმაზარი სამგზავრო გემი „ლუზიტანია“, რომლის დაღუპული 1,196 მგზავრიდან 139 ამერიკელი მოქალაქე აღმოჩნდა.

ვუდრო ვილსონმა ახლა უკვე მუქარით აღსავსე პროტესტი განაცხადა. გერმანიის მთავრობა კვლავ ახალ კომპრომისზე წავიდა. მან პირობა დასდო, რომ ამიერიდან გერმანიის წყალქვეშა ნავები არაფერს დაუშავებენ სამგზავრო გემებს, თუნდაც ისინი მოწინააღმდეგესაც ეკუთვნოდნენო.

დათმობისა და კომპრომისის პოლიტიკა დიდხანს არ გაგრძელდა. 1916 წლის შემოდგომიდან არმიის სარდლობის უმაღლესი თანამდებობანი ჰინდერბურგმა და ლუდენდორფმა დაიკავეს. მთელ მსოფლიოს მოედო ფელდმარშალ ჰინდერბურგის სიტყვები: ამ ომში ის გაიმარჯვებს, ვისაც ნერვები უფრო გამძლე აღმოაჩნდებაო. გენერალი ლუდენდორფი ირწმუნებოდა, რომ ინგლისის სრული კაპიტულაცია და გერმანიის ძლევამოსილი გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ წყალქვეშა ომითო. წყალქვეშა ომის საკითხი კვლავ მწვავედ დაისვა დღის წესრიგში. ეს განწირულებისა და სასოწარკვეთის ნაბიჯს მოასწავებდა. წყალქვეშა ომის დაწყება გერმანიას უფსკრულისაკენ მიაქანებდა.

1917 წლის 31 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების ბერლინელ ელჩს გერმანიის საგარეო საქმეთა სტატსმდივანმა ციმერმანმა პირადად გადასცა ნოტა დაუნდობელი წყალქვეშა ომის გამოცხადების შესახებ. იგი ცდილობდა შეერთებული შტატების ელჩი ჯემს ჯერარდი დაერწმუნებია, რომ ეს ღონისძიება გერმანიისათვის ერთად-ერთ გამოსავალს წარმოადგენს. ამგვარი ომითო,—აცხადებდა ციმერმანი,—ჩვენ შევძლებთ სასურველ ზავს 2—3 თვის განმავლობაში მივაღწიოთ.

დაუნდობელი წყალქვეშა ომი 1917 წლის 31 იანვარს ღამის 12 საათიდან დაიწყო. როდესაც ცნობა დაუნდობელი წყალქვეშა ომის გამოცხადების შესახებ შეერთებული შტატების თეთრ სასახლეში იქნა მიღებული, აღშფოთებულმა ვუდრო ვილსონმა მოკლედ მოსჭრა: ეს ომს ნიშნავსო.

1917 წლის 3 თებერვალს შეერთებული შტატების კონგრესმა ფეხზე დგომით და მქუხარე ოვაციებით მოისმინა პრეზიდენტის მიმართვა გერმანიასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ. ამერიკის ელჩი ჯერარ-

დი დაუყოვნებლივ იქნა გამოწვეული ბერლინიდან, ხოლო გერმანიის ელჩს ამერიკის შეერთებულ შტატებში სასწრაფოდ გადასცეს ვიზა და დაუბრუნეს პასპორტები.

ამბების ასეთი შეტრიალება გერმანიისათვის მეხის დაცემა იყო. ბერლინში ბევრ აქაც აღმოჩნდნენ ოპტიმისტები, რომელნიც თავს ინუგეშებდნენ, რომ დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა ომის გამოცხადებას არ ნიშნავსო. გერმანიის მმართველი წრეები უფრო ტრაგი-კომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნენ მას შემდეგ, როცა 1917 წლის 28 თებერვალს ვილსონის განკარგულებით გამოქვეყნებულ იქნა ციმერმანის საიდუმლო ბარათი გერმანიის მექსიკელი ელჩის ეკჰარდტის სახელზე. ბარათი იმავე წლის 19 იანვრით იყო დათარიღებული, ე. ი. დახლოებით ორი კვირით ადრე გერმანიის მიერ დაუნდობელი წყალქვეშა ომის გამოცხადებამდე. ციმერმანი გერმანიის მექსიკელ ელჩს წინადადებას აძლევდა, მოესინჯა ნიადაგი მექსიკის პრეზიდენტის ასამხედრებლად შეერთებული შტატების წინააღმდეგ. თუ მექსიკა ამერიკას თავს დაესხმის, — სწერდა ციმერმანი, — ომის ყოველგვარ ხარჯს გერმანია იკისრებს, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში ტეხასი, არიზონა და ნიუ-მექსიკა მექსიკას გადაეცემაო. ამას გარდა, ციმერმანი მექსიკის პრეზიდენტ კარანცასგან მოითხოვდა, რომ მან მოახერხოს იაპონიის ჩამოშორება ინგლის-საფრანგეთისაგან და მოაწყოს იაპონიის სამხედრო შეტაკება ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

ციმერმანის პროვოკაციული წერილის გამოქვეყნებამ საკვირველი გამოააშკარავა გერმანიის დიპლომატიის მუხანათობა და ვერაგობა. თვით ციმერმანმაც კი ვერ გაბედა გამომჟღავნებული ფაქტების უარყოფა.

კვანძი გახსნილ იქნა. მსოფლიო დაძაბული ინტერესით მოელოდა შედეგებს.

1917 წლის 2 აპრილს ვილსონი კონგრესის საღამოს სხდომაზე გამოცხადდა. მან წაიკითხა მიმართვა გერმანიასთან ომის აუცილებლობის შესახებ. 6 აპრილს კონგრესმა მთლიანად მოიწონა პრეზიდენტის გადაწყვეტილება. შეერთებულ შტატებსა და გერმანიას შორის გამოცხადებულ იქნა „საომარი მდგომარეობა". გერმანიის მდგომარეობა კატასტროფიული იყო.

რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ თვალსაჩინოდ შესცვალა ევროპის ვითარება. ძალთა შეფარდება მეომარ სახელმწიფოებს შორის დარღვეულ იქნა. გერმანიის სამხედრო და სამოქალქო წრეებში ფეხს იკიდებდა ის რწმენა, რომ რუსეთი ჩამოსცილდება ანტანტას და ომს თავს დაანებებს, ხოლო ამერიკა არც ისეთ საშიშ ძალას წარმოადგენს, როგორც იმუქრებაო. 1917 წლის გაზაფხულზე რეიხსტაგის წევრმა, ანექსიონისტთა ერთ-ერთმა ბელადმა ირონიით განაცხადა: ამერიკულმა არმიამ არც ცურვა იცის, არც ფრენა, — იგი ჩვენამდე ვერ მოაღწევსო.

ჰინდერბურგი და ლუდენდორფი სრულ რწმენას გამოსთქვამდნენ, რომ მოკავშირეები მალე იძულებული გახდებიან ზავი ითხოვონ და რომ 1917 წლის შემოდგომაზე გერმანია მტრებთან ძლევამოსილ ზავს მიაღწევსო. 1917 წლის 15 მაისს იმპერიის კანცლერმა ბეტმან-ჰოლვეგმა რეიხსტაგის სხდომაზე განაცხადა, რომ გერმანიის მდგომარეობა ყველა ფრონტზე ისე საიმედოა, როგორიც არასდროს არ ყოფილაო.

1917 წლის 25 ოქტომბერს (ნოემბერს) ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთში გაიმარჯვა ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რე-

ვოლუციამ. მან დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში — პროლეტარული რევოლუციების ერას. 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს) ღამით საბჭოების მეორე ყრილობამ სხვა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დეკრეტებთან ერთად მიიღო **დეკრეტი ზავის შესახებ.** ყრილობამ მიმართა ყველა მეომარი ქვეყნის მთავრობას და ხალხს, მოუწოდებდა მუშათა კლასს და ყველა მშრომელს — ხელი შეეწყოთ იმისათვის, რომ „წარმატებით მიყვანილ იქნას ბოლომდე ზავის საქმე და ამასთან ერთად მოსახლეობის მშრომელი და ექსპლუატირებული მასების ყოველგვარი მონობისაგან და ყოველგვარი ექსპლუატაციისაგან განთავისუფლების საქმე“.

1917 წლის 3 დეკემბერს ბრესტ-ლიტოვსკში დაიწყო საზავო მოლაპარაკება ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის. საბჭოთა რუსეთისათვის ზავი ნიშნავდა შესვენებას, რათა განემტკიცებინა საბჭოთა ხელისუფლება, შეექმნა მუშურ-გლეხური წითელი არმია, რომელიც დაიცავდა სოციალისტურ სამშობლოს და რევოლუციის მონაპოვარს. ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა იძულებული იყო უკან დაეხია ყველაზე საშიში მტაცებლის — გერმანიის იმპერიალიზმის წინაშე, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა საბჭოთა რუსეთის განადგურება, რომელიც ცდილობდა ხელთ ეგდო რუსეთის ტერიტორია, გაეძარცვა და დაერბია იგი. გერმანიის იმპერიალიზმს რუსეთში აღმოაჩნდა სისხლიანი აგენტები და მოკავშირეები დაწყებული ყველა ჯურის თეთრგვარდიელებით — მენშევიკ-ესერებით და გათავებული ტროცკისტულ-ბუხარინული და რადეკ-პიატაკოვის ტიპის პროვოკატორებით. ყველა ისინი ცდილობდნენ — ჩაეშალათ საზავო მოლაპარაკება, პროვოკაციულად ხელს უწყობდნენ გერმანიის იმპერიალისტების შემოტევას ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. გერმანიამ დაარღვია 5 დეკემბერს ხელმოწერილი შეთანხმება, გამცემელ ტროცკისა და ბუხარინის დახმარებით 1918 წლის თებერვალში მოაწყო „გმირული“ ლაშქრობა საბჭოთა მიწაწყლის ხელში ჩასაგდებად. ეს ლაშქრობა დასრულდა „საზიზღარი ზავით“, რომელიც გერმანიამ საბჭოთა რუსეთს თავს მოახვია.

1918 წლის გამოლაშქრება აღმოსავლეთისაკენ, უკრაინის, დონის ოლქის, ფინეთის, ბალტიის მხარის ქვეყნებისა და რუსეთის სხვა ტერიტორიების ოკუპაცია გერმანიის იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობისაკენ მისწრაფების საერთო გეგმის ნაწილს შეადგენდა. მას სურდა რუსეთის განადგურებით გაენთავისუფლებია თავი დასავლეთის ფრონტზე სამოქმედოდ. სურდა მიეღო ომის წარმოებისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგე, ფურაჟი, სამხედრო ნედლეული, ცხენები და სხვა, ჩაექრო საკუთარ ქვეყანაში ანთებული რევოლუციის ვულკანი... ერთის შეხედვით, გარეგნულად, გერმანიის საქმე თითქოს შესანიშნავად მიდიოდა. მას ვასალურ თუ ნახევარ ვასალურ პირობებით დაექვემდებარა პოლონეთი, უკრაინა, კავკასია, ლიტვა, კურლანდია, ესტლანდია, ლიფლანდია, ფინეთი. გერმანია საკუთარ დუდუკზე ათამაშებდა ოსმალეთს და ავსტრია-უნგრეთს, ბულგარეთს და სხვებს. აქედან გერმანიის იმპერიალიზმის დონკიხოტებს „წარმტაცი“ პერსპექტივა ესახებოდათ: ისინი თამამად ოცნებობდნენ პარიზსა და ლონდონზე, ირანსა და ინდოეთზე, ჩინეთზედაც კი. მაგრამ მათი ოცნება უნიადაგო იყო. გერმანიის ეფემერული „ბრწყინვალება“ საპნის ბუშტივით უნდა გამსკდარიყო და გასკდა კიდეც.

ბრესტის ყაჩაღური ზავი საბოლოო ანგარიშით დამღუპველი აღმოჩნდა გერმანიის იმპერიისათვის. მტაცებლურმა საზავო პირობებმა, რომლებიც

გერმანიის იმპერიალიზმმა ნორჩ საბჭოთა რესპუბლიკას თავს მოახვია, უდიდესი გავლენა მოახდინეს არა მარტო მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზე, არამედ თვით გერმანიის „უძლეველ“ არმიაზედაც. დიადი სოციალისტური რევოლუციის იდეათა ძალამ სულ ჩქარა და ადვილად გაიკაფა გზა გერმანელი ჯარისკაცების რიგებში. თვით გერმანიის სარდლობაც კი იძულებული იყო ეღიარებინა გერმანელ ჯარისკაცთა მასების „ბოლშევიზაციის პროცესი“.

1918 წ. ოქტომბერში ლენინი სწერდა: „**ნაციონალური** მსხვერპლის ფასით ჩვენ შევინარჩუნეთ ისეთი **ინტერნაციონალური** რევოლუციური გავლენა, რომ ჩვენ ახლა პირდაპირ გვბაძავს ბულგარეთი, ბობოქრობს ავსტრია და გერმანია, დასუსტებულია **ორივე** იმპერიალიზმი, ჩვენ კი განვმტკიცდით და **ვიწყეთ** ნამდვილი პროლეტარული არმიის შექმნა“ (ლენინი, ტ. 23, გვ. 223—224. „პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი“).

მთელს გერმანიას ფართოდ მოედო მუშათა პოლიტიკური გაფიცვა. გაძლიერდა არალეგალური რევოლუციური პროპაგანდა. 1918 წლის დასაწყისისათვის გერმანიის იმპერიალიზმმა თითქმის ამოსწურა არა მარტო თავისი სასურსათო და ეკონომიური რესურსები, არამედ სამხედრო კადრებიც, ადამიანთა რეზერვებიც. ჯარში, ფლოტში, მოსახლეობაში თავი იჩინა მოქანცულობამ. დაუსრულებელმა შიმშილმა დააუძლურა ხალხი, მებრძოლები, გააძლიერა ეპიდემია, იმატა სიკვდილიანობამ. გერმანიის რევოლუციის ისტორიკოსი მოგვითხრობს იმ სასოწარკვეთილების შესახებ, რომელსაც დამშეული მოსახლეობა განიცდიდა. ჭირი, ეპიდემია, ხალხს მუსრს ავლებდა. ბავშვები, ქალები და მამაკაცები ქუჩაში მკვდარნი ეცემოდნენო. საქმეს ვერ წველიდა უკრაინიდან — პურის ამ ბელლიდან — უხვად გაზიდული სურსათი: პური, შაქარი, ღორის ქონი, პირუტყვი... ამგვარად, გერმანელთა ოკუპაცია საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე ობიექტურად უფრო მეტად უწყობდა ხელს გერმანიის დაუძლურებას და ამდენადვე მოკავშირეთა პოზიციების განმტკიცებას. საბჭოთა ქვეყნის მთელი მოსახლეობა, გმირი პარტიზანები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ გერმანელ მტაცებლებს. გეტმან სკოროპადსკის უდღეური მარიონეტული „მთავრობა“, რომელიც გერმანელმა იმპერიალისტებმა შეჰქმნეს უკრაინაში, მხოლოდ გერმანელთა არმიის ხიშტებით იყო გამაგრებული. მძარცველ ოკუპანტების წინააღმდეგ უკრაინაში გაიშალა ძლევამოსილი პარტიზანული ომი. ამას ემატებოდა რევოლუციური სულისკვეთება, რომელიც გერმანიის არმიას ეუფლებოდა რევოლუციური უკრაინის მიწაწყალზე ყოფნის დროს. ოკუპანტთა არმიას აშკარად ეტყობოდა გახრწნისა და რღვევის ნიშნები.

ლენინი სწერდა: „უკრაინა დაზარალდა — ინტერნაციონალურმა რევოლუციამ მოიგო, „გახრწნა“ გერმანელი ჯარი, შეასუსტა გერმანელი იმპერიალიზმი, დააახლოვა გერმანელი, უკრაინელი და რუსი მუშა რევოლუციონერები“ (იქვე, გვ. 224).

გერმანიის იმპერია კატასტროფას უახლოვდებოდა. ამას კარგად გრძნობდნენ და განიცდიდნენ ქვეყნის ხელისუფალნი.

ვილჰელმ მეორის მთავრობამ გადასწყვიტა მიეღო ზავი რადაც უნდა დამჯდარიყო იგი. მაგრამ საპატიო საზავო შეთანხმება ახლა დიპლომატიური გზით უკვე შეუძლებელი იყო. ლონდონი და პარიზი რაიმე კომპრომისზე წასვლას სრულიადაც არ აპირებდნენ. მოკავშირეებმა მტკიცედ გადასწყვიტეს, განეგრძოთ ომი გერმანიის სრულ კაპიტულაციამდე. მძაფრი ხასიათის

და დაუცხრომელი ჟორჟ კლემანსო (როდესაც იგი პრემიერ-მინისტრად დაინიშნა, 80 წელს იყო მიღწეული) ყველაფერს ომს უმორჩილებდა. საფრანგეთის ფაქტიური დიქტატორი აცხადებდა: „როგორია ჩემი საშინაო პოლიტიკა? მე ვაწარმოებ ომს. როგორია ჩემი საგარეო პოლიტიკა? მე ვაწარმოებ ომს“.

ამგვარად, გერმანიას უკანასკნელი გაბრძოლება-ღა დარჩენოდა: მას უნდა დაეძაბა მთელი ძალღონე და გადამწყვეტ შეტევაზე გადასულიყო. თავის დაუძლურებულ და გამოფიტულ სხეულში იმპერიას ხელოვნური სული უნდა შთაებერა, რათა ეჩვენებინა თავისი „ცხოველმყოფელი და უძლეველი“ ძალა. ამასთან ერთად გერმანიის მმართველი წრეები არ მალავდნენ, რომ საჭირო იყო მოკავშირეთა ფრონტის გარღვევა იმ დრომდე, სანამ ევროპაში გადაყვანილი იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატების მილიონიანი არმია მრავალი ტანკით და ძლიერი ავიაციით. მთავრობა და სარდლობა ცდილობდა ეს „ახალი შეტევა“ პოპულარული გაეხადათ, სახალხო შარავანდედით შეემოსათ იგი. გერმანელ ჯარისკაცებს არწმუნებდნენ, რომ ეს შეტევა იყო გადამწყვეტი „შეტევა ზავის მისაღწევად“. არსებითად ეს ავანტურისტული ნაბიჯი სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი მთავრობის მხოლოდ თეატრალური ჟესტი იყო.

1918 წლის 21 მარტს დილაადრიან გერმანიის პოზიციებიდან გრიგალისებური საარტილერიო სროლა ატყდა. მოკავშირეთა პოზიციების გამანადგურებელი ბომბარდირების შემდეგ გერმანიის ჯარი შეტევაზე გადავიდა. მას სურდა ხელთ ჩაეგდო ლამანშის სანაპირო, რათა ერთიმეორისაგან მოეწყვიტა ინგლისისა და საფრანგეთის ჯარები. რამდენიმე დღის განმავლობაში გერმანელები მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე 60 კილომეტრით შეიჭრნენ. ინგლისის არმიამ ცხრა ათასამდე ოფიცერი და 165 ათასი ჯარისკაცი დაჰკარგა. 120 ათასი კაცი ტყვედ ჩავარდა. გერმანელებმა სტრატეგიულ წარმატებას მაინც ვერ მიაღწიეს. მიუხედავად ამისა, გერმანელთა შორსმსროლელი ქვემეხები 100 კილომეტრიდან უკვე უშენდნენ ყუმბარებს პარიზს. მოკავშირენი ძალზე შეშფოთდნენ. გადაწყდა — შეერთებული არმიების სარდლობა გენერალ ფოშისთვის დაეკისრებინათ.

9 აპრილს კვლავ განახლდა გერმანიის არმიის თავბრუდამხვევი შეტევა. ბრძოლა 15 დღეს გაგრძელდა, და გერმანელები ყოველდღიურად ახალ-ახალ წარმატებას აღწევდნენ. გერმანიის არმიამ კვლავ 15 კილომეტრით წაიწია წინ და უკვე ფლანდრიაში მოქმედებდა. მათ ხელში გადადიოდა ტყვეების ახალ-ახალი ნაკადი, მოწინააღმდეგის ზარბაზნებისა და სხვა სამხედრო მასალის დიდი რაოდენობა. გერმანიამ ამ ბრძოლაში 140 ათასი კაცი დაჰკარგა.

27 მაისს გერმანელებმა განაახლეს შეტევა რეიმსის და ვოკსაინის შუა, შატო-ტიერ-პარიზის მიმართულებით. ტაქტიკურმა წარმატებამ აქაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ინგლისისა და საფრანგეთის ჯარები უსასტიკეს მარცხს განიცდიდნენ. გერმანელებმა გაანადგურეს საფრანგეთის მრავალი საუკეთესო დივიზია. წაიწიეს წინ 60 კილომეტრით, ხელთ იგდეს 60 ათასამდე ტყვე, 600 ქვემეხი და სხვა. შეტევის პირველ დღეებშივე გერმანიის ჯარებმა ხელთ იგდო შმენ-დე-დამის ძლიერი პოზიციები, სუასონი, ფიმი, მონ-ტიერი. გერმანელები უშუალოდ მარნას მიადგნენ, გადალახეს მდინარე და 2 ივნისს შატო-ტიერიც აიღეს. გერმანელებმა ამ ბრძოლაში 130 ათასი კაცი დაჰკარგეს.

აღსანიშნავია, რომ 1918 წელს შეტევის პირველ თვეებში ძალთა შეფარ-

დების მხრივ გერმანიას ერთგვარი უპირატესობა ჰქონდა. მაგალითად, დასავლეთის ფრონტზე მას თავდაპირველად 197 დივიზია ჰყავდა მოკავშირეთა 167 დივიზიის წინააღმდეგ, 30 დივიზიით მეტი. მაისის დამლევს სამხედრო ძალის უპირატესობა ჯერ ისევ გერმანიის მხარეზე იყო: მას ბრძოლაში უკვე 204 დივიზია ჰყავდა ჩაბმული მტრის 181 დივიზიის წინააღმდეგ, მაგრამ ეს „უპირატესობა" მტკიცედ ვერ გამოიყურებოდა და უფრო მეტად გერმანიის რეზერვებისა და ძალების უკიდურეს დაძაბულობას გამოხატავდა.

სამი თვის ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს. ისინი ღრმად შეიჭრნენ საფრანგეთის ტერიტორიაზე, მოკავშირეთა უამრავი მებრძოლი ამოჟლიტეს, რამდენიმე ასი ათასი კაცი დაატყვევეს, მათი 2.500-დე ქვემეხი ხელთ იგდეს. მიუხედავად ამისა, გერმანიამ სტრატეგიული გამარჯვება მაინც ვერ მოიპოვა. გააფთრებული შეტევის მიუხედავად, რამაც გერმანიის არმიას უსაზღვრო მსხვერპლი გააღებინა და უდიდესი ზარალი მიაყენა, გერმანელებმა ვერ შესძლეს ზღვისაკენ გაჭრა (კალეს მიმართულებით), ვერ მოსწყვიტეს ინგლისელები ფრანგებს. მათ ვერ შესძლეს აგრეთვე საფრანგეთის დედა-ქალაქის პარიზის აღება. იმავე დროს შეუსვენებელი ბრძოლით, შიმშილით, უძილობით გერმანიის არმია სასტიკად მოიქანცა. რეზერვების ამოწურვის გამო ერთი და იგივე ჯარისკაცები კვირეებისა და თვეების განმავლობაში შეუცვლელად იბრძოდნენ მოწინავე ხაზის სანგრებზე. გერმანიის არმიის შეტევითი ძლიერება სუსტდებოდა. იმპერიამ მთლიანად დახარჯა სურსათ-სანოვაგის მარაგი, ამოსწურა ადამიანთა რეზერვები, გაანიავა ყუმბარები, ტყვია-წამალი. ყოველ ახალ დღეს გერმანიისათვის სასოწარკვეთა და უიმედობა მოჰქონდა. აშკარად სჩანდა, რომ პირველ სამ დარტყმას მეოთხე უნდა მოჰყოლოდა.

იმავე დროს ინგლისელებისა და ფრანგების წინააღმდეგობა დღითი-დღე მატულობდა. მოკავშირეები გადამწყვეტ კონტრშეტევას ამზადებდნენ. „ბებერი ვეფხვი" (ასე უწოდებდა კლემანსოს ლოიდ ჯორჯი) გერმანელთა შეტევის გამო პალატაში იმედიანად აცხადებდა: „დაჯახება უზარმაზარი იყო. ჩვენ ვიბრძვით, ჩვენ წინააღმდეგობას ვუწევთ. ჩვენ გავიმარჯვებთ. ბრძოლა არ დამთავრებულა. ნიშნები კარგი მოსჩანს." ორივე მხარე დაუცხრომლად ემზადებოდა გენერალური შეტაკებისათვის.

1918 წლის 15 ივლისს, ღამის 1 საათზე, რეიმსისა და შატო-ტიერის შუა გერმანიის პოზიციებიდან გაჩაღდა ქვემეხების გრიგალისებური სროლა. ჯერ კიდევ არ გათენებულიყო, როდესაც გერმანიის არმია მოკავშირეთა პოზიციებისაკენ დაიძრა. ფრანგი ჯარები მზად აღმოჩნდნენ. გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლა. ბრძოლის ხაზი შვიდჯერ გადადიოდა ხელიდან ხელში. მხოლოდ ძალღონის მაქსიმალური დაძაბვით და უდიდესი მსხვერპლის გაღებით შესძლეს გერმანელებმა მარნას გადალახვა და მდინარიდან 15 კილომეტრის მანძილით სოლივით შეჭრა მოწინააღმდეგის ტერიტორიაში. გერმანიის იმპერიალისტები აღფრთოვანებამ შეიპყრო. ისინი წინასწარ სტკბებოდნენ მოახლოებული საბოლოო გამარჯვებით. მაგრამ გერმანელთა სიხარული ნაადრევი და ხანმოკლე აღმოჩნდა. 18 ივლისს მთელმა მსოფლიომ გაიგო ამბების უცაბედი შეტრიალება. გენერალ ფოშის რეზერვები სრულიად მოულოდნელად გამოიჭრნენ ვილერ-კოტრეს და კომპეინის ტყიდან და მოხერხებული მანევრით მტერს რისხვად დაატყდნენ. გერმანელებმა 160.000-ზე მეტი მეომარი დაჰკარგეს. გენერალ ფოშის არმია ძლევამოსილ შეტევაზე

გადავიდა. აღმოჩნდა, რომ ფოშს უკვე წინა ღამით გაეცა ბრძანება მოკავშირეთა ჯარების კონტრშეტევის დაწყების შესახებ გერმანიის არმიის წინააღმდეგ. საფრანგეთ-ინგლისის ჯარებმა გამანადგურებელი დარტყმით უკუაგდეს მოწინააღმდეგე მარნას ჩრდილოეთ ნაპირებიდან. ისინი წარმატებით განაგრძობდნენ მტრის არმიის დევნას საზღვრებისაკენ.

გენერალ ფოშის განთქმული კონტრშეტევა, რომელიც 1918 წლის 18 ივლისს დაიწყო, პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის ისტორიაში უდიდეს გარდატეხას მოასწავებდა. ის სასტიკი დარტყმა, რომელიც გერმანიის არმიამ პირველ დღეებში განიცადა, გერმანიის იმპერიალიზმისათვის არსებითად მთელი ომის წაგებას უდრიდა. სამხედრო მოქმედების ინიციატივა ამიერიდან საბოლოოდ გადავიდა ინგლის-საფრანგეთის სარდლობის ხელში. გერმანიის არმია უიმედობამ და სასოწარკვეთამ შეიპყრო. უკანასკნელ ჯარისკაციდან დაწყებული თვით უმაღლეს სარდლობამდე — ყველას სულიერი დაცემა და პესიმიზმი დაეუფლა.

საინტერესოა, თუ როგორი იყო სამხედრო ძალთა და საომარ საშუალებათა შეფარდება მოკავშირეთა ხელში სამხედრო ინიციატივის გადასვლის მომენტისათვის.

1918 წლის ივლისის შუა რიცხვებისათვის მოკავშირეებს (ანტანტას) ბრძოლაში უკვე ჩაბმული ჰყავდათ 200 ქვეითი დივიზია და 10 საკავალერიო დივიზია გერმანიის 209 დივიზიის წინააღმდეგ. ამრიგად ორივე მხარეზე დივიზიების რაოდენობა თითქმის თანაბარი იყო. დაახლოვებით ასეთივე პროპორცია იყო ქვემეხების ხაზითაც: მოკავშირეთა 20 ათასამდე საველე და მძიმე ქვემეხის წინააღმდეგ მოქმედებდა 18.000-ზე ცოტა მეტი გერმანული ქვემეხი. მოკავშირეები ბევრად უფრო ხელსაყრელ პირობებში იმყოფებოდნენ თავიანთი ჯარების მოტო-მექანიზებული და ტექნიკური აღჭურვილობის მხრივ: ინგლის-საფრანგეთის ავიაცია 5.500 თვითმფრინავისაგან შესდგებოდა, გერმანიის თვითმფრინავთა რიცხვი კი 3.000 აღწევდა. ინგლის-საფრანგეთის 1.500 — 2.000 ტანკის წინააღმდეგ გერმანიას შეეძლო მხოლოდ რამდენიმე ათეული შეჯავშნული მანქანის გამოყვანა. მოკავშირეთა ყველა სახეობის ჯარის საერთო რაოდენობა 3.600.000 კაცს აღწევდა, გერმანიის — 3.260.000 კაცს არ აღემატებოდა. გენერალი ფოში თავის მოხსენებითს ბარათში 1918 წლის 24 ივლისს აღწერდა იმ უპირატესობას, რომელიც მოკავშირეებს ხელსაყრელ პირობებში აყენებდა გერმანიასთან შედარებით. ასეთ უპირატესობას წარმოადგენდნენ არა მარტო „მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი“ — ავიაცია, ტანკები, ქვემეხები, კავალერია, არამედ მეომართა რეზერვები და ამერიკის ეფექტური დახმარება (ამერიკას ყოველდღიურად უკვე 300.000-მდე მეომარი გადმოჰყავდა ევროპის კონტინენტზე). სამხედრო მოქმედების ინიციატივის ხელში ჩაგდებამ, „მატერიალურ ძალთა“ უპირატესობამ მოკავშირეთა ჯარებში გააღვივა ენერგია, განამტკიცა გამარჯვების რწმენა, გამოიწვია მორალური აღმავლობა. თავდაცვითი მოკრძალებული ტაქტიკა გაბედული კონტრშეტევითი ტაქტიკით შეიცვალა.

მოკავშირეთა ჯარის შეტევა უაღრესად ეფექტური აღმოჩნდა. სულ მალე მარნას სანაპირო ზონა და ქალაქები სუასონი და შატო-ტიერი გაწმენდილ იქნენ გერმანელი ოკუპანტებისაგან. ეს უკანასკნელნი მთელ თავიანთ ძალ-ღონეს ძაბავდნენ, ბრძოლაში ახალ-ახალ დივიზიებს — უკანასკნელ სამხედრო რეზერვებს — აბამდნენ, სამხედრო მასალის უკანასკნელ მარაგს

ხარჯავდნენ, მაგრამ ამაოდ. პანიკით შეპყრობილი და მორალურად დაცემული კაიზერის „უძლეველი“ არმია სწრაფად იხევდა უკან, საკუთარ საზღვრებისაკენ. 8 აგვისტოს ანკრსა და ავრს შორის გერმანიის ჯარს უცაბედად თავს დაესხნენ ინგლისელთა რაზმები გენერალ რაულინსონის ხელმძღვანელობით. ინგლისელებმა წარმატებით გაარღვიეს გერმანელთა მთავარი საპოზიციო ხაზი და მრავალი ტანკით შეტევაზე გადავიდნენ. გერმანელთა ბანაკში აუწერელი არეულობა დატრიალდა. მრავალი პოლკის შტაბი მტრის ხელში ჩავარდა. 40.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი ინგლისელებს ტყვედ დანებდა. ინგლისელებსვე დარჩათ შვიდასზე მეტი მტრის მძიმე და მსუბუქი ქვემეხი. გერმანიის არმია შედრკა. იგი რღვევასა და ხრწნას განიცდიდა. გერმანიის არმიის ამ დამარცხების გამო ლენინი გერმანიის იმპერიალიზმის შესახებ სწერდა: „თავდაპირველად იგი არაჩვეულებრივად გაიბერა ევროპის სამ მეოთხედზე, ხოლო შემდეგში ის იქვე გასკდა, დასტოვა რა საშინელი სიმყრალე“. (ლენინი, ტ. 23, გვ. 226).

მოკავშირეები ახალ-ახალ წარმატებას აღწევდნენ. მათ საბოლოოდ დაიმკვიდრეს როგორც მორალური, ისე სამხედრო-ტექნიკური უპირატესობა. მოკავშირეთა ავიაცია და, განსაკუთრებით, ტანკები თავზარსა სცემდნენ გერმანელებს. 1918 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე ტანკები უკვე გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ ბრძოლაში. გერმანიას აღარ შეეძლო მოწინააღმდეგეთა ტანკებთან გამკლავება. ერთ გერმანულ ტანკს მოკავშირეთა ათი, ხოლო ზოგჯერ ასი ტანკი უტევდა. ყოველი გერმანული თვითმფრინავის წინააღმდეგ მოწინააღმდეგის ათი და ოცი თვითმფრინავი მოდიოდა. შნეიდერ-კრეზოს და სენ-შამონის ქარხნების მარკის ფრანგულ ტანკებს ყოველდღიურად ემატებოდა მრავალი ახალ-ახალი ტანკი, რომლებიც ევროპაში ამერიკის ტრანსპორტებს გადმოჰქონდათ. ტანკებმა საბოლოოდ მოდრიკეს გერმანელ მეომართა „უდრეკი სული“. ასე მოხდა 1918 წლის 18 ივლისს, როდესაც ვილერ-კოტრეს ბრძოლის დროს მოკავშირეთა რამდენიმე ასი ტანკი მოულოდნელად გამოვარდა ტყიდან და გაშმაგებული ეკვეთა გერმანიის ჯარს. ეს სატანკო იერიში ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. 8 აგვისტოს ბრძოლაში ანკრსა და ავრს შორის ტანკებმა თავზარი დასცეს გერმანელებს. გერმანიის იმპერიის კატასტროფა თავის დასასრულს უახლოვდებოდა. დახმარება ავსტრია-უნგრეთის, თურქეთისა და ბულგარეთის მხრივ უკვე უიმედო იყო. ინგლისელები თურქებს დიდიხანია სასტიკად უტევდნენ სირიასა და პალესტინაში, ხოლო 26 სექტემბერს სალონიკის ფრონტზე ფრანგმა გენერალმა ფრანშე დესპრემ გაარღვია ბულგარეთის ფრონტი. მიწაზე განრთხმული ბულგარეთის სამეფო სრულ კაპიტულაციისათვის ემზადებოდა. სექტემბერში მარშალმა ფოშმა უფრო გააძლიერა გამანადგურებელი იერიში დასავლეთის მთელ ფრონტზე. ამერიკული არმია უკვე თვალსაჩინო როლს თამაშობდა შეერთებულ ლაშქრობაში გერმანიის წინააღმდეგ. ამერიკიდან კალესა და ჰავრში ყოველდღიურად რამდენიმე ტრანსპორტი მიდიოდა, სამხედრო ამუნიციით, სურსათ-სანოვაგით და სამხედრო ძალებით დატვირთული.

1918 წლის შემოდგომისათვის გერმანიის გადარჩენაზე ფიქრი მხოლოდ გიჟს შეეძლო. ამიტომ გასაგებია ის დაბნეულობა და სასოწარკვეთილება, რომელსაც გერმანიის მმართველი წრეები მიეცნენ. თვით ბაქია და გოროზი ვილჰელმ მეორე, ან ისეთი გამჭრიახი სამხედრო სპეციალისტები, როგორიც

ჰინდენბურგი და ლუდენდორფი იყვნენ, გრძნობდნენ „გერმანიის დიდების“ მზის ჩასვენებას, ამიტომ უილაჯოდ ფუსფუსებდნენ. არმიაში შეირყა სამხედრო დისციპლინა. გაჰქრა ნდობა და რწმენა სარდლობისადმი. დაშეული და დასნეულებული ზურგი, ფიზიკურად მოქანცული, უძილო და გამოფიტული ფრონტი გერმანიის არმიას სრულ კატასტროფას უახლოვებდა. მაგრამ მეომართა მასებზე განსაკუთრებით ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა იმ ჯარისკაცთა ნაამბობი, რომელნიც ბრესტის ზავის შემდეგ აღმოსავლეთის ფრონტიდან დასავლეთში გადაიყვანეს. მათ ბევრი ახალი რამ მოისმინეს და საკუთარი თვალითაც დაინახეს უკრაინაში, პოლონეთში, ბალტიის მხარეში, კავკასიაში ყოფნის დროს. რუსეთის დიდი სოციალისტური რევოლუციის გავლენა დასავლეთში ახლა უფრო მკვეთრად იგრძნობოდა. ბოლშევიზმის ლენინურ-სტალინური სიმართლის ხმა ძლევამოსილად იკაფავდა გზას გერმანელ და ავსტრიელ ჯარისკაცთა რიგებში. დაიწყო არმიის რღვევა. პოპულარული ხდებოდნენ ომის საწინააღმდეგო და ზავის ლოზუნგები. განაწამები ხალხის მოთმინების ფიალა აივსო, მშრომელი მასების აღშფოთებამ საზღვარი გადალახა.

გერმანიაში აბობოქრდა რევოლუციის ქარიშხალი. 1918 წლის 8 ნოემბერს ბავარიაში გამოცხადებულ იქნა რესპუბლიკა. თვით ბერლინში საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. იმავე საღამოს რევოლუციური მოძრაობა მოედო ჯარის ნაწილებს კელნში, კობლენცში, მაინცში და სხვაგან. აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა რეინის ყველა ხიდი და სურსათ-სანოვაგის დიდი საწყობები. 9 ნოემბერს რევოლუციამ მთელს გერმანიაში გაიმარჯვა. ვილჰელმ მეორე და მისი მთავრობა დამხობილ იქნა.

„მართალია, რევოლუცია გერმანიაში ბურჟუაზიული იყო და არა სოციალისტური, ხოლო საბჭოები ბურჟუაზიული პარლამენტის მორჩილ იარაღს წარმოადგენდნენ... მაგრამ მაინც ეს იყო რევოლუცია, ვილჰელმი დამხობილ იქნა, მუშებმა თავი დააღწიეს ბორკილებს და უკვე მარტო ამას არ შეეძლო არ აემოქმედებინა რევოლუციის ძალები დასავლეთში, არ შეეძლო არ გამოეწვია რევოლუციის აღმავლობა ევროპის ქვეყნებში“ („საკ. კ. პ. (ბ) ისტ.“, გვ. 280 — 281). 10 ნოემბერს დილის 8 საათზე შიშით აცახცახებული და უძილობით გაფითრებული ვილჰელმ მეორე ავტომობილით მიადგა ჰოლანდიის სასაზღვრო პუნქტს ეიზდენს და სამეფო ხმალი მორჩილებით გადასცა საზღვრის მცველებს. ჰოჰენცოლერნთა დინასტიას ბოლო მოეღო.

11 ნოემბერს, დილა ადრიან, კოპიენის ტყეში გენერალ ფოშის ვაგონში გერმანიის დეპუტაციამ მოკავშირეთა კარნახით მორჩილად მოაწერა ხელი დროებითი ზავის ხელშეკრულებას. განადგურებული გერმანია სრულ კაპიტულაციაზე წავიდა და ანტანტისაგან ზავი ითხოვა. ასე უსახელოდ და ტრაგი-კომიკურად დასრულდა გერმანიის იმპერიის ისტორია, რომელიც საფრანგეთზე გამარჯვების შედეგად ბრწყინვალე ზეიმით და დიდებით დაიბადა ვერსალის ძველი სასახლის სარკის დარბაზში 1871 წლის 18 იანვარს.

„ასე, გერმანია, პირველხარისხოვანი სახელმწიფო, ერთი დაკვრით მეორეხარისხოვან სახელმწიფოს მდგომარეობაში ჩავარდა“ (იქვე, გვ. 280).

* * *

ადოლფ ჰიტლერს მსოფლიო ჰეგემონობისაკენ მისწრაფება ორიგინალურ იდეად ვერ ჩაეთვლება. საუკუნეთა მანძილზე ამ სისხლისმსმელ მანიაკს

მრავალი წინამორბედი ჰყავდა. მსოფლიო ბატონობის იდეამ იმსხვერპლა ნაპოლეონ პირველი ბონაპარტე. გერმანიის უკანასკნელი იმპერატორი ვილჰელმ მეორე ამავე ავანტურისტული იდეის ტრაგიკომიკური — ბაინდი გახდა. გამოდის, რომ მიხაკისფერი ფიურერის გიჟური მისწრაფება უბრეცედენტო არ არის: იგი თავის „ღირსეულ“ წინაპართ იმეორებს და მათ ბაძავს.

კაცობრიობის ისტორიამ იცის იმის მრავალი მაგალითი, როდესაც ახალი სოციალურ-ეკონომიური ვითარების პირობებში პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოდიოდა აწმყოსთვის სრულიად შეუფერებელი ძველი ყაიდის გმირი, რომელიც გაცვეთილი კულტით და მანიით ყოფილა შეპყრობილი. კარლ მარქსი თავის „მეთვრამეტე ბრიუმერში“ მოსწრებულად შენიშნავს: „როდესაც ადამიანები თითქოს იმით არიან გართულნი, რომ თავისი თავი და საგნები გარდაქმნან, ჯერ არ არსებული შეჰქმნან, **რევოლუციური კრიზისების** სწორედ ასეთ ეპოქებში ისინი მოკრძალებით იწვევენ დახმარებისათვის წარსულის სულებს, გადმოიღებენ მათ სახელებს, საბრძოლო ლოზუნგებს, ტანსაცმელს, რათა ძველ საპატიო სამოსელში და ამ ნასესხებ ენაზე მსოფლიო ისტორიის ახალი სცენა დადგან“. ანვითარებს რა ჰეგელის თეზისს იმის შესახებ, რომ „ყველა მსოფლიო ისტორიული ფაქტი და პიროვნება, ასე ვთქვათ, ორჯერ წარმოიშობა“, მარქსი დასძენს: „პირველად როგორც ტრაგედია, მეორედ როგორც ფარსიო“. მარქსის გენიალური შენიშვნა ზედმიწევნით აშიშვლებს ჰიტლერის სასაცილო პოზას. თუ ნაპოლეონ ბონაპარტე 1811 წელს იკვეხოდა: „სამი წლის შემდეგ მთელი მსოფლიოს ბატონი შევიქნებიო“, ადოლფ ჰიტლერი თავის „ისტორიულ მისიად“ სთვლის უფრო მოკლე ვადაში „დაამყაროს წესრიგი“ მთელს მსოფლიოში. რომ გადავისიტყვოთ მარქსის ცნობილი გამოთქმა ლუი ნაპოლეონზე, მივიღებთ: ჰიტლერმა გააკარიკატურა არა თუ ვილჰელმ მეორის კარიკატურა, არამედ თვით ნაპოლეონ ბონაპარტეც. ჰიტლერი — ეს ჯუჯა ტაკიმასხარა — გიგანტს ჰბაძავს. მისი „მესამე იმპერია“ ნაპოლეონის იმპერიის მხოლოდ პაროდიას წარმოადგენს. საეჭვოა გამოჩენილი კორსიკელის ჩექმები სარგო აღმოჩნდეს ამ საცოდავი პიგმეისათვის. ამიტომ, თუ ნაპოლეონ პირველის მისწრაფება მსოფლიო ბატონობისაკენ ტრაგიკულად დაბოლოვდა, ჰიტლერიზმის „ისტორიული მისია“ კარიკატურითა და ფარსით უნდა დამთავრდეს.

ფაშისტური ბანდის მეთაური ჰიტლერი, ნაპოლეონ ბონაპარტეს კი არა, თავისივე თანამემამულის კაიზერ ვილჰელმის ყალიბის გმირია, იმ ვილჰელმისა, რომელსაც მისი ბიოგრაფები ასე ახასიათებენ: „იმპერატორ ვილჰელმს სურს ყოველ ქორწილში პატარძალი იყოს, ყოველ ნათლობაში — ახალშობილი, ყოველ ტირილში — მიცვალებული“. გამოჩენილი რუსი მწერალი ლ. ტოლსტოი ვილჰელ მეორეს „თანამედროვე იმპერატორობის ყველაზე სასაცილო და ყველაზე საზიზღარ წარმომადგენლად“ სთვლიდა. გერმანიის იმპერიალისტების დაკვეთით და მსოფლიო ბატონობის ობროდი იდეით გატაცებულმა ვილჰელმ მეორემ გერმანიის ხალხი 1914 წელს მსოფლიო ხოცვა-ჟლეტაში ჩაობა, ხოლო შემდეგ უფსკრულში გადასჩეხა ქვეყანა.

ჰიტლერის პოლიტიკური კარიერაც გერმანიის ხალხის — მუშების, გლეხების და ინტელიგენციის — მხეცური ტანჯვა-წამებით დაიწყო. ევროპაში „ახალი წესრიგის“ დამყარების სისხლიანი დროშით ფაშისტ მმართველთა პირსისხ-

ლიანმა ხროვამ დაიმონა ფრანგები, ჩეხები, პოლონელები, სერბები, ნორვეგია, ბელგია, დანია, ჰოლანდია, საბერძნეთი და სხვ.

ფაშისტმა ყაჩაღებმა თავიანთი გასისხლიანებული ხელები ამოიმართეს საბჭოთა ხალხის მიწა-წყლის წინააღმდეგ. ისინი ხელებს იშვერენ ბრიტანეთის კუნძულებისაკენ, დასავლეთ ნახევარ სფეროსაკენ, მთელი მსოფლიოსაკენ. იბრძვის რა მსოფლიო ბატონობისათვის, ფაშიზმის ცოფიანი ძაღლი ცდილობს თავისი სამხედრო გეგმები ააგოს არა მარტო მოლტკე უმცროსის (1914) და ფალკენჰაინის (1914 — 1916) ტაქტიკური შეცდომების გათვალისწინებაზე, — იგი ცდილობს აღრიცხოს და გაითვალისწინოს თვით ჰინდენბურგისა და ლუდენდორფის ბრძოლების გამოცდილებაც. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ჰიტლერს, საღი ანალიზის წილ, ჭეშმარიტად გონებაჩლუნგი პრუსიულ-იუნკრული დასკვნები გამოუდის. პირველი იმპერიალისტური ომის დროს ვილჰელმ მეორის მთავრობას სურდა აღმოსავლეთში (რუსეთში) შეექმნა და განემტკიცებინა მატერიალური ბაზა დასავლეთში საბოლოო გამარჯვების მოსაპოებლად. ამჟამადაც ამავე გზას დაადგა გერმანიის ფაშიზმი, რომელმაც სისხლით მორწყო მთელი ევროპა. ჰიტლერისა და მის სისხლიან დამქაშთა რწმენით, გერმანიის მსოფლიო ბატონობის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ მათი ერთდროული გაბატონებით დასავლეთსა და აღმოსავლეთში. აქედან ფაშიზმის ტაქტიკური მანევრები უნდა მივიჩნიოთ მისივე „დიდი სტრატეგიული“ გეგმის განუყრელ ნაწილად.

ჰიტლერის მუხანათური გეგმები და პოლიტიკური მანევრები სწორად შეაფასეს თვით ინგლისისა და ამერიკის ბურჟუაზიული მთავრობების რეალურად მოაზროვნე წარმომადგენლებმაც. აქედან სათანადო დასკვნებიც გამოიტანეს. საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის დადებული შეთანხმება ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ ომში ერთობლივი მოქმედების შესახებ ძლიერი ლახვარია ჰიტლერისათვის, მისი მტარვალური გეგმებისათვის.

გერმანიის იმპერიალიზმი 1914 წლის აგრესიის მთავარი გამომწვევი იყო. პირველ იმპერიალისტურ ომში (1914 — 1918) მან მწვავე მარცხი განიცადა რუსეთის მამაც მეომრებისაგან. განსაკუთრებით გენერალ ბრუსილოვის გმირულმა ოპერაციებმა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე ისეთი სასტიკი ლახვარი ჩასცა გერმანიის არმიას, რომ მთელი ომის განმავლობაში ამ უკანასკნელმა ვეღარ შესძლო მოღონიერება. ხოლო ბოლოს, 1918 წელს, დაუძლურებული და გამოფიტული გერმანიის იმპერია გაცამტვერებულ იქნა.

ფაშისტურმა კაციჭამიებმა გადასწყვიტეს, აიღონ მსოფლიო ბატონობის რევანში. ისინი სასტიკად მოსტყუვდნენ ანგარიშში. როგორც **ამხანაგი სტალინი** თავის ისტორიულ გამოსვლაში 1941 წლის 3 ივლისს აღნიშნავდა, ფაშისტურმა გერმანიამ, რომელიც მუხანათურად თავს დაესხა საბჭოთა ქვეყანას, წააგო პოლიტიკურად და მთელი მსოფლიოს თვალში გამოააშკარავა თავისი თავი, როგორც პირსისხლიანმა აგრესორმა. თავის გამოსვლაში ამხანაგი სტალინი ამბობდა: „ჩვენი ომი ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის შეერთვის ევროპისა და ამერიკის ხალხთა ბრძოლას მათი დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებათათვის. ეს იქნება ერთიანი ფრონტი ხალხებისა, რომელნიც იცავენ თავისუფლებას ჰიტლერის ფაშისტური არმიების მიერ დამონების წინააღმდეგ და დამონების საფრთხის წინააღმდეგ“.

ევროპისა და ამერიკის დემოკრატიული ხალხები უკვე აღსდგნენ და იბრძვიან ფაშისტ ბარბაროსთა წინააღმდეგ. შეიქმნა საბჭოთა კავშირისა და

დიდი ბრიტანეთის დიდი ხალხების ნამდვილი და მძლავრი კოალიცია. ხელმოწერილია შეთანხმება ჩეხოსლოვაკიის და პოლონეთის მთავრობებთან. მოხდა უდიდესი კონსოლიდაცია ძალებისა, რომლებიც იბრძვიან და იბრძოლებენ ფაშისტურ მტარვალთა წინააღმდეგ მათ სრულ განადგურებამდე.

ჰიტლერის გერმანიის გეგმები ჩაიფუშა. გმირული წითელი არმიის ულმობელი ხიშტებით იმსხვრევა და დაიმსხვრევა მითი გერმანიის ფაშისტური არმიის უძლეველობის შესახებ.

„ჰიტლერის ფაშისტური არმიაც შეიძლება ისევე დამარცხდეს და დამარცხდება კიდეც, როგორც დამარცხდნენ ნაპოლეონისა და ვილჰელმის არმიები“ (სტალინი).

რუსეთის მიწა-წყლის არც ერთი დამპყრობი არ გაბრუნებულა უკან დაუმარცხებელი. დიდი რუსი ხალხი ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა ომებიდან. იგი ახლაც გაიმარჯვებს თავის სამამულო ომში პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ. რუსმა ხალხმა იხსნა ევროპა ნაპოლეონისაგან. საბჭოთა კავშირის გმირული წითელი არმია იხსნის მსოფლიოს ჰიტლერისაგან, ფაშიზმისაგან. გერმანიის ფაშიზმი საფლავს ჰპოვებს ამ ომში.

ფაშიზმის საფარდეში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენ ვიბრძოლებთ ჩვენი ხალხის სიცოცხლისა და ღირსებისათვის

(პოლონელი მწერალი ქალის ვანდა ვასილევსკაიას წერილი)

ჰიტლერიზმი, — ყველა საუკუნეების იმპერიალისტურ გერმანულ მისწრაფებათა მემკვიდრეა.

პოლონეთის სახელმწიფო ჯერ მხოლოდ იქმნებოდა, როცა დასავლეთიდან დაიძრა რკინის შერენგები მის მინდვრებზე და ტყეებზე, მის მშვიდობიან მოსახლეობაზე. ცეცხლითა და მახვილით გაანადგურა მტერმა მოსახლეობა და უდაბნოდ აქცია სოფლები.

ჯვაროსნები იყვნენ ყველაზე სისხლიანი მტრები, რომლებიც არ იცავდნენ ვალდებულებებს და არღვევდნენ პაქტებს და ხელშეკრულებებს. ჰიტლერმა კარგად შეითვისა ეს ტრადიცია თავის რკინის პერანგებში ჩაჭედილი წინაპრებისაგან.

ჯვაროსნების ორდენი ისწრაფოდა პოლონური ტომების განადგურებისაკენ. მხეცობა მტაცებელი მოძალადისა შავი სტრიქონებითაა აღბეჭდილი ხალხის მეხსიერებაში.

შემდეგ პოლონეთი დაინაწილეს.

დაიწყო სამარცხვინო განადგურება ჩვენი ხალხისა. პოლონელ ბავშვებს აიძულებდნენ ესწავლათ უცხო ენაზე, სჯიდნენ მშობლიურ ენაზე ლაპარაკისათვის. გმირულად იბრძოდნენ ბავშვები თავიანთი მამაპაპური ენისათვის, თავიანთი ღირსებისათვის. სამუდამოდ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში ეს სამარცხვინო ისტორია მშობლიური კულტურის სიყვარულისათვის მცირეწლოვანთა დასჯისა გერმანელების მიერ.

დაიწყო პოლონელთა მიწის დატაცება. დამპყრობლებს კოლონიზატორულმა მისწრაფებებმა მშვიდობიანი ძილი დაუკარგეს. ხალხის განდევნა საკუთარი მიწებიდან, პოლონელი ხალხის გაგერმანელება ყოველგვარი საშუალებით, განადგურება ყველაფერი პოლონურისა, — ასეთი იყო აგრესორების მიზანი. ეს ტრადიციაც კარგად აითვისა გერმანულმა ფაშიზმმა.

ჰიტლერიზმის ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე აშკარა იყო, რომ ის სიკვდილით ემუქრებოდა პოლონეთის როგორც სახელმწიფოს, ისე ხალხს.

ჰიტლერმა ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა სლავების წინააღმდეგ. ის ამტკიცებს, რომ სლავი ხალხები გერმანელთა მონები უნდა გახდნენ. ჰიტლერის ყოველი სიტყვიდან და მისი ხელქვეითების ყოველი წერილიდან გამოსჭვივოდა ზოოლოგიური სიძულვილი სლავი ხალხებისადმი. უფროდაუფრო ხშირად გვესმოდა ჩვენ ხმები „პოლონელ ხამებზე“, „პოლონელ ველურებზე“.

დადგა 1939 წელი...

პოლონეთის ორმოცდაათ ქალაქს და დაბას დაეცა ყუმბარები. დაიწყო პოლონელი ხალხის, პოლონური კულტურის განადგურება. გერმანელებმა ყუმბარები დააყარეს უძველეს ნაგებობებს, ხელოვნების ქმნილებებს. ნანგრევებად აქციეს უძველესი ქალაქები, არსებული მრავალი საუკუნეების მანძილზე, დაანგრიეს ცენტრალური ევროპის საუკეთესო გოტური ქმნილება, — კათედრალური ტაძარი. ბარბაროსული თავდავიწყებით ანგრევდნენ ფაშისტები და არარაობად აქცევდნენ მას, რასაც საუკუნეების განმავლობაში ჰქმნიდნენ შემომქმედნი და, რასაც სიყვარულით და პატივისცემით ინახავდნენ თაობები.

ბომბარდირება განიცადეს პატარა დასახლებულმა ადგილებმა, რომლებსაც არ ჰქონდათ არავითარი სამრეწველო მნიშვნელობა, არ ჰქონდათ არავითარი მნიშვნელობა სამხედრო თვალსაზრისით. პირველი დღიდანვე აშკარა გახდა, რომ ეს იყო სრული განადგურება და არა დაპყრობა. ცეცხლითა და ყუმბარებით ნადგურდებოდა ყველაფერი, რასაც ბარბაროსების თვალი მიწვდა. გაცამტვერებულია გლეხთა საცხოვრებელი სახლები კუიავასა და მაზოვიეში.

ვარშავის მუშათა კვარტალებში თვითმფრინავებიდან ცვივოდა მოწამლული კონფეტები. სხვა ქალაქებში ჰყრიდნენ პატარა ფერად კოლოფებს, რომლებიც ფეთქდებოდნენ ბავშვების ხელში. ჩამოყარეს მოწამლული პაპიროსები, მოწამლული შოკოლადი. მფრინავები ეშვებოდნენ დაბლა და ცელავდნენ აღმოსავლეთისაკენ ლტოლვილ ხალხს. ტყვიამფრქვევებიდან ესროდნენ მინდვრებზე მომუშავე ქალებს. მკვლელები დასდევდნენ მცირეწლოვან მწყემს გოგონებს და მხეცურად კლავდნენ მათ.

1939 წლის სექტემბერში, ვარშავიდან საბჭოთა კავშირში მომავალმა, მე გავიარე პოლონეთის მიწის რამდენიმე ასეული კილომეტრი. ცა მთელ მანძილზე წითლად იყო ანთებული, საითაც გაიხედავდით, ყველგან ცეცხლი გიზგიზებდა. ჰაერში ტრიალებდა აუტანელი, საზარელი დამწვრის სუნი, რომელსაც მთელი კვირაობით ვეღარ ივიწყებ. ეს სუნი თან მდევდა ყველგან, — მინდვრად, ტყეში, ყვავილოვან ველზე. მთელი ჰაერი სავსე იყო ცეცხლის სუნით. ცეცხლის ალისაგან ყველაფერი ნანგრევებად იყო ქცეული,— ნანგრევებიდან გახრწნილი გვამების სუნი მოდიოდა, რადგან გვამების ნანგრევებიდან ამომღები და დამმარხველი არავინ იყო. გადამწვარი სოფლები, მიტოვებული ქოხები, დატოვებული სარჩო-საბადებელი, სიკვდილის უდაბნო. გზებზე, სადგურებზე, ბილიკებზე ათასობით ადამიანები, რომლებმაც თავათაც არ იცოდნენ საით მიდიოდნენ, დაჩაგრულნი, ღონემიხდილნი, დაყრუებულნი და ბრმანი ყველაფერ იმისადმი, რაც ირგვლივ ხდებოდა. ხალხი უსახლკაროდ, ღია ცის ქვეშ, უსამშობლოდ. დაკარგული ბავშვები, ცოლები უქმრებოდ, ძლივსმსუნთქავი ძროხები, რომლებიც ფორნებს მიჰყვებოდნენ, — ეს იყო უკიდურესი უბედურების და ვაების სურათი.

აი, რად გადააქცია ჰიტლერმა ჩემი სამშობლო მიწა, მშვიდობიანი ზღვისპირელებისა, მაზოვური სოფლები, პოდლიაშიეს მწვანე ვაკეები.

ასეთია ჩვენი ანგარიში, მწარე ანგარიში ჩემი ხალხისა, მე-XX საუკუნის კაციჭამიებისადმი. ბევრი ჩემი ძმა და და დაიღუპა იმ მძიმე დღეებში. საშინელი გახდა პოლონელი ხალხის არსებობა გერმანული ფაშიზმის ჩექმის

ქვეშ. გუბერნატორმა ფრანკმა განმარტა, რომ პოლონელები უნდა გახდნენ დამონებულ ხალხად.

უწინარესყოვლისა დაიწყო ძარცვა კულტურის განძისა. გერმანიაში წაღებულია ცნობილი იაგელონის ბიბლიოთეკა, ერთი საუკეთესოთაგანი მთელს ევროპაში. გატანილია უძველესი პერგამენტები, იშვიათი წიგნები, გატანილია ვარშავის ბიბლიოთეკები, სურათების გალერეიები. ეკლესიებში ჩამონგრეულია ბარელიეფები და ქანდაკებები, ჩამოხსნილია ფრესკები. გერმანელმა დამრბევებმა გაიტაცეს ყველაფერი.

გერმანელმა ფაშისტებმა გადასწყვიტეს გააუქმონ პოლონური კულტურა. ბევრი ნივთი არასაჭირო შეიქნა. არაა საჭირო უნივერსიტეტები, არაა საჭირო საშუალო სკოლები, — იმისათვის, რომ მონა იყო, ხომ არ არის საჭირო განათლება.

სრულიადაც არ არის საჭირო პოლონელი ინტელიგენცია. დაიწყეს მასობრივი დაპატიმრებები ყველა უნივერსიტეტის პროფესორებისა, ხოლო ცნობილია, რომ გერმანული სატუსაღოებიდან არავინ გამოსულა. დაიწყეს დაპატიმრებები მხატვრებისა, რომლებიც კაფეებსა და რესტორანებში კელნერებად მუშაობდნენ ლუკმაპურისათვის. დაიწყო დაკითხვები გესტაპოში, ადამიანების მასობრივი დაცინვა და აბუჩად აგდება, მასობრივი თვითმკვლელობა მათ შორის, რომლებმაც საკუთარი ხელით სიკვდილი არჩიეს ჯალათის ნაჯახს. მაგრამ ესეც არა საკმაო აღმოჩნდა ხალხის ფიზიკურად ამოწყვეტისათვის. ზამთარში, უმკაცრესი ყინვების დროს, დაიწყო პოლონელების გამოსახლება მშობლიური ადგილებიდან. მიდიოდნენ უდაბნოებში, უცნობ ადგილებში, ეცემოდნენ გზებზე, კვდებოდნენ, იყინებოდნენ, იღუპებოდნენ ასობით. გამოსახლებული არიან პოლონელები კრაკოვიდან, რომელიც უცებ ძველთაძველი გერმანული ქალაქი აღმოჩნდა. თურმე ჩვენ გარკვეულად არ ვიცოდით თუ სად ვცხოვრობდით. მიწა, რომელზედაც დაიბადნენ ჩვენი პაპები და მამები, რომელზედაც საუკუნეების მანძილზე გაისმოდა ჩვენი ენა, ცხოვრობდნენ ჩვენი ტრადიციები, უცებ, ასეული წლების შემდეგ გამოცხადდა გერმანულ მიწად.

დამარღვეველი ავაზაკური მუშაობა გრძელდებოდა განუწყვეტლივ. გერმანელებმა გადასწყვიტეს ფიზიკურად გაენადგურებინათ პოლონელი ხალხი. წაიღეს ყველაფერი, რისი შეჭმაც შეიძლებოდა. საბარათო სისტემა ნაანგარიშევია მოსახლეობის დამშეული არსებობისათვის, დამშეული სიკვდილისათვის. შიმშილობს არა მარტო ქალაქი, შიმშილობს გლეხი, გერმანელი მემამულის ყმად ქცეული. პირწმინდად მთელი მოსახლეობა კვდება შიმშილისაგან.

პოლონელი ხალხი განადგურდება, თუ ის გერმანული ფაშიზმის ბატონობას არ დაამხობს. აი, რატომ არის ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ბედი საბჭოთა კავშირის გამარჯვებაზე დამოკიდებული.

საბჭოთა ხალხი იბრძვის ჩვენი არსებობისათვისაც, ჩვენი თავისუფლებისათვისაც. ჩვენთვისაც ამჟღავნებს მამაცობის სასწაულს საბჭოთა მფრინავი, ჩვენთვისაც სწირავს თავის სიცოცხლეს საბჭოთა მესაზღვრე.

ეს ბრძოლა უფრო საშინელი და მძიმეა, ვიდრე ყველა ბრძოლა, რაც ისტორიას ახსოვს. ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო. ამ ბრძოლაში ჩვენც უნდა მივიღოთ მონაწილეობა. ჩვენ ვიბრძოლებთ ჩვენი ეროვნული ღირსე-

ბისათვის, ჩვენი კულტურისათვის, ჩვენი მიწისათვის, ადამიანის ღირსებისათვის, ადამიანის თავისუფლებისათვის, ხალხის სასიცოცხლო უფლებისათვის. ბრძოლაში, რომელიც ახლა სწარმოებს, წყდება ჩვენი ბედიც. საბჭოთა კავშირის გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაც იქნება.

არა, ჩვენ არა ვართ დამონებული ხალხი. ჩვენ ვართ ხალხი, რომელმაც შვა მიკკევიჩი, სლოვაკი, იაროსლავ დომბროვსკი და კიური-სლოვოკკაია. მტრის მიერ გათელილი მიწა შეტევისაკენ მოგვიწოდებს. მიმდინარეობს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. არჩევანი ორია, — ან საბოლოო განადგურება პოლონეთისა, ან ეროვნული აღორძინება. ჩვენ უნდა ვიცოცხლოთ, ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ, და მაშინ ჩვენ შევძლებთ შევიდეთ თავისუფალ ხალხთა ოჯახში, რომელსაც ვერასოდეს ვეღარ დაემუქრება სვასტიკის დაღრეჯილი აჩრდილი.

ფაშისტი ბარბაროსები ჩეხურ კულტურას სპობენ

ჩეხიის მიწა-წყლის დაპყრობისთანავე, გერმანელმა ფაშისტებმა ხელი მიჰყვეს ჩეხი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის მოსპობას. პირველყოვლისა, სასტიკად უსწორდებოდნენ ინტელიგენციის წარმომადგენლებს. პროტექტორატში მყოფი გერმანელი ფაშისტების ერთერთმა მეთაურმა ფრანკმა განაცხადა: „ამ შეურიგებელ ფენას ჩვენს ანგარიშს წარვუდგენთ და ერთ მშვენიერ დღეს იგი მოსპობილ იქნება“. ამ ჟამად სამი წლით არის დახურული ჩეხიის ყველა სასწავლებელი, მათ შორის ევროპის სიამაყე — პრაღის ძველთაძველი უნივერსიტეტი. დააპატიმრეს და საკონცენტრაციო ბანაკებში გაჰგზავნეს 6 ათასი ჩეხი სტუდენტი და პროფესორი. საკონცენტრაციო ბანაკებში ჩამწყვდეულია სულ 90 ათასზე მეტი წარმომადგენელი ინტელიგენციისა.

დახურეს ჩეხური სახალხო სკოლების უმრავლესობაც. სკოლის შენობები გერმანიიდან ჩასული ჯარისკაცების ყაზარმებად გამოიყენეს. ყველა ჩეხური სახელმძღვანელო მოსპეს. ბავშვები მხოლოდ მასწავლებელთა სიტყვიერი ახსნით სწავლობენ: მასწავლებლები დაწვრილებით სწერენ განმარტებებს დაფაზე. სახელმძღვანელოების მოსპობა იმით დაასაბუთეს, რომ ფიზიკის წიგნებიც კი „ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სულს შეიცავსო“. პროტექტორატში აკრძალულია ჩეხური პიესების დადგმა, კინოებში მხოლოდ გერმანულ ფილმებს უჩვენებენ. ფაშისტებმა დაშალეს ცნობილი სასპორტო ორგანიზაცია „შავარდენი“. ამ ორგანიზაციის სადგომი გერმანელებმა დაიკავეს, მის სახსრებს კონფისკაცია უყვეს, ხელმძღვანელები დააპატიმრეს.

ვინ ბანაბებს რუმინეთს

საბჭოების ქვეყანაზე ყაჩაღურ თავდასხმას რომ ამზადებდა, გერმანიის ფაშისტურმა მთავრობამ რუმინეთში ხელისუფლების სათავეში ჩააყენა ყველაზე თავაღებული ავაზაკები — საბჭოთა კავშირისა და რუმინელი ხალხის მტრები.

მთავრობის სათავეში დგას გენერალი ანტონესკუ, რუმინელი ხალხის ცნობილი ჯალათი და ფაშისტური გერმანიის ძველი აგენტი. თავის დროზე რუმინეთის მმართველებმა, იცოდნენ რა ანტონესკუს გაცოფებული გაბო-

როტება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, იგი დანიშნეს კიშინიოვის კორპუსის მეთაურად, სადაც მან სახელი გაითქვა როგორც ბესარაბიის გლეხობის ჯალათმა. გერმანელთა ხიშტების დახმარებით ძალაუფლებაში ჩადგომ რომ იგდო, გენერალმა ანტონესკუმ მოაწყო სისხლიანი გასწორება რუმინეთის მშრომელებთან. ლეგიონერებთან ბრძოლის სახით ანტონესკუმ ლეგიონერთა აჯანყების შემდეგ დააპატიმრა რუმინეთის 30 ათასზე მეტი მუშა და გლეხი. ნახევარი წლის განმავლობაში რუმინეთში ყოველდღიურად სწარმოებს სამხედრო სასამართლოს სხდომები, რომლის განაჩენებითაც ხვრეტენ და კატორღაში გზავნიან მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენციას.

ანტონესკუმ მოაწყო აღვირახსნილი აგიტაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ქვეყნის მთელი ეკონომიური რესურსები გადაეცა გერმანელ ფაშისტებს, რომლებმაც რუმინელ მმართველებთან ერთად რუმინეთის ტერიტორიაზე მოაწყეს პლაცდარმი საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად.

ანტონესკუს გარდა, მთავრობის შემადგენლობაში შედის ჯგუფი გენერლებისა, რომლებსაც არაფრით არ გამოუჩენიათ თავი ბრძოლის ველზე, მაგრამ რომლებიც ფართოდ არიან ცნობილნი თავიანთი კავშირით გერმანიის ფაშიზმთან, თავიანთი პირუტყვული სიძულვილით საბჭოთა კავშირისა და რუმინელი ხალხისადმი.

განსაკუთრებით კოლორიტული ფიგურაა რუმინეთის სამხედრო მინისტრი გენერალი იაკობიჩი. ამ „რუმინეთის შვილმა“ რუმინული ენაც კი არ იცის და თავის ოფიცრებს გერმანულად ელაპარაკება. იგი პირდაპირ გერმანიის გენერალური შტაბის მიერ არის დაყენებული.

ქვეყნის შიგნით ტერორის მოწყობაში გენერალ ანტონესკუს აქტიურად ეხმარება მისი ძმისწული რუმინელი ბოიარინი, მიხეილ ანტონესკუ, რომელიც აგრეთვე შედის მთავრობის შემადგენლობაში. მიხეილ ანტონესკუს შესახებ ერთმა რუმინელმა ჟურნალისტმა ასეთი აზრი გამოსთქვა: „ეს არის გესტაპო მთავრობის შიგნით. იგი თვალს ადევნებს მინისტრთა ყველა მოქმედებას. უიმისოდ მათ არ შეუძლიათ არცერთი ცოტათი თუ ბევრად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება“.

მთელ ამ კამპანიას ფაქტიურად ხელმძღვანელობს ოფიციალური გერმანელი აგენტი — გერმანიის დესპანი რუმინეთში — კილინგერი, ცნობილი გერმანელი პროვოკატორი და ჯაშუში, რომლის ყველა მითითებას რუმინელი მმართველები ბრმად ასრულებენ.

კილინგერი ბოლო დრომდე იმყოფებოდა გერმანელი დიპლომატის პოსტზე ამერიკის შეერთებულ შტატებში. იქ თავისი ძირგამომთხრელი მუშაობის წინააღმდეგ პროტესტის ტალღასთან დაკავშირებით იგი იძულებული იყო 1939 წლის იანვარში დაეტოვებინა ამერიკის შეერთებული შტატები. ამერიკის პრესა სწერდა, რომ კილინგერი იყო ხელმძღვანელი გერმანიის შპიონაჟისა წყნარი ოკეანის სანაპიროზე ამერიკის შეერთებულ შტატებში და მექსიკაში.

ინგლისურმა გაზეთმა კილინგერის ბიოგრაფია რომ გამოაქვეყნა, მას დამახასიათებელი სათაური გაუკეთა: „მკვლელიდან ელჩამდე“. ეს სათაური სავსებით ზუსტად ახასიათებს კილინგერს. იმ დღიდანვე, როდესაც გერმანელმა ფაშისტებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება, კილინგერი რემთან და სხვა გერმანელ ფაშისტ-მოიერიშეებთან ერთად ეწეოდა გერმანელი კომუნისტების ტანჯვა-წამებას, თავის მემუარებში იგი აშკარად და თავხედურად

ასწერს, თუ რა საშინლად აწამებდა კომუნისტებს და ანტიფაშისტ მოღვაწეებს.

ამ წიგნში კილინგერი ასწერს, ავაზაკთა ჯგუფმა, რომელიც მისი ბრძანებით მოქმედებდა, როგორ აწამა ახალგაზრდა სოციალისტი ქალი, რომელიც მათ ხელში ჩაუვარდათ. იგი ცინიკურად ამბობს: „ჩემი სიგნალით მსხვერპლი ურმის ხელნაზე გადააწვინეს და დაუწყეს მათრახებით ცემა მანამდე, ვიდრე მის ზურგზე თეთრი კანის ნასახიც აღარ დარჩა...“

ასეთივე ცინიზმით და თავხედობით კილინგერი ასწერს, როგორ მოჰკლა მან ერთი კომუნისტი. ასეთი აღწერებით სავსეა მთელი წიგნი. ჰიტლერმა ღირსეულად შეაფასა ეს ჯალათი და თავის დროზე იგი საქსონიის პრემიერ-მინისტრად დანიშნა. აქ კილინგერმა ტერორის საშინელი სისტემა შემოიღო.

ცხადია, რომ ასეთი „ნიჭის“ კაცი ფასდაუდებელი ფიგურა აღმოჩნდა რუმინეთის გადასაქცევად გერმანიის კოლონიად და საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო პლაცდარმად. და ეს სადისტი და მტარვალი ახლა რუმინეთის ბედ-იღბლის ფაქტიური გადამწყვეტია.

გერმანიის არმიის მიერ რუმინეთის ოკუპაციის შემდეგ კილინგერთან ერთად რუმინეთში ათასობით მოვიდნენ მისი მსგავსი გერმანელი „მოღვაწეები“, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს რუმინეთის მთელი ეკონომიკა — ნავთი, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა — და რუმინელ ბოიარინებთან და კაპიტალისტებთან ერთად შემოიღეს უსასტიკესი ტერორი მოსახლეობის მიმართ.

კულტურისა და პროგრესის მეგობრებზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირი იხსნის კაცობრიობას პირსისხლიანი ფაშიზმისაგან

ფაშისტური გერმანიის თავდასხმას მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ხალხებზე პროტესტითა და ზიზღით შეხვდნენ მსოფლიოს ყველა კუთხის და ყველა ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები.

ჩვენი ბელადი ი. ს ტ ა ლ ი ნ ი თავის 3 ივლისის ისტორიულ გამოსვლაში ასე ახასიათებდა შექმნილ მდგომარეობას: „რა მოიგო და რა წააგო ფაშისტურმა გერმანიამ იმით, რომ ვერაგულად დაარღვია პაქტი და თავს დაესხა სსრ კავშირს? ამით მან მიაღწია თავისი ჯარებისათვის ერთგვარ ხელსაყრელ მდგომარეობას მოკლე ხნით, მაგრამ მან წააგო პოლიტიკურად, ვინაიდან მთელი მსოფლიოს თვალში გამოააშკარავა თავისი თავი, როგორც პირსისხლიანმა აგრესორმა. ეჭვი არ არის, რომ ეს ხანმოკლე სამხედრო ხელსაყრელობა გერმანიისათვის მხოლოდ ეპიზოდია, სსრ კავშირის დიდი პოლიტიკური მოგება კი სერიოზული და ხანგრძლივი ფაქტორია, რომლის საფუძველზედაც უნდა გაიშალოს წითელი არმიის გადამწყვეტი სამხედრო წარმატებანი ფაშისტურ გერმანიასთან ომში“.

ამხანაგ სტალინის ეს სიტყვები მთლიანად გამართლდა ამბების შემდგომი განვითარებითაც. იზრდება და მატულობს სიმპატიები საბჭოთა ხალხისადმი. მთელი ქვეყანა აღფრთოვანებით ადევნებს თვალს წითელი არმიის გმირულ ბრძოლას, მთელი საბჭოთა ხალხის თავდადებულ ბრძოლას თავისი ბედნიერების, თავისუფლებისა და თვითარსებობისათვის.

ევროპისა და ამერიკის კულტურის მოწინავე წარმომადგენლები გადაჭრით დადგნენ საბჭოთა კავშირის მხარეზე იმ დიდ სამამულო ომში, რომელსაც ჩვენი ქვეყანა აწარმოებს ჰიტლერის ყაჩაღური ურდოების წინააღმდეგ. გათავდა დრო მერყეობისა და ყოყმანის: ან საკაცობრიო კულტურის დიად მონაპოვართა დასაცავად — საბჭოთა ხალხებთან, ან საშუალო საუკუნოებრივ ბნელეთის მოციქულობასთან — გერმანიის პირსისხლიან ფაშიზმთან!

ყველამ, ვისთვისაც კი ძვირფასია კულტურისა და პროგრესის რაიმე მონაპოვარი, ხმამაღლა განაცხადა თავისი არჩევანი, ხმამაღლა მიუთითა იმ ციტადელზე, რომელსაც საბჭოთა კავშირი ჰქვიან და რომელიც სისხლით იცავს ყველა დროისა და ყველა ხალხის საუკეთესო იდეალებს.

ქვემოთ ჩვენ მოგვყავს მსოფლიოს მოწინავე მწერალთა განცხადებანი. ისინი აღსავსენი არიან ზიზღითა და აღშფოთებით ჰიტლერული კაციჭამიაობის წინააღმდეგ, აღსავსენი არიან ჩვენი გამარჯვების—კულტურისა და პროგრესის გამარჯვების რწმენით.

ამერიკელ მწერალთა განცხადება

ამერიკელ მწერალთა ლიგამ, რომელიც აერთიანებს ამერიკის ლიტერატურის გამოჩენილ მოღვაწეებს, გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება:

„საბჭოთა კავშირისა და ინგლისის კავშირი უზრუნველყოფს ყველა ხალხისთვის საუცხოო შესაძლებლობას მსოფლიოს გადარჩენისათვის ჰიტლერიზმისაგან. მსოფლიოს განთავისუფლება ფაშიზმისაგან წარმოადგენს უაღრესად აუცილებელ პირობას შეერთებულ შტატებში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და კულტურის გადასარჩენად. ამიტომ ლიგა მოუწოდებს დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას აუცილებელი ღონისძიებანი ინგლისისა და საბჭოთა კავშირის დასახმარებლად, რათა უზრუნველყოფილ იქნას ფაშისტურ აგრესორთა დამარცხება. ჩვენ ველით ჩვენი კოლეგების განთავისუფლებას ევროპის საკონცენტრაციო ბანაკებიდან და განდევნილი მწერლების დაბრუნებას თავიანთ სამშობლოში, რათა მოსპობილ იქნას ჩვენი, როგორც თავისუფალი მწერლების, არსებობისათვის უდიდესი საფრთხე“.

ლიგა აფრთხილებს ამერიკელი კვისლინგების — ლანდბერგის, ჰუვერის, უილერისა და კოფლინის მოქმედების წინააღმდეგ, რომელთაც ჰიტლერიზმის გაძლიერება სურთ. ლიგის განცხადების დასასრულში ნათქვამია: „შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების ანტიფაშისტ მწერალთა გაერთიანებული მოქმედება დააჩქარებს ფაშიზმის დამარცხებას“. განცხადება დაეგზავნა ამერიკის მწერალთა ყველა ორგანიზაციას და ყველა მწერალს და მოუწოდებს მათ საბჭოთა კავშირისა და ინგლისისთვის მხარდაჭერისაკენ.

ტეოდორ დრაიზერის დეპეშა

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის უცხოეთის კომისიამ ცნობილი ამერიკელი მწერლის ტეოდორ დრაიზერისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო:

„კაცობრიობის ისტორიაში მომხდარი ვერავითარი საშინელება, ვერც გიჟური ავანტურები წარმავალი ბატონობისა და დიდების მოპოვების მიზნით, ვერც ერების საყოველთაო საშინელი გაწყვეტა და დამონება კიროსის, დარიუსის, ალექსანდრე მაკედონელის, იულიოს კეისრის, ატილას, მამაის, ჩინგის-ყაენის, თემურლენგისა და ნაპოლეონის მიერ — თავისი უაზრო ბარბაროსული ნგრევითა და სისხლისღვრით ვერ შეედრება ჰიტლერის ყოვლად გაუმართლებელ თავდასხმას საბჭოთა რუსეთზე. ვერ შეედრება, რადგან რუსეთი — საბჭოთა კავშირი — მას შემდეგ, რაც რუსეთი საუკუნეობით განიცდიდა სასტიკ და უაზრო უუფლებობას და ჩაგვრას უხეში ძალის ერთი მუჭა ხარბი წარმომადგენლების მხრივ, რომლებიც ფეხქვეშ სთელავდნენ ხალხის დიდ უმრავლესობას — უბრალო და შრომისმოყვარე ადამიანებს მხოლოდ იმისათვის, რომ თვითონ მედიდურობითა და ფუფუნებით ეცხოვრათ, ის ერთადერთი ქვეყანაა, ის ერთადერთი ხალხია, რომელმაც, ბოლოსდაბოლოს, სამართლიანი და საზოგადოებრივ-პროგრესიული მმართველობის ფორმა დაამყარა. რუსეთის მთავრობა უკანასკნელი 23 წლის განმავლობაში იმისათვის ზრუნავდა, რომ იმათ, ვისაც მუშაობა სწადია და მიისწრაფვის როგორც სულიერი, ისე მატერიალური პროგრესისა და მშვიდობიანობისაკენ, ყოველგვარი შემწეობა და დახმარება მიეღოთ თავისი მთავრობისაგან.

არც ევროპაში, არც აზიაში, არც აფრიკაში, არც ჩრდილოეთ თუ სამხრეთ ამერიკაში, გარდა ამერიკის შეერთებული შტატებისა, არა მარტო არ გან-

ხორციელებულა, არამედ არც კი შემუშავებულა ისეთი პროგრამა, რომელიც უეჭველად განხორციელდა რუსეთში: 1927-28 წლებში მე საშუალება მქონდა ჩემი თვალით მენახა გიგანტური წამოწყებანი, რომლებსაც იქ ანხორციელებენ, რათა საფუძვლები შეუქმნან იმ 170 მილიონიანი ხალხის მატერიალურ და საზოგადოებრივ კეთილდღეობასა და ბედნიერებას, რომელსაც აქამდე სჩაგრავდნენ მეფის რუსეთის გამოტვინებული და ცინიკური არისტოკრატები, რომელთა მიზანს მხოლოდ ის შეადგენდა, რომ თავიანთი კეთილდღეობა შეექმნათ ყველა დანარჩენი თანამემამულის დამონების გზით. და აი ახლა მოდის ჰიტლერი, რომლისთვისაც კარგად უნდა იყოს ცნობილი საბჭოთა კავშირის პატიოსნება და მისი სოციალური მნიშვნელობა, რომლისთვისაც ცნობილი უნდა იყოს, რომ სსრ კავშირის თვითარსებობა იმის საწინდარია, რომ კმაყოფილებითა და ბედნიერებით უზრუნველყოფილია ყველა, ვინც თავისი ნება-სურვილით მონაწილეობს ასეთი ცხოვრების შესაქმნელად საჭირო შრომაში. და პირადი პატივმოყვარეობითა და სახელისა და სიმდიდრისადმი მისწრაფებით, აგრეთვე იმ იმპერიის გადიდების სურვილით შეპყრობილი ჰიტლერი, სადაც კაცობრიობის დიდი უმრავლესობის თავისუფლებისა და ბედნიერების მტერი ერთი მუჭა ხალხი განმგებლობს, ახლა ლამობს დაანგრიოს და მოსპოს მშვენიერი პროგრამა, რომელიც შექმნა ლენინმა და რომელსაც მისი უდროოდ გარდაცვალების შემდეგ ახორციელებენ მისი მრავალი მიმდევარნი და ხალხთა გამოჩენილი ბელადი და მეგობარი იოსებ სტალინი.

ამას მე ვთვლი უდიდეს ბოროტმოქმედებად — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — დიადი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ეს არის გულცივი და დანაშაულებრივი ცდა მოსპონ კაცობრიობის თავისუფლება და — რაც კიდევ უფრო საგულისხმოა — მოსპონ სულიერი და სოციალური სამართლიანობა ხალხთა ოჯახში, სამართლიანობა, რომლისთვისაც გარდა სსრ კავშირისა, არა მარტო არავის მიუღწევია, არამედ გულშიც კი არ გაუვლია არცერთ ხალხს, არცერთ რასას არსად და არასოდეს.

ეს დანაშაულებანი უნდა აღიკვეთოს, ხოლო მათი ინიციატორი და შემსრულებელი უნდა დამარცხებულ იქნას და საჯაროდ დაისაჯოს თავისი ბოროტმოქმედებისათვის, ვინაიდან ეს მხოლოდდამხოლოდ ულმობელი სისხლისმსმელი მკვლელის ბოროტმოქმედებანია. როგორც სჩანს, იოლმა გამარჯვებებმა თავბრუ დაახვიეს მას და, გერმანიის აღდგენის გეგმის ნაცვლად, იგი შეიპყრო ოცნებამ იმპერიაზე იმპერიის გულისათვის, მსოფლიოზე, რომლის მართვას გერმანიის იმპერია ლამობს; ყოველივე ეს მხოლოდდამხოლოდ მსოფლიო ბატონობის გიჟური გეგმებია. სწორედ ის სიგიჟე, რომელიც ინგლისთან ომის დროს ჰიტლერს სურდა გაესაღებინა, როგორც საღი მოსაზრება, არც მეტი არც ნაკლები, მაგრამ უკანასკნელი გამცემლობა — ბარბაროსული თავდასხმა მშვიდობიან ხალხზე, რომელმაც ჰიტლერთან სამშვიდობო შეთანხმება დასდო, ბოლომდე ამხილებს, რომ იმპერიას იჩემებს ულმობელი პირი, რომელიც არა მარტო არ არის ვისიმე მეგობარი, არამედ პოტენციური დესპოტი და დამმონებელია ყველასი და ყოვლისა. მე ვხედავ, — თუ როგორ ეხმარება რუსეთს თვითონ ინგლისი საკუთარი თავის დასაცავად. რა ფასიც უნდა ჰქონდეს ინგლისთან დადებულ პაქტს, ვუსურვებ რუსეთს ამ პაქტისაგან მიიღოს რაც შეიძლება მეტი სარგებლობა. რაც შეეხება ამერიკას, მილიონობით სხვა ამერიკელებთან ერთად მე მოვუწოდებ ჩვენს მთავრობას არა მარტო

თავდაცვისაკენ რუსეთისათვის ამთავითვე ყოველმხრივი დახმარების გაწევის გზით, არამედ იმისაკენ, რომ უკეთ გაიგოს ეს დიადი დემოკრატია, რომელიც ამჟამად თავისი მრავალმილიონიანი პროგრესიული ხალხისათვის მეტს აკეთებს, ვიდრე მთელი თავის არსებობის მანძილზე ოდესმე გააკეთა თავისი ხალხისათვის ამერიკამ".

ტომას მანი

„საბჭოთა კავშირ-ინგლისის შეთანხმების დადებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ის პუნქტი, რომლის მიხედვითაც ორივე მხარემ ვალდებულება იკისრა არ დასდოს სეპარატული ზავი. ამერიკამაც აშკარად გვაგრძნობინა, რომ იგი არასოდეს არ დასთანხმდება ისეთი ზავის დადებას, როგორიც ჰიტლერსა სურს. ბოლოსდაბოლოს, გერმანელმა ხალხმა უნდა გაიგოს, რომ იგი, ვიდრე მას ეს ავანტურისტი ხელმძღვანელობს, ვერასოდეს ვერ მიაღწევს ზავს. სამარცხვინო კრახი განიცადა ჰიტლერის ცდამ ეთამაშნა კომუნიზმისაგან ცივილიზაციის მხსნელის როლი. მსოფლიოს არ შეუძლია არსებობა, ვიდრე ჰიტლერი და განგსტერთა მისი ბანდა არსებობენ. ისინი მოსპობილ უნდა იქნან".

გერმანელი მწერალი ბრუნო ფრანკი ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმების მნიშვნელობის შესახებ

ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფმა ცნობილმა გერმანელმა მწერალმა ბრუნო ფრანკმა საკდესის წარმომადგენელს შემდეგი განუცხადა: „ინგლისსა და რუსეთს შორის დადებული შეთანხმება მნიშვნელოვან, იმედის მომცემ ნაბიჯს წარმოადგენს, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ გამარჯვება მოიპოვოს უგუნურ ნაცისტურ მხეცობაზე, რაც მთელს კაცობრიობას ემუქრება. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთზე ჰიტლერის არაპროვოცირებული, უსირცხვილო თავდასხმა მის საბოლოო მოსპობას გამოიწვევს. ყველა ის, ვინც გერმანიის პროპაგანდას შეცდომაში არ შეუყვანია, რუსეთის ხალხებს თანაუგრძნობს მშობლიური სახლკარისა და თავისი მომავლის დასაცავად მამაცურ ბრძოლაში".

ჰენრიხ მანი

„საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმასთან დაკავშირებით, ეჭვი არავის ეპარება იმაში, თუ ვინ არის საერთო მტერი და ვისთან არის საჭირო ბრძოლა. დარღვეულია თავდაუსხმელობის კიდევ ერთი პაქტი, ამჯერად იმისათვის, რომ გერმანიას ძალიან სჭირდება ხორბალი და ნავთი. ჰიტლერი უსირცხვილოდ მოუწოდებს ევროპას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ" იმიტომ, რომ მან უკვე გასძარცვა სხვა ქვეყნები კონტინენტზე. თქვენ ელოდით ამ თავდასხმას თქვენს სამშობლოზე. ჩემი მხრით მე მუდამ მქონდა ეს მხედველობაში. მებრალება ყველა, ვისაც ამ საზიზღარ აგრესორთან აქვს საქმე. მე აღფრთოვანებული ვარ ინგლისის შეუპოვარი წინააღმდეგობით და არასოდეს არ მეპარებოდა ეჭვი, რომ საბჭოთა კავშირი ნაკლებ ენერგიულად როდი იბრძოლებს, ვიდრე ინგლისი. ორივე ქვეყანამ იცის, თუ რა უნდა დაიცვან მათ. ჰიტლერს კი დასაცავი არაფერი აქვს. იგი

მხოლოდ თავისი უბადრუკი ბატონობისა და საკუთარი პერსონისათვის იბრძვის. იგი დამარცხდება. მთელი მსოფლიოს იმედს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების კავშირი სსრ კავშირთან, რომელსაც ეე სიმპათიასა და ძალას ვუსურვებ“.

გერმანელი მწერლის ალფრედ კანტოროვიჩის განცხადება

ემიგრაციაში მყოფ გერმანელ მწერალთა დაცვის კავშირის მდივანმა გერმანელმა მწერალმა ალფრედ კანტოროვიჩმა საკდესის კორესპონდენტს შემდეგი შინაარსის დეპეშა გამოუგზავნა:

„საბჭოთა კავშირის ხალხებზე თავდასხმის მომენტიდან ბარბაროსობის ძალებსა და კულტურული კაცობრიობის ძალებს შორის ბრძოლა გადამწყვეტ სტადიაში შევიდა. სამართალი, მორალი და ყველა ხალხის იმედი საბჭოთა კავშირის მხარეზეა. ამ სამართლიან ომში საბჭოთა კავშირი მარტო რომია. იმ საერთო მტრის წინააღმდეგ, რომელმაც ევროპაში სვასტიკის ნიშანი გაავრცელა, საბჭოთა კავშირთან ერთად იბრძვის მისი მოკავშირე — ინგლისელი ხალხი. საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ზურგს უკან, რომელთა წინააღმდეგ ჰიტლერი იძულებულია ამიერიდან ორ ფრონტზე აწარმოოს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, სდგას მრეწველობის მხრივ და მატერიალური რესურსების მხრივ უძლიერესი დემოკრატია — ამერიკის შეერთებული შტატები.

წავიდა იმ იოლ გამარჯვებათა დრო, რომლებსაც ჰიტლერის სატრაპები — გენერლები აღწევდნენ; დადგა ანგარიშის გასწორების დრო. საბჭოთა კავშირის ნებისყოფას, რომელმაც გადასწყვიტა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აწარმოოს თავისუფლების სასტიკი, უსაზიზღრესი და უსაშიშროესი მტრის წინააღმდეგ, ვერ გასტეხენ პეტენის, ლავალის, ბონეს, დარლანისა და კვისლინგის მსგავსი მოღალატეები.

დაე, გერმანიის საინფორმაციო ბიურო კვლავ შეეცადოს დროებით ნარკოზის გავლენის ქვეშ ამყოფოს გერმანელი ხალხი ჰებელსის ყალბი ინფორმაციების დახმარებით. ყველაფერი ამაო იქნება. მსოფლიო ამას თანდათანობით მიხვდება და ნაციონალ-სოციალიზმის მიერ ჩაგრული გერმანელი ხალხი და ყველა ხალხები, ყალბი მყვირალა პროპაგანდის მიუხედავად, თავიანთ სანუგეშოდ შეიგნებენ იმას, რაც მათ გულის სიღრმეში სწამთ: ჰიტლერის გენერლები სასიკვდილოდ დამარცხდებიან ისე, როგორც ერთ დროს ვილჰელმის გენერლები დამარცხდნენ.

ლაპარაკია არა საბჭოთა რესპუბლიკების თავისუფლებაზე. წითელი არმია თავისი ბრწყინვალე თავდაცვითი ბრძოლით იცავს ნაციონალ-სოციალისტთა მიერ ჩაგრული ყველა ხალხის საქმეს, და იმ ხალხთა საქმეს, რომელსაც მათგან საშიშროება მოელით. იგი იბრძვის არა მარტო თავისთვის, არამედ თვით გერმანელი ხალხის საქმისათვისაც, რის მოწმენიც ვართ ემიგრაციაში მყოფი თავისუფლების მოყვარული გერმანელი მწერლები.

ჩვენ ხმამაღლა უნდა განვაცხადოთ ის, რისი დიდი იმედიც აქვთ მილიონობით გერმანელებს: ახლო მომავალში დიდი დემოკრატიული ქვეყნების გაერთიანებული იარაღი მთელს მსოფლიოს იხსნის ფაშიზმის კოშმარისაგან“.

ეპტონ სინკლერი

ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა ეპტონ სინკლერმა საკავშირო განყოფილებას გამოუგზავნა დეპეშა, რომლითაც მიესალმება ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმებას, როგორც ორივე ქვეყნის ბრძნულ ნაბიჯს. სინკლერი ამ შეთანხმებას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს.

ბეატრისა და სიდნეი ვებების განცხადება

ცნობილი ინგლისელი პუბლიცისტი ცოლქმარი ვებები, რომლებმაც დასწერეს წიგნი სსრ კავშირის შესახებ, გაზეთ „სტარის" კორესპონდენტთან საუბრის დროს მხურვალედ მიესალმნენ ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმების დადებას. ბეატრისა ვებმა განაცხადა, რომ ამ შეთანხმებით ინგლისისა და სსრ კავშირს შორის ხანგრძლივი თანამშრომლობა მყარდება, რომელიც ომის შემდეგაც გაგრძელდება. სიდნეი ვები მიესალმა ჩერჩილის განცხადებას ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ ომში ინგლისისა და სსრ კავშირის ერთობლივი ბრძოლის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩერჩილი ყველა პარტიის სახელით ლაპარაკობდა.

გერმანელი მწერლის ბოდო უზეს განცხადება

ემიგრაციაში მყოფმა ცნობილმა გერმანელმა მწერალმა ბოდო უზემ მექსიკოდან საკდესის ნიუ-იორკის განყოფილებას შემდეგი წერილი გამოუგზავნა:

„ჰიტლერის მუხანათური თავდასხმის წინააღმდეგ წითელი არმიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ჩინებული ბრძოლა მიზნად ისახავს დაიცვას საკაცობრიო ღირსება, პროგრესი და თავისუფლება. იმით, რომ წითელმა არმიამ ომის პირველი დღეებიდანვე მძიმე დანაკლისი და სერიოზული ზარალი მიაყენა ჰიტლერს, მან კაცობრიობა უკვე გაანთავისუფლა ჰიტლერის არმიის უძლეველობის მითისაგან.

ა. შ. შტატებსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში კარგად ესმით, რომ საბჭოთა კავშირისადმი მხოლოდ სრულ მხარდაჭერას შეუძლია ხელი შეუშალოს ფაშიზმს ამერიკის კონტინენტზე დამკვიდრებაში. ეს სულ უფროღაუფრო აშკარა ხდება. ამ აზრმა უკვე ჰპოვა თავისი გამოხატულება იმით, რომ მექსიკის პარლამენტის ბევრმა წევრმა მოითხოვა დიპლომატური ურთიერთობის აღდგენა საბჭოთა კავშირთან. მექსიკის პროფკავშირული მოძრაობის ლიდერის ლომბარდო ტოლედანოს მიერ გამოშვებული მანიფესტი შეიცავს მოწოდებას — გაერთიანებულ იქნას ა. შ. შტატების, ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მოქმედება ჰიტლერის წინააღმდეგ და შეიქმნას ამერიკის ყველა რესპუბლიკის ხალხთა ერთიანი ფრონტი ფაშიზმის წინააღმდეგ".

სამამულო ომის გმირები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამამულო ომის გმირული ეპიზოდები

თვეზე მეტია, რაც ჩვენი გმირული წითელი არმია მედგარ წინააღმდეგობას უწევს ჰიტლერულ გერმანიის ჯარს. მან ამ სამამულო ომში მთელ რიგ ფრონტებზე გაანადგურა მტრის საუკეთესო დივიზიები და მისი ავიაციის საუკეთესო ნაწილები. მოწინააღმდეგის „უძლეველმა“ ბატალიონებმა და პოლკებმა სამარე ჰპოვეს ბრძოლის ველზე, მწყობრიდან გამოვიდა ათასობით ტანკი და ჯავშნიანი მანქანა.

წითელ არმიასთან ერთად მტრის ზურგში შეუპოვრად იბრძვიან და თავზარს სცემენ გერმანელ ოკუპანტებს მამაცი პარტიზანები, საბჭოთა ქვეყნის ერთგული შვილები, თავისი ქვეყნის თავდადებული პატრიოტები.

სამამულო ომის ფრონტზე, როგორც ხმელეთის ჯარების, ისე წითელი საზღვაო და საჰაერო ფლოტის რიგებში თავი ისახელა არა ერთმა და ორმა გმირმა, საბჭოთა ხალხის თავგანწირულმა შვილებმა, რომელთაც ვაჟკაცობისა და მამაცობის მარად უჭკნობი დიდებითა და შარავანდედით შემოსეს თავიანთი სახელი.

მრავალმა მათგანმა დადო თავი მტერთან ბრძოლაში და უკანასკნელ სისხლის წვეთამდის იბრძოდა სამშობლოს ბედნიერებისათვის, საბჭოთა ხალხის თავისუფლებისათვის.

წითელი არმიის საბრძოლო დღეები აღსავსეა დაძაბული მუშაობით, გმირობით, თავდადებით. მთელი რიგი ეპიზოდები ცხადჰყოფენ, თუ როგორ მედგრად იბრძვიან ჩვენი დევგმირი წითელარმიელები, მამაცი ტანკისტები, სტალინური შევარდნები და „მიმინოები“, ბალტიის ფლოტის წითელი მეზღვაურები.

ჰიტლერელ ვაი-მეომრებს ანგარიში შეეშალათ. საბჭოთა მიწაწყალზე შემოჭრილ მტერს ანადგურებს და მიწის პირისაგან ჰგვის საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი რწმენა გამარჯვებისადმი.

ომის გამოცხადების პირველ დღეებშივე მთელმა ქვეყანამ დაინახა წითელი არმიის სიმამაცე და ძალა. წითელმა არმიამ წარმატებით მოიგერია მტრის იერიშები. ჯერ კიდევ 7-8 დღის განმავლობაში წარმოებული შეუპოვარი და გააფთრებული ბრძოლების შედეგად გერმანელებმა დაჰკარგეს არა ნაკლებ 2.500 ტანკისა, დაახლოებით 1.500 თვითმფრინავი, ტყვედ ჩავარდა 30.000 გერმანელი. ეს რიცხვები შემდეგ გასამკეცდა და მოკლულ გერმანელთა რაოდენობამ მილიონს გადააჭარბა. ამგვარად „ელვისებური გამარჯვება“, რომლის იმედიც გერმანიის სარდლობას ჰქონდა, ჩაიფუშა, გერმანიის ფრონტების ურთიერთმოქმედება ჩაიშალა. ჩვენი წითელარმიელების, ტანკისტების, არტილერისტების, მამაცი მფრინავებისა და პარტიზა-

ნების გრიგალისებურმა დარტყმამ შეარყია გერმანიის არმიის შეტევითი სულისკვეთება.

თუ როგორ იბრძვიან საბჭოთა ჯარები, როგორ განაგრძობენ ისინი საყვარელი საბჭოთა მიწაწყლის დაცვას, გვიჩვენებენ ქვემოთმოყვანილი საბრძოლო ეპიზოდები.

სიმარჯვე, სიდინჯე, მამაცობა

ქვემეხის მეთაურმა უმცროსმა სერჟანტმა ტროფიმოვმა, ისეთ პირობებში, როცა ქვემეხი მტრის მიერ იყო გარშემორტყმული და ქვემეხის საბრძოლო გუნდი მწყობრიდან იყო გამოსული, საფარში მიიყვანა თავისი ქვემეხის სამი დაჭრილი მეომარი, ხოლო შემდეგ გულდამშვიდებით უშენდა მტერს ქვემეხს პირდაპირი დამიზნებით. ბატალიონის მეთაურმა კაპიტანმა კოშელმა ბრძოლის დროს მარჯვედ მოაწყო ტყვიამფრქვევის სროლის სისტემა. მან გულდამშვიდებით მოუშვა მტერი ახლო მანძილზე და შემდეგ ჯვარედინი სროლა აუტეხა. მოსპობილ იქნა მტრის ორი ასეული.

*
* *

ბომბარდირების დროს თვითმფრინავის მეთაურმა ანდრიანოვმა შენიშნა, რომ ფაშისტთა 2 ავიაგამანადგურებელი თავს დაესხა მფრინავ კუზმენკოს თვითმფრინავს, რომელსაც მოტორი გაუფუჭდა. ანდრიანოვმა ერთი ავიაგამანადგურებელი ჩამოაგდო, მეორე გააქცია და დაეხმარა კუზმენკოს, რომ ბაზაში მშვიდობიანად დაბრუნებულიყო თვითმფრინავიანად.

*
* *

წითელარმიელმა ისმაილოვმა განსაკუთრებული ოსტატობა გამოიჩინა მარტოულ ზეზუსტ სროლაში. იგი კარგად შეინიღბა და მარჯვე სროლით ზედიზედ განგმირა 11 თეთრფინელი ეგერი, რომელნიც ცდილობდნენ გადმოელახათ სახელმწიფო საზღვარი.

*
* *

უფროსი სერჟანტის სპიჩენკოვის სატანკო ეკიპაჟს თავს დაესხა ფაშისტთა 5 ტანკი. სერჟანტი სპიჩენკოვი არ დაიბნა. აუღელვებლად აუტეხა მან მიბრჯნით სროლა მოწინააღმდეგის ტანკებს და მწყობრიდან ზედიზედ გამოიყვანა 4 ტანკი. მან ქვემეხი დაუმიზნა მე-5 ტანკსაც, მაგრამ მამაცი მეთაური ამ დროს მძიმედ დაიჭრა. მისი ადგილი უმცროსმა პოლიტხელმძღვანელმა დაიკავა. მან პირდაპირი გასროლით მე-5 ტანკიც მოსპო.

*
* *

შავიზღვის ფლოტის საგუშაგო კატარღის ეკიპაჟმა ლეიტენანტ ოსტრენკოს მეთაურობით მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავი აღმოაჩინა.

კატარღამ დაუყოვნებლივ მიიტანა მძაფრი იერიში. სიღრმითი ყუმბარებით ფაშისტთა წყალქვეშა ნავი მოსპობილ იქნა.

*
* *

ფაშისტთა 11 თვითმფრინავმა იმ აეროდრომისაკენ აიღო კურსი, სადაც უფროსი ლეიტენანტის სტარიკოვის ქვედანაყოფი იმყოფებოდა.

ჰაერში დაუყოვნებლივ აფრინდა საბჭოთა 4 თვითმფრინავი.

მფრინავების ივანოვისა და ფილიმონოვის მანქანები მტრის თვითმფრინავთა შუაგულში შეიჭრნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ გერმანელთა ერთი გამანადგურებელი მიწაზე იწვოდა. დანარჩენებმა ბრძოლა არ მიიღეს. პირი იბრუნეს და ყუმბარებს უწესრიგოდ ყრიდნენ.

ერთი ყუმბარის ნამსხვრევებისაგან ცეცხლი გაუჩნდა საბჭოთა ყუმბარმშენს, რომელიც გასაფრენად იყო მომზადებული. ოდნავ დაყოვნებასაც კი შეეძლო დატვირთული ყუმბარების აფეთქება.

პირველი რანგის სამხედრო ტექნიკოსმა ლეუტინმა, უფროსმა ლეიტენანტმა ტატარჩუკმა და პოლიტხელმა მაკეევმა სიცოცხლის რისკი გასწიეს და ხანძარი მყისვე ჩააქრეს.

გმირული სიკვდილი

თვითმფრინავთა სამეული, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი ივანოვი ხელმძღვანელობდა, ჰაერში აფრინდა, რათა დასწეოდა და მოესპო ფაშისტთა მფრინავები, რომლებიც ერთერთი ჩვენი ქალაქის ბომბარდირებას აპირებდნენ.

ბრძოლა გააფთრებული იყო. მტრის ყუმბარმშენს, რომელიც მარჯვედ ნასროლმა საბჭოთა ტყვიამ დააზიანა, ჰაერში ცეცხლი გაუჩნდა. მეორემ ყუმბარების ჩამოყრა იწყო ტრიალ მინდორზე. საბჭოთა თვითმფრინავები ამ ყუმბარმშენის დევნას განაგრძობდნენ, უშენდნენ მას მანამდე, სანამ არ მოსპეს.

საწვავი მასალა თავდებოდა, ტყვიამფრქვევის ლენტებში არცერთი ვაზნა არ დარჩენილა. უფროს ლეიტენანტს ივანოვს თავისი სამეული აეროდრომისაკენ მიჰყავდა. პირველი ორი თვითმფრინავი უვნებლად დაეშვა. ამხ. ივანოვი კვლავ განაგრძობდა ჰაერში თვალყურის დევნებას და დასაშვებად მოემზადა. ერთბაშად შორს კიდევ ერთი ყუმბარმშენი გამოჩნდა. იგი პირდაპირ აეროდრომისაკენ მიდიოდა. ივანოვი მაშინვე აფრინდა მაღლა.

საწვავი მასალა თავდება და გასასროლი უკვე აღარაფერია. მაგრამ ფაშისტი ბანდიტი მოსპობილ უნდა იქნას. ივანოვი ეკვეთა მტერს და თავისი თვითმფრინავის მთელი სიმძიმით შეეჯახა მის ყუმბარმშენს, რომელსაც ცეცხლი მოედო და ნამსხვრევებად იქცა.

სახელოვანი საბჭოთა მფრინავი, ჩვენი დიადი სამშობლოს ერთგული შვილი, უფროსი ლეიტენანტი ივანოვი მშობლიური მიწაწყლის დაცვის დროს გმირულად დაიღუპა, მაგრამ მისი სახელი მუდამ ცოცხალი იქნება, არასდროს არ წაიშლება ჩვენს ხსოვნაში მისი გმირული საქციელი.

160 ტანკი ერთ დღეს

მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოიყვანა 170 დივიზია, მიუხედავად იმისა, რომ ფაშისტების არმია თავით

ფეხებამდე შეიარაღებულია ტანკებითა და ავიაციით, წითელი არმია უმაგალითო გმირობით, სიმტკიცითა და მამაცობით იბრძვის მის წინააღმდეგ.

მტერთან ბრძოლაში უდიდეს სიძნელეებს ძლევენ საბჭოთა ტანკისტები და არტილერისტები, რომლებიც ერთმანეთს ეხმარებიან. ასე, მაგალითად, ლეიტენანტ ტალანის ასეულმა დაზვერა მტრის სასროლო პუნქტების განლაგება და მისი ტანკების თავმოყრის ადგილები სოფელ №-ის რაიონში. ამხ. ცერევიჩის საარტილერიო დივიზიონის ქვემეხებმა სწრაფად ჩააჩუმეს მტრის სასროლო პუნქტები, რის შემდეგ ჩვენი ტანკები სწრაფი იერიშით დაატყდნენ თავს მტერს.

ბრძოლის შედეგად მოსპობილ იქნა გერმანელთა 160 ტანკი და მრავალი ქვემეხი.

განსაკუთრებული ვაჟკაცობის ნიმუში და ტანკის გაძღოლის ჩინებული უნარი გამოიჩინა უმცროსმა ლეიტენანტმა იუხნიჩმა. ფაშისტთა 5 ტანკით გარშემორტყმულმა, მან ქვემეხის მარჯვე ცეცხლით დაცხრილა მტრის 4 მანქანა. შემდეგ ზღვრული სიჩქარით გააქანა თავისი ტანკი და გამანადგურებელი პირისპირი კვეთებით გადააყირავა მტრის უკანასკნელი მანქანა.

300 ტანკის განადგურება

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო 6 ივლისს იუწყებოდა:

სატანკო ნაწილმა, რომელსაც ამხ. სლეპცოვი მეთაურობს, მიიღო ბრძანება: მოსპოს მტრის მოტომექანიზებული კოლონები რ-ს რაიონში.

მტრის დიდ სატანკო ნაწილებთან და ყუმბარმშენებთან მედგარი ბრძოლით ამხ. სლეპცოვის კოლონამ დაამარცხა მტერი. ფაშისტებმა სცადეს შეეგროვებინათ ძალები კონტრიერიშისათვის და ძლიერი საარტილერიო სროლა ასტეხეს შორეული პოზიციიდან. ჩვენი ტანკების ჯგუფმა გამანადგურებელი დაკვრით მოსპო გერმანელთა საარტილერიო პოზიციები.

ბრძოლა გერმანელთა სატანკო შენაერთის სრული განადგურებით დამთავრდა. საბჭოთა ტანკისტებმა მტრის 300 ტანკი მოსპეს, ხელთ იგდეს 12 შორსმსროლელი ქვემეხი და 500-ზე მეტი ტყვე.

ფაშისტებს საბჭოთა ხიშტების ეშინიათ

იმავე 6 ივლისის ცნობაში ნათქვამია:

კაპიტან რიბკინის მსროლელთა ბატალიონმა მტრის ოთხი საათის საარტილერიო სროლას გაუძლო და 3 იერიში მოიგერია. მტერი უკუქცეულ იქნა თავდაპირველ ხაზზე, ამასთან მან 350 ჯარისკაცი დაჰკარგა.

ამ ბრძოლაში ლეიტენანტმა ამხ. ჟელეზნიაკმა ხიშტით გაგმირა 7 ფაშისტი, სნაიპერმა წითელარმიელმა ისტომინმა ერთი დღის ბრძოლის განმავლობაში მტრის 8 ჯარისკაცი მოსპო.

საბჭოთა ქვეითი ჯარის მრისხანე ხიშტით იერიშებზე, რასაც გერმანელთა ფაშისტური ჯარები ვერ უძლებენ, ჩვენს მეთაურებს პირადი გმირული მაგალითით მიჰყავთ მებრძოლნი. უმცროსმა ლეიტენანტმა კობეცკმა ბრძანება მიიღო კონტრიერიშით მოესპო მტრის შემოჭრა. იერიშის წინ მისი ქვედანაყოფი მოხვდა მტრის ნაღმმფრქვევთა ძლიერ სროლაში და ჩაწვა.

გრიგალისებური ცეცხლის მიუხედავად, ამხ. კობეცკი წინ გაიჭრა, შეძა-

ხილით: „სამშობლოსათვის!“ მან ხელჩართულ ბრძოლაში წაიყვანა მებრძოლები. მტერი უკუაქციეს.

ასევე მოიქცა კაპიტანი ანასოვი, მან იერიშზე წაიყვანა თავისი ქვედანაყოფი, მტერი სანგრებიდან გარეკა და ხელთ იგდო რუმინეთის სასაზღვრო საყარაულო.

კაპიტან გასტელოს თავდადება

დღემდე ჰიტლერის არმიას ჯერ კიდევ არ შეხვედრია სერიოზული წინააღმდეგობა ევროპის კონტინენტზე. ამიტომ ფაშისტი მკვეხარა პროპაგანდისტები საქვეყნოდ გაჰკივიან, რომ გერმანიის არმია უძლეველიაო. მაგრამ ომის განმავლობაში გერმანიამ დაჰკარგა საუკეთესო დივიზიები და ავიაციის საუკეთესო ნაწილები, რომლებიც განადგურდნენ და სამარე ჰპოვეს ბრძოლის ველზე. ქარწყლდება ზღაპარი გერმანული ფაშისტური არმიის უძლეველობის შესახებ. წითელარმიელები ბრძოლაში იშვიათ შეუდრეკელობას და მამაცობას იჩენენ, ისინი უაღრესად ძნელს პირობებშიც კი არ ნებდებიან მტერს, არამედ უკანასკნელ ვაზნამდე იბრძვიან, ისინი მიმართავენ მტრისათვის მოულოდნელ სამხედრო ხერხებს. ისინი დაჭრილნიც კი განაგრძობენ წინააღმდეგობის გაწევას.

მტრებიც კი იძულებულნი არიან აღიარონ ეს.

აი ესკადრილიის მეთაურის კაპიტან გასტელოს გმირობა:

მტრის საზენიტო ქვემეხის ყუმბარა მისი თვითმფრინავის ბენზინის ავზს მოხვდა. უშიშარმა მეთაურმა ცეცხლმოდებული თვითმფრინავი მტრის თავმოყრილ ავტომანქანებისა და ბენზინის ცისტერნებისაკენ მიჰმართა. გერმანელთა ათობით მანქანა და ცისტერნი აფეთქდა გმირის თვითმფრინავთან ერთად.

ნიკოლოზ ფრანცისძე გასტელო სტალინურ შევარდენთა დიდი და ერთსულოვანი ოჯახის წევრი, მოსკოვის ერთერთი ქარხნის მუშის შვილი, ყველგან სამაგალითო იყო, სადაც არ უნდა დამდგარიყო. 1939 წელს იგი ყუმბარებს უშენდა თეთრფინელთა სამხედრო ქარხნებს, ხიდებსა და ხანგრძლივ სასროლო წერტებს, ბესარაბიაში საპარაშუტო დესანტებს სხამდა, რათა რუმინელი ბატონებისათვის ხელი შეეშალა ქვეყნის ძარცვაში.

დიდი სამამულო ომის პირველი დღიდანვე კაპიტან გასტელოს ესკადრილია მისი მეთაურობით ანადგურებდა ფაშისტთა სატანკო კოლონებს, აცამტვერებდა სამხედრო ობიექტებს, ნაფოტებად აქცევდა ხიდებს.

მას დიდი სახელი გაუვარდა საფრენოსნო ნაწილებში...

და როცა დადგა საბედისწერო წუთი... ცეცხლმოკიდებულ თვითმფრინავიდან მას შეეძლო გადმოხტომა და სამარცხვინო ტყვეობა, მაგრამ მან სხვა გზა აირჩია და ნამდვილი სახალხო გმირი გახდა.

მისი სიცოცხლე დამთავრდა არა ავარიაზე, არა სამარცხვინო ტყვეობით, არამედ გმირობით.

მოხუცი დედმამა: მამა ფრანც პავლესძე — ძველი მუშა — მებრძმედე, დედა ანასტასია სიმონის ასული — ქარხანა „კრასნი ბოგატირის“ მუშა ქალი და ცოლი ანა ვაჟკაცურად იტანენ საყვარელი შვილისა და ქმრის დაღუპვას. 68 წლის ფრანც პავლესძემ ღირსეულად განაცხადა:

— კოლია დაიღუპა, მაგრამ ჩვენი გვარი არ შეარცხვინა!

მისმა ოჯახმა შვილი და ქმარი დაჰკარგა, სამშობლომ გმირი შეიძინა.

კაპიტანი გასტელო, მფრინავი ივანოვი და სხვა მათი ამხანაგი, საბჭოთა მფრინავები, რომლებიც ფაშისტების წინააღმდეგ გამართულ სამამულო ომში გმირულად დაიღუპნენ, არიან ადამიანები, რომლებისთვისაც არ არსებობს უფრო მაღალი რამ, ვიდრე დედა-სამშობლოსადმი უანგარო სამსახური.

ისინი უკვდავები არიან, რადგან:

ხალხისთვის თავი ვინც გაიმეტა,
მხოლოდ ის ცოცხლობს ამ ქვეყანაზე...

გმირები ჰაერში, მიწაზე, ზღვაში...

ფაშისტ ყაჩაღებთან ომში განსაკუთრებული ძალით იჩენენ თავს საბჭოთა ადამიანის თვისებები, მრავალი წლის ცეცხლსა და ქარიშხალში გამოწრთობილნი. ომის ყოველ დღეს, ყოველ საათს მოაქვს ასობით ფაქტები უმაგალითო მამაცობისა, რასაც საბჭოთა მეომრები იჩენენ ბრძოლის ველზე.

აი პირველი სამეული, სამამულო ომის პირველი სამი საბჭოთა კავშირის გმირი:

გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება მიენიჭათ და ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის“ მედალი გადაეცათ მფრინავებს უმცროს ლეიტენანტებს ზდოროვცევს, ჟუკოვს, ხარიტონოვს.

მათმა გმირობამ აღტაცებაში მოიყვანა მთელი საბჭოთა ხალხი, გააცვიფრა მთელი კაცობრიობა, რომლის მტერიც არის პირსისხლიანი ფაშიზმი.

საბჭოთა კავშირის გმირი, უმცროსი ლეიტენანტი ს. ზდოროვცევი გვიამბობს: „როცა მტრის ყუმბარმშენმა აეროდრომს ჩაუქროლა, მე ჰაერში ავფრინდი. ჩემი თვითმფრინავი სწრაფად აფრინდა მაღლა და მე „იუნკერსს“ დავედევნე.

ფაშისტთა სვავის ეკიპაჟმა შეამჩნია დევნა და ზევით იწყო ასვლა. მას რომ დავწეოდი, ჩემს ბაზას 100 კილომეტრით გავშორდი. ამავე დროს მივაღწიე 5 ათას მეტრზე მეტ სიმაღლეს. ძნელი გახდა სუნთქვა, საჭირო შეიქნა ჟანგბადის ჩართვა.

6 ათას მეტრის სიმაღლეზე დავეწიე ჰიტლერელ ავაზაკებს და ბრძოლა გავუმართე“.

შემდეგ მას ყველა ვაზნა გამოელია, მაგრამ თავისი ავიაგამანადგურებლის დაჯახებით დაამსხვრია გერმანელთა მანქანა „იუ-88“, თვით უვნებელი გადარჩა და 80-ზე მეტი კილომეტრის მანძილზე პლანირებით დაეშვა თავის ბაზაზე.

მფრინავი, უმცროსი ლეიტენანტი ხარიტონოვი დიდხანს ვერსად შეხვდა ფაშისტთა ძერებს. გულნაკლულად იყო უშიშარი მფრინავი, მაგრამ აი ერთ დღეს ხარიტონოვმა დაინახა მტერი, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზე შემოჭრილიყო. ხარიტონოვი გაექანა მისკენ. მტერმა ტყვია დააყარა საბჭოთა მფრინავს, მაგრამ იგი არ შედრკა და მარჯვე მანევრით დააღწია ტყვიას თავი.

— ახლა კი გიჩვენებთ! — წაიჩურჩულა მან და ტყვიამფრქვევი ააკაკანა.

„იუნკერსმა“ მოკურცხლა. ხარიტონოვი სროლით მისდევდა უკან და

გაქცევის საშუალებას არ აძლევდა. შემდეგ ჩვენს მფრინავს ტყვიები გამოელია და მტერი კი ხელიდან უსხლტებოდა. მაშინ ხარიტონოვი საშინელის სისწრაფით მივარდა მტრის თვითმფრინავს და მისმა ავიაგამანადგურებლის ხრახნმა სილრმის საჭეები მოამტვრია ყუმბარმშენს. იგი უმალვე ჩამოვარდა მიწაზე და ნამსხვრევებად იქცა.

ხარიტონოვი კი ოსტატურად დაეშვა ძირს პარაშუტით თავის აეროდრომზე, სადაც ამხანაგებმა კომკავშირელ მფრინავს საუცხოო გამარჯვება მიულოცეს.

*
* *

უფროსმა ლეიტენანტმა ამხ. ტერეხინმა ბრძოლის დროს მტრის ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდო, შემდეგ ორი სხვა თვითმფრინავი თავისი თვითმფრინავის დაჯახებით დაამსხვრია და თვითონ პარაშუტით დაეშვა, მაშინ, როდესაც მისი მანქანა ნაფოტებად იყო ქცეული.

პოლიტხელის მოადგილემ ამხ. ლისნევსკიმ რემონტში მყოფი თავისი ტანკის ცეცხლით ჩამოაგდო მტრის ერთი თვითმფრინავი, 3 სხვა თვითმფრინავი უკუაქცია, ჩამოგდებული მანქანის ნაწილები გამოიყენა და ტანკი შეაკეთა.

უფროს ლეიტენანტ ნესტეროვის ესკადრონი ბრძოლას აწარმოებდა მტრის ქვეითა ჯარის ბატალიონთან. ლეიტენანტი იასინსკი მკერდამდე წყალში იდგა ფაშისტთა ჯვარედინ ცეცხლქვეშ, სამ საათზე მეტს ხანს მართავდა არტილერიის ცეცხლს და ანადგურებდა მტერს.

ზღვის არწივი წურწუმია

შავი ზღვის ფლოტის ყუმბარმშენთა ესკადრილიამ კაპიტან ა. პ. წურწუმიას მეთაურობით აღმოაჩინა მტრის სამი გემი, წარმატებით მიიტანა მათზე იერიში და უდანაკარგოდ დაბრუნდა თავის აეროდრომზე.

გაზეთი „კრასნი ფლოტი“ დაწვრილებით აგვიწერს ამ გმირობას:

კაპიტანმა წურწუმიამ მიიღო დავალება აღმოეჩინა და გაენადგურებია ფაშისტთა გემები მდინარე დ-ის შესართავის ერთერთ რაიონში. იქ მან აღმოაჩინა მტრის ორი სამხედრო გემი, რომლებიც კილვატერით მიემარებოდნენ მდინარის აღმა. ჩვენი თვითმფრინავები უეცრად თავს დაესხნენ ამ გემებს და ყუმბარებით ჩაძირეს ისინი. ამის შემდეგ კაპიტანმა წურწუმიამ იერიში მიიტანა მონიტორზე. გემს რამდენიმე ყუმბარა მოხვდა. გაისმა აფეთქება და მონიტორს ცეცხლის ალი მოედო. დავალების დასრულების შემდეგ წურწუმიამ ყველა ყუმბარმშენი მშვიდობიანად გამოიყვანა საზენიტო ბატარიების სროლის ზოლიდან.

ამ ოპერაციაში თავი იჩინა შესანიშნავმა ოსტატობამ, რომლითაც კაპიტანი წურწუმია ყოველთვის იწრთობოდა თვითონ და ასწავლიდა სხვა მანქანების მეთაურებს.

გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის კაპიტანი ა. პ. წურწუმია, ისე როგორც სხვა მრავალი მისებრ მამაცი მეომარი და საბჭოთა ქვეყნის ერთგული დარაჯი, დაჯილდოვებულია „წითელი დროშის“ ორდენით.

ა. პ. წურწუმია სამეგრელოს წარმტაცმა ბუნებამ გამოზარდა. მეგრელი გლეხის შვილს, მშრომელი ხალხის თავდადებულ გმირს, ხოტბა-დიდებას უგზავნის მთელი ჩვენი ქვეყანა. სამართლიანად ამბობს მასზე პოეტი:

ციდან მგრგვინავი შენი ძახილი
მხეცთა ბუნაგებს რისხვად ეცემა.
ელვით ნატყორცნი შენი სახელი
მოდგმიდან მოდგმას გადაეცემა...

ფაშისტთა თვითმფრინავი თოფით ჩამოაგდეს

№ პოლკის ბატარია ახალ ცეცხლის პოზიციებზე გავიდა. უმცროს სერჟანტებს — ამხ. ბრევსა და პოპეიკოს, ეფრეიტორებს — ტერეშენკოსა და კაჩაევს დაევალათ ტელეფონის კავშირგაბმულობის მოწყობა. ისინი დაუყოვნებლივ შეუდგნენ დავალების შესრულებას.

მოულოდნელად ჰაერში გამოჩნდა მტრის 2 თვითმფრინავი, რომელთაც დაბლა ფრენით დაუშინეს ტყვია სერჟანტ ბრევის ჯგუფს. მებრძოლები არ დაიბნენ. მათ შაშხანებით აუტეხეს სროლა თვითმფრინავებს და ერთი მათგანი ჩიტივით ჩამოაგდეს ძირს.

მფრინავი დატყვევებული იქნა.

საბჭოთა მამაცი ჯარისკაცები ჩიტებზე მონადირესავით თოფებითაც კი ცხრილავენ მტრის ავიაგამანადგურებლებს.

შვიდეული ოცდაათის წინაალმდეგ

ჩვენი მფრინავების სიმამაცესა და გმირობას საზღვარი არა აქვს.

პოლკოვნიკმა ნიმცოვიჩმა გამოარკვია მტრის მესერშმიდტისა და ჰაინკელის ტიპის 60 თვითმფრინავის დაშვების დრო და ადგილი, შემდეგ ჰაერში აიყვანა ჩვენი ავიაგამანადგურებლების შვიდეული.

შვიდეულმა სამი შემოვლით მოსპო მტრის 30 თვითმფრინავი.

შვიდეული უდანაკარგოდ დაბრუნდა ბაზაში.

მტრის ზურგში

ყოველ დღე სულ ახალ-ახალი ცნობები მოდის მტრის ზურგში საბჭოთა პატრიოტების გმირული ბრძოლის შესახებ. დასავლეთ ბელორუსიის № რაიონში ასი კაცისაგან შემდგარი პარტიზანული რაზმი თავს დაესხა გერმანელთა მოტორიზებულ ქვეითთა ჯარს. პარტიზანებმა მოჰკლეს 150 გერმანელი.

მეორე რაიონში გზის განაპირა ბუჩქნარში დამალული რაზმი დაუხვდა ფაშისტთა ტანკების კოლონას და ალმოდებული ბენზინით სავსე ბოთლები დაუშინა მას. მტრის 18 დიდი ტანკი მოსპობილ იქნა.

80 კილომეტრზე ქალაქ ნ. ჩრდილოეთ-დასავლეთით პარტიზანული რაზმი ღამით მიეპარა გერმანელების მიერ დაკავებულ სოფელს.

რაზმმა უხმაუროდ მოსპო გუშაგები და თავს დაესხა მოტოციკლისტთა ნაწილის ჯარისკაცებს, რომელნიც სოფელში ღამეს ათევდნენ. 74 ჯარისკაცი და 2 ოფიცერი მოჰკლეს. პარტიზანებმა მოსპეს 62 მოტოციკლი და სოფელი დასტოვეს.

ამგვარად მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე სტიქიურად იშლება მასობრივი პარტიზანული მოძრაობა. პარტიზანები, რომლებიც ძალიან კარგად იცნობენ ადგილმდებარეობას, ფაშისტ დამპყრობელთა ზურგში ქოქმედებენ, რაც ანელებს გერმანელთა წინსვლას და დიდ ზარალს აძლევს მათ ჯარებს.

ამასთანავე ადგილობრივი გლეხობა იჭერს შენიშნულ დივერსანტებს, მტრის პარაშუტისტებს და დიდ დახმარებას უწევს ჩვენს ჯარს. ისინი განუწყვეტლივ ესხმიან თავს კომუნიკაციებს, სპობენ ალალებს, საომარ მასალებს და საწვავის მატარებლებს, უთვალთვალებენ და ანადგურებენ გერმანელ ფაშისტთა ჯარების მთელ ჯგუფებსა და დანაყოფებს. ს. ჩ-ს სკოლის შენობაში განლაგებული იყო ფაშისტთა ასეული. ღამით 70 პარტიზანი მიეპარა სკოლას, უხმაუროდ მოსპო გუშაგები და ტყვიამფრქვევი დაუშინა მოწინააღმდეგეს, რომელიც არაფერს მოელოდა. გერმანელები გაქცეულ ეს.

პარტიზანულ რაზმს, რომელსაც მეთაურობს სამოქალაქო ომის მონაწილე ამხ. კ., მეკავშირეებმა აცნობეს, მეზობელ სოფელში გერმანელთა კოლონა გლეხებს სძარცვავსო. ღამით პარტიზანები გარს შემოერტყნენ სოფელს. ფაშისტები ფარდულში გამაგრდნენ და ტყვიამფრქვევის სროლა ასტეხეს. რაზმის მეთაური პარტიზანი დაიჭრა.

ტკივილის მიუხედავად, მამაცი მეთაური ფარდულის ახლოს დადგმულ ჩალის ზვინთან მიცოცდა და ცეცხლი წაუკიდა. ალი ფარდულის სახურავს მოედო. ფაშისტები ცეცხლმოდებული თავშესაფრიდან სათითაოდ გამორბოდნენ. ყველანი მოსპობილ ან შეპყრობილ იქნენ.

პლოეშტის ბომბარდირება

თვითმფრინავები, რომლებსაც მართავდნენ კაპიტანი სოვინი, ლეიტენანტი ჩუპროვი და შტურმანი ლებანიძე, ბრმა ფრენით მიისწრაფოდნენ მტრის ობიექტისაკენ.

შტურმანმა მაიორმა ლებანიძემ უკანასკნელი გაანგარიშება მოახდინა და დაიწყო ბომბარდირება. მტრის პროჟექტორებმა სცადეს ჩვენი მანქანების დაჭერა, საზენიტო ქვემეხებმა სროლა აუტეხეს მამაც მფრინავებს, ჭურვები ძალიან ახლოს სკდებოდა, მაგრამ საბჭოთა მფრინავებმა თავიანთი მოვალეობა უკვე დაამთავრეს.

მათ გარკვევით დაინახეს, თუ როგორ მძვინვარებდა ხანძარი ძირს, ნავთის სარეწაოებში.

— რა დღეში არიან! — გასძახა მაიორმა ლებანიძემ, ოსტატურად დააღწია თავი საზენიტო ქვემეხებს და პროჟექტორთა შუქს. მთელი საბრძოლო გაფრენის მანძილზე—ისე როგორც ყოველთვის — შტურმანი მაიორი ლებანიძე შესანიშნავად მუშაობდა და ზუსტად მიიყვანა თვითმფრინავები პლოეშტიზე.

გმირი მფრინავები მშვიდობიანად დაბრუნდნენ თავიანთ ბაზაში. არცერთი თვითმფრინავი არ დაზიანებულა.

შემდეგშიც ბევრჯერ გაიმეორეს მათ ასეთი თავდასხმა და ყოველთვის დიდ ზარალს აყენებდნენ მტერს, თვითონ კი უვნებელნი რჩებოდნენ.

თავდასხმა კონსტანცაზე

კაპიტან სემენიუკის ქვედანაყოფი მიფრინავდა კონსტანცაზე — იერიშის მისატანად. მალე სამიზნოსათვის უნდა მიეღწიათ. ამ დროს ღრუბლებში გაიელვეს მტრის „ჰაინკელ — 113“ თვითმფრინავებმა. ეს იყო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით შეიარაღებული უახლესი მანქანები. 14 ავიაგამანადგურებელი თავს დაესხა საბჭოთა თვითმფრინავების ქვედანაყოფს.

მტრები ცდილობდნენ დაერღვიათ ჩვენი ყუმბარმშენების მწყობრი. ეს ცდა ჩაიფუშა. „ჰაინკელებს“ საბჭოთა შტურმანებისა და რადისტი-მსროლელების ერთობლივი ცეცხლი შეხვდა. ჩამოაგდეს ერთი მათგანი, მეორემაც ზღვაში ჰპოვა სამარე. მესამეც მათ კვალს მიჰყვა. ჩამოგდებულ იქნა მეოთხე და მეხუთეც. მფრინავ უშაკოვის ეკიპაჟმა 2 ავიაგამანადგურებელი ჩამოაგდო.

ჩვენს თვითმფრინავებს კურსი არ შეუცვლიათ. მათ ირგვლივ უკვე სკდებოდა მტრის საზენიტო ბატარიების ყუმბარები. მოწინააღმდეგეთა გამანადგურებლები კი ძლიერ შორს ჩამორჩნენ. ჩვენებმა განვლეს გადამღობი ცეცხლის პირველი ზღუდე. ისინი კონსტანცის თავზე მოექცნენ და დაუშინეს მას ყუმბარები.

ცეცხლისა და შავი კვამლის სვეტებმა დაფარეს მიდამო. კაპიტანმა სემენიუკმა უკან დაბრუნება ბრძანა. ისინი სროლის ზოლიდან ოსტატურად გამოვიდნენ. გზაზე მათ კვლავ უცდიდნენ „ჰეინკელები“, მაგრამ 14-დან მხოლოდ 5 დარჩა და ახლოს მოსვლა ვეღარ გაბედეს.

წითელვარსკვლავიანი ყუმბარმშენები დაუზიანებლად და უდანაკლისოდ დაბრუნდნენ თავიანთ ბაზაში.

ცეცხლითა და მუხლუხებით

ბევრი სახელოვანი საბრძოლო საქმე შეასრულა ლეიტენანტ ლუკინის ტანკის ეკიპაჟმა. არაერთხელ მიიტანა მან მედგარი იერიში მტრებზე და მძაფრი ცეცხლითა და შემმუსვრელი მუხლუხებით მოსპო იგი.

განსაკუთრებით რთული იყო ერთერთი ბრძოლა, სადაც ფაშისტი ყაჩაღები სამი მხრით შემოერტყნენ შენაერთის შტაბს. მტრის ტანკების კოლონას ექვსი ტანკი ჩამოშორდა. ისინი ლუკინის ტანკისკენ მოიწევდნენ და ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ იგი.

ლეიტენანტის ბრძანებით წამყვანმა მექანიკოსმა ოსტატურად გაამზადა მანქანა და მაქსიმალური სისწრაფით წაიყვანა ტანკი წინ, იერიშზე გადმოსული მტრის შესახვედრად.

საბჭოთა ტანკი მტერს დაახლოებით 150 მეტრზე დაუპირისპირდა, მან სროლა ასტეხა. ქვემეხის მეთაურმა ელიაკოვმა მარჯვე გასროლით ტანკი ცეცხლის ალში გახვია.

— აბა, ახლა მე წავიმუშავებ, — სთქვა ლუკინმა და ქვემეხის მეთაური ელიაკოვი შესცვალა. მან მწყობრიდან გამოიყვანა მეორე მანქანაც.

ჩვენი მანქანა გვერდს უვლიდა თხრილებს, სძლევდა ორმოებსა და დაბრკოლებებს, მსროლელი და მეთაური დაუღალავად მუშაობდნენ.

გააფთრებულმა მტერმა თავისი გადარჩენილი მანქანების ყველა ქვემეხი და ორი ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი აამოქმედა და საბჭოთა ტანკს სეტყვასავით დააყარა ყუმბარა, მაგრამ ჩვენ ტანკს ვერაფერი დააკლო.

მტრის ექვს მანქანასთან გამართულ დუელში ლუკინმა და მისმა მებრძოლმა მეგობრებმა გაიმარჯვეს, 13 გასროლით მათ მოსპეს მტრის 4 ტანკი, მუხლუხებით გასთელეს მტრის ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნები და ფაშისტი მეომრები. მათ გააქციეს გერმანელთა 2 ტანკი.

— მტერთან ბრძოლაში მანქანა არ დაზიანებულა, — განაცხადა ლუკინმა. იგი გათენებისას კვლავ ბრძოლაში გავიდა.

ღამე დაზიანებულ ტანკში

სატანკო ასეული, რომელსაც მაიორი კალინინი მეთაურობდა, ჩვენი ქვეითი ჯარის დასახმარებლად გავიდა. ბრძოლის დროს მაიორის ტანკი თავისიანებს მოსწყვიტეს. ტანკი გააფთრებით უტევდა მოძალებულ მტერს, მაიორის სიტყვით, იგი მუხლუხებით სრესდა მას, როგორც ჭიანჭველას. გერმანელებს ძალიან დიდი ზარალი მოსდიოდათ. ბრძოლა რამდენიმე საათს გაგრძელდა.

უეცრად აფეთქების ხმა გაისმა. გერმანელებმა ნაღმი შესდეს ტანკქვეშ. ტანკი შეხტა, ხოლო შემდეგ გაქვავდა. მისი ამოძრავების ყოველი ცდა უნაყოფო აღმოჩნდა. მანქანის სამართი დაზიანებული იყო. მაიორ კალინინს მუხლის თავი ჰქონდა დაჩეჩქვილი, მაგრამ მან ერთბაშად ვერ იგრძნო ტკივილი. გერმანელები ზედ მიადგნენ და სროლა აუტეხეს ტანკს. ტანკიდანაც სროლით უპასუხებდნენ.

საღამოს ტანკის ცეცხლი შესუსტდა და ბოლოს სრულიად მიყუჩდა. გერმანელები ჯავშანმხვრეტ ტყვიას უშენდნენ კოშკურას. იგი დაცხრილული იყო. ტანკის ეკიპაჟი ქვედა ნაწილში ჩავიდა. ტანკის წამყვანი კომკავშირელი დროჟინი ჭუჭრუტანიდან განუწყვეტლივ ადევნებდა მტერს თვალყურს. ეკიპაჟი უმოძრაოდ იწვა დაბლა. ყველანი სდუმდნენ, ასე უბრძანა მაიორმა.

— დაე, გერმანელებმა იფიქრონ, რომ დავიღუპენით, — სთქვა მაიორმა. გერმანელებმა კარის გაღება სცადეს. აშკარად მოისმოდა მათი აღელვებული ლაპარაკი, დაჭედილი ჩექმების ბრახა-ბრუხი ჯავშანზე ეკიპაჟს ზემოთ, კონდახის ცემა. მაგრამ ტანკში სრული სიჩუმე იყო.

ღამით გერმანელები წავიდნენ, მაგრამ ტანკთან გუშაგები დასტოვეს. ბრძოლით გაწამებული საბჭოთა ტანკისტები თავს ძალას ატანდნენ და განაგრძობდნენ დუმილს. როდესაც ვინმე ოდნავ ხვრინვას ამოუშვებდა, მაიორი ფრთხილად შეეხებოდა მის მხარს. მეომარი მაშინვე გამოიღვიძებდა ხოლმე და გაჩუმდებოდა. ღამე ნელა გადიოდა.

საშინელი წყვდიადი და შეხუთული ჰაერი იყო. შორით ღამის ბრძოლის ხმა მოისმოდა.

განთიადზე გერმანელი გუშაგები ცოტათი მოშორდნენ ტანკს. მაიორმა უხმაუროდ გააღო ქვედა კარი. ყველანი ფრთხილად გამოცოცდნენ ტანკიდან. 6000 მეტრი იცოცეს ტანკისტებმა მაღალ ჭვავში. ერთი საათის შემდეგ მაიორმა და ტანკისტებმა ჩვენს მეწინავე ნაწილებს მიაღწიეს.

მებრძოლებმა მტრის იერიში მოიგერიეს

მტრის სამი ასეული გარს შემოერტყა ნ. მაღლობს, რომელსაც ბრძოლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მტერს პირველნი დაუხვდნენ წითელარმიელები რეზვოვი, შუმილინი და ოლშევსკი. მათ მარჯვე სროლა აუტე-

ხეს მტერს, მაგრამ იგი არა ცხრებოდა და შემოტევას აძლიერებდა. მაშინ ჩვენს სამეულს სწრაფად მოეშველა ლეიტენანტი როდიონოვი მებრძოლთა ჯგუფითურთ. იგი სწრაფად გაერკვა მდგომარეობაში და ძლიერებულად მოაწყო მაღლობის დაცვა.

მებრძოლები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ცეცხლს, რომელიც სულ უფროდაუფრო ძლიერდებოდა. უთანასწორო დუელი რამდენიმე საათს გრძელდებოდა, მაგრამ ჩვენი მებრძოლების საპასუხო სროლა ერთ წუთსაც კი არ შესუსტებულა. უეცრად დაზგის ტყვიამფრქვევი დადუმდა: მეტყვიამფრქვევე კლუჩნიკოვი მძიმედ დაიჭრა. ამხანაგს სწრაფად მიეშველა ლეიტენანტი როდიონოვი.

იგი ეცა ტყვიამფრქვევს და ახალი ძალით იწყო მტრის ჯარისკაცთა მოსპობა, რომელნიც სწრაფად მოიწევდნენ. ორჯერ დაჭრილი მეთაური მტკიცედ იდგა საბრძოლო იარაღთან და იგერიებდა მტრის დაჟინებულ იერიშს. მტერი ხეებსა და ქვებს ეფარებოდა და შეუჩერებლივ მოძვრებოდა მაღლობისაკენ. ლეიტენანტი როდიონოვი მესამე ტყვიამ დასჭრა. მტრის ჯარისკაცები და ოფიცრები უკვე სულ ახლოს მოძვრნენ, მაგრამ წითელი მეთაური ჯანსაღი ხელით მტერს ზედიზედ აყრის ყუმბარას.

ბრძოლის მეთორმეტე საათის მიწურულში ამხანაგების დასახმარებლად გზა გაიკაფა ლეიტენანტმა ნოვიკოვმა მებრძოლებითურთ. ერთი მუჭა მამაცი საბჭოთა ადამიანები — ორი მცირე ჯგუფი ვაჟკაცურად განაგრძობდა მტრის სამი ასეულის იერიშის მოგერიებას.

მებრძოლთა გულადობის, ვაჟკაცობისა და მოხერხებულობის მეოხებით მტერი უკუქცეულ იქნა ნ. მაღლობიდან.

ინიციატივა და სიდინჯე

ბრძოლის დროს მოსაზრებულობისა და დინჯი, მოფიქრებული მოქმედების ბრწყინვალე მაგალითი გვიჩვენა უფროსმა ლეიტენანტმა, ტანკისტმა ვოლკოვმა. ამხ. ვოლკოვი წითელი არმიის აღზრდილია. სამოქალაქო ომის დროს მოკლული ციმბირელი პარტიზანის შვილი, იგი 16 წლის ასაკში იშვილა წითელი არმიის ერთერთმა მსროლელმა პოლკმა; ბავშვობიდანვე მან ჩინებული სამხედრო სკოლა გაიარა.

ვოლკოვმა ბრძანება მიიღო: დაზვერე მტრის ძალები და მტრის ბანაკიდან რამდენიმე მთხრობელი ჩაიგდეთ ტყვედო. ვოლკოვი წინ გაუძღვა ტანკების ოცეულს და ღამით სწრაფად გაიარა 150 კილომეტრი ბესარაბიის წვიმით დაზიანებულ გზებზე. ტანკების მუხლუხებს სქელი ტალახი ეკვროდა. ტალახის „ქალამნის“ (ქალამანი ტანკის ტერმინია) სისქე 30 — 40 სანტიმეტრს აღწევდა. ხიდები ბომბარდირებას დაენგრია. მანქანები მდინარეზე ფონით გადიოდნენ.

განთიადზე ვოლკოვის ტანკები გერმანელთა პოზიციებიდან 800 მეტრზე გაჩერდნენ. გერმანელებს გუმანიც არა ჰქონდათ, რომ მათ გვერდით საბჭოთა ტანკები იდგნენ, იმდენად ოსტატურად მიჰყავდა და შენიღბა მანქანები ვოლკოვმა.

გერმანელები სდუმდნენ, არაფერს არ მოელოდნენ. საჭირო იყო გერმანელებს სროლა დაეწყოთ, რათა გამოგვერკვია არა მარტო მტრის ნაწილების განლაგების ადგილი, არამედ ისიც, თუ რა სასროლო იარაღი ჰქონდათ მათ.

ვოლკოვი ტანკიდან გამოვიდა. ყორღანზე ავიდა და მთელი ტანკი გაიმართა, რითაც ისეთი შთაბეჭდილება შეჰქმნა, ვითომ წითელარმიელთა მზვერავები მოსჩანდნენ. გერმანელებმა მყისვე ასტეხეს სროლა და ამიერ თავისი თავი გასცეს. ვოლკოვი დაბრუნდა. ტანკი მთელი სიჩქარით გაექანა მტრის პოზიციებისაკენ. ტანკებსა და გერმანელთა სანგრებს შორის პატარა ხის ხიდი იყო. ვოლკოვის ვარაუდი სწორი გამოდგა. გერმანელები ხიდს ეკვეთნენ, რათა იგი აეფეთქებინათ და ტანკი ახლო არ მიეშვათ. ვოლკოვიც ამას უცდიდა. როგორც კი 9 გერმანელი ჯარისკაცი ხიდისაკენ გამოქანდა, ვოლკოვმა ძლიერი და მარჯვე სროლით მოსწყვიტა ისინი სანგრებს. შემდეგ ტანკით გაიჭრა ხიდზე, მანქანიდან გადმოხტა და ტყვედ წამოიყვანა ორი გერმანელი ჯარისკაცი. დაბრუნებისას ვოლკოვმა 2 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი დააზიანა.

ამოცანა შესრულებულ იქნა. ჩვენმა ჯარმა ტყვეთა გამოკითხვით ზუსტი ცნობები მიიღო გერმანელთა ნაწილის განლაგების შესახებ.

მტრის ოცი გამოცნობილია

ასეული, რომელსაც ამხ. ეგოროვი მეთაურობს — მედგრად იგერიებდა მტრის ქვეითი ჯარის მოწოლას და მტერი წინ წამოწევას ვერ ახერხებდა.

გაცხარებული ბრძოლის დროს უმცროსმა სერჟანტმა მაზეპოვმა და წითელარმიელმა კულიკოვმა შეამჩნიეს, რომ მწვანე მდელოზე უცბად ძროხის ჯოგი გამოჩნდა, შემდეგ იქიდან ტყვიამფრქვევები აკაკანდნენ. მეომრებმა, რომლებიც მდელოს აკვირდებოდნენ, გამოარკვიეს, რომ მშვიდად მაძოვარ პირუტყვს უკან მოსჩანს ადამიანთა ფიგურები, რომლებიც ჩაცუცქებული მოიწევენ წინ.

— ცეცხლი! — ბრძანა ეგოროვმა.

რამდენიმე პირუტყვი მიწაზე დაეცა. მტრის ჯარისკაცებმა, რომლებმაც შესანიღბავი საგანი დაჰკარგეს, მოკურცხლეს, მაგრამ ისინი ამაოდ ცდილობდნენ ბუჩქებში მიმალვას. მწვანე ველი ფაშისტთა გვამებით დაიფარა.

მეკავშირეთა სამხედრო ხერხიანობა

კავშირგაბმულობის ოცეულის მეთაური უმცროსი ლეიტენანტი პუხნი და ორი მეკავშირე წითელარმიელი დავალების შესრულებისას მოულოდნელად მოწინააღმდეგის ბატარიის განლაგების რაიონში აღმოჩნდნენ. მებრძოლებმა გადასწყვიტეს ხერხით ეჯობნათ მტრისათვის. ისინი ახლოს მიცოცდნენ ბატარიასთან სამი მხრიდან. პუხნიმ ხმამაღლა შესძახა:

— პირველი ოცეული მარჯვნიდან, მეორე ოცეული ზურგიდან, წინ მტერზე!

მაშინვე სამივე მხრიდან ზედიზედ ხელყუმბარები დასცხეს. თავზარდაცემულმა გერმანელებმა იარაღი დაჰყარეს და ხელები ასწიეს. უმცროსმა ლეიტენანტმა განკარგულება გასცა:

— პირველი და მეორე ოცეულებიდან გამოვიდეს თითო მებრძოლი და აართვას მტერს იარაღი. ოცეულები მზად იყვნენ და წინააღმდეგობის გაწევის პირველი ცდისთანვე მოწინააღმდეგეს ხელყუმბარები დააყარონ!

მტრის ჯარისკაცები გაუნძრევლად იდგნენ. მებრძოლებმა იარაღი შეაგროვეს და გერმანელებს ხელები შეუკრეს. ასე წამოიყვანა ტყვედ სამმა მამაცმა 60 კაცი.

საბრძოლო ნათლობა

„იზვესტიას“ სპეციალური კორესპონდენტი ე. კრიგერი მოგვითხრობს, თუ როგორ ინახულა მან ბრძოლის შემდეგ ის ნაწილი, რომელსაც პოლკოვნიკი ყიფიანი მეთაურობს. ამ ნაწილის მებრძოლებმა შემდეგი უამბეს მას ბრძოლის წარმოების გერმანული მეთოდების შესახებ: „თვითმფრინავები ღრიალებენ, ყუმბარები ცვივა და ფეთქდება, ციდან ტყვიამფრქვევები კაკანებენ; გეგონება მეტად დიდი ზარალი მოგვდისო, მაგრამ მიიხედ-მოიხედე — დაჭრილები არ სჩანს, მთელი ეს ჭახაჭუხი ფუჭი ხმაურია. სანგრებში დაელოდე, სანამ ეს მუსიკა გათავდებოდეს, და თვითონ დაიწყე მოქმედება“.

კორესპონდენტმა პოლკოვნიკი ყიფიანი ტყის სიღრმეში ნახა. იგი წვერს იპარსავდა. გიმნასტიორკის ქვეშ სუფთა საყელო გაიკეთა. საუცხოო ხასიათზე იყო: მისმა ნაწილმა საბრძოლო ნათლობა მიიღო და პირველ ბრძოლაშივე დაადასტურა ის კარგი შეხედულება, რომელიც შეიქმნა მის შესახებ მშვიდობიან დროს, როდესაც ნაწილმა წითელი დროშა მოიპოვა. მებრძოლების ნაამბობი რომ შეიტყო, პოლკოვნიკმა ყიფიანმა გაიცინა: „მართალია ყუმბარების დაშენა, ჭახაჭუხი, ჯოჯოხეთური ხმაური, ნამდვილად კი ირკვევა, რომ 10 — 15 ტანკი გამოიჭრა! იმას ხომ არ მიეჩვივნენ, რომ ნევრასტენიით დაავადებულებთან ჰქონდათ საქმე? ჩვენ კი მაგარი ნერვები გვაქვს“.

ამ ბრძოლის დაწვრილებითი ცნობები ასეთია: ნაწილმა ღამით მიიღო ბრძანება დაეფარა მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი, მოახდინა დიდ მანძილზე გადასვლა, მოატყუა მოწინააღმდეგის დაზვერვა, ხოლო შემდეგ მიიღო ბრძანება გასულიყო მდინარე დ-ზე, სადაც შეერთებოდა მეზობელ შენაერთს და მოესპო მტრის ჯგუფი აღმოსავლეთ ნაპირზე. იმ გზას, რომლითაც პოლკოვნიკ ყიფიანის ნაწილი მიდიოდა, ძლიერად უშენდა მტრის არტილერია. მაგრამ მებრძოლებმა ეს გზა ისე გაიარეს, რომ დანაკლისი თითქმის არ ჰქონიათ. განთიადისას ისინი განაგრძობდნენ სვლას მაშინ, როდესაც მათ ჰაერიდან ტყვიამფრქვევს უშენდნენ, და დანიშნულ საათზე მივიდნენ ბრძოლის ადგილას. აქ ამოქმედდა ჩვენი არტილერია. შემდეგ კი ბრძოლაში ჩაება ქვეითი ჯარიც. იერიში ისეთი ელვისებური იყო, რომ ფაშისტებმა გონს მოსვლა ვერ მოასწრეს. ბრძოლის ველი ფაშისტების გვამებით დაიფარა. 35 მეავტომატე და მათ შორის 3 ოფიცერი წამოყვანილ იქნა ტყვედ. ტყვე სლოვაკმა დაკითხვისას განაცხადა: „ჩვენ არ გვინდოდა ომი, ჩვენ არ ვიცოდით, რომ რუსებთან საომრად მოგვერეკებოდნენ, ჩვენ წინა წყებაში გვაყენებენ, გერმანელებს კი უკან“.

ასე სასახელოდ მიიღო საბრძოლო ნათლობა პოლკოვნიკ ყიფიანის ნაწილმა.

ფაშისტთა მოტოკოლონის განადგურება

მტერს ელვისებური წარმატების მიღწევის იმედი აქვს. იგი ბრძოლაში იყენებს მოტოციკლისტებს, სატვირთო მანქანებზე მოთავსებულ მცირე მზვერავ ჯგუფებს, მსუბუქ და საშუალო ტანკებს. ბრძოლის წინ გერმანელ ჯარისკაცებს მაგარ სასმელებს ასმევენ, ჰპირდებიან ჯილდოს, ნადავლს და ზავის მალე დადებას. მტრის ზრახვები გამოაშკარავებულია. მისი ძალა და ტექნიკა გამორკვეულია. მტერი სასტიკ წინააღმდეგობას აწყდება.

იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ გათავხედებული მტრის წინააღმდეგ, ამ დღეებში გვიჩვენეს № ნაწილის მეომრებმა.

უმცროს ლეიტენანტ ანტონ ჟუკის მეომართა ჯგუფს ბრძანება მიეცა დაეცვა გზა. მეომრებმა სწრაფად დაიკავეს პოზიცია, სანგრებში ჩასაფრდნენ და გულმოდგინედ შეინიღბნენ. წინ მეთვალყურე გაჰგზავნეს: მან ადგილმდებარეობა უნდა დაეზვერა და წინასწარ დათქმული სიგნალებით შეტყობინებინა მტრის გამოჩენა.

ფაშისტთა ჯარის ნაწილს სწრაფად მოჰქონდა იერიში. გზაზე 7 სამხედრო სატვირთო ავტომანქანა გამოჩნდა. თვითეულ მანქანაში 10 — 12 ფაშისტი ჯარისკაცი იჯდა. მანქანები 20 მეტრი ინტერვალით მოდიოდნენ.

მეთვალყურემ სიგნალი მისცა. ჟუკმა ბრძანება გასცა, რაც შეიძლება ახლოს მოეშვათ კოლონა, რათა მოულოდნელად აეტეხათ სროლა მტრისათვის. გაისმა პირველი გასროლა. მტრები ხაფანგში მოემწყვდნენ. ისინი გზის გასწვრივ თხრილში გადახტნენ და დიდი ყალიბის ტყვიამფრქვევი, ნაღმტყორცნი, ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი და ავტომატები აამოქმედეს... მიჰმართეს ძველ ჩვეულებას—ხმაურობითა და შეშინებით მიაღწიონ მიზანს.

მაგრამ ჩვენმა მეომრებმა სწორად შეაფასეს მთელი ეს ხმაურობა და რახრახი. 15 წუთის განმავლობაში ისინი გულდამშვიდებით ჰხოცავდნენ ფაშისტებს ზედიზედ. თვითონ ჟუკმა რევოლვერით მოჰკლა ფაშისტი მეტყვიამფრქვევე. ჩვენი მეტყვიამფრქვევე აშიხმინი განუწყვეტლივ ყლეტდა მტრის ჯარისკაცებს, რომლებიც თხრილში იყვნენ დამალულნი. ფაშისტები აირივნენ, ცდილობდნენ ხშირ ნათესებში დამალულიყვნენ, მაგრამ მსროლელები — ბანიკოვი და ნეკოვი იქვე ხოცავდნენ მათ.

ბრძოლა დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა. წითელი მეომრები 15 კაცი იყო, ფაშისტები კი — 80. ამის მიუხედავად, ჩვენი სახელოვანი ქვეითელები ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდნენ. ფაშისტთა უმეტესი ნაწილი ამოჟლიტეს. 11 კაცი ტყვედ ჩაიგდეს. ჩვენი ზარალია: ერთი მოკლული და ერთი დაჭრილი.

მეომრებმა საომარი მასალა და გერმანელთა 3 მანქანა ხელთ იგდეს. ნადავლს შორის არის: ერთი ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი, ერთი დიდი ყალიბის ტყვიამფრქვევი, 4 ხელის ტყვიამფრქვევი, ნაღმტყორცნი, შაშხანები, რევოლვერები და სხვა საჭურველი.

წართმეულ მანქანებში აღმოჩნდა ნაძარცვი ნივთები — ქალის აბრეშუმის წინდები, ბავშვის ტანისამოსი, საძირე ტყავი, ჩითი, ერთი ყუთი ძაფი, წინდები და სხვა.

ვორონა და მისი რაზმი

ფაშისტთა ორმა მოტორიზებულმა კოლონამ ალყა შემოარტყა საზღვრისპირა საკოლმეურნეო სოფელს №-ს. წინა დღით კოლმეურნეობის ყველა მცხოვრებმა თავიანთი ქოხები და ბაღ-მინდვრები მიატოვეს. ზურგში გარეკილმა ჯოგმა თემშარაზე მტვრის კორიანტელი დააყენა. სოფლის განაპირას უძრავად იდგა კოლმეურნეობის პარტორგი ამხ. ვორონა.

მასთან თავი მოიყარეს მამაკაცებმა, რომლებსაც კი იარაღის ხმარება შეეძლოთ. ისინი მშობლიურ სოფელში დარჩნენ. ვორონა მათ ტყეში გაუძღვა. პარტიზანებს იარაღი არ ყოფნიდათ. ისინი ნაჯახებით შეიარაღდნენ და ყველა შუაგულ ტყეში გაემართა. მათი წინამძღოლი ვორონა იყო, ძველი პარტიზანი, მე-14 დივიზიის ცხენოსანთა მეგზურად ნამსახური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღამდა. მზვერავებმა ცნობა მოიტანეს, მახლობლად მოტოციკლისტებისა და ტანკისტების კოლონები იბრძვიანო.

— წავიდეთ! — უბრძანა ვორონამ.

ბადრი მთვარე ტყეს ანათებდა. პარტიზანები ჩუმად ეშვებოდნენ გზაზე. ტყის პირას რაზმი ჩაწვა. მიწას გაეკრა. ყველამ ქვეშ ამოიდვა ბასრი ნაჯახები, ბენზინიანი ბოთლები და გაფისული ჩირაღდნები.

გზიდან ყრუ ხმაური მოისმოდა. მოტოციკლები ტკაცუნებდნენ, ტანკები გრუხუნებდნენ. უკვე გამოჩნდა მტრის კოლონათა სილუეტები. ისინი ტყის პირას დაბანაკებულიყვნენ ღამის გასათევად. გზის პირას ოფიცერი მიმოდიოდა, აქეთიქით იცქირებოდა. ბოლოს ბანაკი მიწყნარდა.

ორი ლანდი ტყისპირას გამოცოცდა.

უეცრად გუშაგებს თავს წაადგა ბრგე ვორონა. ნაჯახის ერთი მოქნევით ძირს დასცა გუშაგი. ახლა პეტროვი გამოხტა ბუჩქიდან ნაჯახმომართული. მეორე გუშაგს მივარდა. მაშინ ორივე მხრიდან ბანაკს თავს დაესხნენ პარტიზანები და შეიქნა საშინელი ჩეხვა ნაჯახებით. მინდორი მოიფინა ფაშისტთა მოტოციკლისტებისა და ტანკისტების გვამებით. ტყემ გამოსცა საგანგაშო ყვირილის ხმა. 3 ტანკმა სროლა ასტეხა, მაგრამ მიზანს ვერ ახვედრებდნენ. ფაშისტები დაიბნენ. ტანკები გზისკენ გაეშურნენ მტრის საძებრად.

პარტიზანები კი ხეებს ამოეფარნენ და ტანკებს ბენზინიანი ბოთლები და ანთებული ჩირაღდნები დაუშინეს. ცეცხლის გრიგალი მოედო მანქანებს. პარტიზანებმა ხელთ იგდეს მტრის შაშხანები და ყოველი მხრიდან დაუშინეს მათ.

ცეცხლმოდებულმა ტანკებმა მოჰკურცხლეს.

პარტიზანებმა გაჰყლიტეს 40 ჯარისკაცი, ნაჯახებით დაამსხვრიეს მოტოციკლები, ხელთ იგდეს რაზმის იარაღი, ოფიცერ ფრიდრიხ ბიშელეს ჩანთა, დღიური და ტყის სიბნელეში გაქრნენ.

ფაშისტთა დამსხვრეული ხელტყვიამფრქვევი, რკინის ჯვრის ორდენი, საველე ჩანთა და პირადი დღიური ოფიცერ ფრიდრიხ ბიშელესი № პოლკის შტაბში მიიტანა ხანშესულმა კოლმეურნე პარტიზანმა ანდრია დ.

„პირქუშ უდაბნოში შევედით ჩვენი ტანკებით. ირგვლივ ადამიანს ვერა ვხედავ. მაგრამ ტყეებსა და ჭაობებში ყველგან დაძრწიან შურისმგებელნი. ესენი პარტიზანები არიან, რომლებიც ანაზდად, თითქოს მიწამ შვაო, თავს გვესხმიან და მყისვე ქრებიან. შურისმგებელნი ყოველ ნაბიჯზე დაგვდევენ... ღამდება, ვგრძნობ, თუ როგორ მოცოცავენ, გვეპარებიან ლანდები სიბნელიდან და შიში მიპყრობს...“

ასე ეწერა ოფიცერ ფრიდრიხ ბიშელეს პირად დღიურში.

მისი წინადგრძნობა გამართლდა. საველე ჩანთა, პირადი დღიური, რკინის ჯვარი № პოლკის შტაბშია: მის ძვლებს კი ტურა და მგელი ხრავს ულრან ტყეში....

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზ. ედილი

საინგილო

საინგილოს შეერთება რუსეთთან [1])

შავბნელი დრო იყო რუსეთის დამკვიდრების პირველი ხანა საქართველოში. რუსეთის მხედრობის გადმოსვლამ კავკასიონის ქედზე ყალყზე დააყენა ლეკები: ვაი თუ ჩვენც საქართველოს ბედი გვეწვიოსო. საინგილოს ლეკები, რომელთა ხელშიც იყო მაშინ საინგილოს ქართველების ბედ-იღბალი, შექი, განჯა, შირვანი და სხვა სახანოები ყოველ ღონეს ღონობდნენ, რომ გაერეკათ რუსები საქართველოდან.

სწორედ ამ დროს ამოქმედდა ბატონიშვილი ალექსანდრე — ეს უკანასკნელი მოჰიკანი საქართველოს დამოუკიდებლობისა და დაუძინებელი მტერი რუსეთისა, რომელთანაც ვერ გასჭრა ვერც მუქარამ, ვერც დაყვავებამ. ისე ჩავიდა საფლავში ეს დიდი მოტრფიალე სამშობლოსი, რომ მისი ღრუბელიც კი ველარ დაინახა. ამოქმედდა თუ არა ეს ვაჟკაცობითა და მხნეობით განთქმული გმირი, რომელსაც დიდი გავლენა და პატივი ჰქონდა საქართველოს ყველა ძეზობელ ერში, მღელვარებამ ერთი-ორად იმატა მეზობელ სახანოებში, დაღესტნის ბატონმა ომარხანმა გული მოიცა და საინგილოს ლეკებიანად, რომელნიც დაუძინებელი მტრები იყვნენ საქართველოსი, დაიძრა კახეთისაკენ. ბაგრამ არც საქართველოში ახლად დაბანაკებულ რუსებს ეძინათ, გიორგი მეფე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და გენერალ ლაზარევს, რომელიც მაშინ, მინისტრის კოვალენსკის წასვლის შემდეგ, მთავარი გამგე იყო საქართველოსი, ჯეროვან დახმარებას უწევდა. ლაზარევმა და ბატონიშვილმა იოანემ ხელდახელ შეჰყარეს ქართველებისა და რუსებისაგან შემდგარი ჯარი და სასტიკად დაამარცხეს ლეკები იორზე, სადაც, ლაზარევის მოხსენების თანახმად, 2.000 კაცი მოკვდა ლეკების მხრივ და დაიჭრა თვით ომარხანი.

; ეს პირველი დამარცხება იყო ლეკებისა, მაგრამ ამ დამარცხების შემდეგ ლეკებმა თოფ-იარაღი არ დაჰყარეს. ჭარ-ბელაქანი მუდმივ სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა და ყოველთვის მზად იყო მტერზე დასაცემად. რუსეთის მხედრობაც კარგად გრძნობდა მათს ძლიერებას, და ჯერ კიდევ ხეირიანად ფეხი არ შემოედგა საქართველოში, რომ გენერალი კნორინგი თითქმის თხოვნით მიჰმართავს მათ, ზავი ჩამოვაგდოთ და მტრობას თავი დავანებოთო. ლეკები არაფრად აგდებდნენ კნორინგის წინადადებას და ასეთ ორჭოფ პასუხს აძლევდნენ: „მშვიდობიანობის ჩამოგდება ორ მოსაზღვრე ერს შორის, დიახ რომ სასურველია და საჭირო, ჩვენ წინათაც ჩამოგვიგდია ასეთი ზავი

[1]) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 6-7.

ერეკლე ხანთან (ერეკლე მეფესთან), თქვენთან მით უმეტეს სასურველია ასეთი ზავი, მაგრამ გვეშინიან, იქნება პირობა ვერ შევასრულოთ და მაშინ ხომ პირშავნი გამოვალთ თქვენს წინაშე. თქვენ მსგავსნი ბრძენ ხართ ერეკლესი და სხვა ხანებისა, თქვენ წარმომადგენელი ხართ დიდი ფადიშაჰისა. ჩვენ არ გვეკადრება თქვენთან პირის გატეხა. ზავს ჩამოაგდებენ ხოლმე ჩვეულებრივ ერთმანეთში თანატოლნი, ფადიშაჰის ტოლი ფადიშაჰთან. აი, ჩვენი პასუხი.“ [1])

ლეკები არაფრად აგდებდნენ არც კნორინგის პასუხს, არც დიდ დამარცხებას იორზე და ჩვეულებრივად განაგრძობდნენ თარეშს და საქართველოს მიწა-წყლის აკლებას. 1804 წელს ლეკებმა ააოხრეს თბილისის გვერდით მტკვრის მარცხენა მხარეზე მდებარე ქართველთა მრავალი სოფელი და ტყვედ წაიყვანეს ასზე მეტი ქალი და კაცი და 310 სული მსხვილფეხა საქონელი. იმავე წელს დაეცნენ და გაირეკეს კაზაკთა ცხენების ჯოგი, ცოტა ხნის შემდეგ ველისციხიდან გაიტაცეს მუშკეტერების პოლკის ცხენები [2]).

მაგრამ არც ლეკები აყრიდნენ ხელს საქართველოს ახალციხის მხრიდან. ახალციხის ფაშას ჰყავდა მათგან შემდგარი დაქირავებული ჯარი და აი სწორედ აქედან ესხმოდნენ საქართველოს. ახალციხის ფაშას მაშინდელი საქართველოს გამგე ლაზარევი თხოვდა აეკრძალა ლეკებისათვის საქართველოს აკლება-აწიოკება. ფაშა სიტყვით ჰპირდებოდა, საქმით კი თავისას არ იშლიდა. ლეკები თან მფარველობას და ქვეშევრდომობის მიღებას თხოვდნენ რუსებს, თან ქვეყნის აწიოკება-აკლებას არ იშლიდნენ. იმავ წელს, როცა ლაზარევი კახეთის საზღვრებს უვლიდა, ჭარ-ბელაქნელებმა დეპუტაცია მიუგზავნეს და ქვეშევრდომად მიღება თხოვეს. გენ. ლაზარევმა მათ თხოვნას ეჭვით შეხედა და შემდეგი პირობა დაუდვა: „ნიშნად ერთგულებისა ვთხოვ მძევლად მურთუზ ალი-აბდულის გვარისაგან მის სიძეს მაგამეთას და გურჯარას ანანიანთა გვარისაგან, რომელთაც შევინახავთ ისე, როგორც ძათ შეჰფერით და რომელნიც პასუხისმგებელნი იქნებიან, თუ თქვენი სოფლები შემოესევიან საქართველოს, ან კიდევ გზას მისცემენ ყაჩაღთა ბრბოებს, საქართველოს ასაკლებად წამოსულებს“. [3]) ლაზარევმა მისულებს თან გააყოლა ადამ ბებუთოვი, რათა თვალყური ედევნებინა მათთვის, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ლეკებზე ლაზარევის წერილი.

ლაზარევის წერილმა ყალყზე დააყენა ლეკები: მათ არც აცივეს, არც აცხელეს, ბრაზმორეულებმა მიფრიწ-მოფრიწეს ლაზარევის წერილი, მერე მისცივდნენ მოცოქულებს, სახლკარი გადაუბუგეს, ერთი მათგანი სიცოცხლეს გამოასალმეს და ლაზარევს, რასაკვირველია, ცივი უარი შემოუთვალეს [4]).

მოტყუებულმა ლაზარევმა აღარ იცოდა, როგორ მოეგრიხა კისერი აღვირახსნილ ჭარ-ბელაქნელთათვის. განიზრახა ფიცხლავ დასცემოდა მათ და მიწასთან გაესწორებინა მათი ბუდე—ჭარ-ბელაქანი. მაგრამ კნორინგმა ნება არ ძისცა და შემოუთვალა, საჭირო არ არის მათზედ ამხედრება და ქვეშევრდომებად მოწვევა, რადგან უპირულნი არიან და ბევრსაც რომ დაგვთანხმდნენ შენს პირობებზე, ხვალვე უარს იტყვიან და ჩვეულებრივ შემოესევიან სა-

---

[1]) А. К. А. К., т. I.

[2]) Дубровин—„Закавказье 1803—1806 г.“.

[3]) А. К. А. К., ტომი I, გვ. 652.

[4]) Дубровин—„Георгий XII“.

ქართველოსო. სამაგიეროდ თვით კნორინგმა მისწერა წერილი ლეკებს: „მას შემდეგ, რაც გამოცხადდა თბილისში და სხვა ქალაქებში უმაღლესი მანიფესტი საქართველოს რუსეთის ძლიერ სახელმწიფოსთან შეერთებისა, ჩემს მოვალეობად დავისახე, დავამყარო სიწყნარე და მშვიდობიანობა ამ ახლად შემოერთებულ ქვეყანაში და მის საზღვრებზე. რადგან საინგილოს სოფლები საქართველოს საზღვრავენ, მრავალი თავზე ხელაღებული და თავქარიანი თავისას არ იშლის და საზღვარზე აწიოკებს მრავალ ქართველს, ან კიდევ გზას აძლევს დაღესტნიდან ჩამოსულ ურდოებს საქართველოს ასაკლებად. ამიტომ ვივიწყებ რა ყველა ავკაცობას, გიწვევთ საზღვრების უზრუნველსაყოფელად და წინადადებას გაძლევთ მოსალაპარაკებლად და პირობის შესამუშავებლად გამომიგზავნოთ პატივცემული და სიყვარულით აღჭურვილი არჩეული პირნი და მამასახლისები, რომელნიც ამ წერილის მიღებისთანავე შვიდი დღის განმავლობაში უნდა გამოცხადდნენ ქალ. თბილისში. მათი აქ ყოფნა და მშვიდობით დაბრუნება უზრუნველყოფილი იქნება. შევიმუშავებთ თუ არა ზავის პირობებს, მაშინვე პატივისცემით გამოვისტუმრებთ უკან“ [1]).

მაგრამ საინგილოს ლეკებმა არა თუ რჩეული კაცები გამოუგზავნეს, პირიქით საწინააღმდეგო მოქმედებაც დაიწყეს — აშკარად შველოდნენ ალექსანდრე ბატონიშვილს და უფრო უმატეს ქართლ-კახეთის ძარცვა-გლეჯას. კნორინგის ამ წერილის შემდეგ კალიასავით მოედვენ მთელ საქართველოს და მოსვენებას არ აძლევდნენ. რუსი ჯარი მათ დევნას ვერ ადიოდა. ჭარ-ბელაქნის ლეკები მცირე რაზმებითაც კი თავს ესხმოდნენ რუსეთის მხედრობას და მოსვენებას არ აძლევდნენ. თბილისის ცხვირწინ, ნავთლუღში, დაეცნენ რუსის ჯარს, გაძარცვეს და ცხენებიც თან გაირეკეს. გარდა ამისა, დაეცნენ თვით თბილისს შუაღამისას, მცხოვრებნი ააწიოკეს და კინაღამ თბილისის ხიდს წაუკიდეს ცეცხლი [2]).

მათ თავხედობას ხელს უწყობდა ახალციხის გამგე, შერიფ ფაშა, რომელმაც მიჰმართა დაღესტნელებს და განსაკუთრებით ჭარ-ბელაქნელებს — შეერთებულიყვნენ და საერთო ძალით განედევნათ რუსები საქართველოდან. მოწოდება ვითომ თვით სულთანისაგან ყოფილიყოს გამოგზავნილი, მას ყალბი ბეჭედი ესვა სულთნისა. ამ მოწოდებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ლეკები ყველგან აირივნენ და საჭირო იყო ერთ ვინმე გავლენიანს დაერწმუნებინა და გასძღოლოდა, რომ საერთო იერიში მიეტანათ რუსებზე. ჭარ-ბელაქნელებმა დაიწყეს ჯარის შეერთება. განჯაში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილს კაცები გაუგზავნეს. სთხოვდნენ მისულიყო, მეთაურობა და სარდლობა გაეწია ჯარისათვის. ალექსანდრე, რასაკვირველია, ცას დაეწია სიხარულით.

იგი გავაზ-ყვარლის გზით აპირებდა კახეთზე თავდასხმას. მაშინდელმა საქართველოს სამხედრო საქმეთა გამგემ, სომეხი ჯაშუშების შემწეობით, კარგახანია იცოდა ლეკების მზადება, ამიტომ მაიორი სებასტიანი ზარბაზნებითა და ბომბებით სიღნაღისაკენ გაისტუმრა, მაიორი ცეკუშა კარდანახში გაამაგრა, კრივონოსოვი ანაგაში და სხვა.

ამ დროს საქართველოს მთავარსარდლად დაინიშნა უშიშარი თავადი პავლე ციციანოვი. მან თავის პირველ მოვალეობად დაისახა ჭარ-ბელაქნელების

---

[1]) იხ. „Письмо Кнoринга“. 1802 წ. აქტები.

[2]) „Рапорт Лазарева Кнорингу“. А. К. А. К., ტ. I.

აღვირახსნილი თარეშის სამუდამოდ ალაგმვა. აი, რას სწერს იგი ნუხის ხანს, რომელსაც სურდა მოერიგებინა ციციანოვი ჭარ-ბელაქანთან: „მოგეხსენებათ, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ ჭარი და ბელაქანი, რომელნიც უძველეს დროიდანვე საქართველოს კუთვნილებას შეადგენდნენ, 80 წლის განშორებაში გამუდმებით არბევდნენ და აწიოკებდნენ მცხოვრებთ. ჩემს უპირველეს მოვალეობად დავისახე ჭარი და ბელაქანი ან დავაწყნარო და რბევა-თარეშზე ხელი ავაღებინო, ან სრულიად აღვგავო დედამიწის ზურგიდან.“

ეს სარდალი, რომელსაც უკან დახევა არ უყვარდა, რომლის გამბედაობამ და მარჯვე ქცევამ საუკუნოდ მოაკიდებინა ფეხი რუსებს ამიერკავკასიაში, ბელაქნელებისადმი მუქარას აუსრულებელს არ დასტოვებდა. ამიტომ ციციანოვმა ყოველივე მოლაპარაკებას თავი დაანება და ქართველთა და რუსთა შეერთებული ჯარი გენერალ გულიაკოვის ხელმძღვანელობით ბელაქნისაკენ გაგზავნა. ამ დროს ბელაქანში უკვე მისული იყო ბატონიშვილი ალექსანდრე, რომელსაც მიემატა ქიზიყის მოურავი იოსებ ანდრონიკაშვილი და მასთან ერთად წასული 40 თავად-აზნაური, რომელთა შორისაც ერია ორი ძმა ბებურიშვილი. 25 თებერვალს თბილისიდან გაიქცა ბატონიშვილი თეიმურაზ გიორგისძე.

ორივე მხარე მარჯვედ ემზადებოდა. ალექსანდრე ბატონიშვილს სრული გამარჯვების იმედი ჰქონდა. მაგრამ რუსეთის გაწვრთნილ მხედრობასთან და მის ზარბაზნებთან რას გააწყობდნენ ლეკები? ბრძოლა მოხდა 1801 წლის მარტს. ლეკები საშინლად დამარცხდნენ, ჯარმა ისე მოსწვა და მოაოხრა მთელი ბელაქანი, რომ ქვა ქვაზე აღარ დარჩენილა [1]).

ამ დიდი მარცხის შემდეგ ჭარლებმა რუსეთის მხედრობას მამასახლისნი გამოუგზავნეს და მათის პირით შემოუთვალეს, რომ ჭარ-ბელაქნის საზოგადოება მზად არის ზავის ყოველგვარ პირობაზე, რასაც კი იგი წარმოგვიდგენსო. ჭარ-ბელაქნის მაგალითს მიჰბაძეს სხვებმაც.

შოკლე ხანში ცხრა ქეთხუდა წარუდგა გულიაკოვის მაგივრად დანიშნულ გენერალ ორბელიანს, რომელმაც ისინი თბილისს გაგზავნა ციციანოვთან აირობის დასადებად. პირობა, რომელიც ციციანოვმა დაუდო ჭარ-ბელაქნელებს, დაახლოებით ასეთი იყო: 1) ჩვენ და მთელი ხალხი ჭარ-ბელაქნის თავისუფალ საზოგადოებათა, დღეის შემდეგ საუკუნოდ ვუერთდებით რუსეთის ძლიერ იმპერიას და ვხდებით ქვეშევრდომნი მისი უდიდებულესობის, სრულიად რუსეთის ხელმწიფისა. 2) ამიერიდან მოვალენი ვართ ყოველწლიურად ვიხადოთ 1.000 ლიტრა აბრეშუმი, რომელიც ორ წყებად უნდა წარმოვადგინოთ — აგვისტოსა და ნოემბერში. 3) რუსეთის მხედრობას შეუძლიან იქონიოს ბინადრობა სადაც და რომელ სოფელშიც მოესურვება. 4) მოვალენი ვართ მივცეთ მძევლები შემდეგი სოფლებიდან: ბელაქნიდან, კატეხიდან, ჭარიდან, თალედან, მუხარიდან, ჯინიხიდან. 5) მოვალენი ვართ რუსების წინააღმდეგ არ ვიმოქმედოთ, არც მივცეთ ჩვენს საზოგადოებაში ადგილი ალექსანდრე ბატონიშვილს და დაღესტნიდან ჩამოსულ ლეკთა ურდოებს. 6) ალიაბარის და სხვა სოფლების ინგილოები ისევ ჩვენგან დამოუკიდებელი და ჩვენი მომხრენი უნდა იყვნენ, ჩვენ კიდევ მოვალენი ვართ ხელი არ შევუშალოთ ქრისტიანული სარწმუნოების აღიარებას [2]).

---

[1]) Романовский—„Кавказ и кавк. война“.

[2]) А. К. А. К., ტ. II, გვ. 886.

ყველა ამას უნდა დამორჩილებოდა ელისუს სულთანიც. თავის მხრივ ციციანოვი პირობას აძლევდა მათ თემთა ანუ საზოგადოებათა შინაურ საქმეში არ ჩარეულიყო. ეს იყო მთავარი მუხლები იმ ხელშეკრულებისა, რომელიც რუსეთმა და ჭარ-ბელაქანმა დადეს ერზინკაში.

თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში ციციანოვი სწერდა: ჭარ-ბელაქნის შემოერთებას ორნაირი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ერთის მხრივ, საქართველოს საზღვრები გავამაგრეთ ლეკთა მთავარ ბუნაგში რუსთა მხედრობის დამკვიდრებით და მეორეს მხრივ—მდიდარი მოხარკე ვიშოვეთ, რომელსაც არ გაუჭირდება გაწერილი ხარკის ძლევაო.

ციციანოვს ეგონა, ორი კურდღელი დავიჭირეო, მაგრამ ჩქარა არც ერთი შერჩა, არც მეორე.

პირველ წელს ნახევარი ხარკი ძლივს გადიხადეს, მეორე წელს არა თუ ხარკი არ გაიღეს, დაღესტნელებს გზა მისცეს და იმათთან შეუდგნენ საქართველოს ძარცვა-გლეჯას. ამაოდ სწერდა ციციანოვი, ხარკი გადაიხადეთო, ჭარ-ბელაქანი ხან რას იმიზეზებდა, ხან რას და ხარკის გადახდაზე ყურსაც არ იბერტყდა. მოთმინებიდან გამოსული ციციანოვი აი, როგორი სიტყვებით ამკობდა ჭარ-ბელაქნელებს: „უსვინდისო არამზადებო. გინდათ რომ დავიჯერო თქვენი სიტყვა და გაპატიოთ? ან როგორ ბედავთ აგრე უსვინდისოდ წერას! ალბათ გგონიათ, რომ ქართველი ვარ და ამიტომ მწერთ აგრე. მე დავიბადე რუსეთში, იქ აღვიზარდე და რუსის სული მიდგია. მოესწრებით ჩემს მოსვლას და მაშინ თქვენ სახლ-კარს კი არ გადავსწვამ, არამედ თქვენ თითონ დაგწვამთ, თქვენს ცოლშვილს კიდევ გულ-მკერდს დავუღადრავ. თქვენ გგონიათ, რომ პურის შემოსვლამდის დამშვიდებული იქნებით, მაგრამ მე თქვენ გარწმუნებთ, რომ ვერ იგემებთ ჭარის პურს, ვიდრე არ შემოიტანთ თქვენზედ გაწერილს გადასახადს! ეს არის ჩემი უკანასკნელი სიტყვა, უპირულებო!“

ამ წერილის შემდეგ ჭარ-ბელაქნელები შიშმა შეიპყრო. გამოცდილებით იცოდნენ, რომ ციციანოვის მუქარა ხუმრობა არ იყო, ამიტომ საჩქაროდ გადიხადეს ქეთხუდების ხელით ნაწილი გადასახადისა და მოახსენეს, ელისუს სულთანს თავისი გადასახადი ჯერ არ შემოუტანია და როცა მოგვცემს, მაშინვე მოგართმევთო. ელისუს სულთანი კიდევ არა თუ ხარკს იხდიდა, პირიქით, დაღესტნის ყაჩაღებს ბინას აძლევდა, რის გამოც ციციანოვი იძულებული იყო ამგვარი წერილი მიეწერა:

„უსირცხვილო, ყიზელბაშური გულის სულთანო, შენ კიდევ ბედავ ჩემდა წერილის მოწერას? მოვიცლი შენთვისაც და გეწვევი სტუმრად იმიტომ, რომ ხარკს არ იძლევი მთელი ორი წელიწადია; ბინას აძლევ რუსეთის იმპერიის მტრებს — დაღესტნის ყაჩაღებს და სპარსეთის შაჰსაც ბაბახანს 300 მეომარი გაუგზავნე—შენ ძაღლის სული და ვირის ჭკუა გაქვს [1]) და შეგიძლიან განა შენის ცბიერებით და მიზეზ-მიზეზებით მომატყუო? იცოდე, თუ შენი კაცი კიდევ უაბრეშუმოდ მოვიდა ჩემთან, ციმბირის გზა აქეთ დარჩება. ხოლო ძე, ვიდრე ერთგული მოხარკე შეიქნებოდე ჩემის დიდის ხელმწიფე იმპერატორისა, მოწადინებული ვიქნები შენის სისხლით გავრეცხო ჩემი ფეხსაცმელი“ [2]).

ციციანოვის მრისხანე წერილებს ბევრი არაფერი გავლენა ჰქონდა ჭარ-ბელაქნელებზე, რადგან თუ ერთი ციციანოვი ემუქრებოდა, ათი სხვა ამხნევებდა

[1]) დედანში ასეა: „Ах ты, собачья душа и ослиный ум“.

[2]) А. К. А. К.

და ეუბნებოდა, ურჩობა გაუწიეთ და ხარჯებს ნუ გადაუხდით რუსებსო. სხვების წაქეზებით ჭარელებმა უფრო უმატეს საქართველოს დარბევას. იქამდის მივიდნენ, რომ ცხენები დასტაცეს კაზაკებს. ბოლოს ისე გაკადნიერდნენ, რომ ავარიის ხანი ახმედხანი მთელი ჯარით, რომელიც 3.000 მეომრისგან შესდგებოდა, საზამთროდ დააბინავეს თავიანთ მიწა-წყალზე. მოთმინებიდან გამოსულმა ახალმა მთავარმართებელმა გუდოვიჩმა, უბრძანა თავ. ორბელიანს, რომელიც ალიაბათში იყო დაბინავებული, შესეოდა ჭარ-ბელაქანს. ორბელიანმა დიდის ჯარით გაილაშქრა ჭარისაკენ. ჭარ-ბელაქანი და ახმედხანი ზაქათლის ციხეში იყვნენ გამაგრებულნი. მაგრამ საქმე ბრძოლამდის არ მისულა: ლეკები შეშინდნენ და ახმედხანი მცირე მოლაპარაკების შემდეგ აიყარა ზაქათლიდან. ჭარ-ბელაქნის ქეთხუდებმა მორჩილება გამოუცხადეს ორბელიანს, რომელმაც ახალი ხელშეკრულება მოთხოვა მათ. ჭარ-ბელაქნელნი ძოვალენი იყვნენ მძევლები მიეცათ წარჩინებული გვარებიდან; ეზღოთ კაზაკების ცხენების ღირებულება, გაენთავისუფლებინათ ტყვედ წაყვანილი ქართველები და რუსები და თუ არ გამოაჩენდნენ, 1.500 მანეთი ჯარიმა გადაეხადათ თითო სულზე; თავიანთ ადგილ-მამულზე გამოვლის ნება არ მიეცათ საქართველოს ასაოხრებლად წამოსული ურდოებისათვის. ვინც არ აასრულებდა ამას, უნდა დასჯილიყო რუსეთის კანონების ძალით[1]).

ასეთი იყო ხელმეორედ დადებული პირობა. მაგრამ ამის შემდეგაც არ მოისვენეს ლეკებმა. ამ პირობის დადების შემდეგაც არა ერთხელ შეეცადნენ მოეშორებინათ რუსეთის გამგეობა. ყველაზედ დიდი აჯანყება 1830 წელს ძოხდა, რასაც მოჰყვა ჭარ-ბელაქნის სრული ოკუპაცია, მათი წესწყობილების გაუქმება და რუსეთის მმართველობის საბოლოოდ დამკვიდრება.

აი, როგორ მოხდა ეს: 1831 წლის დასაწყისში, როცა კავკასიის მთები ჯერ კიდევ თოვლით იყო შემოსილი და ჭარ-ბელაქანს დახმარებას ვერავინ გაუწევდა, გადაწყდა, სისრულეში მოეყვანათ მთავრობის დადგენილება — მოეხდინათ ჭარ-ბელაქნის საბოლოო ოკუპაცია. 17 თებერვალს დაიძრა პასკევიჩი და დიდი ჯარით გავიდა ალიაბათში, სადაც დაუხვდნენ მას ლეკების ქეთხუდები მოსალაპარაკებლად. მათ წინასწარ გაეგოთ რუსების მოთხოვნები. პასკევიჩმა მათთან მოლაპარაკება არ ისურვა. მოლაპარაკების ნაცვლად გადასცა წინასწარ შედგენილი პროკლამაცია, თათრულ ენაზე დაწერილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ დღეიდან პოლიტიკური დამოუკიდებლობა ჭარ-ბელაქნისა ისპობა და იგი რუსეთის ჩვეულებრივ პროვინციად გადაიქცევა, რომელსაც სათავეში რუსეთის მოხელენი ჩაუდგებიანო. პროკლამაცია უნდა წაეკითხნათ ყველა თემში.

24 თებერვლიდან დაწყებული ყველა თემში ცხარე ბაასი და სჯა-კამათი იყო ამ აქტის შესახებ. ხალხი ორად გაიყო, ერთ მხარეს იდგა შეძლებული კლასი — დიდი გვარეულობის წარმომადგენელნი და მემამულენი, მეორე მხარეს — ღარიბი და საშუალო შეძლების მოსახლეობა. პირველს სასარგებლოდ მიაჩნდა თავისთვის რუსეთის წინადადების მიღება, რადგან დარწმუნებული იყო, რომ რუსები მათ ქონებასა და ადგილ-მამულს ხელს არ ახლებდნენ, ხოლო მეორენი დაჟინებით უარს ჰყოფდნენ რუსეთის წინადადებას და მოითხოვდნენ ბრძოლას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ცხარე კამათის შემდეგ

[1]) იხ. „Рапорт Орбелиани". 1807. აქტ., ტ. II.

პირველებმა გაიმარჯვეს და პასკევიჩს 27 თებერვალს თანხმობა გამოუცხადეს მის წინადადებაზე.

პასკევიჩს გაუხარდა ასე უომრად და სისხლის დაუღვრელად ქვეყნის ხელში ჩაგდება. დაიჭირა ჭარი, ამოირჩია ციხე-სიმაგრის ასაშენებლად ადგილი, დასტოვა იქ ორი პოლკი ჯარი და ფიცხლავ აცნობა პეტერბურგს ეს სასიხარულო ამბავი. ამასთან ითხოვდა, ნება მოეცათ გაეგზავნა სამი წარჩინებული კაცი მეფისთვის წარსადგენლად და 12 ახალგაზრდა მიეღოთ რუსეთის სხვადასხვა სასწავლებელში აღსაზრდელად.

ასე ადვილად ჩაუვარდა პასკევიჩს ჭარ-ბელაქანი, მაგრამ არ იცოდა, რომ ამგვარ გამარჯვებას ხშირად არასასურველი შედეგი მოსდევს. ჭარ-ბელაქანში ჯერ კიდევ ბევრი ასაფეთქებელი მასალა იყო, რომელიც მხოლოდ დროს და შემთხვევას ელოდა. ის ხალხი, რომელიც მუდამ სხვათა დარბევასა და აწიოკებას და ნადავლით ცხოვრებას იყო დაჩვეული, ასე ადვილად არ დაჰყრიდა ფარხმალს. შემთხვევამაც არ დაიგვიანა. დაღესტანში უკვე კარგა ხანია ჩამოყალიბდა მიურიდიზმი. პირველად რუსები ვერ ამჩნევდნენ ამ ძლიერ ძალას, რომელიც მათ წინააღმდეგ გროვდებოდა. ეხლა იგი უკვე საინგილოს ჰორიზონტზე გამოჩნდა. ეჭვი არ იყო, რომ აქაც ჰპოვებდა საჭირო გამოძახილს და ნაყოფიერ ნიადაგს. ბრძოლა ოკუპანტ რუსებთან და მათ დამქაშ ხანებთან და მემამულეებთან, — ეს იყო მთავარი ლოზუნგი მიურიდიზმისა, რომელმაც სარწმუნოება და პოლიტიკა ერთმანეთში გათქვიფა და წინ წაიძღვარა. ჯერ ისევ 27 თებერვალს სათემო ყრილობებზე, როცა პასკევიჩის წინადადება ირჩეოდა, ღარიბმა მოსახლეობამ იერიში მიიტანა მდიდარ მემამულეებზე და ბრძოლა მოითხოვა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ეხლა ისინი მიურიდიზმის ქადაგებამ სულ აღაფრთოვანა და ფეხზე დააყენა. უბრალო ნაპერწკალი ღა იყო საჭირო, რომ უზარმაზარ კოცონად გადაქცეულიყო.

მაისის დასაწყისშივე შეიხ შაბანის მოწოდება ფართოდ მოეფინა ჭარ-ბელაქანს და დედა-ბუდიანად შესძრა იქაურობა. შეიხი მოუწოდებდა ხალხს საღმრთო ბრძოლისაკენ რუსების წინააღმდეგ, წყევა-კრულვას უგზავნიდა ინგილოებს და ყველა იმას, ვინც რუსებს მხარს უჭერდა. დიდ მემამულეებს და ქეთხუდებს, რასაკვირველია, არ ესიამოვნათ ასეთი ქცევა.

ერთი ასეთი მოწოდება ხელში ჩაუვარდა ჭარის ყაზის (სასულიერო პირი). მან საჯაროდ წაიკითხა, მიხი-მოხია და აქეთ-იქით ისროლა. ყაზის საქციელმა და პროკლამაციის მასხრად აგდებამ თავის მიზანს ვერ მიაღწია: ხალხი აღფრთოვანებული იყო მიურიდიზმის ლოზუნგებით. თვით შეიხ შაბანმაც არ დააგვიანა: 12 ივლისს გადმოლახა კავკასიონის მთაგრეხილი და საკმაო ჯარით თავი დაუკრა რუსებს. ბრძოლა ბელაქანსა და კატეხს შუა მოხდა. მიურიდები თავგანწირულად იბრძოდნენ. მიუხედავად ამისა, მაინც დამარცხდნენ.

რუსებმა გაიმარჯვეს, მაგრამ სრულ გამარჯვებამდე ჯერ კიდევ შორს იყო. მიურიდები აგრე ჩქარა არ დაჰყრიდნენ ფარ-ხმალს. დაღესტანში მიურიდიზმმა ფართოდ გაშალა ფრთები და ბევრი თვალსაჩინო გამარჯვება მოიპოვა. ამან გაამხნევა და ძალა მისცა ჭარ-ბელაქნელებს და იმედი გაუცხოველა. ისინი მალულად იკრიბებოდნენ, ჩუმად აწყობდნენ საქმეებს, წერილებს უგზავნიდნენ დაღესტანში ჯურმუცემლებს, ანკრატელებს, კანადალელებს და მოუწოდებდნენ საერთო ძალღონით გამოსულიყვნენ რუსების წინააღმდეგ. 12 სექტემბრისათვის ჭარში უკვე იყო 2.000 მხედარი გამოცდილის ჰამზადბეგის წინამძღოლობით, იმ ჰამზადბეგისა, რომელიც იმამის მოადგილედ ით-

ვლება. შეიხის ძმამ კატეხი დაიჭირა და ამრიგად მოსწყვიტა რუსი მხედრობა ბელაქანს. ჭარმა სცადა ინგილოებიც ჩაება ბრძოლაში და რაღაც შელავათებს დაჰპირდა. ერთის სიტყვით, აჯანყება ფართო ხასიათს ღებულობდა და რუს მხედრობას ადვილი საქმე არ ედგა წინ. ზაქათალის ციხე, რომლის მშენებლობაც ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, თითქმის ყოველმხრივ გზა მოჭრილი აღმოჩნდა.

მაგრამ არც რუსები ხუმრობდნენ. მათ ახალი ჯარი მოუვიდათ გენ. სტრეკალოვის უფროსობით. ამ ჯარში 1.500 კაცი ირიცხებოდა. 15 ოქტომბერს შეტევაზედ აპირებდნენ გადასვლას. სტრეკალოვმა ეხლა ინგილოებიც გაიხსენა და მოწოდება გაუგზავნა: განათავისუფლებდა მონობისაგან და ქეშქელს სრულიად მოხსნიდა, თუ მის მხარეს დაიჭერდნენ და რაზმებს შეადგენდნენ ლეკებთან საბრძოლველად.

15 ოქტომბერს სტრეკალოვი და სერგეევი ჯარით ციხიდან გავიდნენ და ორი კილომეტრის მანძილზე ტყის გაჩეხვას შეუდგნენ. იქ უნდა გამაგრებულიყვნენ და იერიში მიეტანათ მტრის პოზიციებზე. მაგრამ ვიდრე ისინი ამას მოახერხებდნენ, ისე სწრაფად და მოულოდნელად მიიტანეს ლეკებმა იერიში, რომ რუსები დიდის ზარალით უკუქცეულ იქნენ. ისე ელვისებური იყო ეს თავდასხმა, რომ რუსებმა ვერც კი მოასწრეს ხელის განძრევა და, თავზარდაცემულნი, უგზო-უკვლოდ გარბოდნენ ციხისაკენ. ლეკებს დიდი ულუფა დარჩათ,—რუსების მძიმე იარაღი და ბევრი სხვა რამე. გარდა ამისა, ბრძოლის ველზე მოკლული დარჩა 6 ოფიცერი და 243 ჯარისკაცი. 10 ოფიცერი და 141 ჯარისკაცი კიდევ დაჭრილი იყო. ასე ადვილად გაიმარჯვეს ლეკებმა.

მაგრამ ამ გამარჯვებით ვერ ისარგებლეს ლეკებმა: ელოდნენ დაღესტნიდან ახალ ჯარს. იმ დროისათვის გადასდეს უფრო ძლიერი თავდასხმა რუსებზე. აქეთ ისარგებლეს რუსებმა, მიიყვანეს ახალი ჯარი—4.500 კაცი და 8 ნოემბერს ხელახლა გადავიდნენ შეტევაზე. ლეკებს კი ამ დროისთვის საგრძნობლად შეუთხელდათ ჯარი, — ბევრმა მიატოვა ლაშქარი და სახლისაკენ გაეშურა. ამან შეიხ შაბანზე იმოქმედა, ის იძულებული გახდა მოლაპარაკება გაემართა პასკევიჩთან. ამ მოლაპარაკების შედეგად შაბანს ნება მიეცა დაუბრკოლებლივ გაეგზავნა ჯარი დაღესტანში, თითონ კი ჯერ-ჯერობით ჭარში დარჩა, ვითომ პენსიის გამოსათხოვნელად. მალე ჰამზადბეგიც გაჩნდა. შაბანის ჯარის დაშლამ მის ჯარზედაც იმოქმედა. იმანაც გამართა მოლაპარაკება პასკევიჩთან, მოითხოვდა ამნისტიას არა მარტო თავის ჯარისთვის, არამედ ჭარ-ბელაქანისთვისაც. პასკევიჩი მასაც დაჰპირდა თხოვნის შესრულებას, მაგრამ ჩქარა ორივენი თბილისში გაგზავნა, როგორც სამხედრო ტყვეები.

14 ნოემბერს რუსების ჯარი სამი მხრიდან შემოერტყა ჭარს, სადაც მომწყვდეული ჰყავდა დაღესტნელების და ჭარ-ბელაქნელების მებრძოლნი, და სეტყვასავით დაუშინა ტყვია. ცეცხლის ალში გაახვიეს ჭარი და ქვა-ქვაზედ აღარ დასტოვეს, ისე ამოაგდეს იქაურობა. თავს უშველა მხოლოდ იმან, ვისაც ძალ-ღონე შესწევდა და შეეძლო თოვლიან მთებზე გადასვლა და დაღესტნისათვის თავის შეფარება. სწვეს და ანადგურეს სოფლები. ასევე გადასწვეს ბელაქანი, წინაუბანი.

სოფლები გაანადგურეს და მოსახლეობა უზომოდ დაბეგრეს. უბრძანეს, გადაეხადათ სამხედრო ხარჯები, გამოესყიდათ ტყვეები, რომელნიც დაღესტანში ჰყავდათ წაყვანილი, აენაზღაურებინათ ძველი დავალიანებაც. წაერთ-

ვათ იარაღის ტარების უფლება. მოვალედ გახადეს, წარედგინათ 36 ახალგაზრდა ამანათად, რომელნიც თავიანთი ხარჯით უნდა შეენახათ.

80 კაცი, აჯანყების მოთავე, პასუხისგებაში მისცეს [illegible] ფლის წყაროსა და კახეთში გაასამართლეს.

ლეკების თავისუფალი, დამოუკიდებელი თემები ჭარ-ბელაქნისა სრულიად გააუქმეს. ისინი პოლიტიკურ უფლებას მოკლებულ სოფლებად გადაიქცნენ, ხოლო მათი სრულუფლებიანი ჯამაათი — უბრალო სოფლის საზოგადოებად, რომელსაც სათავეში ჩვეულებრივი ბოქაული ანუ ლეკურად, ნაირი ჩაუჯდა.

ასე გამოეთხოვნენ თავისუფლებას და ლაღობას ის ჭარ-ბელაქნელნი, რომელნიც ერთ დროს შიშის ზარსა სცემდნენ მთელ ამიერ-კავკასიას.

1915 წელს გაუქმებული ბატონყმობის ნაშთი, ანუ ქეშქელი

1915 წლამდე საინგილოში არსებობდა ერთგვარი დამოკიდებულება ინგილოებსა და ლეკებს შორის — „ქეშქელად“ წოდებული, რომლის ძალითაც ინგილოები სრულ ყმობას განიცდიდნენ, ხოლო ლეკები ბატონურ განცხრომაში იყვნენ.

მთელი საინგილოს გლეხობა ორ ბანაკად იყო გაყოფილი: ერთს მხარეს იყვნენ მებატონე გლეხები, მეორე მხარეს — ყმა გლეხები. პირველნი იყვნენ განსაკუთრებით ლეკები, ხოლო მეორენი — ინგილოები, უმთავრესად, და აზერბეიჯანელი თათრები, ანუ მუღალები. მებატონე გლეხები ცხოვრობდნენ უმთავრესად ჭარისა და ბელაქნის რაიონების დიდს სოფლებში: თალაში, ჭარში, ბელაქანში, მუხახში, ჯინიხში, კატეხში. მებატონე გლეხები-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ლეკები, რომელნიც ნამდვილ მებატონეებად ევლინებოდნენ საინგილოს, ბეგის ან ხანის წოდებას არ ატარებდნენ, უბრალო გლეხები იყვნენ და სახელმწიფო და სხვა გადასახადს ისევე იხდიდნენ, როგორც დანარჩენები. ყმა-გლეხები კი, რომელნიც „ქეშქელად“ მონათლული გადასახადით იყვნენ დაბეგრილნი ლეკების სასარგებლოდ, კახისა და ზაქათლის რაიონების ინგილოები და თათრები იყვნენ. ქეშქელის გამღები სოფელი კახის რაიონშიაც ოცი იყო, ხოლო ზაქათალისაში—24. მთელ საინგილოში 88 სოფელია, აქედან ნახევარს 1915 წლამდე სრული მონობის უღელი ედგა.

რას წარმოადგენდა ეს ბატონ-ყმური დამოკიდებულება და რას იხდიდა ყმა მებატონე ლეკის სასარგებლოდ? მთლად იმ გადასახადებს და ვალდებულებებს, რასაც ყმა ინგილო ბატონ ლეკის სასარგებლოდ იხდიდა, ერქვა ქეშქელი. ქეშქელი კიდევ შემდეგში მდგომარეობდა: ქეშქელის გადამხდელი სოფლები მოვალენი იყვნენ ერთხელვე გადაწყვეტილი რაოდენობა ქერისა, პურისა, ფეტვისა, ბრინჯისა, აბრეშუმისა ეხადნათ რომელიმე სოფლის ლეკებისათვის. მაგალითად, ინგილოთა სოფელი შოთავარი ყოველ წლივ ჭარელი ლეკების სასარგებლოდ იხდიდა 45 თაღარ პურს[1]), 9 თაღარ ქერს და სხვას. ეს გადასახადი მიჰქონდათ თავიანთივე ურმებით შოთავრელ ინგილოებს ჭარში და მერე ლეკები ინაწილებდნენ ერთმანეთში. სხვა სოფლებში კიდევ ლეკებმა თითონ იცოდნენ, ვინ იყო მათი ყმა ან რამდენი ქეშქელი ერგებოდა და თითონვე იჭერდნენ მასთან საქმეს. მაგალითად, ყორაღნელი საკანელიშვილი,

[1]) თაღარი 7½ ფუთს უდრის.

ინგილო, მოვალე იყო გადაეხადნა ჯინიხელ ლეკის შაბან მამედ-ოღლისათვის სამი თაღარი პური და ერთი თაღარი ქერი ან ბრინჯი.

ეს გადასახადი უფრო მძიმე იყო და სასტიკი, ვიდრე ქარფილ-ბანეთში არსებული ღალა. ქეშქელის სისასტიკე იმაში მდგომარეობდა, რომ მოსავლიანობას და მოუსავლიანობას მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. ინგილოს რომ მოსავალიც არ მოსვლოდა, ბატონ ლეკისათვის მაინც სისრულით უნდა მიერწყო ჭირნახული, უნდა ეყიდნა სადმე, გინდა შორეულ ადგილებში, და თავისივე ურმით მიეტანა ლეკისათვის. თუ სასყიდლად ვერ იშოვნიდა ჭირნახულს, სამ-ოთხ არჩეულ კაცს უნდა შეეფასებინა ქეშქელის ღირებულება იმ წლის ჭირნახულის მაზანდის მიხედვით და ფულად გადაეხადნა ინგილოს ქეშქელის ღირებულება.

გარდა ამ ხორბლეულის გადასახადისა, თითო ქეშქელზე უნდა მიეცათ შინ ნაქსოვი ბამბის ფერადი ტილო (შეღებილი). ზოგგან ამ ტილოს ერთ ცალს აძლევდნენ მებატონე ლეკს, ზოგგან სამსა და მეტსაც. სოფ. ჯინიხში სამ ცალს აძლევდნენ, ალიაბათსა და თასმალოში — ხუთს. შემდეგში, როცა რუსები შევიდნენ საინგილოში, ბამბის ტილოს გადახდევინება მოსპეს ლეკებმა და მის ძაგიერ აბრეშუმს ახდევინებდნენ, ალბათ, იმიტომ, რომ რუსები გადასახადს ნატურით (აბრეშუმით) სთხოვდნენ მებატონე ლეკებს.

გარდა ამ ვალდებულებისა, ყმა ინგილოები სხვა წვრილ ვალდებულებასაც უსრულებდნენ ლეკებს. ყმა გლეხებს თავიანთი ურმით უნდა მიეზიდნათ ლეკებისათვის საკმარისი შეშა, ფიჩხი და ხე-ტყის მასალა, თუ ლეკი სახლის ან სხვა შენობის დადგმას დააპირებდა; ზაფხულობით კიდევ ბატონი ლეკი მთელის ოჯახობით და ბარგით გადაეყვანათ თავიანთი ურმებით სადმე აგარაკში და უკანვე ჩაეყვანათ შემოდგომაზე.

თუ მებატონე ლეკი ქალს ითხოვდა ან შვილს დააქორწინებდა, ქეშქელის მძლეველი ინგილო მოვალე იყო ბატონისათვის მიერთმია კარგად გასუქებული ცხვარი და თან მიეყოლებინა სხვა რამ საჩუქარიც. თუ, პირიქით, ინგილო ქორწინდებოდა ან ათხოვებდა ვისმეს, მაშინაც ლეკისათვის უნდა მიერთმია უფრო ძვირფასი რამ ძღვენი. ეს ძღვენი უნდა ყოფილიყო ცხენი, მსხვილფეხა საქონელი, ხოლო თუ ამას არ მოისურვებდა ინგილო, 30 მანეთი ფულად.

გარდა ამისა, თუ დასჭირდებოდა ლეკს, სამუშაოზედაც მოიხმარებდა ინგილოს ხვნაში, თესვაში, მკაში. საზოგადოდ ლეკი ნაკლებად მისდევდა ხვნა-თესვას და ინგილოს ამიტომ ხშირად არ აწუხებდა.

აი მთელი ის ვალდებულება, რასაც ინგილო იხდიდა ბატონ ლეკის სასარგებლოდ. განსხვავებას ჩვენებური ბატონყმობისაგან ის თვალსაჩინო გარემოება შეადგენდა, რომ მიწა, თვით მამული, რომლის მოსავლისაგანაც ლეკს ქეშქელი მიჰქონდა, მას არ ეკუთვნოდა და მისი გაყიდვა არ შეეძლო. შემდეგ, ვსთქვათ, ყმა გლეხი სრულიად ამოწყდა, არავინ დარჩა ოჯახში. ამოწყვეტილი ოჯახის მამულს სოფლის ჯამაათი ეპატრონებოდა და ვისაც მოეპრიანებოდა, იმას გადასცემდა დასამუშავებლად, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამოწყვეტილი ოჯახის მაგივრად იმას უნდა ეკისრა ქეშქელის გადახდა.

მართალია, ლეკს მამულის გაყიდვა არ შეეძლო, არც მისი სხვაზე გადაცემა, რადგან იგი, როგორც სჩანს, მის საკუთრებას არ შეადგენდა, მაგრამ თვით ქეშქელის ე. ი. ვალდებულების გაყიდვა კი შეეძლო. ქეშქელი ხომ გადასახადია, რომელსაც ინგილო ლეკის სასარგებლოდ იხდიდა და აი ამ გადასახადის ანუ შემოსავლის გაყიდვას ახერხებდა იგი. 1830 — 1870 წლებში ამ

ყიდვა-გაყიდვას ქეშქელისას დიდი ადგილი ჰქონდა. ხელისუფლებამ 1870 წელს სრულიად აკრძალა ქეშქელით ვაჭრობა.

როგორც ცნობილია, რუსეთში და საქართველოშიც ყმების ყიდვა-გაყიდვას ფართო ადგილი ჰქონდა. საინგილოში ასეთ ყიდვა-გაყიდვას არა ჰქონია ადგილი და არც შეიძლებოდა, რომ ჰქონოდა. ინგილოები ლეკების მარჩენლები იყვნენ, რადგან მათ მოსდიოდათ ყოველივე ჭირნახული და სხვა სურსათი და განა ასეთს გაიმეტებდა გასასყიდლად ლეკი? თვითონ ლეკები ნაკლებად მისდევდნენ ხვნა-თესვას, იმავე დროს კი დაღესტნიდან გადმოსულ ურდოებს და ხშირად მთელს ჯარებს შენახვა უნდოდა. ტყუილად კი არ ამბობს გენ. ორბელიანი პასკევიჩისადმი მიწერილ ერთ თავის წერილში: „ჩამოვართვათ ლეკებს ინგილოები, რომელთაგანაც მუქთად მოსდით სურსათ-სანოვაგე და იმათ საშუალება აღარ ექნებათ შეინახონ დაღესტნიდან გადმოსული ყაჩაღთა ურდოები და თავს გაანებებენ ხალხის რბევას“-ო.

რუსების საინგილოში შესვლის შემდეგ მხოლოდ ორი შემთხვევა ყოფილა ასეთი გაყიდვისა. ისიც გაუყიდნიათ არა ინგილოები, არამედ მუღალები—თათრები.

თვით ინგილოებიც ამბობდნენ, რომ ლეკთაგან ინგილოების გაყიდვას ადგილი არ ჰქონია, თორემ ასეთი ამბავი ეხსომებოდა ვისმესო.

როგორც ჰხედავთ, ეს დამოკიდებულება ლეკებსა და ინგილოებს შორის თითქმის იგივე ბატონყმური იყო, ცოტა რამის გამოკლებით. ის უფრო პირვანდელ სახეს მოგვაგონებს ბატონყმობისას, სადაც ჯერ ფეოდალური დამოკიდებულება სისრულით არ იყო ჩამოყალიბებული. ის უკვე ნახევარ გზაზე იყო შეჩერებული ანუ, უკეთ ვთქვათ, გაყინული. როცა რუსები შევიდნენ საინგილოში, ის არც იურიდიულად იყო გაფორმებული. ლეკებს არავითარი ისტორიულ-წერილობითი საბუთი არ მოეპოვებოდათ და არც ჰქონიათ ოდესმე, თორემ ეჭვი არ არის, საადგილ-მამულო კომისიას წარუდგენდნენ.

ასეთი ბატონყმური დამოკიდებულება არსებობდა ლეკებსა და ინგილოებს შორის. ეს იყო ნამდვილი ძალმომრეობის აქტი. ინგილო ამ ულელ ქვეშ გმინავდა და კვნესოდა. შეეძლო თუ არა ინგილოს ამ უბედურებისაგან რამენაირად თავი დაეღწია ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, გამოესყიდნა? შეეძლო და ამის ოფიციალურ დასტურსაც ქვემოთ დავინახავთ, პასკევიჩის პროკლამაციაში. მაგრამ ინგილო, როგორც ვიცით, ისე გაძვალტყავებული იყო ლეკთა გადასახადებისაგან, რომ ამაზე ოცნებაც კი არ შეეძლო და გინდაც შესძლებოდა, აქედან არაფერი გამოვიდოდა: ლეკი, რომლის ხელშიაც იყო ინგილოს ბედილბალი, ადვილად უმტყუნებდა და დანაპირებს არ შეასრულებდა. ამისთანა მაგალითი არა იშვიათი იყო.

საინტერესოა, როგორ ჰქონდათ განაწილებული ლეკებს ერთმანეთში საქეშქელე სოფლები და სად ვის რა ეკუთვნოდა. ყველაზე მეტი საქეშქელე სოფელი ლეკთა უძველეს ახალშენს—ჭარსა ჰყავდა. მას ეკუთვნოდა საინგილოში 22 სოფელი. ეს ეს სოფლები: ალიაბათი, მოსული, ძაგამი, შოთავარი, ყორაღანი, თასმალო, ვერხიანი, ენგიანი, ალმალო, ბაბალო, ლელალო, პატარა და დიდი ლაიჯი, ჩობანკოლი, ბაიმათლო, ქურდამირი, ყიმურლუ, ყარაბარდული, ფადარი, კინდირგალო, კაპანაკჩი, მეშლით. ეს სოფლები გაფანტულნი არიან საინგილოს მთელს ტერიტორიაზე და მის მცხოვრებთა თითქმის მეოთხედს შეადგენენ.

ჯინიხის თემს ეკუთვნოდა მხოლოდ სამი სოფელი: მარსაანი, ლალაფაშა, ჩუდულუ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხახის თემს—ბაზარი, ენგიანი, ყალალო, ქოსური.
თალისას თემს — მუგანლო, ფადარლო, კაპანაკჩი.
ბელაქანის თემს მთლიანი სოფელი არც ერთი არ ეკუთვნოდა, იმას მხოლოდ გაბნეულად ეკუთვნოდა სხვადასხვა სოფელში თითო-ოროლა მეკომური.

კატეხის თემსაც არა ჰქონდა მთლიანი სოფელი და, როგორც ბელაქანს, მასაც სხვადასხვა სოფელში ეკუთვნოდა თითო-ოროლა მეკომური.

თვით სოფლებს შორისაც სხვადასხვანაირად იყო ქეშქელი განაწილებული. მაგალითად, ჭარელ ჰაჯი ახმედ დურსუნოღლის მარტო ერთ სოფელ ჰენგიანში 8 ქეშქელი ჰქონდა, რომლისგანაც 600 ფუთი ხორბალი შემოსდიოდა. გარდა ამისა, მასვე ჰქონდა ქეშქელი ალიაბათში, ჩობანკოლში, ლალაფაშაში და სხვაგან. მდიდარ მებატონე-მექეშქელედ ითვლებოდა მთელს საინგილოში ჭარელი მაჰმედ ველი ოღლი და მოლა ციტოვი, რომელთაც რამდენიმე ათასი ფუთი ხორბალი შემოსდიოდათ. მაგრამ როგორც სხვაგან, აქაც წვრილი მებატონეები სჭარბობდნენ, ისეთები, რომელთაც სულ ორიოდე ქეშქელი გააჩნდათ.

საიდან წარმოიშვა და განვითარდა ქეშქელი? ამის შესახებ მრავალი მოსაზრება არსებობს, მაგრამ ყველას ჩამოთვლით მკითხველს მოვაწყენთ. ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ორიოდე ავტორის მოსაზრებას. ჰამზადბეგ კიბულოვი (კიბულოღლი), ცნობილი ჟურნალისტი, ტომით წახურელი ლეკი, ასე ხსნის ქეშქელის წარმოშობის საკითხს: დაღესტნის ცივ მთებიდან შემოდგომაზე ხშირად ჩამოდიოდნენ საინგილოში ღარიბ-ღატაკნი, რომელნიც იმდენად მშიერ-მწყურვალნი იყვნენ, რომ ინგილოები მეტ სახელად გულღადარებს (გულშიშველებს) ეძახდნენ. აი ამ ღარიბთათვის ინგილოებს მოწყალებად უძღვევიათ პური, ქერი და სხვა სანოვაგე. თვით სახელიც გადასახადისა თათრულია, წარმოსდგება სიტყვისაგან „ქეჩ-გელ“ — გამოირბინე, მოდი, დამშეულო, და ჩვენ დაგაპურებთო. შემდეგში, როცა საინგილოში ლეკები გაძლიერდნენ და ქვეყნის ბატონ-პატრონნი შეიქმნენ, ეს ნებაყოფლობითი მოწყალება გადასახადად აქციეს და კისრად დაადვეს ინგილოებს და თათრებს [1]).

ასეთი ახსნა-განმარტება ერთმხრივია, სათანადოდ ვერ აშუქებს საკითხს და არც „ქეჩ-გელი“-საგან წარმოსდგება სიტყვა ქეშქელი. იგი არაბული სიტყვაა და ნიშნავს სარწყავ მიწას.

ექიმი ელიაშვილი თავის პატარა წიგნაკში საინგილოს შესახებ უფრო შორს მიდის. სოფ. ჭარში, — ამბობს იგი, — მუდმივ ბინადრობდა ქართველი ჯარი საზღვრების დასაცავად, საიდანაც წარმოსდგება თვით სახელწოდება ჭარი (ჯარი). ჯარის შესანახავად ქართველი მეფეები აიძულებდნენ კაკ-ენისლის (ღღევანდელი ალიაბათის ნაწილის) მცხოვრებთ ეძლიათ ჯარის შესანახად და გამოსაკვებად პური, ქერი და სხვა საჭირო სურსათი. შემდეგში, როცა საინგილოში ქართველთა ძლიერება დაეცა, ჯარისკაცი მკვიდრ მცხოვრებლებად გადაიქცნენ და დაღესტნიდან ჩამოსულ ლეკებში აირივნენ, უწინდელი ჯარის გამოსაკვებად შემოღებული გადასახადი ტრადიციით ისევ ძალაში დარჩა. ინგილოები მუდამ იხდიდნენ ამ გადასახადს, მაგრამ უკვე არა ჯარის, არამედ ლეკების სასარგებლოდ [2]).

---

[1]) იხ. კიბულოვის წერილი: „Коч-гель“,—„Закавк. Реч“, 1867 г.
[1]) Элиашвили—„Заметки о Закат. Окр.“.

ასეთ მოსაზრებას სიმართლესთან საერთო არაფერი აქვს. თვით სახელიც სოფლისა ჯარი კი არ არის, არამედ ჭარია, იგი ძველ ქართულ წყაროებშიც ყველგან ჭარად იხსენიება და არა ჯარად. სიტყვა ჭარი ადგილ, რომელიც ზევით გვქონდა მოხსენებული, გზასა და კვალს ნიშნავს.

უფრო სწორია და სიმართლესთან ახლო ცნობილი ეტნოგრაფის, პროფესორ კოვალევსკის აზრი. იგი ამბობს: „დაღესტნიდან ჩასულმა ლეკებმა, დაიპყრეს რა ინგილოები და თათრები, გაიყვეს ერთმანეთში საინგილოს მიწა-წყალი და როგორც ყმებს, ისე დაუწყეს მათ ქეშქელად წოდებული გადასახადის დადება“.

ინგილოებს რომ უკმაყოფილება არ გამოეცხადებინათ და აურზაური არ აეტეხნათ, თავდაპირველად სულ მცირეოდენი გადასახადი შემოიღეს: ეს გადასახადი მცირეოდენი ჭირნახულისაგან და თითო ნაჭერი ნარმისაგან შესდგებოდა.

შემდეგში ლეკებმა, როცა საბოლოოდ განმტკიცდნენ საინგილოში, ეს მცირე გადასახადი ძალზე გაადიდეს. საინგილოს რუსეთთან შეერთების დროს ის უკვე 3-5 თაღარს უდრიდა, რაც მეტად საგრძნობი იყო მაშინდელი გლეხისათვის.

რუსებმა ამ გადასახადის მოსპობა არ მოისურვეს, ალბათ, იმისთვის, რომ ძოუსვენარი ლეკებისათვის საბაბი არ მიეცათ ახალი აჯანყების მოწყობისათვის, ან კიდევ საკითხის გაურკვევლობის გამო ზოგნი ლეკებს მემამულეებად სთვლიდნენ და, როგორც ასეთებს, ბატონყმურ რუსეთში ხელი არავინ ახლო.

რუსეთის დამკვიდრების შემდეგ საინგილოში ამ მხრივ მდგომარეობა უფრო გაუარესდა, — იმ გადასახადს, რომელსაც ინგილო ლეკის სასარგებლოდ იხდიდა, სხვა გადასახადიც მიემატა. ეს ახალი გადასახადი ჩვეულებრივი სახელმწიფო გადასახადი იყო და ამნაირად ინგილოს ორი ტყავი სძვრებოდა. ინგილოს ერთის გადახდაც ეძნელებოდა, იმის მოხსნას თხოულობდა და ახლა ახალი გადასახადი დააკისრეს. მისი მდგომარეობა ერთიორად უფრო გაუარესდა.

თუ რა გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო მაშინ ინგილო, ამის საილუსტრაციოდ ავალაპარაკოთ გენ. ორბელიანი, რომელიც რუსეთთან საინგილოს შეერთებისას ბანაკად იდგა სოფ. ალიაბათში და თავის თვალით ჰხედავდა იმათ სიდუხჭირესა და ბედშავ ცხოვრებას. მასზე ისეთი მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია ინგილოთა ცხოვრებას, რომ აშფოთებული სწერს პასკევიჩს, მაშინდელ მთავარმართებელს:

„უსირცხვილო, თავზეხელაღებული ლეკების თარეშს და დაუსრულებელ თავდასხმას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ისინი სურსათ-სანოვაგით სრულიად უზრუნველყოფილნი არიან. მთელი რიგი ისეთ სოფლებისაგან, როგორიც არის ალიაბათი, მოსული, კანდახი, თასმალო, ჰენგიანი, ძაგამი და ლალაფაშა, სრულიად უსასყიდლოდ მისდით ლეკებს სანოვაგე. მათზე ძალაუფლება ჭარელ ლეკებს ძალმომრეობით მიუთვისებიათ. ამ სოფლების მცხოვრებნი ქართველები არიან, თავიანთ მამაპაპეულ მიწა-წყალზე ცხოვრობენ და ძველადგანვე ქართველ მეფეებს ეკუთვნოდნენ. ჭარელ ლეკებს ისინი ყმებად გაუხდიათ და იმ ზომამდე შეუვიწროებიათ და დაუბეჩავებიათ, რომ სრულ სიბნელეში იმყოფებიან, უკიდურეს მონობას განიცდიან და ადამიანის

სახე და მსგავსებაც კი დაუკარგავთ. ლეკებისაგან მათ ძარცვა-გლეჯის, დაუსრულებელ მტარვალობასა და ყოველგვარ ძალმომრეობას საზღვარი არა აქვს. ეხლა იმ ბეჩავ, დამონებულ ხალხის წარმომადგენლებს, ძალაუფლისებს ვგზავნი თქვენთან, ვშუამდგომლობ, მიიღოთ ისინი თქვენი მფარველობის ქვეშ და გაანთავისუფლოთ ლეკთა მონობისაგან. როცა ეს მოხდება, მაშინ ლეკებს საშუალება მოაკლდებათ შეინახონ დაღესტნიდან გადმოსული ბრბოები და იძულებული იქნებიან საქართველოს ძარცვა-გლეჯას თავი დაანებონ". [1])

ორბელიანის პატაკი მრავლისმეტყველია, ის მოკლედ, სხარტულად გადმოგვცემს იმ საშინელ მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფებოდნენ მაშინ ინგილოები.

ორბელიანის ნათქვამის უფრო ნათელსაყოფად, დავუმატებთ თვით ინგილოთა ნაამბობს: „მობრძანდებოდა თუ არა ჩვენთან მებატონე ლეკი, პატივი უნდა გვეცა არა მარტო მისთვის, არამედ მისი ცხენისთვისაც. შემოვიდოდა თუ არა ჩვენს ეზოში და ჩამოხტებოდა ცხენიდან, მის ცხენის ქვეშ ჯეჯიმი ან ფარდაგი უნდა გაგვეშალა და ზედ უნდა მდგარიყო ცხენით. აქედან დაინახავთ, რა მდგომარეობაშიც უნდა ვყოფილიყავით. ჩვენი რაც კი მოეწონებოდა ლეკს სახლ-კარში, მაშინვე ხელს დაადებდა და თან წაიღებდა".

არ ვიცით, რა შედეგი მოიტანა ორბელიანის შუამდგომლობამ, რადგან არც არქეოლოგიური კომისიის საქმეებში და არც საადგილ-მამულო კომისიების შრომებში არაფერი არა სჩანს. მის შუამდგომლობას რომ ნაყოფი გამოეღო, ეს აღნიშნული იქნებოდა აქტებში.

ინგილოთა ცხოვრება და მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. ქეშქელის რაოდენობა თანდათან იზრდებოდა. სოფ. ალიაბათში საქეშქელე გადასახადი 20 ჩანახიდან 5 თაღარამდის გაიზარდა, ჩობანკოლში 10 ჩანახიდან 3 თაღარამდის, ლალაფაშაში 3 თაღარიდან 8 თაღარამდის და ასე სხვა სოფლებშიც. ამ ზრდამ იქამდის მიაღწია, რომ მთელი მოსავლის 40% და ზოგჯერ მეტიც მებატონე ლეკს მიჰქონდა. ქეშქელის ზრდას უფრო იმ გარემოებამ შეუწყო ხელი, რომ რუსის მხედრობა, რომელიც დიდის რაოდენობით იდგა საინგილოში, საჭიროებდა სურსათს და შორიდან მის მოტანას იმ უგზოობის დროს, რასაკვირველია, ადგილობრივ ყიდვა სჯობდა. აი ამიტომაც გაადიდეს ქეშქელის რაოდენობა, რომ საშუალება ჰქონოდათ რუსებისთვის მიეყიდნათ სურსათი.

თავდაპირველად (რუსების შემოსვლამდის) ქეშქელის გადიდების ნებართვას ჯამაათი იძლეოდა, შემდეგ კი რუსების სამხედრო ნაწილები, რომელნიც თითქმის ყოველთვის მოქეშქელეთა მხარეზე იყვნენ. მაგრამ ხშირად არავითარი სანქცია არ იყო საჭირო. ეს ლეკთა თვითნებობაზე იყო დამოკიდებული. ამ თვითნებობას ბევრი უსიამოვნება და ხშირად კაცის კვლაც მოსდევდა. თასმალოსა და ენგიანში მითხრეს, როცა გავუძალდებოდით და არ ვაძლევდით ხედმეტ ქეშქელს, მაშინ დაგვიჭერდნენ და თავდაყირა ჩამოგვკიდებდნენ ხეზე, მერე აყრაზე (სახურავზე) აიჭრებოდნენ, სადაც ჭირნახული გვაქვს ხოლმე შენახული, სულ მთლად ჩამოიტანდნენ და წაიღებდნენ. ამ ნიადაგზე ბრძოლაში განთქმული იყო ვინმე ინგილო აჯიბეგი, რომელიც წამსვე იქ გაჩნდებოდა, სადაც ბატონები ძალმომრეობდნენ და ისეთს ჩხუბსა და აურზაურს აუტეხდა მათ, რომ ისინი იძულებულნი იყვნენ გასცლოდნენ, ან კიდევ

[1]) იხ. А. К. А., К., ტ. III, გვ. 416.

ძველის გადასახადით დაკმაყოფილებულიყვნენ. აჯიბეგს ამ ნიადაგზე ორი ლეკი შემოაკვდა. გააციმბირეს, მაგრამ მან თავისი მაინც არ დაიშალა და როცა ციმბირიდან დაბრუნდა, უფრო გამხნევებული შეუდგა ინგილოთა შველას.

ქეშქელს არაფერი ეშველა. ინგილო და თათარი ამ გადასახადისაგან კვნესოდა, თვალცრემლიანი შესტიროდა ყველას, გვიშველეთ, წელში გავწყდითო, მაგრამ მათი მშველელი არავინ იყო. რუსეთი განგებ ყურს იყრუებდა, რადგან, როგორც ზემოთა ვსთქვით, არ უნდოდა რამე საბაბი მიეცა ლეკებისათვის ახალი აჯანყების მოსაწყობად. მაგრამ მიუხედავად ასეთის ლოლიაობისა, ლეკებმა მაინც მოაწყეს დიდი აჯანყება, რომელიც მთელი ექვსი თვე გაგრძელდა.

აი საქმე რაში იყო. 1830 წელს, როგორც უკვე ვიცით, გადაწყდა ჭარ-ბელაქნის ოკუპაცია, ე. ი. მისი ჩვეულებრივ პროვინციად გადაქცევა და შიგ რუსეთის ხელისუფლებისა და წყობილების შეტანა. ამ მისიით გაემართა პასკევიჩი 17 თებერვალს ჭარ-ბელაქნისაკენ და მოლაპარაკების მაგიერ მზამზარეული პროკლამაცია გადასცა ლეკებს თემთა ყრილობაზე განსახილველად. აი ამ პროკლამაციის მეშვიდე მუხლში რა ეწერა ინგილოების შესახებ: „ჭარის პროვინცია, დღევანდელი თავისი მდგომარეობის მიხედვით, განიყოფება ორ კლასად, გაბატონებულ მფლობელთაგან, რომელნიც განსაკუთრებით ლეკები არიან და რომელნიც ჩვენთან ყოველთვის ცუდს განწყობილებაში იყვნენ, და მათგან დამონებულ ქართველთაგან, რომელთათვისაც სხვადასხვა შევიწროებით მაჰმადიანობა მიულებინებიათ. ჩვენი მიზანია — ამ დაბეჩავებულ ხალხს ყოველ მხრივ ხელი შევუწყოთ და მათის დახმარებით შევასუსტოთ ჩვენთან ცუდ განწყობილებაში მყოფი ლეკთა ძალაუფლება. ჩვენ ცნობაში უნდა მოვიყვანოთ, თუ რაში გამოიხატება ამ ბეჩავ ხალხის ვალდებულება ლეკებისადმი, რათა ადგილი აღარ ჰქონდეს მათგან ძალმომრეობას. ეს გადასახადი ამიერიდან ინგილოებს უნდა შეჰქონდეთ სოფლის უფროსთან და ამაში სათანადო ქვითარი უნდა მიიღონ. თუ გადასახადი დროზე არ იქნება შეტანილი, უფლება არა აქვს ძალით გადაახდევინოს, ყოველ ასეთს შემთხვევაში უნდა ეცნობოს ოლქის მმართველს.

ინგილოებს შემდეგი უფლებები ეძლევათ: 1) პირადი თავისუფლება, — თუ მოინდომა ვინმემ გადასახლება, შეუძლიან წავიდეს და თან წაიღოს მთელი თავისი მოძრავი ქონება, ხოლო სახლი, ბაღი, ადგილ-მამული რჩება სოფლის მფლობელობაში; 2) ინგილოებს უფლება აქვთ გამოისყიდონ თავიანთი თავი მებატონე ლეკებისაგან, მამულის, ბაღის და სახლკარის ათკეცი შემოსავლის გადახდით; 3) ამის შემდეგ თავისუფალი იქნება თავისი მებატონისაგან და არავითარ ვალდებულებაში არ იქნება მათთან“.

ეს იყო ვითომ დიდი წყალობა პასკევიჩისა. სინამდვილეში კი პასკევიჩი მარტო იმას ადასტურებდა, რაც ფაქტიურად არსებობდა და ახლა მას მხოლოდ იურიდიული სანქცია ეძლეოდა. ამგვარად დიდის რიხით გამოცემული პროკლამაცია, მცირე შეღავათსაც არ აძლევდა ინგილოებს. ასე იძუნწა პასკევიჩმა, მაგრამ, მიუხედავად ასეთი ლოიალობისა გაბატონებული ლეკებისადმი, მაისის დასაწყისში მათ მაინც დიდი აჯანყება მოუწყეს, სძლიეს და სამარცხვინო მდგომარეობაში ჩააგდეს რუსეთის ჯარი. მაშინ ჯარის სარდალმა სტრეკალოვმა ასეთი მოწოდებით მიმართა ინგილოებს: „მონობის

ულელს სამუდამოდ მოგაშორებთ, ქეშქელს მოვსპობთ, ოღონდ რაზმები შეადგინეთ და ლეკების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეთ.“

ინგილოებმა გამოცდილებით იცოდნენ, რომ რუსეთის მხედრობა ყოველთვის ასეთი ქათინაურებით ჰკვებავდა და საქმით არაფერს აკეთებდა. ამიტომ ისინი მხოლოდ დაჰპირდნენ. კარგადაც მოიქცნენ. როცა რუსეთის მხედრობამ ექვსი თვის ბრძოლის შემდეგ მაინც აჯობა ლეკებს, 1830 წლის 25 დეკემბერს გამოცემულ პროკლამაციაში აი რა ეწერა ინგილოების შესახებ: „ყველა ლეკს, რომელსაც რაიმე ძალა-უფლება ჰქონდა ინგილოებზე და ენისელზე, ერთმევა ეს უფლება. ამ მოსახლეობამ, ე. ი. ინგილოებმა და თათრებმა, ყოველივე გადასახადი, რომელსაც ლეკების სასარგებლოდ იხდიდნენ, ხაზინას უნდა ჩააბარონ.“

ინგილოს ახლა თავისი გადასახადი მთავრობისათვის უნდა ჩაებარებინა. ეს იყო მთელი განსხვავება ძველსა და ახალში. იქნება მათთვის უფრო უკეთესი იყო საქმის ასეთი ცვლილება, რადგან მთავრობა იმდენს ძალმომრეობას არ გამოიჩენდა, რასაც მებატონე ლეკები იჩენდნენ. მაგრამ, საუბედუროდ, ეს გადაგდებული ნამცეციც უდღეური გამოდგა. ქეშქელის უფლება ლეკებს ერთმეოდათ, მაგრამ ერთმეოდათ მხოლოდ იმათ, ვინც მონაწილეობას იღებდა აჯანყებაში. დანარჩენთათვის კი ქეშქელის მაგივრად პენსია უნდა მიეცა მთავრობას. ვიდრე პენსიის საქმე მოგვარდებოდა, ქეშქელი ისევ უნდა ეხადათ ინგილოებს. ჩქარა ესეც უარჰყო პასკევიჩმა და 1838 წელს ქეშქელი გაქცეულებსაც დაუბრუნა და ნება მისცა თავიანთ სახლკარს დაბრუნებოდნენ და საკუთარი კერისათვის მიეხედნათ.

ასე სამარცხვინოდ გათავდა ეს თვალთმაქცური ვითომ რეფორმა, რომელმაც ხანმოკლე სიხარული გამოიწვია ინგილოებში.

ამის შემდეგ უფრო გათამამდნენ და ქეშქელს თანდათან უმატეს. მაშინდელი რუსეთი ხომ საერთოდ ხელს უწყობდა მემამულეებს და რადგან მებატონე ლეკებიც ერთგვარ მემამულეებად ჰყავდათ წარმოდგენილი, ხმას ვინ გასცემდა მათ. ინგილოთა მდგომარეობა ამგვარის პოლიტიკის წყალობით უფრო და უფრო გაუარესდა. ხალხი მაინც ფარხმალს არა ჰყრიდა, თხოვნას თხოვნაზე ჰგზავნიდა და შუამდგომლობას შუამდგომლობაზე.

ბოლოს გამოცხადდა 1859 წელს ბატონყმობის გადავარდნა. ეს სასიხარულო ამბავი ელვის სისწრაფით მოედო კუთხიდან კუთხეს და მთელი რუსეთის გლეხობა უსაზღვრო სიხარულმა და აღტაცებამ მოიცვა. მოსალოდნელი იყო, რომ ეს რეფორმა საინგილოშიც განხორციელდებოდა და საუკუნოებით შეწუხებული ხალხი თავისუფლად ამოისუნთქებდა. მაგრამ ბედმა ახლაც უმუხთლა ინგილოებს. ის, რაც მთელს რუსეთში მოისპო, აქ ძველ პირობებში დარჩა. რეფორმამ გვერდი აუხვია საინგილოს.

მთავრობამ აქ რაღაც ხრიკებს მიმართა და ასეთი ახსნა-განმარტება გამოიგონა: ლეკებსა და ინგილოებს შორის ბატონყმური დამოკიდებულება არ არის, ინგილოები მხოლოდ იჯარადრები არიან და როგორც ასეთებმა, რასაკვირველია, უნდა იხადონ იჯარაო. მაგრამ ეს ხომ აშკარა სიცრუე იყო და მეტი არაფერი. მექეშქელე ლეკებმა ხშირად არც კი იცოდნენ, სად იყო მათი მიწა-წყალი, რომლის ქეშქელსაც მათ უხდიდნენ, და გინდაც რომ სცოდნოდათ, იმ მამულზე არავითარი უფლება არ ჰქონდათ, ვერც გადასცემდნენ ვისმეს და ვერც გაჰყიდდნენ. მაშ რანაირი იჯარადარი იყო ინგილო? არავითარი. ეს იყო შიში მოუსვენარი ლეკების აჯანყებისა. იმ ხანებში იმამი შამილი ჯერ

კიდევ სჭექდა დაღესტანში და ერთი პატარა ნაპერწკალი იყო საკმარ, რომ ხელახლად წამოეყო თავი ჭარ-ბელაქანს და მთელ აჯანყებად გადაქცეულიყო. ამიტომ მთავრობამ არც აცივა, არც აცხელა და რომ ინგილოებს მფრთვა და ძღელვარება არ დაეწყოთ, მათ მოსატყუებლად რაღაც კომისიები შეჰქმნა, რომელთაც საადგილ-მამულო და საუწყებო კომისიები უწოდეს. ამ კომისიებს უნდა გამოერკვიათ და გადაეწყვიტათ ინგილოთა და ლეკთა ურთიერთ-დამოკიდებულების საკითხი. ეს იყო და ეს. ამის მეტი არაფერი გამოიმეტა მაშინდელმა მთავრობამ ამ რეფორმიდან საინგილოსთვის.

მთელი ორმოცი წელიწადი იმუშავა ამ კომისიამ, მრავალი ძვირფასი საისტორიო და საარქეოლოგიო მასალა დააგროვა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. იკვლიეს ამ საკითხის ასავალ-დასავალი, მაგრამ საქმე ვერ დასძრეს ადგილიდან, ალბათ, იმიტომ, რომ ასე სურდათ ზემდგომ ორგანოებს. კომისიების მუშაობას გათავება და დასასრული არ ეღირსა. საქმე ისე გაჭიანურდა, რომ სახელმწიფო სათათბირომაც კი მოუსწრო. სწორედ ამ სახელმწიფო სათათბიროს მიჰმართეს ახლა ინგილოებმა და მისი საშუალებით მთელი რუსეთის სამსჯავროზე გამოიტანეს თავიანთი ამბავი. სათათბიროს დეპუტატს გაიდაროვს ასეთი თხოვნით მიჰმართეს ინგილოებმა, ეს თხოვნა მან სათათბიროს კრებაზე წაიკითხა:

„რუსების შემოსვლამდის კავკასიაში, ზაქათლის ოლქის ლეკთა სოფლებმა ჭარმა, ბელაქანმა, კატეხმა, თალამ და სხვათ ძალმომრეობით დაგვაკისრეს ხარკი, რომელსაც ჩვენ, მაშინ უღონონი და უპატრონონი, იძულებულნი ვიყავით დავმორჩილებოდით. რუსეთის მთავრობამ არ გაგვანთავისუფლა ლეკთა ამ ხარკისაგან, იმიტომ, რომ ლეკებს ჯერ კიდევ მხარს უმაგრებდა თავისუფალი დაღესტანი, შემდეგ კიდევ იმიტომ, რომ ეს ჩვენი საქმე გადაეცა განსახილველად საადგილ-მამულო კომისიას. ამ კომისიამ კიდევ ისე გააჭიანურა ეს საქმე, რომ აგერ ორმოცი წელია ეს კომისია მუშაობს, მაგრამ საკითხი დღესაც გადაუწყვეტელია. რუსეთის მხედრობისაგან ზაქათლის ოლქის დაპყრობამდე დღემუდამ ვუთითებდით მთავრობას ამ უმწვერვალეს უსამართლობაზე, რომლის ძალითაც ერთნი მცხოვრებნი ოლქისა, სახელმწიფო ხარჯებს გარდა, დაბეგრილი არიან უზომო გადასახადებით ოლქის მეორე ნაწილის სასარგებლოდ, რომელნიც ისეთივე გლეხები არიან, როგორც ჩვენ და არავითარი უპირატესობით არ სარგებლობენ. ამრიგად, ჩვენ ორმაგი გადასახადი გვხვდება. დიდს გაჭირვება-სილარიბეს განვიცდით შემდეგის სოფლების მცხოვრებნი: ალიაბათისა, ვერხიანისა, კინდირგალისა, ზაგანისა, თასმალოსა და სხვათა. ამ სოფლების მოსახლეობა, რიცხვით 6.000 კომლზე მეტი, ვიხდით ლეკთა სოფლების ჭარისა, მაწეხისა, თაღისა და სხვათა სასარგებლოდ 6.028 თაღარ ჭირნახულს, რომლის ღირებულებაც დღევანდელ ფასებში 36.138 მანეთს აღემატება. გარდა ამისა, მთავრობასაც ხომ ყოველ ხარჯსა და ხარკს ვუხდით. სოფ. ალიაბათი იხდის სახელმწიფო ხარჯებს 9.000 მანეთს, ლეკებისას კი — 9.088 მან.; ვერხიანი სახელმწიფოს — 4.340 მან. ლეკებისა—3.618 მან.; ენგიანი სახელმწიფოს—1.523 მან.; ლეკებისას — 924 მან.; ძაგამი სახელმწიფოს — 2.071 მან., ლეკებისას — 1.536 მან. ასე და ამგვარად დაბეგრილნი არიან სხვა სოფლებიც, ზოგან მთავრობას მეტს გადასახადს აძლევენ ლეკების გადასახადთან შედარებით, ზოგან კი ნაკლებს. ჩვენს მუდმივ გაჭირვებას და სიდუხჭირეს დასასრული არა აქვს. წინად სახელმწიფო გადასახადი ლეკების გადასახადის მეოთხედს შეადგენდა. ახლა კი, არა

თუ გაუთანასწორდა, გადააჭარბა კიდეც. ჩვენი მდგომარეობა მონების მდგომარეობაა, უაღრესად შეუსაბამო და უსამართლო. ნუ თუ ერთგვარებას არ შეუძლიან გამონახოს რაიმე საშუალება და ერთხელ და სამუდამოდ მოიცაროს თავიდან ეს სამარცხვინო უღელი? ჩვენ, მრავალტანჯული ქვეშევრდომნი რუსეთისა, ჩვენთვის გაუგებარის მიზეზით გავმხდარვართ რუსეთის სხვა ქვეშევრდომებზე უღირსნი და მუდმივი მოხარკე ვართ დღემდე ისეთივე გლეხებისა, როგორნიც ჩვენ თითონა ვართ".

სახელმწიფო სათათბიროს კათედრიდან საჯაროდ წარმოთქმულმა ინგილოთა საჩივარმა ბოლოს მიზანს მიაღწია. ახალი საადგილ-მამულო კომისია იქმნა დანიშნული, როგორც იქნა, ყინული გადნა და 1915 წელს მოეხსნა საინგილოს მონობის ეს უღელი, რომელიც ბიუროკრატიულმა რუსეთმა თითქმის ოქტომბრის რევოლუციის კარამდე მიიტანა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„სიმღერა გამარჯვებისა“, „ჩვენ გავიმარჯვებთ“.

სახელგამი. 1941 წ.

ჩვენი დიდი სამშობლო ერთი კაცივით აღსდგა აღვირახსნილი მტრის, ჰიტლერის პირსისხლიანი ბანდების წინააღმდეგ. მსოფლიო მოწმე გახდა საბჭოთა პატრიოტების მილიონიანი მასების უმაგალითო გმირობის და თავდადებისა, როგორც ფრონტზე, ისე ზურგში. ხალხთა სტალინურმა მეგობრობამ ახალი გამოხატულება ჰპოვა: რუსი და ქართველი, უკრაინელი და აზერბაიჯანელი, უზბეკი და სომეხი მხარდამხარ იბრძვიან, უდიდესი სარდლისა და ბელადის ს ტ ა ლ ი ნ ი ს სიყვარულით შეკავშირებულნი, ზღვიდან ზღვამდე გაჭიმულ ფრონტზე.

ქართველ მებრძოლთა სახელები უფრო და უფრო ხშირად გაისმის საინფორმაციო ბიუროს გმირულ ეპიზოდებში, უმაღლეს საბჭოს ბრძანებულებებში. ქართველი ვაუკაცები ღირსეულად იცავენ თავიანთ სამშობლოს და თავისუფლებას დიადი სამამულო ომის ფრონტზე.

ქართულ მწერლობას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია მოეპოვება: იგი მუდამ თავის ხალხთან იყო იმ ომებში, რომელსაც ჩვენი პატარა, მაგრამ მამაცი ერი განუწყვეტლივ აწარმოებდა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

თითქმის ყოველთვის დიდი ქართველი პოეტები დიდი მხედართმთავრებიც იყვნენ, ხმალსა და კალამს ისინი ერთნაირის გზნებითა და სიყვარულით ხმარობდნენ მშობელი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

პოეტზე და პროფესიულ მოლაშქრე სარდალზე შესანიშნავად ამბობს მეფე-პოეტი თეიმურაზ მეორე:

„ვწერდი ცხენს მჯდომი, ვლაშქრობდი“...

ქართული მწერლობის ეს საამაყო ტრადიცია შეითვისა და გაამდიდრა საბჭოთა საქართველოს მწერლობამ. ქართული მწერლობა, ისევე, როგორც რუსული და სხვა მოძმე ხალხის მწერლობა, სიტყვით და საქმით გახდა სამამულო ომის მწერლობად, მის ერთად-ერთ შთაგონებად გადაიქცა დიდი ბელადის მგზნებარე მოწოდება: „წინ, ჩვენი გამარჯვებისაკენ!“

მთლიანად გადახალისდა ჩვენი მწერლობის თემატიკა, — მშვიდობიანობის დროინდელი განწყობილება სალაშქრო-მხედრულმა ენტუზიაზმმა შესცვალა.

ზემოთ ნათქვამის ილუსტრაციად გამოდგება მოწინავე ქართველი პოეტების ორი პატარა კრებული, რომლებიც ახლახან გამოსცა სახელგამმა: „სიმღერა გამარჯვებისა“ და **„ჩვენ გავიმარჯვებთ!“.**

პირველი იხსნება ალიო მაშაშვილის ლექსით „სიმღერა გამარჯვებისა“. ეს ლექსი სიძულვილითა და ზიზღით არის სავსე იმისადმი,

„ვინც უღალატოს სამშობლოს,
დიად საბჭოთა მხარესა“.

ქართული კლასიკური და ხალხური პოეზია უმღეროდა და დიდების შარავანდედით მოსავდა ხალხის სახელოვან გმირებს, სწყევლიდა და არცხვენდა გამცემლებს, მხდალებსა და მოღალატეებს. არა ერთი შედევრი დაწერილა და თქმულა იმათ შესაჩვენებლად, ვინც სახელოვან სიკვდილს გაექცა ნაზრახ სიცოცხლისათვის. ალ. მაშაშვილის „სიმღერა გამარჯვებისა“ ერთ-ერთ შესანიშნავ ლექსად დარჩება ამ თემაზე დაწერილ ლექსებს შორის. იგი პოეტისათვის ჩვეული პათოსითაა შესრულებული. ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი პარალელიზმებით, გამართული შაირის მეტრით და გამოსახვის უბრალო, მაგრამ მაღალ-პოეტური საშუალებებით ავტორი აღწევს ნამდვილ სისადავეს და ხალხურობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ლეონიძის ლექსი „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“ გამოხატავს მთელი საბჭოთა ხალხის მრისხანე პასუხს ფაშისტ თავდამსხმელთა წინააღმდეგ, მთელი თავისუფალი საბჭოთა ხალხის მტკიცე გადაწყვეტილებას:

„არცა ვის ვეყმოთ, არცა ვემონოთ, —
ხალხმა დაწერა, ხალხმა ინება;
არცა ვის ვეყმოთ, არცა ვემონოთ, —
სისხლით დაბეჭდა დადგენილება!“

ქართველი ხალხი, იბრძვის რა მხარდამხარ რუს და სხვა მოძმე ხალხებთან ერთად, არ იგიწყებს წარსულის იმ სამართლიან ომებსაც, რომლებიც მას გმირულად და სასახელოდ გადაუტანია. პირიქით, ჩვენი ხალხების გმირული ისტორიული წარსულის გახსენება აღაფრთოვანებს გამარჯვებისათვის და რწმენას მატებს თავისუფლებისა და პროგრესისათვის მებრძოლ მამაც საბჭოთა ხალხს.

გ. ლეონიძე სწორედ აქ ნახულობს თავის თავს. იგი ამ პატარა ლექსით კარგად ახერხებს იმ ისტორიული ფონის მონახვას, რომელსაც არა ერთხელ მიმართავდა ხოლმე იგი. ეს ლექსი დამახასიათებელია ლეონიძისათვის როგორც კომპოზიციით, ისე ლექსიკითაც (დაეგრაგნება, ნასიკეთარი და სხვ.).

შ. აფხაიძის „ვფიცავ ჩემს მიწას“ კრებულის ერთი ძლიერი ლექსთაგანია. საბჭოთა პატრიოტის მზადყოფნა—დაიცვას ყველაფერი, რაც კი საყვარელია, რაც ოცნება იყო და საქმედ იქცა, გულწრფელად და დამაჯერებლად აქვს ავტორს გადმოცემული.

ფრონტზე მიმავალი სტალინური თაობისადმი, ჩვენი ქვეყნის უკეთესი ახალგაზრდობისადმი უდიდესი სიყვარულითაა დაწერილი ი. მოსაშვილის, ალ. აბაშელის და ს. შანშიაშვილის ლექსები.

თემატიურად ეს ლექსები ერთმანეთს გვანან (დედის, მამის ან ამხანაგის მოწოდება და დარიგება ომში მიმავალ შვილისადმი ან ამხანაგისადმი), მაგრამ შესრულების ორიგინალობაში მოსჩანს თითოეული მათგანის მკვეთრი ინდივიდუალური სახე.

ამავე თემატიური რკალიდანაა ი. ნონეშვილის ლექსი „დედა და შვილი“.

გ. ქუჩიშვილის ორი პატარა ლექსი „პოეტი-ჯარისკაცი“ და „საიერიშო ძახილი“ ავტორისათვის დამახასიათებელი მიმართვითი ფორმითაა დაწერილი. გ. ქუჩიშვილს ყოველთვის ეხერხებოდა ლექსი-მოწოდება. ახლაც ხმამაღლა ისმის მისი ძახილი:

„საიერიშოდ, ამხანაგებო!
დაე კალამი
შესცვალოს თოფმა!“

კრებულში გამოირჩევა ალ. შენგელიას ლექსი „სამშობლოსათვის“. იგი პოეტის შემდგომ ზრდაზე ლაპარაკობს.

ცალკე უნდა აღინიშნოს ი. გრიშაშვილის „პატარა პატრიოტები“. ეს ლექსი გრიშაშვილის, როგორც საბავშვო პოეტის, აქტივში შევა. ამ დიდი ამბების დღეებში პოეტმა შესძლო პატარების ადგილი დაენახა და მათთვის გასაგები ენა ეპოვნა.

კარგი საბავშვო ლექსია აგრეთვე ა. შენგელიას „წერილი მამას“ (კრებულიდან „ჩვენ გავიმარჯვებთ“).

კრებული „ჩვენ გავიმარჯვებთ“ იხსნება გალაქტიონ ტაბიძის ლექსით „ჩვენ გავიმარჯვებთ“. ამ ლექსში არის გალაქტიონის სახელის ღირსი სტრიქონები:

„დაეჯახე უნდობარ მტერს, ხალხთა რისხვა-ურიამულო,
რადგან სამართლიანია ჩვენი ომი სამამულო.
სამშობლოსთვის, სტალინისთვის სდგას მებრძოლი და პოეტი...
უშიშრად სდგას, აი რისთვის გაიმარჯვებს საბჭოეთი!“

მტერზე გამარჯვების რწმენა დღეს საბჭოთა პატრიოტის პირველი გრძნობაა. ჩვენი უძლეველი დიდი სამშობლო აუცილებლად გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში.

ი. გრიშაშვილის ლექსი „ორი სიტყვა“ შესანიშნავად გამოხატავს სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულს და მისი გამარჯვებისადმი რწმენას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩემს სამშობლოს მზიანს, მოიანს,
გამარჯვება მუდამ ჰქვიან,
და რითმების სათვალავში
ორი სიტყვა გვქონდეს თავში,
ორი სიტყვა — ორი შვება, —
„სამშობლო“ და „გამარჯვება“!

ანალოგიური ხასიათისაა ილ. აბაშელის მგრძნობიარე ლირიკული ლექსიც „ერთი ფიქრი, ერთი მიზანი“:

„კალამო! მხოლოდ შემუსვრა მტერთა!
გადაივიწყე სხვა ყველაფერი“.

გ. ქუჩიშვილისა და გრ. აბაშიძის ლექსები („ბელადის ძახილზე“ და „სიმღერა“) უმღერიან ფაშისტების გასანადგურებლად მიმავალ მებრძოლებს, სოციალისტური ქვეყნის რკინისებურ ვაჟკაცებს.

ვ. ჟურულის „აღსდექ, დევ-გმირთა მხარეო!“ მიძღვნილია დიდი ბელადის სტალინის სამი ივლისის ისტორიული გამოსვლისადმი.

შ. აფხაიძის, ს. თავაძის, კ. ბობოხიძის, გ. კალანდაძის, მ. მიქელაძის, ა. თევზაძის და წვევამდელ ლოლუას ლექსებში მოსჩანს აყვავებული სამშობლოს სიყვარული, სისხლისმსმელი ჰიტლერისადმი უსაზღვრო ზიზღი და სიძულვილი, ფრონტზე მიმავალი მებრძოლებისადმი ნდობა, მათთან ფიქრით და საქმით ერთად ყოფნა.

ლექსების ეს ორი პატარა კრებული საუკეთესო დემონსტრაციაა ჩვენი პოეტების პოლიტიკური დარაზმულობისა.

სახელგამმა სასარგებლო საქმე გააკეთა მათი სასწრაფოდ და ხელმისაწვდომად გამოცემით.

ორივე წიგნის რედაქცია ეკუთვნის ლ. კალანდაძეს.

მკითხველი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე.

ტომი 10. თბილისი, 1941 წ. გვ. 427.

მიმდინარე წელი განსაკუთრებით მდიდარია დიდ-დიდი ნაშრომებით და გამოცემებით, საქართველოს ისტორიისა, ქართული ფილოსოფიისა და ენათ-მეცნიერების დარგებში. ჩვენ უკვე გვაქვს აქამდის არნახული სიმდიდრე სპეციალურ საკვლევო-სამეცნიერო დაწესებულებათა, რომელნიც ამასთანავე თავის შემადგენლობაში თავს უყრიან ჩვენი მეცნიერების სხვადასხვა დარგების მთელს აქტივს.

გამოსულ შრომებს შორის ჩვენ პირველ რიგში აღვნიშნავთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლის თავის აღსანიშნავად გამოსულ მეათე ტომს ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბისას. კრებულში მოთავსებულია 21 წერილი-გამოკვლევა, ყველა დიდის დაკვირვებით და ფაქიზად დაწერილი.

ფილოლოგიის დარგი კრებულში წარმოდგენილია სტალინის სახელობის სადოქტორო სტიპენდიანტის ილია აბულაძის გამოკვლევით ეფრემ მცირეს მიერ მე-11 ს. გადათარგმნილ ნაწარმოების შესახებ „ელინთა ზღაპრობანი“. ეს ტექსტი წარმოადგენს მე-4 საუკუნის მოაზროვნის გრიგოლ ნაზიანზელის ანუ ღვთისმეტყველის კომენტატორის ნონნეს ძველს ქართულ თარგმანს. თვით ნონნე მე-6 საუკუნის ავტორია და მისი კომენტარები, მიძღვნილი გრიგოლ ღვთისმეტყველის ნაწარმოებებისადმი, თარგმნა ქართულად სახელგანთქმულმა ეფრემ მცირემ „ელინთა ზღაპრობათა“ სახელით. ამ ნაწარმოებს ჰქონდა დიდი მნიშვნელობა ძველი ბერძნული მითოლოგიის გასაცნობად და შესასწავლად და ამით აიხსნება, რომ „ელინთა ზღაპრობანი“ ამ მხრივ გავლენას ახდენდა ბევრს ძველს ქართულ ავტორზე. ი. აბულაძე, ნაწილობრივ სხვა მკვლევარებზე დაყრდნობით (აკად. კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, პროფ. ს. ყაუხჩიშვილი) არკვევს ამ ნაწარმოების ზეგავლენას შავთელსა და ჩახრუხაძეზე და მე-12 საუკუნის ქართველ მემატიანეებზე.

არქეოლოგიის ნაწილი კრებულში წარმოდგენილია შემდეგი წერილებით: მ. მაქსიმოვა — „შუშის მრავალწახნაგოვანი ბეჭედები საქართველოს ტერიტორიაზე" (რუსულად). ავტორი სათანადო საბუთიანობით არკვევს წალკის და მცხეთა-სამთავროს გათხრების დროს უკანასკნელ სამ წელიწადს ნაპოვნ 5 ბეჭედს უძველესი დროისას, სამი კიდევ სხვა ასეთივე ბეჭდის მიმატებით.

ა. იაცენკო-ხმელევსკი და გ. კანდელაკი თავის პატარა გამოკვლევაში ეხებიან მცენარეულობის ნაშთებს პიტიახშ ასპარუკის სამარხში (არმაზი, მე-3 ს-ნე).

ლ. მუსხელიშვილი თავის წერილში არჩევს უკანგორის (ლუქსემბურგის რაიონში) ისტორიულ ნაშთებს. აქ მას აღმოუჩენია ერთი მეტად საინტერესო ძველი ქართული წარწერა, რომელიც მისი სიტყვით ენათესავება ბოლნისის უძველეს წარწერებს, და მე-6 საუკუნის დამდეგს, სახელდობრ 502-3 წლით და მისი ახლო ხანითაა დათარიღებული. იქვე ლ. მუსხელიშვილს აღმოუჩენია ორი სხვა უძველესი წარწერის და ორი ბარელიეფის ნაშთი. მთელი გამოკვლევა დაწერილია მაღალკვალიფიციურად და სათანადო სპეციალური ლიტერატურის ფართოდ გამოყენებით. ლ. მუსხელიშვილის შრომებმა ბოლნისის, დმანისის და სხვა ძეგლების შესახებ დაამტკიცა, რომ მისი სახით ჩვენ გვყავს ნიჭიერი არქეოლოგი.

წერილში გამოყენებულია ბოლნისის და წყისის წარწერები ჩვენში მიღებული ქრონოლოგიით. საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ ჩვენის აზრით, ბოლნისის მთავარ წარწერას ესაჭიროება ხელახლა წაკითხვა.

დათარიღებაც, როგორც ბოლნისის, ისე წყისის წარწერებისა არ არის სწორი. მაგრამ ამაზე ჩვენ ბაასი გვექნება ცალკე მონოგრაფიაში.

არქეოლოგ გ. ნიორაძის წერილი „არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში" წარმოგვიდგენს 1940 წელს ავტორის უშუალო ხელმძღვანელობით სოფ. რეკაში (სამეგრელოში) წარმოებულ გათხრების ანგარიშს. გათხრილ იქმნა ყურღანი ადგილ ნაოხვამუში, რაც მეგრულად აღნიშნავს იმ ადგილს, სადაც წინათ სამლოცველო იყო. ნაოხვამუს გათხრები იძლევა უაღრესად საყურადღებო მასალას კოლხიდის დაბლობის კულტურის ყოველმხრივ შესაცნობად ჩვენს სათვალავამდის პირველ ათასეულ წელიწადში.

მეტად საინტერესო პრობლემას აყენებს ეთნოგრაფი გ. ჩიტაია თავის საფუძვლიან გამოკვლევაში „სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში" (გვ. 303—322). ლაზები ძველ დროიდანვე განთქმული იყვნენ როგორც საუკეთესო ხეროები და ხის სახეების გამმშვენებლები. ლაზ ხელოსანთა მიერ აშენებულმა სახლებმა მოაღწიეს ჩვენამდის ბაღდადის (ახლა მაიაკოვსკის) მხარეში და ზოგან სხვაგანაც იმერეთში (ლაზ ხელოსანთა მიერ აშენებულია მაგალითად მეტად საყურადღებო ხის ეკლესია სოფ. კულაშში) და თრიალეთშიაც. თრიალეთის (სოფ. წინ-წყარო) შენობის შიგნით, ხის შემკულობანი წარმოადგენს დიდის ხელოვნებით შესრულებულს ორნამენტებს, რომელთა შორის გ. ჩიტაიას მთავარი ყურადღება მიიპყრო ეგრედწოდებულ სიცოცხლის მოტივებმა. ავტორს მოჰყავს პარალელები უძველესი ხნიდან, კერძოდ სუმერულ და ხეთურ სამყაროდან და დაასკვნის, რომ ლაზურს ორნამენტში მოცემული სიცოცხლის ხის მოტივს შეადგენს თვით სიცოცხლის ხე, ცხოველები—წყვილი და მნათობები (ორი ან მეტი), რომ სიცოცხლის ხის მოტივი ქართულ ხალხურ ორნამენტში უძველესი სუეტია და ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ფართოდაა გავრცელებული.

საქართველოს ისტორია კრებულში წარმოდგენილია მთელი რიგი წერილებით. აკად. ს. ჯანაშია წერილში „ფასიდი" (გვ. 345—353) არკვევს ტერმინის „ვაზირის" ისტორიას.

პროფ. ნ. ბერძენიშვილი ვრცელ წერილში არკვევს ჭყონდიდელი მწიგნობართუხუცესის როლს საქართველოში ფეოდალური წყობილების წარმატების პერიოდში (გვ. 281—302). გამოკვლევა დაწერილია მასალების სავსებით ამოწურვით, ავტორისთვის ჩვეული სიფრთხილით.

პ. ინგოროყვას კრებულში აქვს ორი გამოკვლევა, ერთი ეხება მე-8 საუკუნის (როგორც ავტორი ამბობს), ქართველ ისტორიკოსს ლეონტი მროველს (გვ. 93—152). მეორე კი ქართული დამწერლობის ძეგლებს ანტიკურ ხანაში (გვ. 411—427).

პირველს წერილში პ. ინგოროყვა ვრცლად ასაბუთებს ლეონტი მროველის ცხოვრების ხანას და მიდის იმ დასკვნამდის, რომ ის არის მე-8 საუკუნის ავტორი. ჩვენს საისტორიო მეცნიერებაში მეტწილად მიღებული აზრის მიხედვით ლეონტი მროველი მე-11 საუკუნის მწერალია. მაგრამ რომ ძველი ქართული მატიანეები ნამდვილად ბევრად უფრო ადრე არის დაწერილი, ეს ახლა ეჭვს გარეშე უნდა ჩაითვალოს. არსებითად პ. ინგოროყვას დებულების გარჩევას არ შევუდგებით, რადგანაც წინად დაბეჭდილ ძიებათა გარდა ჩვენ ამ საკითხის

შესახებ დამზადებული გვაქვს ახალი გამოკვლევა, სადაც საკითხი პ. ინგოროყვასაგან განსხვავებითაა დამუშავებული.

პ. ინგოროყვას მეორე წერილი ეხება არმაზის გათხრების დროს ნაპოვნ ხივთებზე აღმოჩენილ ქართულ ასოებს. სავსებით დამაჯერებელია პ. ინგოროყვას მიერ ბერცულ (ბარაცმან) პიტიახშის ინიციალების ამოცნობა. ინიციალები შესრულებულია ქართულ დამწერლობით და პ. ინგოროყვას აზრით მიეკუთვნება პირველი საუკუნის მეორე ნახევარს. ამით რეალურად მტკიცდება ქართული დამწერლობის არსებობა ჩვენში ქრისტიანობის შემოსვლაზე უფრო ადრინდელ ხანაში.

ისტორიულ ლინგვისტური ხასიათისა არის ენათმეცნიერის აკად. გ. ახვლედიანის წერილი „ისტორიული ცნობა დვალეთისა და დვალების შესახებ". ვახუშტისა და გიულდენშტედტის ცნობებზე დამყარებით ავტორი დაასკვნის, რომ ოსნი (ირონები) შემოჭრილან დვალეთში და გაბატონებულან დვალებზე, რომელთა შესახებ ვახუშტი სწერდა, რომ მათ „ენა აქვთ ძველი დვალური და აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად". რას ნიშნავს ეს ძველი დვალური ენა, ჯერჯერობით არ სჩანს. გ. ახვლედიანი მას ოსურის დიალექტად სთვლის.

ენათმეცნიერება კრებულში წარმოდგენილია მდიდრულად, მთელი რიგი ნაშრომებით.

აკად. ა. ჩიქობავას წერილი—პრობლემა ენისა, როგორც ენათ-მეცნიერების საგნისა საბჭოთა ენათ-მეცნიერების ძირითადი ამოცანების ასპექტში (გვ. 355—410) დაწერილია რუსულად, ეხება უმთავრესად განსვენებული დიდი მეცნიერის ნიკო მარის მიერ წამოყენებულ დებულებას ეგრეთწოდებული ოთხი ლინგვისტური ელემენტის შესახებ, რაზედაც დამყარებული იყო ენების ეგრედწოდებული პალეონტოლოგიური ანალიზი. ა. ჩიქობავა უარყოფს ამ ოთხ ლინგვისტურ ელემენტს. უნდა ითქვას, რომ ამჟამად იაფეტური ენათმცოდნეობის ისეთი წარმომადგენელი, როგორიც არის აკად. ივ. მეშჩანინოვი აგრეთვე შესაძლებლად სთვლის უკუაგდოს ოთხ ელემენტზე დამყარებული პალეონტოლოგიურ-ლინგვისტური ანალიზი. ოთხი ელემენტის დებულებას, როგორც ცნობილია, დაჰყავდა ყველა ენების ლექსიკური მარაგი პალეონტოლოგიურ ანალიზით ოთხ ფუძეზე, რომელთაც ნ. მარი პირობით უწოდებდა სალ, ბერ, იონ, როშ. ამ გაუგებარი და ამავე დროს შემზღუდველი ოთხი ელემენტის მოცილებით თვით ნ. მარის ეგრედწოდებული ახალი მოძღვრება ენების შესახებ მხოლოდ მოიგებს.

ხარბის კაკაბაძე

И. А. УРУШАДЗЕ — «Я. НИКОЛАДЗЕ». ИЗД. „ИСКУССТВО". 1940 Г.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ რევოლუციამდელ ლიტერატურას (კონდაკოვი, სმირნოვი, ბაქრაძე, თ. ეორდანია და სხვა) უდაოა, რომ ქართული სახვითი ხელოვნების გასაცნობად რუსი მკითხველისთვის მცირე მუშაობაა ჩატარებული.

კერძოდ, ახალი ქართული სახვითი ხელოვნების საკითხები თითქმის მივიწყებულია და მის შესახებ რუსულ პრესაში ვხვდებით მხოლოდ მცირე და ისიც შემთხვევითი ხასიათის შენიშვნებს.

ქართული ხელოვნების თუნდაც წამყვან ნიმუშებს ზოგჯერ ყველა სპეციალისტიც კი არ იცნობს რუსეთში. ამით აიხსნება ის კურიოზული დასკვნები, რომელთაც არც ისე იშვიათად ვხვდებით რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. ამიტომ ყოველ ახალ ცდას ამ ხარვეზის ამოსავსებად თავისი მნიშვნელობა აქვს.

ურუშაძის წიგნის მიზანია—გვიჩვენოს ახალი ქართული სახვითი ხელოვნების საკმაოდ თვალსაჩინო ფიგურა. წიგნის შესავალ ნაწილში წარმოდგენილია ეპოქის მიმოხილვა. ეს ნაწილი რუსი მკითხველისათვის სქემატური და მშრალია, ხოლო ქართველი მკითხველი ასეთ მასალას უფრო ვრცელის სახით იცნობს და ამიტომ მასში ვერ აღძრავს ინტერესს. შესავალ ნაწილში ავტორი ერთგვარ გადაჭარბებულ შეფასებას აძლევს მრევლიშვილის საგაზეთო სტატიებს, რომელნიც არსებითად გულუბრყვილობის ნიმუშებს წარმოადგენდენ.

წიგნის ნაკლია—უგულველყოფა საქართველოში არსებული სამხატვრო სკოლებისა და აღზრდის ისტორიისა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში არა მართებული ცნობების მიწოდებაც რუს მკითხველისათვის სამხატვრო სკოლათა ისტორიიდან (მაგ., გვ. 58). ასეთ სკოლებს საქართველოში უსათუოდ ჰქონდათ სახვითი ხელოვნების დანერგვისათვის გარკვეული

მნიშვნელობა. ამგვარი ხასიათის სწორი ცნობების მოწოდება საინტერესო იქნებოდა რუსი მკითხველისათვის.

წიგნი ქრონოლოგიურ ჭარგაზეა გაშლილი, და ავტორი მოქანდაკის ცხოვრებისა თუ შემოქმედების მიმოხილვასაც ამის მიხედვით წარმოგვიდგენს. მრავალი დეტალი ცხოვრებისა თუ შემოქმედების შესახებ წიგნს უსათუოდ საინტერესო მოვლენად ხდიან.

არსებითად ურუშაძე მოქანდაკის ცხოვრებისა და შემოქმედების ანალიზისას თვით მოქანდაკის მოგონებებს და მოსაზრებებს იყენებს.

მხატვრის შემოქმედებითი მეთოდის ანალიზისას ავტორი სწორ დასკვნებამდე მიდის და საკმაო სისრულით იძლევა ოსტატის შემოქმედებითს სახეს. უნდა აღინიშნოს, რომ მხატვრულ საშუალებათა ანალიზი მოისუსტებს. ასევე სუსტია და არა დამაკმაყოფილებელი პორტრეტისა თუ ჯგუფის კომპოზიციების ფორმალური ანალიზი. ავტორს ამ მხრივ მეტი მოეთხოვებოდა.

წიგნის ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის მოვლენაც, რომ იგი ჰქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს საქართველოში ი. ნიკოლაძის გარდა სხვა მოქანდაკე არ იყოს ან, თუ არის, მისი არსებობა ავტორის მიერ უგულველყოფილია, რადგან, რამდენადაც ცნობილია, ყველა ქართველი მოქანდაკე ნიკოლაძის სკოლის მიმდევარი არ არის. ავტორს ავიწყდება ჩვენში ისეთ მოქანდაკეთა არსებობა, რომელთა შემოქმედებაც არ შეიძლება არ იქნას მიღებული მხედველობაში უფროს და უმცროს თაობათა ურთიერთგავლენის შესწავლისას. ავტორი სრულებით ვერაფერს ამბობს ქართული ქანდაკების ტრადიციაზე. წიგნის ნაკლია არსებული კრიტიკული ლიტერატურის მიმოუხილველობა და აქედან სათანადო დასკვნების გამოუტანლობა.

წიგნი მდიდრადაა ილუსტრირებული, მაგრამ ილუსტრაციების შერჩევა არა ჰქმნის მთლიან შთაბეჭდილებას ოსტატზე. ეს მასალა ნიკოლაძეს ძირითადად პორტრეტისტად გვიჩვენებს და უყურადღებოდ სტოვებს ნიკოლაძეს, როგორც „კოცნის", „სალომეას" და სხვათა ავტორს.

შ. მუჯირი

მ. დუდუჩავა — „ილია რეპინი".

გამოც. ხელოვნების მუზ. „მეტეხი", 1940 წ.

„მეტეხის" მუზეუმმა სარეცენზიო გამოცემით მკითხველს კარგი წიგნი მისცა. წიგნი მეთოდოლოგიურად სწორადაა აგებული; იგი მიძღვნილია რუსეთის დიდი მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი. მასში არის მოცემული ზოგჯერ საკითხის ახალი და თავისებური დაყენება-გადაჭრაც. განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს გაბაშვილისა და რეპინის ურთიერთობის შესახებ ავტორის მიერ პირველად გამოქვეყნებული მასალა. მოხდენილადაა მოთხრობილი მხატვრის შემოქმედებისა და ცხოვრების ურთიერთობაზე და დადგენილია არსი და რაობა რეპინის შემოქმედებისა, რუსულ მხატვრობის განვითარების ტენდენციებთან დაკავშირებით. ავტორი არჩევს და ხსნის მხატვარში არსებულ შინაგან წინააღმდეგობათა მიზეზებსა და შინაარსს, დამაჯერებელი ანალიზით იგი ძირითადად აბათილებს არა სწორ შედარებებს მხატვრის შემოქმედებითი მეთოდის შესახებ არსებულს და ზოგიერთ შემთხვევაში საკუთარი დასკვნებიც კი გამოყავს.

ავტორი წიგნში მოცემული კონკრეტული მასალის ანალიზზე მხატვარს აკუთვნებს შესაფერ ადგილს რუსული ხელოვნების ისტორიაში. წიგნი კარგად ხსნის მხატვრის შემოქმედების სპეციფიკას. საინტერესოდაა მოცემული კომპოზიციის და ფერწერის ანალიზი. წიგნის ნაკლია რეპინის მემკვიდრეობის მთლიანი მიმოუხილველობა. აქა-იქ გაპარულია კორექტურული შეცდომები, რომელნიც გასწორებაშიც კი არაა გასწორებული. ილუსტრაციები წიგნში საკმაო რაოდენობითაა. ტექნიკურად წიგნი კარგადაა გაფორმებული.

შ. კვასხვაძე.

სერგი მაკალათია — „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია". საქართველოს მხარეთ-მცოდნეობის საზოგადოების გამომცემლობა, თბილისი, 1941 წ. 383 გვ.

ბიბლიოთეკა

დასახელებული წიგნი იყოფა ორ ნაწილად. პირველ ნაწილში ავტორი ეხება სამეგრელოს ისტორიას, მეორე ნაწილი შეიცავს ეთნოგრაფიულ მასალას.

სამეგრელოს ისტორია ავტორს მოცემული აქვს დანარჩენ საქართველოსთან დაკავშირებით. რადგანაც ავტორი თვითონ მატერიალურ კულტურის ისტორიის სპეციალისტია, ამიტომ განსაკუთრებით საინტერესოა სამეგრელოს ისტორიის მიმოხილვის ის ნაწილი, რომელიც არქეოლოგიურ მასალის მონაცემებზეა დამყარებული. ავტორი მაგალითად ვრცლად ეხება კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ძველი დროის ფულის განძებს და იყენებს მათ უძველესი დროის სამეგრელოს ეკონომიური და კულტურული ცხოვრების გასარკვევად.

ფეოდალური ხანის სამეგრელოს ისტორია მოდის სამეგრელოს სამთავროს საესებით გაუქმებამდის. ამ ნაწილში ავტორი მისდევს უკვე ცნობილ მასალებს და ამით კმაყოფილდება. მთელი ამ ხნის ეკონომიური და სოციალური ვითარების ფაქტები საზოგადოდ ნაკლებ არის დამუშავებული და ეს გარემოება ახდენს გავლენას ავტორის ნაშრომზედაც.

ამ მხრივ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

საინტერესოდ არის დაწერილი ს. მაკალათიას წიგნის ეთნოგრაფიული ნაწილი. ავტორს ეთნოგრაფიული მასალის შესაკრებად მიმოუვლია სამეგრელოს ცალკე კუთხეები და შეუკრებია მეტად ძვირფასი მასალა, რომლის შესახებ ჯერჯერობით ლიტერატურაში თითქმის არაფერი იყო ცნობილი. წიგნის ეს ნაწილი განიყოფება შემდეგ თავებად: სოფლის მეურნეობა (გვ. 180 — 209); შინამრეწველობა (გვ. 210 — 228); მატერიალური კულტურა — ციხე-კოშკები, მეგრული სახლები, ტანთ-ჩაცმულობა, საკრავები (გვ. 229—258); ხალხური ჩვეულებანი—ნიშნობა და ქორწილი, მშობიარობა, გართობა-თამაშობანი, მიცვალებულის გასვენება, ტირილი და გლოვა (გვ. 259—293); ცრუმორწმუნეობა (გვ. 294—347); საკულტო ადგილები და მათთან დაკავშირებული რიტუალი (გვ. 348—388). უკანასკნელ თავში აწერილია შემდეგი უქმობანი: ილორობა, ალერტობა, ყულის-კარი, წაჩხური, ჭვენიერობა, თერდობა. ეს უქმობანი მომდინარეობს უძველესი დროიდან და ზოგი მათგანი დაკავშირებულია ძველი სამყაროს კულტურ სარწმუნოებასთან. ასეთია, მაგ. ეგრეთწოდებული ილორობა, რომელსაც ავტორი სავსებით სამართლიანად უკავშირებს ძველს მითრაიზმს, რომელიც მე-3 საუკუნეში წინა აზიაში ქრისტიანობის მეტოქედ გამოდიოდა.

ს. მაკალათიას წიგნმა დაამტკიცა, თუ რამდენად დიდი შედეგების მომცემი შეიძლება იქნეს ჩვენი ქვეყნის მთავარი მხარეების ეთნოგრაფიული შესწავლა. ჩვეულებრივ კავკასიის შემსწავლელი ეთნოგრაფები ინტერესს იჩენდნენ ხევსუ[illegible]სა და სვანებისადმი, რომელნიც თავისი თავისებური და ჩამორჩენილი ყოფა-ცხოვრებით, ამ ყოფაცხოვრების გადანაშთებით ყველას ყურადღებას იპყრობდნენ. მაგრამ დიდს დან[illegible]ლისა[illegible]ადგენს ის, რომ საქართველოს წამყვანი კუთხეები, ოდგორც არის ქ[illegible]ართლ-კახეთ[illegible], [illegible]ეთ-გურია-სამეგრელო ეთნოგრაფიულად ან სრულებით შეუსწავლელი იყვნენ, ან ძ�eიერ ძვირად შესწავლილნი. სამეგრელოს მიმართ ეს ნაკლი ახლა რ[illegible]დებამედ [illegible]ეცესებულია (ტურიის შესახებ მასალები შეკრებილი აქვს აპ. წულაძეს). საკირო[illegible] [illegible]ქართ[illegible] [illegible] [illegible] [

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

	33
გალაკტიონ ტაბიძე — სამშობლო (ლექსი)	3
გიორგი ლეონიძე—ქართველ ოსტატებს (ლექსი)	4
დემნა შენგელაია—მეოთხე ძმა (მოთხრობა)	7
კონსტანტინე გამსახურდია — დავით აღმაშენებელი (გაგრძელება)	18
ელიზბარ პოლუმორდვინოვი — ღამის თორმეტი საათი (მოთხრობა)	36
მაქსიმ რილსკი — სიმღერა სტალინზე (ლექსი, თარგმანი **კ. ლორთქიფანიძისა**)	43
იასამანი — მტკიცე დარაჯი (ლექსი)	44
ალეკო შენგელია — ჩემს სამ ძმას, სამამულო ომის მონაწილეთ (ლექსი)	45
იაკინთე ლისაშვილი — მზვერავები (მოთხრობა)	46
სიმონ წვერავა—მოხუცის გმირობა (მოთხრობა)	57
კ. ოსიპოვი — დივიზიის უფროსი კიკვიძე (მოთხრობა)	60
ი. ფრანკო — * * * (ლექსი, თარგმ. **ირ. აბაშიძისა**)	75
ი. ფრანკო — ჯარისკაცისადმი (ლექსი, თარგ. **გრ. აბაშიძისა**)	76
ი. ფრანკო — ერთი კონფისკაციის ისტორია (მოთხრობა, თარგმანი **ილ. აგლაძისა**)	77

ფაშიზმი კულტურის წინააღმდეგ

პროფ. მოსე გოგიბერიძე — ფაშიზმი მეცნიერებისა და კულტურის მტერია	87
ერ. ბურჭულაძე — გერმანიის დამარცხება პირველ იმპერიალისტურ ომში	94
ფაშიზმის სამყაროში	108
კულტურისა და პროგრესის მხარეზე	114
სამამულო ომის გმირები	120

ეთნოგრაფია

ზ. ედილი — საინგილო (გაგრძელება)	136

ბიბლიოგრაფია

მკითხველი — „სიმღერა გამარჯვებისა“, „ჩვენ გავიმარჯვებთ“	154
ს. კაკაბაძე — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია. აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, 10	156
შ. მუჯირი — И. А. Урушадзе — „Я. Николадзе“	158
შ. კვასხვაძე — მ. დუდუჩავა — „ილია რეპინი“	159
ს. კ-ე — სერგი მაკალათია — „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“	160

ფასი 4 მან.

29 МНАТ
МОРГОССА 5
РЕСПУБЛ
МЕТОД КАБИНЕТ Б,КА
1 , 12

551/473

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ